ავტორი ბესტსელერისა „სატანის სატყუარა“

ჯონ ბევირი

ღირსების ჯილდო

ამ მივიწყებული თვისების ძალის გაცნობიერება

წიგნს „ღირსების ჯილდო“
თან ერთვის DVD რესურსდისკი

ძვირფასო მეგობარო

ღირსებას თითქმის ვერ შეხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა ამ კონცეფციას მაინც აქვს ჩვენი ამოძრავებისა და შთაგონების ძალა. თანამედროვეობის დიდებული კინოფილმების სიუჟეტში ჩაქსოვილი ღირსების სათნოება ამაღლებული და მოწონებულია, მაგრამ სად არის ეს მნიშვნელოვანი გასაღები, რომელიც დღეს ჩვენი ცხოვრებისთვის განსაზღვრული ღვთიური გეგმის მისაღებად გვჭირდება?

ღირსებას დიდი ჯილდო მოყვება, რომელიც ღმერთს თქვენთვის უნდა. ამ საყოველთაოდ მივიწყებული იდეალის ახლებური გააზრება ისეთ პოზიციაზე მოგათავსებთ, რომ ყველაფერი მიიღოთ, რაც თქვენი ცხოვრებისთვის დაწესებული და განზრახულია.

ღირსების გაცნობიერების, მიღებისა და პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ ღვთიურ ფასეულობათა სისტემას გააღებთ და ყოველგვარი ღირსების ავტორის, ღმერთის გულთან ადგილს დაიკავებთ.

მოგიწოდებთ, რომ შეისწავლოთ და სხვასაც გაუზიაროთ მულტიმედიური რესურსები განსახილველი საკითხის ირგვლივ MessengerX.com-ზე. გააჯერეთ მოქმედებით თქვენი ცხოვრება, გააღვიძეთ სიდიადე მასში!

თქვენთან ერთად,



ჯონ ბევირი

JohnBevere@ymail.com

MessengerX.com

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

„ღირსების ჯილდოს“ წაკითხვის შემდეგ კითხვაც კი არ გაგიჩ-ნდებათ, თუ რამდენად ფასეულია ღვთისთვის პატივის მიგების თვისება, რომელიც ჩვენი, ქრისტიანების გულებიდან უნდა მოედინებოდეს.

– ჯოის მაიერი

„ღირსების ჯილდოს“ წაკითხვა ადამიანს თავად წიგნის ავტორის, გამორჩეული გამჭრიახობის მქონე ბიბლიის მასწავლებლისა და დახელოვნებული მწერლის, ჯონ ბევირის ღირსეულობის გრძნობას უჩენს. ჯონი პატივისცემას გულისთვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს, მკითხველი ადამიანური ურთიერთობების ფართო სპექტრის მომცველ მოგზაურობაში მიჰყავს და ყოველ ჩვენგანს შთააგონებს, რომ ამ მნიშვნელოვანი სულიერი პრინციპის ასახვით იცხოვროს უხვი საზღაურის მოლოდინში.

– ბრაიან ჰიუსტონი

როცა *„ღირსების ჯილდო“* პირველად წავიკითხე, მივხვდი, რომ საქმე კლასიკურ შედევრთან მქონდა, რომელიც დიდ ზეგავლენას მოახდენდა ეკლესიებზე, ქორწინებებზე, ოჯახებსა და ბიზნესებზე. ეს გახლავთ წინსვლის, კეთილგანწყობისა და წარმატების გასაღები ამ და მომავალ ცხოვრებაში. ეს არის ჯონ ბევირის მიერ გადმოცემული უდიდესი ნამოღვაწარი აქამდე.

– ჯინტეზინ ფრანკლინი

ჯონ ბევირი

ღირსების ჯილდო

ჯონ ბევირი

ღირსების ჯილდო

ამ მივიწყებული თვისების
ძალის გაცნობიერება

Honor's Reward by John Bevere, Georgian
© 2021 Messenger International
MessengerInternational.org
Originally published in English as ***Honor's Reward***
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX** App.
To contact the author: JohnBevere@ymail.com

This book is a gift from Messenger International and is
NOT FOR SALE

„ღირსების ჯილდო“ ჯონ ბევირისგან, ქართულად
© 2021Messenger International
MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: ***Honor's Reward***
დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევირებისგან მიიღეთ უფასოდ ჩამოსათვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და ასევე **MessengerX** App.
ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით:
JohnBevere@ymail.com

ეს წიგნი Messenger International-ის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის გასაყიდად.

App Store არის Apple Inc.- ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC- ის სავაჭრო ნიშანი.

შინაარსი

1 ჯილდოები 9

2 ნაწილობრივი ჯილდო და მის გარეშე დარჩენა 19

3 სრული საზღაური 29

4 როგორც არც ერთს ამ წინამძღოლთაგან

არაფერი გაუკეთეთ 39

5 ძალაუფლება 49

6 მკაცრი ხელისუფლება 65

7 საერო მმართველების პატივისცემა 77

8 საზოგადოებრივი წინამძღოლების პატივისცემა 93

9 ოჯახის წინამძღოლების პატივისცემა 103

10 ეკლესიის ლიდერების პატივისცემა 123

11 ორმაგი პატივისცემა 141

12 ჩვენი თანასწორების პატივისცემა 161

13 ჩვენთვის მინდობილთა პატივისცემა 175

14 პატივისცემა სახლში — შვილები 189

15 პატივისცემა სახლში — ცოლი 203

16 პატივი მიაგეთ ყველას 217

17 ღვთის პატივისცემა 225

დანართი 241

1

ჯილდოები

პატივი. მართალია პატივისცემას თითქმის ვერ შეხვდებით ოცდამეერთე საუკუნეში, მაგრამ ამ კონცეფციას მაინც აქვს ჩვენი ამოძრავებისა და შთაგონების ძალა. კინოფილმებში პატივისცემის დანახვა ცრემლების მომგვრელია, მით უფრო, თუ მას გაბედულება და თავდადება თან ახლავს. გადახედეთ ყველა დროის ბლოკბასტერებს და ნახავთ, როგორ არის ჩაქსოვილი სიუჟეტში პატივის გრძნობა. გამარჯვებულის ტონით ტაშს ვუკრავთ მას, მაგრამ სად ჩანს ის ყოველდღიურ ცხოვრებაში? რწმენა, რომ პატივისცემა ჩვეულებრივ გარემოშიც არსებობს, ჩვენი თაობისთვის უცხოა.

მსურს, დავინახო აღდგენილი პატივისცემა ღვთის ძეებსა და ასულებში. ეს უფლისგან რაიმეს მიღების მთავარი გასაღებია და ჩვენი სულების მტერი სწორედ ამ მიზეზით ცდილობს შემოგვაძარცვოს პატივის მიგების ნამდვილი ძალა. პატივისცემას დიდი საზღაური აქვს, ჯილდო, რომელიც ღმერთს თქვენთვის უნდა. პატივისცემას შეუძლია დიდად განავრცოს თქვენი ცხოვრება.

აი, უკვე მზად ხართ მოგზაურობის დასაწყებად, რომელიც დაგაახლოებთ ყოველგვარი პატივის ავტორის, ღვთის გულს. ვლოცულობ, რომ ამ მამხილებელმა ჭეშმარიტებებმა თქვენს ცხოვრებაზე გავლენა მოახდინოს საფუძვლიანი და პრაქტიკული გზებით. ბევრმა ეს გაკვეთილები ძალიან გვიან ისწავლა ცხოვრებაში. ამ მიზეზის გამო შეგვაგონებს იოანე მოციქული:

„თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც იღწვოდით, არამედ სრული საზღაური მიიღოთ“.
– 2 იოან. 8

ამ სიტყვების დაწერისას იოანე ხანდაზმული კაცი გახლდათ, რომელსაც თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა (*Clarke's Commentary*, Abingdon Press (1977)—Accordance 6.6).

მან ეს ძნელად მოპოვებული გამოცხადება ჩვენი სარგებლისთვის გადმოგვცა. იოანეს ხანგრძლივი და კარგი ცხოვრების მქონე მამაკაცებისა და ქალებისთვის დამახასიათებელი უპირატესობა ჰქონდა. ეს დანიშნულების პუნქტამდე ცხოვრებისეული მოწოდების ერთგულებით სიარულის შედეგია. ამას *ბაბუებისა* და *ბებიების ცხებულებას* ვუწოდებ. როცა ასეთი ადამიანები ლაპარაკობენ, ბრძენები უსმენენ.

ჩემი ცხოვრების მრავალი წლის განმავლობაში რამდენიმე შეხვედრა მქონდა ასეთ მამაკაცებსა და ქალებთან. ისინი ელჩები არიან, რომლებმაც ცხოვრება ღირსეულად განვლეს და ისეთ საფეხურზე ავიდნენ, საიდანაც შემეცნებით იყურებიან. ამ ასაკოვანმა ვეტერანებმა საერთო თვისებები შეიძინეს, რომელთაგან სამს აქ განვიხილავთ. პირველი, ისინი ინსტინქტურად პოულობენ საკითხის არსს. ისინი ბუჩქს გარს არ უვლიან და დროს უმნიშვნელოზე არ კარგავენ. მეორე, რამდენიმე სიტყვით დიდ აზრს გადმოსცემენ. მესამე, მათ მიერ შერჩეულ და წარმოთქმულ სიტყვებს დიდი წონა აქვს. მათთან მწირ კომუნიკაციასაც კი უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ადამიანისგან გაგონილ იგივე სიტყვებს, რომელსაც არც ასე კარგად და არც ამდენი უცხოვრია. მათთან დროის გატარების შემდეგ ხშირად აღმომიჩენია, რომ ამ მხცოვანი ვეტერანებისგან მოსმენილ ერთ თუ ორ წინადადებაზე თვეების განმავლობაში ვფიქრობდი.

ასეთი შესავლის ფონზე უნდა ვივარაუდოთ, რომ იოანე მოციქულს რაღაც არსებითის თქმა უნდოდა. ფაქტობრივად, ამ შთაგონებულ სიტყვებზე წლების მანძილზე ვფიქრობდი და მათგან მოსული გაცხადება კიდევ უფრო ფართოვდება. რეალურად, ამ სიტყვებით მთელი ორი წიგნია შთაგონებული: ერთი, რომელიც ხელთ გიპყრიათ და მეორე, *„მარადისობით ამოძრავებულნი“*. მოდი, მისი შეგონება ნაწილ-ნაწილ განვიხილოთ.

არ დაკარგოთ თქვენი მემკვიდრეობა

იგი იწყებს სიტყვებით: „თავს გაუფრთხილდით!“ იოანე ყოველ ჩვენგანს მოგვიწოდებს, რომ *ყური დავუგდოთ, გამოვცადოთ და დავუკვირდეთ საკუთარ თავს.* მის სიტყვებში გადაუდებლობა

იგრძნობა, ხოლო სათქმელი ზედაპირულ მიდგომას ვერ ითმენს. ის გულდასმით უნდა განიხილოთ.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რომ არ დავკარგოთ ის, რისთვისაც ამდენი ვიშრომეთ. ამ სიტყვებმა უნდა გამოგვაფხიზლოს ... თურმე შესაძლებელია წლების მანძილზე მოპოვებულის დაკარგვა. წარმოიდგინეთ ყანაში ოფლისღვრით მომუშავე მიწათმოქმედი. ის დღის ხვატს არ ეპუება, რომ ნიადაგი ქვებისა და კუნძებისგან გაასუფთავოს უხვი მოსავლის მისაღებად. ამის შემდეგ მიწას ხნავს და თესლის დასათესად ამზადებს. თესვის შემდეგ შრომობს, რომ მცენარეების აყვავებისთვის იდეალური პირობები შექმნას მიწის განოყიერებით, სარეველების გამარგვლით და მორწყვით. აი, ნათესმა თავი ამოყო, მაგრამ მისი შრომა გრძელდება დაავადებებისა და ზიანისგან მინდვრის დასაცავად. მოსავლის აღებამდე რამდენიმე კვირა დარჩა, მაგრამ დაქანცული მიწათმოქმედი ნებდება. ყველაფერი წყალში ჩაიყარა, რადგან ბოლოდროინდელი უმოქმედობის გამო მთელ მოსავალს კარგავს. შესაძლოა, ქარიშხალი იყო მოსალოდნელი და წინასწარი ნიშნების მიუხედავად არაფერი იღონა. ეს შეცდომა მოსავლის განადგურებად დაუჯდა. რამდენი დრო, ფული, შრომა და რესურსი იქნა ფუჭად დახარჯული საჭირო მომენტში ყოყმანის გამო.

რას ვიტყვით ბიზნესმენზე, რომელიც წლებია კომპანიას აშენებს და ბოლოს კარგავს მას რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილების გამო? ისევ ... ტრაგედია. ორივე შემთხვევაში დაუღალავი შრომის სარგებელი არასწორი არჩევანის გამო დაიკარგა.

სწორედ ამიტომ შეგვაგონებს წმინდა წერილი, რომ კარგად დავასრულოთ: „*ბოლომდე მომთმენი*“ (მათ.10:22; 24:13; მარკ. 13:13). და კიდევ: „ქრისტეს თანაზიარნი გავხდით, თუკი რწმენის საწყისს მტკიცედ დავიცავთ *ბოლომდე*“ (ებრ.3:14) და კიდევ: „ვინც გაიმარჯვებს და *ბოლომდე* დაიცავს ჩემს საქმეებს“ (გამოცხ.2:26, ხაზგასმა ყველგან ჩემია). სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ქრისტიანობა არ არის სპრინტი, არამედ მარათონი გამძლეობაზე. ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კარგი იყო რბოლის დაწყება. მთავარია, როგორ დავასრულებთ მას, ხოლო ფინიში ჩვენ მიერ გაკეთებულ არჩევანზეა დამოკიდებული. არჩევანი კი გარკვეულ ნიმუშებად ყალიბდება, რომელთაც გზადაგზა განვიხილავთ.

ცხოვრების განმსაზღვრელი მომენტები

ჩვენს ერთ-ერთ ვაჟთან გაუგებრობა მომიხდა. მას რაღაცის გაკეთება უნდოდა, რაც მე არ მომწონდა. მან იცოდა ჩემი პოზიცია. და მაინც, ვფიქრობდი, რომ საკმარისად ზრდასრული იყო გადაწყვეტილების მისაღებად, ამიტომ საბოლოო სიტყვა მას დავუტოვე.

დრო გავიდა და აღმოვაჩინე, რომ მან ჩემი რჩევის საწინააღმდეგო ნაბიჯი არჩია. მოგვიანებით დავსხედით მისი არჩევანის განსახილველად. მე განვუმარტე:

– არჩევანი შენზე იყო, მაგრამ მინდა შემთხვევით ვისარგებლო და რაღაც გასწავლო. კარგად მოისმინე ეს ნამდვილი ამბავი.

იყო ერთი ახალგაზრდა მეფე რეხაბყამი. მისი გამეფებიდან მოკლე ხანში ქვეშევრდომთაგან სათხოვარი შემოვიდა:

– უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა, ახლა შენ შეგვიმსუბუქე მამაშენის მძიმე უღელი, რომ სიხარულით გემსახუროთ.

ახალგაზრდა მეფემ ხალხს რამდენიმე დღე სთხოვა მოსაფიქრებლად. მამის მრჩევლებმა ასე უთხრეს:

– თუ ამ ხალხის მსახური გახდები დღეს, დაეთანხმები და კეთილ სიტყვებს ეტყვი, მაშინ სამუდამო მსახურებად გაგიხდებიან (1 მეფ. 12:7).

ეს კარგი და გონივრული რჩევა იყო, მაგრამ ახალგაზრდა მეფემ უარყო მათი სიტყვები და თანატოლების აზრი გაითვალისწინა. მათ ასე ურჩიეს:

– ასე უთხარი ხალხს, რომელმაც გითხრა, შეგვიმსუბუქეო მამაშენის მიერ ჩვენზე დამძიმებული უღელი: მამაჩემის წელზე უფრო მსხვილია-თქო ჩემი ნეკი. თუ მამაჩემის მიერ დადებული უღელი გემძიმებათ, მე უფრო მეტად დაგიმძიმებთ; მამაჩემი შოლტებით გსჯიდათ, მე კი მორიელებით დაგსჯით (მუხ. 10-11).

ახალგაზრდა მეფე რეხაბყამმა მეგობრების რჩევის მიღებით ტრაგიკული შედეგები მოიმკო. მამამისის, სოლომონის სამეფო ორად გაიხლიჩა. თორმეტიდან ათი ტომი, რომელიც ხუთ მეექვსედს შეადგენდა, სამუდამოდ მოწყდა ისრაელს მისი რკინის მუშტის ქვეშ. ერთი უვარგისი რჩევა ძვირად დაუჯდა დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

ამის შემდეგ ჩემს ვაჟს ვუთხარი:

– მოდი, უკან დავბრუნდეთ და ვნახოთ, უფლისწული რეხაბყამი და მისი მეგობრები ჩუმად ხომ არ დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მამის, სოლომონისა და მისი უხუცესების რჩევებს. შესაძლოა, ისინი ღვინის თასების დაცლისას

ხითხითებდნენ და თავებს აქნევდნენ, მათი აზრით, ბრიყვულ და მოძველებულ რჩევებთან დაკავშირებით სამეფო პალატებში საიდუმლო ქეიფის დროს. იქნებ ამაო ფიქრებმა დაიბუდეს რეხაბყამის გონებაში: *„მშვიდობას შევინარჩუნებ, სანამ ჯერ კიდევ უფლისწული ვარ, მაგრამ მეფე რომ გავხდები, ამ სულელ მოხუცებს აღარ მოვუსმენ“.* გამეფებამდე უხუცესების სიბრძნის უგულებელყოფისა და ზერელედ მოკიდების გადაწყვეტილებას ცუდი შედეგი ჯერ კიდევ არ მოჰქონდა, მაგრამ ვერ გააცნობიერა, რომ წილი ნაყარი იყო და ერთ დღესაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე უფლისწული გაბრიყვებული დარჩებოდა. როცა მის ცხოვრებაში *გადამწყვეტი მომენტი* დადგა, ჯანსაღი განსჯის უნარის შესაბამისი ნიმუში არ აღმოაჩნდა.

ისევ ვაგრძელებდი:

– ყველას ცხოვრებაში დგება *გადამწყვეტი მომენტი*. ეს გადაშლილი წიგნებით ტესტირებას ჰგავს, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, რომ გამოცდა უკვე ჩატარებულია. შვილო, შენ ჩემი რჩევის უგულებელყოფა ამჯობინე და ამჯერად, ეს ძვირი არ დაგჯდომია, მაგრამ აუცილებლად დადგება *გადამწყვეტი* დღე. თუ უკვე განავითარე გონივრული რჩევის გათვალისწინების ნიმუში, ბუნებრივად მიყვები მას და დიდი იქნება შენი საზღაური.

ცოტა ხნით თავი დავანებოთ ჩემს ვაჟს და სხვა მაგალითი განვიხილოთ. ისრაელის ძეებმა არ განავითარეს ღვთის სიტყვის მიღების ნიმუში. მან ისინი ბორკილებიდან იხსნა, მაგრამ მაინც გამუდმებით წუწუნებდნენ და ეურჩებოდნენ. გარკვეული დროის მანძილზე მათ საქციელს არცთუ მძიმე შედეგები ჰქონდა, ხოლო ზოგჯერ საერთოდაც არაფერი მოყვებოდა. თუმცა თანდათანობით ასეთი მოქმედებით გარკვეული ნიმუში ჩამოყალიბდა. და ბოლოს, დადგა *გადამწყვეტი მომენტი* მათ ცხოვრებაში. თორმეტი მზვერავი გაიგზავნა ქანაანის მიწის დასათვალიერებლად, რომელიც ღმერთმა მათ მისცა. მზვერავები ტირილითა და ცუდი ამბით დაბრუნდნენ. მთელი კრებული მათ აჰყვა, როგორც ადრე იქცეოდნენ, მაგრამ ამჯერად შედეგმა არ დააყოვნა. უფალმა აღთქმულ მიწაზე შესვლა აუკრძალა და ამიერიდან, მათი ხვედრი სიცოცხლის ბოლომდე უდაბნოში ხეტიალი იყო. ერთ წუთში დაკარგეს ყველაფერი, რისთვისაც აქამდე იშრომეს. ზარალის ანაზღაურება შეუძლებელი გახდა. მართალია, ღმერთს ეს მიწა მათთვის უნდოდა, მაგრამ მის დაუფლებას ვერასოდეს შეძლებდნენ, ისევე როგორც რეხაბყამმა დაკარგა ათი ტომი დარჩენილი სიცოცხლისა და შთამომავლობის დღეებში.

აქედან მნიშვნელოვანი გაკვეთილის სწავლა შეიძლება მოხუცებისა თუ ახალგაზრდებისთვის. არ გვინდა ღვთის უბრალო მორჩილება. საჭიროა გულისნადებს მივუხვდეთ. მხოლოდ მაშინ დავინახავთ სიბრძნეს მისი მითითებების მიღმა და არა მარტო აკრძალვებსა და რჯულს. ახალგაზრდა უფლისწულ რეხაბყამს არასოდეს უცდია მამის ან მისი უხუცესების გულისნადების გაგება. ისრაელიანთა ძველმა თაობამ ვერც ღვთის საქმეები დაინახა და ვერც მისი გულის სიკეთე, ამიტომ ყველაფერი დაკარგა.

ახლა მონეტის მეორე მხარე ვნახოთ. მთელ წერილშია მიმობნეული იმ ადამიანთა მაგალითები, რომლებმაც ღვთის გული დაინახეს და გონივრული გადაწყვეტილებების მიღების ნიმუში განავითარეს. როცა მოულოდნელი *გადამწყვეტი მომენტები* დგებოდა, ისინი სწორად პასუხობდნენ და დიდ საზღაურსაც იღებდნენ.

ნაშრომის შენარჩუნების უმარტივესი გზა იქნება ღვთიური რჩევის გამუდმებული პატივისგების ნიმუშების განვითარება. ყოველდღე გვაქვს უამრავი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. დადგება დღე, როცა უკან მოვიხედებით და დავინახავთ, რამ განსაზღვრა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ღვთიური ნიმუშების ჩამოყალიბებით წინსვლას გავაგრძელებთ და მოგვიანებით, ჩვენი საზღაურის შესახებაც შევიტყობთ.

საზღაური

ამას იოანეს მომდევნო პუნქტამდე მივყავართ და გამოყენების სიმარტივისთვის მთლიან მუხლს განვიხილავთ: „თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც იღწვოდით, *არამედ სრული საზღაური მიიღოთ*“.

იგია *მიმზღველი* (ებრ.11:6).

ეს ჭეშმარიტება გულში ღრმად უნდა დავიმარხოთ. ფაქტობრივად, მას უყვარს დაჯილდოება. როგორ წარუდგინა ღმერთმა თავი აბრაჰამს? „ამ ამბების შემდეგ იყო, რომ აბრამმა ხილვაში ისმინა უფლის სიტყვა: „ნუ გეშინია, აბრამ, მე ვარ ფარი შენი. *ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური*“ (დაბ.15:1, ხაზგასმა ჩემია).

მან თქვა: „მე ვარ შენი ... *ფრიად დიდი ... საზღაური*“. აჰ, რა საოცარი წარდგენაა, განსაკუთრებით, როცა ყოვლისშემძლე ღმერთი ხარ! ფს.19:9-11 ამას ეხმიანება: „უფლის განსჯანი ჭეშმარიტია, ყველა სამართლიანია ... *დიდია საზღაური მათი დაცვისთვის* (ხაზგასმა ჩემია). ფს.57:2-ში ვკითხულობთ:

„უზენაეს ღმერთს მოვუხმობ, ღმერთს, რომელიც *საზღაურს* მომაგებს [ვინც თავის *ზრახვებს აღასრულებს* ჩემზე!] (AMPC, ხაზგასმა ჩემია)“.

ღმერთია მიმზღველი და უყვარს თავისი შვილების დაჯილდოება! როგორც ოთხი ვაჟის მამას, ამ სიამოვნების რაღაც ნაწილი ვიგემე. მომწონს, როცა მადლიერებისგან თვალები უბრწყინავთ და ვაკვირდები მათ კმაყოფილებას, როცა სწორი არჩევანის გაკეთებისა და ჯილდოს მიღების სიამოვნებით ტკბებიან. თუმცა ვისწავლე, რომ ცუდი ქცევის დაჯილდოება უგუნურებაა. იმ ადამაინის დაჯილდოებით, რომელიც ამას არ იმსახურებს ან საამისოდ არაფერი გაუკეთებია, სტიმულაციის ძალას ვანგრევთ, ხოლო სტიმულაცია კარგი რამაა. ჩემმა ბიჭებმა იციან, რომ მე ისინი მიყვარს, მაგრამ წლების შემდეგ გაიზარდნენ და მიხვდნენ განსხვავებას ჩემს სიყვარულსა და სიამოვნებას შორის. ღმერთს ძალიან უყვარს თითოეული ჩვენგანი და მისი სიყვარული სრულყოფილია. თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ჩვენი საქციელით ან არჩევანით ყოველთვის კმაყოფილი იქნება. ღმერთი აჯილდოებს მათ, ვინც მის სიამოვნებაზე ფიქრობს და მის რჩევას ითვალისწინებს.

ყურადღება მიაქციეთ იოანეს ნათქვამს: „*სრული საზღაური* მიიღოთ“. როცა ამ წინადადებაზე ვფიქრობდი, სიტყვა „*სრული*“ თვალში მეცა. გავიფიქრე, *თუ სრული საზღაური არსებობს, ალბათ, ნაწილობრივის არსებობაც და საერთოდ, საზღაურის გარეშე დარჩენაც შესაძლებელია-მეთქი* (გახსოვდეთ, რომ აქ სულის ხსნაზე კი არა, ჯილდოზე ვლაპარაკობთ). კიდევ მეტი დაფიქრების შემდეგ დავასკვენი, რომ იოანეს ნათქვამს ორი გამოყენება აქვს. პირველია ქრისტეს სამსჯავრო. პავლე აცხადებს: „თუმცა მხნედ ვართ და გვირჩევნია განვშორდეთ სხეულს, რათა უფალთან დავბინავდეთ“ (2 კორ. 5:8).

ვიცით, რომ პავლე მთელ კაცობრიობაზე არ ლაპარაკობს, რადგან ურწმუნოს არ შეუძლია უფლის წინაშე წარდგომა, თუ მის სხეულს არ ეკუთვნის. ის ჯოჯოხეთში იქნება. შეიძლება ეს აზრი სასტიკად ჟღერდეს, მაგრამ სიმართლეა. იესო არ მოსულა წუთისოფლის მსჯავრდასადებად — პირიქით, მის სახსნელად მოვიდა. ქვეყნიერება უკვე მსჯავრდადებული იყო ადამიანის შემდეგ, რომელმაც მარადიულ სიკვდილს მიგვყიდა (იოან. 3:17-18). უფლის წინაშე მხოლოდ ის ადამიანები წარდგებიან ხორციელი სხეულების დატოვების შემდეგ, რომლებმაც იესო მიიღეს ცხოვრების სრული მიძღვნით. პავლე ასე აგრძელებს მიმართვას:

„ამიტომ ვცდილობთ კიდეც - აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ. ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა - კეთილს თუ ბოროტს“.

– 2 კორ. 5:9-10

ყოველი მორწმუნე წარდგება ქრისტეს სამსჯავრო ტახტის წინ. იმ დღეს თითოეული მიიღებს დედამიწაზე ხანმოკლე ცხოვრებისას გაკეთებული საქმეების მიხედვით. Good News Translation ამბობს: „ყველა დამსახურებისამებრ მივიღებთ“. იქ ჩვენი ცოდვები არ განიხილება, რადგან ქრისტეს სისხლმა ამოძირკვა მარადიული სასჯელი ცოდვის გამო. იქ ჯილდოების მისაღებად წარვდგებით ან დავზარალდებით მორწმუნეობისას გაკეთებული საქმეების გამო. ჩვენი საქმეები, სიტყვები და ზრახვებიც კი შემოწმდება უფლის სიტყვის სინათლეზე. დროებითი საგნები, რაზეც ცხოვრებას ვაგებდით, დაიწვება და ეს შესაძლებლობების დაკარგვას გამოიწვევს, ხოლო მარადიული — საუკუნო საზღაურს მოგვიტანს (1 კორ. 3:14-15).

ზარალსა და ჯილდოს მიღებას შორის მასშტაბი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს ყველაფრის ცეცხლით შთანთქმისა და მხოლოდ სულის გადარჩენიდან დაწყებული ქრისტესთან ერთად მმართველობის სიმაღლეების საუკუნოდ მოპოვებით დამთავრებული (1კორ.3:15; გამოცხ. 3:21). სპექტრი ნამდვილად დიდია. პირველი, „ჯილდოს გარეშე დარჩენა“ იქნება, ხოლო ბოლო – „სრული საზღაურის“ მიღება. შესაბამისად, ნაწილობრივი ჯილდო სადღაც მათ შორის განთავსდება.

ამ სამსჯავროზე მიღებულ გადაწყვეტილებებს „მარადიული განკითხვა“ ეწოდება (ებრ.6:1-2), რაც ნიშნავს, რომ ის შესწორებასა და ცვლილებას არ დაექვემდებარება. ამრიგად, ვასკვნით, რომ ქრისტეს ჯვარცმის მიმართ დამოკიდებულება ჩვენს ადგილს განსაზღვრავს მარადისობაში, თუმცა ამის შემდეგ სარწმუნოებრივი საქმეები განაპირობებს, თუ როგორ გავატარებთ მას.

გონივრული იქნება გულმოდგინე კვლევა, თუ რას ამბობს წმიდა წერილი საუკუნო განკითხვასა და საზღაურზე. ამ ცოდნას ქრისტეს სწავლების საწყისები ეწოდება. დაწყებით სკოლაში საფუძველი ეყრება მთელ თქვენს განათლებას ისეთი აგურების დაწყობით, როგორიცაა კითხვა, წერა, მათემატიკა და ა. შ. წარმოგიდგენიათ მაღალ კლასებში ან

კოლეჯში სწავლა კითხვის, წერის, მიმატებისა და გამოკლების ცოდნის გარეშე? ეს შეუძლებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მორწმუნეთა უმრავლესობა ქრისტიანული ცხოვრების აგებას ქრისტეს მოძღვრების ამ ელემენტარული ცოდნის გარეშე ცდილობს. ამ დილემის მნიშვნელობამ *„მარადისობით ამოძრავებულნი“* დამაწერინა, რომელიც ხსენებულ საკითხს დეტალურად განიხილავს. ამ წიგნთან ერთად მასაც გავუწევდი რეკომენდაციას წასაკითხად.

ეს ცხოვრება

დავადგინეთ, რომ ღვთიურ ნიმუშებს ჯილდოს დაპირება მოაქვს ქრისტეს სამსჯავროზე, მაგრამ მისი კურთხევის ნაწილს ამ ცხოვრებაშიც ვიგემებთ. „ღვთისმოსაობა კი ყველაფერში გამოსადეგია, რადგან სიცოცხლეს აღგვითქვამს *აწმყოშიც* და *მომავალშიც*“ (1ტიმ.4:8, ხაზგასმა ჩემია).

ჩვენი ზეციერი მამა მომავალშიც გვაჯილდოებს და ამ ცხოვრებაშიც, თუ მის რჩევებს გავითვალისწინებთ. წერილი გვეუბნება: „მართალს მიეზღვება მაგიერი ამ ქვეყნად“ (იგ.11:31). არა მარტო ზეცაში, არამედ დედამიწაზეც. და კიდევ ერთი: „მართალთ კი სიკეთე მიეზღვებათ“ (იგ.13:21). იაკობი დამაჯერებლად აცხადებს: „ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო. ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“ (იაკ.1:16-17).

სიკეთე ღვთისგან მოდის. საზიანოს და დამანგრეველს ღმერთს ნუ მიაწერთ. იგი სიკეთის გამცემია. ღვთის სურვილია, დაგაჯილდოოთ მისი კურთხევებით (სიკეთეებით) აქ და ახლა. მის ჯილდოს უარყოფითი შედეგები არ მოყვება. წერილი გვეუბნება: „უფლის კურთხევაა, რომ ამდიდრებს და დარდი არ მოყვება“(იგ.10:22). და კიდევ ერთი: „ერთგულ კაცს უამრავი კურთხევა ექნება“ (იგ.28:20). *მრავალი კურთხევა სრული კურთხევაა.*

ვაგრძელებდი რა იოანე მოციქულის სიტყვებზე ფიქრს, ასეთი აზრი მომივიდა: *თუ მომავალში სრული და ნაწილობრივი საზღაური ან საერთოდ, მის გარეშე დარჩენა არსებობს, მაშინ იგივე მიდგომა ამქვეყნადაც გამოდგება*. ამაში იესოს ცხოვრების განხილვა გვარწმუნებს. როცა იგი დედამიწაზე დადიოდა, ხვდებოდა ადამიანებს, რომელთაგან ზოგიერთმა ნაწილობრივი საზღაური მიიღო, სხვები ჯილდოს გარეშე დარჩნენ, ხოლო დანარჩენებმა სრული საზღაური მოიმკეს. სამივე ვერსია

განვიხილოთ მაგალითებით და დავაკვირდეთ, რა ნიმუშები იკვეთება. ამით დავინახავთ, რა სურს ღმერთს თითოეული ჩვენგანისთვის.

2

ნაწილობრივი ჯილდო და მის გარეშე დარჩენა

ნაზარეთი მღელვარებით ელოდა აღთქმული მესიის მოვლინებას. ყველა გაფაციცებით აკვირდებოდა მოვლენებს, რადგან მისი გამოჩენის დრო დამდგარიყო. ისინი თანამედროვე ქრისტიანებს ჰგავდნენ, რადგან ყველამ იცის, რომ მისი მეორედ მოსვლის წინა პერიოდში ვცხოვრობთ. იესომ თქვა, რომ გვეცოდინებოდა ეს დრო ან თაობა, მაგრამ არა მისი მოსვლის დღე ან საათი. ამიტომ, არაფერია უცნაური იმაში, რომ ისრაელიანებმა იცოდნენ მისი პირველი მოსვლის დრო. დანიელმა თავის წიგნში მიახლოებითი ვადები აღწერა (დან.9:24-26) და რჯულის მცოდნეებმა მოგვებს ჩვილი იესოს სავარაუდო ადგილსამყოფელიც მიასწავლეს (მათ.2:4). ნაზარეთის მკვიდრებმა იცოდნენ, რომ მოახლოებული იყო მესიის მოსვლის დრო, მაგრამ როცა ის მართლა გამოჩნდა, გამაოგნებელი რეაქცია მივიღეთ:

> „*ვერ მოახდინა* იქ ვერავითარი სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა“.
>
> – მარკ. 6:5 (ხაზგასმა ჩემია)

დააკვირდით სიტყვებს: „ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული“. რამდენიმე წლის წინ, როცა აღნიშნულ ადგილს ვკითხულობდი, ამ ფრაზამ გამაკვირვა. ვიფიქრე: *მოიცა! აქ არ წერია „არ მოუხდენია რაიმე სასწაული“, არამედ ხაზგასმულია*

აზრი, რომ „ვერ მოახდინა ვერავითარი სასწაული“. პირველი ვერსია რომ ამომეკითხა, ხელმეორედ არც კი მივუბრუნდებოდი, რადგან საქმე გვექნებოდა იესოს სურვილთან, მაგრამ „ვერ მოახდინა“ ნიშნავდა, რომ მას სასწაულების მოხდენა უნდოდა, მაგრამ რაღაცამ დააბრკოლა. იგივე აზრი სხვა თარგმანებშიც არის ხაზგასმული და გამოკვეთილი. გავრცობილი ბიბლიის კლასიკური გამოცემა ამბობს: „მან ვერ შეძლო“.

ამრიგად, ისმის კითხვა: *რატომ ვერ მოახდინა იესომ ვერავითარი სასწაული ნაზარეთში?* რამ შეუშალა ხელი? სხვა ქალაქებში მისი საოცარი საქმეები ვიხილეთ – ბრმისთვის თვალის ახელა, მუნჯის ალაპარაკება, დავრდომილის წამოდგომა, მკვდრის გაცოცხლება. და ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია. სახარებებში ხშირად არის ნახსენები, რომ იესო ყოველგვარ უძლურებასა და სნეულებას კურნავდა. რა იყო განსხვავებული? რატომ განიკურნა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ამ ქალაქში? პასუხს თავად ნაზარეთის მკვიდრთა სიტყვებში ვიპოვით:

> „შაბათი რომ დადგა, სინაგოგაში დაიწყო სწავლება. მრავალი მსმენელი გაოცებული ამბობდა, საიდან აქვს ეს ყველაფერი? რა არის ეს სიბრძნე, მას რომ აქვს მიცემული და სასწაულები მისი ხელით რომ ხდება? განა ეს ხურო არ არის, მარიამის ძე, იაკობის, იოსეს, იუდას და სიმონის ძმა? აქვე ჩვენთან არ იმყოფებიან მისი დები? და ცდუნდებოდნენ მასში. უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“.
>
> – მარკ. 6:2-4 (ხაზგასმა ჩემია)

რა ხდება? მოდი, განვიხილოთ. იესო ქალაქში დაბრუნდა. იქ იზრდებოდა და ღვთის ერთან ერთად იყო, როცა შაბათობით იკრიბებოდნენ. მთელი თემი სინაგოგაშია. მოულოდნელად იესო დგება და შემდეგ მონაკვეთს კითხულობს: „უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო ... “ (ლუკ. 4:18).

ხალხმა იცოდა, ამას რა მოყვებოდა – მათთვის ნაცნობი სიტყვები იყო. ეს ადგილი ესაიას წიგნიდან არაერთხელ ჰქონდათ მოსმენილი. ერთ-ერთი მთავარი წინასწარმეტყველური წიგნი მესიის მოსვლას აუწყებდა. ეს იგივე იყო, რომ დღეს ვიღაც წამომდგარიყო და ნეტარებები ან „მამაო ჩვენო“ წაეკითხა. ჩვენ ხომ ზეპირად ვიცით, ამის შემდეგ რა მოდის.

იესო განაგრძობდა: „გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავი-

სუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“ (მუხ.18-19).

ამ მოქალაქეების გონებაში აქამდე ერთი აზრი ტრიალებდა, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: რატომ კითხულობდა წმიდა წერილს ეს გამოუცდელი ახალგაზრდა მხცოვანი რაბინის ნაცვლად? მოულოდნელად აფეთქების მსგავსი რამ მოხდა. იესომ გრაგნილი დაახვია და განაცხადა: „დღეს აღსრულდა ეს წერილი“ (მუხ.21) – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მე ვარ მესია“. შემდეგ იგი სხვა ქალაქებში მომხდარი დიდი ძალთაქმედებების შესახებ ლაპარაკს იწყებს და ძლიერი წინასწარმეტყველური სიტყვით ასრულებს.

რა? ნუთე ეს სიმართლეა? ყური ხომ არ ატყუებთ? ნუთუ მართლა ამას ამბობს, რომ ესაიამ მის შესახებ იწინასწარმეტყველა? აბსურდია! სიგიჟეა! ადამიანები უკიდურესი ურწმუნოებით ალაპარაკდნენ: „ეს ხომ იესოა! ღვთის გულისთვის, რას აკეთებს? რას ამბობს?“

წარმომიდგენია, როგორ იხსენებს ერთ-ერთი დედა:

– შეუძლებელია! ის ხომ ჩემს შვილთან ერთად დადიოდა თორის გაკვეთილებზე!

მეორე გაოცებული ამატებს:

– მისი ოჯახი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. ის ხომ ბენიამინთან ერთად თამაშობდა!

სხვებს, ალბათ, ბოლოდროინდელი მოგონებებიც შემოაწვათ:

– მან გაგვიკეთა მაგიდა, რომელზეც ყოველ საღამოს ვვახშმობთ! მან გამოთალა სკამები! ის ხომ დურგლის ძეა. ნეტა, რას გულისხმობდა, როცა თქვა, უფლის სულია ჩემზეო? რად წარმოუდგენია თავი?

თანამედროვეობაში, ალბათ, ასე გავაპროტესტებდით, „ის ჩემს შვილთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა!“ ან „ის ჩემს გოგონასთან ერთად დადიოდა მათემატიკის გაკვეთილებზე!“

მათ გონებაში ჩამოყალიბდა წარმოდგენა, როგორ უნდა მოსულიყო მესია ძველი აღთქმის წერილის თანახმად. აი, კიდევ ერთი ნაცნობი ადგილი ესაიადან:

> „ვაჟი შეგვეძინა, ძე მოგვეცა; მის მხრებზე დაივანებს მმართველობა ... განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, ... ამიერიდან უკუნისამდე“.
>
> – ეს. 9:6-7

ნაზარეთის მოქალაქეები დიდი მეფის გამოჩენას ელოდნენ, რომელიც ზებუნებრივად ბრძენი და თან დიდებული მეომარი იქნებოდა. ის სასწრაფოდ გაათავისუფლებდა მათ რომაელთა ჩაგვრისგან და სწორუპოვარ ერად ჩამოაყალიბებდა. მესია კვლავ დაჯდებოდა დავითის ტახტზე და საუკუნოდ იმეფებდა. ამ დროს კი იესო მოვიდა მათ წრეში, მათ სკოლებში გაიზარდა, მათსავით იცინოდა ქუჩაში, სახლის ავეჯს ამზადებდა და თან მაფიოზები (მებაჟეები) და მეძავები შემოიკრიბა. ეს მათი სუსტი წერტილი იყო. ვერ აღიქვეს. „ერთი წუთით!“ – გაიძახოდნენ გულში თუ აშკარად – „ასე არ ველოდით მესიის მოსვლას!“ ამ პატარა დაბის მოქალაქეები ვერ ხვდებოდნენ, რომ რამდენიმე ათასი წელი გავიდოდა განაცხადიდან „ვაჟი შეგვეძინა“, სანამ შემდეგი განცხადების – „განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე“ – სრული რეალიზება და ფიზიკური გამოვლინება მოხდებოდა.

ეს და ბიბლიაში აღწერილი სხვა შემთხვევები ერთ ძნელად აღსაქმელ ჭეშმარიტებას გამოკვეთს: *ხშირად ღმერთი გარკვეული პაკეტით გვიგზავნის ჩვენთვის საჭირო საგანს, რომლის მიღება აღარ გვინდა.* რატომ? ამით ის გვამცნობს, რომ ღმერთია და მისი გამოცნობა შეუძლებელია. მისგან პასუხებს ვერ ვიპოვით მხოლოდ ჩვენს გონებაზე დაყრდნობით. გულით უნდა ვეძებოთ იგი და მისი წინასწარჭვრეტა. წმიდა წერილი დასაზღვრული ადამიანური გაგებით ვერ აღიქმება. ამას ღვთის სულის შთაბერვა სჭირდება. მხოლოდ ის იძლევა ბრძნულ რჩევას და სწორ გამოყენებას.

სრული კონტრასტი

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. ფარისევლებიც ელოდნენ ძლევამოსილ, გამარჯვებულ მესიას – გმირს, რომელიც ღვთის ერს რომაელთა ბორკილებიდან გაათავისუფლებდა. ეს წინამძღოლები მღელვარებას შეეპყრო და იმედოვნებდნენ, რომ იერუსალიმის ახალდაარსებულ სამეფოში მმართველ პოსტებს დაიკავებდნენ. როცა არენაზე ერთი გამოუცდელი გალილეველი გამოჩნდა იესოს სახით, მათგან მხოლოდ დაცინვა მიიღო. იგი საერთოდ არ შეესაბამებოდა მათი მიერ წარმოდგენილი მესიის სახეს.

იესოსთვის დასმული უამრავი კითხვიდან ერთ-ერთი ასეთი იყო: „როდის მოვა ღმერთის სამეფო?“ და უთხრა: „ღმერთის სამეფო თვალსაჩინოდ არ მოვა. ვერ იტყვიან: აი, აქ არის, ან

იქ არისო. რადგან, აჰა, თვითონ თქვენშია ღმერთის სამეფო“ (ლუკ. 17:20-21).

ფარისევლებსაც მხედველობაში ესაიას ნაწინასწარმეტყველები მესიის ამქვეყნიური სამეფო ჰქონდათ. ისინიც წერილის საკუთარი განმარტების შესატყვისი მესიის მოვლინებას ელოდნენ და სულიწმიდის წინამძღოლობა უკუაგდეს. ისინი ღმერთს იცნობდნენ არა გულით, არამედ გონებით.

ამის საპირისპიროდ, ვნახოთ ადამიანი, რომელიც ასევე ელოდა მესიას. მას სიმონი ერქვა. ლუკას სახარება გვიამბობს მის შესახებ:

> „და აჰა, იყო იერუსალიმში კაცი, სახელად სიმონი, კაცი მართალი და ღმერთისმოშიში, რომელიც ისრაელის ნუგეშისცემას მოელოდა; *სულიწმიდა* იყო მასზე. *სულიწმიდისგან* ჰქონდა ნაუწყები, რომ უფლის ცხებულის ხილვამდე არ იხილავდა სიკვდილს. *სულით აღძრული* მივიდა ტაძარში და როცა შეყავდათ მშობლებს ყრმა იესო, რათა მას რჯულის წესისამებრ მოქცეოდნენ, მანაც აიყვანა ყრმა ხელში, ადიდა ღმერთი და თქვა ...“
>
> – ლუკ. 2:25-28 (ხაზგასმა ჩემია)

რაც სიმონმა მის შესახებ თქვა, გახლავთ ოცდაათი დღის ბავშვის მესიად გამოცხადება. აი, რა არის ყველაზე საინტერესო! კაცმა ერთი თვის ბავშვში ამოიცნო მესია, ხოლო ნაზარეთის ყველა მკვიდრმა და ფარისევლებმა ვერ იცნეს იგი და მასხრად აიგდეს. ამ დროს იესო ოცდაათ წელს გადაშორებული გახლდათ და ისეთი ნიშნები და სასწაულები აჩვენა, რომელიც ადამიანისთვის შეუძლებელი იყო! რატომ? იმიტომ, რომ ღმერთი სულია და ვინც მის შეცნობას და მისი გზების შესწავლას ცდილობს, მის სულს უნდა იცნობდეს, რომელიც ჭეშმარიტებას აცხადებს. ეს არის სიმონსა და დანარჩენებს შორის არსებული განსხვავების მიზეზი და ამ ჭეშმარიტებას მალე დავინახავთ. ხსენებული გამოცხადება მოიტანს გაგებას, თუ რატომ ვერ ვიღებთ ღვთისგან სრულ მემკვიდრეობას.

პატივი

დაწყებისთვის კიდევ ერთხელ გადავხედოთ იესოს განცხადებას მის მსახურებასთან დაკავშირებით მშობლიური ქალაქის გამოხმაურებაზე. მან თქვა: „წინასწარმეტყველი

არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“ (მარკ. 6:4, ხაზგასმა ჩემია).

საკვანძო სიტყვა გახლავთ *პატივი*. ისინი მას პატივს არ სცემდნენ.

პატივის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა არის *ტიმი*. სიტყვის შესწავლას საკმაო დრო შევალიე და თარგმანი მაქსიმალურად ზუსტია. გადავხედე უამრავ ბერძნულ ლექსიკონს, კომენტარებს და ბერძნული დედანის შემსწავლელ სხვა წიგნებს. ბერძნული ენის თავისუფლად მცოდნე ორ ადამიანთან საფუძვლიანი საუბარი მქონდა. ერთი საბერძნეთში ცხოვრობს (მისი ოჯახი ახლა მსახურთა მეოთხე თაობას წარმოადგენს); მეორე დიდ ბრიტანეთში მცხოვრები მსახური გახლავთ. მნიშვნელობა, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ყველა ამ წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთობლიობაა.

„ტიმის“ (პატივი) მარტივი და პირდაპირი მნიშვნელობა „დაფასება“ გახლავთ. როცა ბერძნულენოვან ადამიანთან *ტიმი-ს* ახსენებთ, ის რაღაც *ფასეულზე, ძვირფასსა* და *წონად ზე* ფიქრობს, როგორიცაა მაგალითად ოქრო. ოქროს არასოდეს ჩააგდებთ უსარგებლო ნივთების უჯრაში, არამედ საპატიო ადგილს მიუჩენთ. *პატივის* სხვა მნიშვნელობებია *დაფასება, ღირსება, კეთილგანწყობა*.

ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის აღსაქმელად უმჯობესია მის ანტონიმს გადახედოთ, პატივის ანტონიმია შერცხვენა. ეს გახლავთ ბერძნული *ატიმია*. მისი რამდენიმე განსაზღვრება ასეთია: არ მიაგო პატივი, არ დააფასო, რიგითად, ჩვეულებრივად ჩათვალო, დაბალ დონედ მიიჩნიო. როცა ბერძენ კაცთან *ატიმიას* ახსენებთ, ის, როგორც წესი, *ჩვეულებრივსა* და *ზედაპირულზე* იფიქრებს, *რომლის გარეშეც იოლად გახვალ*, როგორიცაა ორთქლი. უპატიობის კიდევ უფრო მძაფრი ფორმა შეურაცხყოფა და დამცირება გახლავთ.

ბერძნული ლექსიკონებისა და კომენტარების შესწავლის შედეგად აღმოვაჩინე, რომ პატივის გამოვლინება მოქმედებით, სიტყვით და აზრითაც კი შეიძლება. თუმცა ნამდვილი პატივი გულიდან მოდის. სწორედ ამიტომ ამბობს ღმერთი: „იმის გამო, რომ ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით მიახლოვდება და მხოლოდ *ბაგეთა მსახურებით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან* და მათი მოშიშება ჩემდამი გაზეპირებულ წესებად იქცა“ (ეს. 29:13, ხაზგასმა ჩემია).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „მათი მოშიშება ჩემდამი“. ნამდვილი პატივისცემა ღვთის მოკრძალებული შიშით სავსე გულიდან მოდის. ეს მნიშვნელოვანია და მოგვიანებით ამ საკითხს ჩავუღრმავდებით.

იესომ თქვა, რომ ნაზარეთის მკვიდრებმა მას პატივი არ მიაგეს. ისინი მას ფასეულად არ თვლიდნენ და არც ღვთის წარგზავნილად მიიჩნევდნენ, რომელსაც უზენაესის ნება უნდა აღესრულებინა. ამ დაბის ხალხმა ჩვეულებრივი ადამიანი, რიგითი ადგილობრივი ჭაბუკი დაინახა, რომელიც მათ წინაშე იდგა. ამის გამო, ნაზარეველებმა მხოლოდ ნაწილობრივი საზღაური მიიღეს. იესოს ხელი შეეშალა დიდი ძალთაქმედებების მოხდენაში. ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა; ალბათ, რამდენიმე თავის ტკივილისგან, ართრიტის ან ხერხემლის პრობლემებისგან განიკურნა.

იფიქრეთ ამაზე. იესო – ღვთის სულით უზომოდ სავსე ძე ღვთისა და ძე კაცისა – გამოგზავნილი იქნა ყველა სნეულისა და ეშმაკისგან დათრგუნულის გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ დავალების შესრულება ვერ მოახერხა. მიზეზი ის კი არ იყო, რომ ღმერთს არ სურდა მოქალაქეების განკურნება, არამედ მათ თავად დაუკავეს პატივი. მას რიგითი ადგილობრივივით მოექცნენ. ამრიგად, მათ საზღაურის ძალზე მცირე ნაწილი ხვდათ წილად (რამდენიმე განკურნებული).

საზღაურის გარეშე დარჩენა

სახარებაში კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ ვკითხულობთ, სადაც იესო სახლში ასწავლის მოძღვრებსა და მწიგნობრებს. ეს მსახურები გალილეისა და იუდეის ქალაქებიდან ჩამოვიდნენ მის მოსასმენად. წერილში ვკითხულობთ: „უფლის ძალა იყო მასთან, *მათ* განსაკურნად“ (ლუკ. 5:17, ხაზგასმა ჩემია).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *მათ*. ის ნამდვილად იქ მყოფებს შეეხება. ახლა, ნება მომეცით, ერთი ჭეშმარიტება განვაცხადო: ღმერთი ფუჭად არაფერს აგდებს. ო, დიახ. გაიხსენეთ, როგორ დააპურა იესომ ოთხი ათასი და კიდევ ხუთი ათასი. ორივე შემთხვევაში ბრძანა ნარჩენების შეგროვება, რომ ფუჭად არაფერი დაკარგულიყო. მან შეაგროვა ის, რასაც ბევრი ჩვენგანი განზე მოისვრიდა ან სანაგვეში გადაუძახებდა. იგივე მაგალითს ნახავთ *მთელ ბიბლიაში*, თუ თვალს მიადევნებთ *ღვთის გზებს*. ის ფუჭად არაფერს კარგავს.

თუ უფლის სული იყო ფარისევლებისა და რჯულის მოძღვრების განსაკურნავად, ეს ნიშნავს, რომ მათგან, სულ მცირე, ერთი მაინც იყო სნეული თუ რამდენიმე არა. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით. მოდი, ეს ვითარება აწმყოში გადმოვიტანოთ. შეკრებილია რამდენიმე ასეული ადამიანი და ამდენ ხალხში ათი კაცი მაინც იქნება რაიმე უძლურებით, თუ

მეტი არა. ღვთის ძალა აქ არის მათ განსაკურნებლად, მაგრამ არც ერთი არ იკურნება.

მოგვიანებით, რამდენიმე ადამიანს საკაცით დავრდომილი მოჰყავს. ხალხის სიმრავლის გამო მთავარი კარიდან შემოსვლა რომ ვერ შეძლეს, სხვა გზა მონახეს. არ დანებდნენ და სახურავზე ავიდნენ. ჭერი ახადეს და დავრდომილი იქიდან ჩამოუშვეს იესოს პირდაპირ. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „იხილა რა მათი რწმენა, უთხრა: „ადამიანო, მოგეტევა შენი ცოდვები“. მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მსჯელობა გამართეს ერთმანეთში; ამბობდნენ: „ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს?! ვის ძალუძს ცოდვების მიტევება, ერთი ღმერთის გარდა?“ (მუხ. 20-21).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ლუკას აღწერით, ფარისევლებმა „მსჯელობა გამართეს ერთმანეთში და ამბობდნენ“. მოდი, ამ ადგილს ჩავუღრმავდეთ. ახლოს მყოფმა წინამძღოლებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს? პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და ერთმანეთში იესოს განცხადების განხილვა დაიწყეს? ამ საკითხს ნათელი რომ მოვფინოთ, მათეს აღწერილობას მივმართოთ. ის წერს, რომ ზოგიერთმა მწიგნობარმა „*თავისთვის თქვა*“ (9:3, ხაზგასმა ჩემია). ამრიგად, ვხედავთ, რომ წინამძღოლებმა იესოს მიმართ უპატივცემულობა მხოლოდ ფიქრებში გამოიჩინეს. მათ თავისთვის თქვეს. ხმამაღლა არ გამოუთქვამთ არავითარი შეურაცხმყოფელი, კრიტიკული ან დამაკნინებელი სიტყვები, არამედ მხოლოდ გულში გაიფიქრეს. მარკოზიც ადასტურებს, რომ ისინი „*გულში ფიქრობდნენ*“ (2:6). მოუსმინეთ, როგორ გამოეხმაურა იესო მათ ფიქრებს:

> იესო სულით მაშინვე მიხვდა, რასაც ისინი გულში ფიქრობდნენ, და მიმართა: „რატომ ფიქრობთ ასეთ რამეს თქვენს გულებში? რა უფრო ადვილია, თქმა დავრდომილისთვის - მოგეტევა შენი ცოდვებიო, თუ იმის თქმა - ადექი, აიღე შენი საწოლი და გაიარეო? ხოლო რათა იცოდეთ, რომ ძე კაცისას აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება დედამიწაზე, უთხრა დავრდომილს: შენ გეუბნები, ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში!“
>
> – მარკ. 2:8-11

დავრდომილი მყისვე წამოდგა, აიღო თავისი საწოლი და შენობიდან გამოვიდა ყველა იქ მყოფი მსახურის თვალწინ. ბიბლია გვეუბნება, რომ ყველა ეს წინამძღოლი და მოძღვარი „განცვიფრდა, ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: „ასეთი რამ არასოდეს გვინახავს“ (მუხ. 12).

ყველანი განცვიფრდნენ, მაგრამ არც ერთი არ განკურნებულა იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად, ღვთის ძალა იქ იყო მათ განსაკურნებლად! მათ *ვერ მიიღეს საზღაური*, რადგან ფიქრებში პატივი არ მიაგეს იესოს! ამ შემთხვევაში მათ არაფერი გაუკეთებიათ, სიტყვაც კი არ წარმოუთქვამთ, არამედ თავისთვის გაიფიქრეს. გახსოვდეთ, რომ პატივი თუ უპატიობა საქმეებით, სიტყვებით ან აზრებით გამოიხატება, მაგრამ ნამდვილი პატივისცემა გულიდან მოდის. ფიქრები მნიშვნელოვანია!

ამ წინამძღოლთა უმრავლესობამ უკვე მოასწრო იესოს უპატივცემულობის ნიმუშის განვითარება. ისინი დასცინოდნენ და ამცირებდნენ მას და არაერთხელ სახალხოდ შეარცხვინეს. დაწერილია: „მწიგნობარნი და ფარისევლები უთვალთვალებდნენ მას, რათა ... ბრალი დაედოთ მისთვის“ (ლუკ.6:7). და სხვა ადგილზეც ვკითხულობთ: „უთვალთვალებდნენ და მსტოვრები მიუგზავნეს, რომლებიც თავს მართალ ადამიანებად აჩვენებდნენ, რათა სიტყვაში დაეჭირათ“ (20:20). ეს მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე ამონარიდია. როგორც ხედავთ, ადამიანებმა არა მარტო გადალახეს პატივისცემაზე უარის თქმის მიჯნა, არამედ იესოს არცხვენდნენ კიდეც.

ნაზარეველებმა უარი თქვეს პატივისცემაზე და *მცირე ანუ ნაწილობრივი საზღაური* მიიღეს. წინამძღოლებმა უპატიოყვეს იესო ფიქრებში და *ვერ მიიღეს* საზღაური. ახლა განვიხილოთ მაგალითები, სადაც ადამიანებს *სრული საზღაური* ერგოთ და ვნახოთ, უკავშირდებოდა თუ არა ეს მათი მხრიდან პატივისცემის გამოჩენას.

3

სრული საზღაური

იესო მსახურების საწყის ეტაპზე კაპერნაუმს ეწვია და მაშინვე შეხვდა რომაელ ასისთავს. ამ უკანასკნელმა პარალიზებული მსახურის განკურნება სთხოვა, რომელიც საშინლად იტანჯებოდა. იესო დათანხმდა: „მოვალ და განვკურნავ“ (მათ. 8:7).

ასისთავმა უპასუხა: „უფალო, არა ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე (მუხ.8, ხაზგასმა ჩემია).

მოიცათ! „ღირსი არ ვარ“? აქ ხომ *გამარჯვებული* ელა-პარაკება *ძლეულს*! რომმა ახლახანს დაიპყრო ისრაელი. მაშ, რატომ ეტყოდა რომაელი ოფიცერი იუდეველ დურგალს – „არა ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე“? ეს იმას ჰგავს, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების გენერალმა ერაყელ წყალსადენის ოსტატს რომ უთხრას, „შენს სახლში შემოსვლის ღირსი არ ვარ“. ხედავთ, რა პატივს მიაგებს ეს კაცი იესოს? რომაელმა ოფიცერმა იცის, სინამდვილეში ვინ არის დურგალი. იგი იესოს მნიშვნელოვან პიროვნებად თვლის და შესაბამის პატივისცემასაც გამოხატავს. მეომარი ახსნას განაგრძობს: „მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური. ვინაიდან მეც ძალაუფლების ქვეშ მყოფი კაცი ვარ და ჩემს ხელქვეით ჯარისკაცები მყვანან. ერთს ვეუბნები წადი-მეთქი და მიდის. სხვას მოდი-მეთქი და მოდის. ჩემს მონას: ეს გააკეთე-მეთქი და აკეთებს“ (მუხ. 8-9).

თავდაპირველად, განვიხილოთ ასისთავის რანგი ანუ ჩინი. რომაული ლეგიონი ექვსი ათას ჯარისკაცს ითვლიდა და მთლიანად ერთი მხედართმთავარი ჰყავდა. ექვსიათასიან ლეგიონში

სამოცი ასისთავი მსახურობდა, რომლებიც ანგარიშვალდებულ-ნი იყვნენ მხედართმთავრის წინაშე. თავად ასისთავის ხელქვეით ასი ჯარისკაცი ირიცხებოდა.

იგი იესოს უხსნის, როგორ და რატომ იმოქმედებს მისი ასეთი დამოკიდებულება. მას ეკუთვნოდა ასი ჯარისკაცის პატივისცემა და მორჩილება, რადგან თავადაც პატივს სცემდა მხედარმთავარს და მის ძალაუფლებას ემორჩილებოდა. მას ახარებდა ზემდგომი ოფიცრის მხარდაჭერა, რომელსაც თავის მხრივ ზურგს უმაგრებდა რომის ხელისუფლება. არსებითად, მისი სათქმელი ასეთია: „მე *ძალაუფლება* მაქვს, *რადგან* ჩემს ქვეყანას და ზემდგომებს პატივს მივაგებ მათი ძალაუფლების აღიარებით. ამრიგად, მხოლოდ სიტყვის თქმა მჭირდება და ხელქვეით მყოფი ჯარისკაცები მაშინვე შეასრულებენ ჩემს მითითებებს. კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მან განაცხადა: „მაქვს ძალაუფლება, რადგან თავად ვემორჩილები ძალაუფლებას“.

ყურადღება მიაქციეთ დასაწყისს: „ვინაიდან მეც“. ნათლად ვხედავთ, რომ ასისთავი იესოსაც მოიაზრებს ჭეშმარიტების განაცხადში. იგი აცნობიერებს, რომ იესოს ძალაუფლებაც ზემდგომის მორჩილების შედეგია (შენიშვნა: იესო ხშირად აღნიშნავდა სახარებებში ზეციერი მამის მორჩილების შესახებ). საოცარია, რომ რომაელი ასისთავი იესოს ღვთის ძალაუფლებასთან აიგივებს, რადგან იცოდა, რომ მისი საქმეები უხილავი სულიერი სამყაროდან მოდიოდა, ზუსტად ისე, როგორც თავად ფლობდა სამხედრო ძალაუფლებას. სწორედ ამან მიახვედრა, რომ უძლურებისგან განსაკურნებლად ერთი უბრალო ბრძანებაც საკმარისი იქნებოდა. მისთვის განსხვავება არ არსებობდა ამ და მის ხელქვეით მყოფი ჯარისკაცების მორჩილებას შორის, რომლებიც სწრაფად პასუხობდნენ გაცემულ ბრძანებებს. ნახეთ, რა უთხრა იესომ მას:

> „ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა მათ, უკან რომ მიჰყვებოდნენ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც ვერ ვპოვე ასეთი რწმენა“.
>
> – მუხ. 10

რა განაცხადია! იესომ თქვა, რომ ამ რომაელ ჯარისკაცს იოანე ნათლისმცემელზე მეტი რწმენა ჰქონდა! იფიქრეთ ამაზე. იესომ იოანე ნათლისმცემელი ისრაელში „ჰპოვა“. კიდევ უფრო შორს წავიდეთ. ამ ასისთავს იესოს დედა მარიამზე მეტი რწმენა

ჰქონდა. იესომ მისი რწმენა უდიდესად შერაცხა, რაც ისრაელში ენახა ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში, ... ხოლო იესო არასოდეს აზვიადებდა! წვდებით იესოს განაცხადის მთლიან მასშტაბს? არსებითად, უდიდესი რწმენის პრიზი რომის მოქალაქემ და იმ შეიარაღებული ძალების ოფიცერმა მოიპოვა, რომელმაც ისრაელი დაიპყრო.

მე რწმენის კაცი ვარ და ვიმედოვნებ, თქვენც ასეთი ხართ, რადგან ამის გარეშე ღმერთს ვერ ვაამებთ (ებრ.11:6). როგორც წერილი ამბობს: „რწმენა მოსმენისგან, მოსმენა — ღვთის სიტყვიდან“ (რომ.10:17). სანაძლეოს ჩამოვალ, რომ იოანე ნათლისმცემელს რომაელ ოფიცერზე მეტად ეცოდინებოდა წმიდა წერილი, მაგრამ ამ უკანასკნელს მასზე მეტი რწმენა ჰქონდა. ასევე ვფიქრობ (და მართალიც ვიქნები), რომ დედა მარიამს, თორმეტ მოციქულს და სხვა ისრაელიანებს, რომელთაც იესო შეხვედრია, რომაელ ასისთავზე ბევრად მეტჯერ ჰქონდათ მოსმენილი ღვთის სიტყვა. და მაინც, ამ კაცს ყველა მათგანზე დიდი რწმენა აღმოაჩნდა. რამ გახადა მისი რწმენა ასე დიდი? ეს იესოს მიმართ გამოჩენილი პატივისცემისა და ძალაუფლებასა და მის დამორჩილებაზე ასისთავის შეხედულების შერწყმამ მოიტანა (ლუკ.17:5-10 გვაჩვენებს, რომ მხოლოდ ღვთის სიტყვის მოსმენით რწმენა არ წარმოიშობა, თუ მას არ ავსებს ძალაუფლებისადმი პატივისცემა და მორჩილება).

ასისთავმა *სრული საზღაური* მიიღო, რადგან პატივი მიაგო იესოს და ძალაუფლების საკითხიც ესმოდა. ძალაუფლების მნიშვნელობის გაცნობიერებამ მის გულში პატივის მიგების საფუძველი მოამზადა. ამრიგად მისი მოტივაციის ფესვი პატივისცემა გახლდათ.

ქალი, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელი იყო

მარკოზის სახარების მეშვიდე თავში ბერძენ ქალს ვხედავთ, რომელიც წარმოშობით სირო-ფინიკიელია. იგი იესოსთან დახმარებისთვის მოდის. წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ქალი განუწყვეტლივ თხოვდა თავისი ქალიშვილის დემონისგან გათავისუფლებას. ეს ნიშნავს, რომ იესომ პირველ, მეორე და შესაძლოა, რამდენიმე მომდევნო თხოვნაზეც არ უპასუხა. არც ისაა გამორიცხული, რომ მისთვის ყურადღება საერთოდ არ მიექცია. ქალი მაინც განაგრძობდა თხოვნას. იგი სიმტკიცეს იჩენს და ბოლოს პასუხსაც იღებს: „იესომ უთხრა: „მაცალე, ჯერ შვილები გაძღნენ, თორემ არ არის კარგი, შვილებს წაართვა პური და ძაღლებს გადაუგდო“ (მუხ. 27).

ქალს რამე ერგებოდა თუ არა, ამას ვერსად გაექცეოდა – იესომ მას ძაღლი უწოდა! მიხარია, რომ ის ამერიკელი არ იყო. ასე რომ ყოფილიყო, იესო კარგ ლანძღვას მიიღებდა: „რა?! ძაღლი მიწოდე? რანაირი მსახური ხარ? როგორ ბედავ ჩემს შეურაცხყოფას? დახმარებისთვის მოვედი და ასეთი პასუხი უნდა მივიღო? ეს რასობრივი დისკრიმინაციაა .. ხომ ასეა? რახან მე ბერძენი ვარ და შენ ებრაელი, ფიქრობ, ჩემთვის ძაღლის დაძახების უფლება გაქვს? ეს უკვე მეტისმეტია. დამსხდარხართ აქ შენ და შენი მოწაფეები და გაჭირვებულ ქალს ყურადღებას არ აქცევთ, რომელიც თავისი გოგონას გამო გევედრებათ. სად არის სიყვარული, რომელსაც ქადაგებ? აჰა, მივხვდი, აქ ხომ ბევრი ხალხი არაა, რომელზეც შთაბეჭდილებას მოახდენდი, მარტო შენ და მოწაფეები ხართ, ამიტომაც გამოავლინე, სინამდვილეში ვინც ბრძანდები. თვალთმაქცებო ... საკმარია, მე აქედან მივდივარ“.

ქალი სასწრაფოდ დატოვებდა იქაურობას და მისი გოგონაც ვერ განიკურნებოდა. იგი ისე წავიდოდა, რომ საზღაურს ვერ მიიღებდა. თუმცა სირო-ფინიკიელი ქალი ასე არ მოქცეულა. დამცირებაზე ქალმა ისე უპასუხა, რომ საზღაურის მიღების მდგომარეობაში აღმოჩნდა: „მან კი მიუგო: „მართალია, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ მაგიდის ქვეშ შვილების ნამცეცებს?“ უთხრა: „ამ სიტყვის გამო, წადი, გასულია ეშმაკი შენი ასულისგან“ (მუხ.28-29).

წარმომიდგენია, როგორ იღიმება იესო და წარმართი ქალის რწმენის გამო თავს აქნევს მოწონების ნიშნად. როგორ შეიძლებოდა მისი უყურადღებოდ დატოვება? იესო ქალს ეუბნება, რომ დემონი გასულია მისი ასულისგან და სახლში მისულ დედას განთავისუფლებული გოგონა ხვდება!

პასიურობის ან ადვილად განაწყენების შემთხვევაში ქალი საზღაურის მიღების ყოველგვარ იმედს დაკარგავდა. მან იცოდა, ვინ იყო იესო და მუდამ პატივს მიაგებდა, თავდაპირველად, დაჟინებულობით და შემდეგ რაიმე უარყოფითი აზრის გამოთქმისა და წასვლისგან თავშეკავებით მაშინაც კი, როცა ერთი შეხედვით, შეურაცხყოფილი უნდა ყოფილიყო. სიმტკიცემ მას *სრული საზღაური* მოუტანა.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ორივე შემთხვევაში საოცარ რწმენას სწორედ წარმართები ამჟღავნებენ, რომლებიც აბრაჰამთან აღთქმაში არ იყვნენ. ასისთავმა და ბერძენმა ქალმა თავიანთი რწმენით იესო გააკვირვეს. მათ უბრალოდ გაიაზრეს საკმაოდ ხშირად დავიწყებული პრინციპები ... პატივისცემა გადმოდინდა მათი სასოწარკვეთის წუთებში და ორივემ სრული საზღაური მიიღო.

პატივისცემის პრინციპი

სახარებებს თუ გადახედავთ, ნაწილობრივი, სრული და ნულოვანი საზღაურის მიღების სხვა შემთხვევებსაც ნახავთ. თითოეული შემთხვევა უნიკალურია ადამიანების მხრიდან პატივისცემის განკარგვის თვალსაზრისით. იესოსთან მიახლოებისას ზოგიერთებს აშკარად აკლიათ ეს თვისება, სხვები გულითად და უხვ პატივისცემას ამჟღავნებენ, ხოლო დანარჩენების უპატივცემულობა თვალშისაცემია. თუ ბიბლიის მონაკვეთებში პატივისცემის გამოვლინება თვალშისაცემი არ არის, ნიმუში ანუ პრინციპი მაინც რჩება. ეს სულიერი კანონია, რადგან ღმერთი ასე ამბობს:

„ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან!“

– 1 სამ. 2:30

პატივი ზეციდან რაიმეს მიღების გასაღებია. მომწონს, როცა ამ მუხლს „პატივისცემის პრინციპს“ ვუწოდებ. ღვთისთვის პატივის მიმგები პატივდებული იქნება. ეს ასე მუშაობს. ყველამ მიიღო იესოსგან მის მიმართ გამოჩენილი პატივისცემის პროპორციულად. იფიქრეთ ამაზე ... არა მარტო მსახური და ასული განიკურნა, არამედ დღესაც კი ვზეიმობთ მათ არჩევანსა და რწმენას!

ხსენებული პრინციპი უშუალოდ ვნების წინა პერიოდშიც იკვეთება. იესო სიმონ კეთროვნის სახლში, ბეთანიაში იმყოფება. როცა ინახად დასხდნენ, მას ქალი მოუახლოვდა ალებასტრის ჭურჭლით, რომელშიც ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი ესხა. მისი საფასური რიგითი მამაკაცის წლიურ გასამრჯელოს უტოლდებოდა. ქალმა ცრემლებით დაბანა ფეხები იესოს, საკუთარი თმით გაუმშრალა და თავზე დაასხა ნელსაცხებელი.

მან პატივი მიაგო იესოს ნელსაცხებლის უხვი ცხებით, მაგრამ ყველას არ გახარებია მისი ასე დაღვრა. „ზოგიერთები აღშფოთდნენ და ერთმანეთს გადაულაპარაკეს: ასე რად გაიფლანგა ნელსაცხებელიო? ხომ შეიძლებოდა ამ ნელსაცხებლის სამას დინარზე მეტად გაყიდვა და ღარიბებისთვის დარიგება? და კიცხავდნენ ქალს“ (მარკ.14:4-5).

თუ ქალის შემთხვევას არ გავითვალისწინებთ, დამ-კვირვებლების მოსაზრება რაციონალური და გააზრებული მო-გეჩვენებოდათ. ქრისტიანებმა ღარიბებზე უნდა იზრუნონ, მაგრამ

მათ უფრო მასშტაბური სურათი მხედველობიდან გამორჩათ. რაღაც მოხდა იმ მომენტში. იქ გაჩნდა ცისა და მიწის ღმერთის პატივისცემის შესაძლებლობა მისი ძის, იესოს პატივისცემის მეშვეობით. მოუსმინეთ მოძღვრის მკაცრ საყვედურს:

> „თავი გაანებეთ, რატომ კიცხავთ? მან სიკეთე მიყო. რადგან ღარიბნი მუდამ თქვენთან გეყოლებათ და როცა მოისურვებთ, შეგეძლებათ სიკეთე უყოთ მათ. მე კი მუდამ არ გეყოლებით. მან ის გააკეთა, რაც შეეძლო: წინასწარ სცხო ჩემს სხეულს ნელსაცხებელი დასამარხად. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგებენ სახარებას მთელ ქვეყანაზე, იმასაც იტყვიან, რაც მან გააკეთა, მისივე მოსაგონებლად“.
>
> – მარკ. 14:6-9

ოჰო, გაიგონეთ, როგორ შეაქო მან ქალი? ბევრმა მოიმოქმედა დიდებული საქმეები იესოს დღეებში, მაგრამ ასეთი პატივი და ამ ხარისხით არავის ღირსებია. იესომ იწინასწარმეტყველა, რომ ქალის კეთილი და მშვენიერი პატივისგების აქტი ხმამაღლა გაიჟღერებდა სახარების ქადაგებისას თაობიდან თაობაში!

ქალს მოძღვრისთვის პატივის მიგება სურდა, მაგრამ ნელსაცხებლის გადმოღვრამ იგი თავად აღამაღლა მოძღვრისგან პატივის მიღების მდგომარეობამდე. *პატივისცემის* პრინციპი ყოველთვის მოქმედებს და ყოველთვის ფასეულია. ღმერთი ამბობს: „ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი *დამცირდებიან*!“ (1 სამ.2:30, ხაზგასმა ჩემია). ყურადღება მიაქციეთ, რომ ნაკლებად დაფასებული იქნებიან ის ადამიანები, ვინც მას პატივს არ მიაგებს. თუმცა თარგმანში გამოყენებული სიტყვა „*დამცირდებიან*“, განიმარტება როგორც „ვისამე უღირსობის განცდა, რომელიც მხედველობაში მიღებას არ იმსახურებს და ყურადღების მიღმა რჩება“. ვინც ღმერთს პატივს არ მიაგებს, ყურადღების მიღმა დარჩება. ასეთი ადამიანის საჭიროებები და სათხოვრები არ იქნება გათვალისწინებული.

მოისმინეთ, რას ამბობს იესო: „ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს“ (იოან. 13:20). იესოს ნათქვამი გულისხმობს, რომ ვინმეს მიღება მის პატივისცემას ნიშნავს. ამრიგად, იესო, რეალურად, ამას ამბობს: „ვინც მე პატივს მომაგებს, პატივს მიაგებს ჩემს გამომგზავნელ ზეციერ მამას“. სწორედ ამიტომ გვეუბნება იგი ასე აშკარად: „ვინც ძეს არ

მიაგებს პატივს, ის არც მის მომავლინებელ მამას მიაგებს პატივს“ (იოან.5:23).

ვინც იესოს პატივი მიაგო, რეალურად, ზეციერ მამას სცა პატივი ისე, რომ არც იცოდა ამის შესახებ. იესო ამბობს: „ადამიანთაგან არ ვიღებ დიდებას“ (იოან.5:41); მის გულსა და გონებაში ყოველგვარი დიდება ზეციერ მამას ეკუთვნოდა. ის ჯერ არ იყო განდიდებული. როცა იესო განდიდდა, ზეციერმა მამამ ასე ბრძანა მის შესახებ: „დაე, თაყვანი სცეს მას ღვთის ყველა ანგელოზმა“ (ებრ.1:6), და „შენი ტახტი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, შენი მეფობის კვერთხი სიმართლის კვერთხია“ (ებრ.1:8; ასევე იხ. ფილ.2:8-10). განდიდების შემდეგ იესოსაც თაყვანს სცემენ ისევე, როგორც ზეციერ მამას.

მიუხედავად ამისა, დედამიწაზე ცხოვრებისას იგი მსახურობდა, როგორც ძე ადამიანისა. გავრცობილი ბიბლიის კლასიკური თარგმანი ფილიპელთა 2:6-7-ს შემდეგ ვერსიას გვთავაზობს: „თუმცა ღვთის თანაარსი და ხატება იყო, ... წარმოიცარიელა თავი [ყოველგვარი პრივილეგიისა და კანონიერი ღირსებისგან] მონის ხატება რომ მიიღო, გახდა რა მსგავსი ადამიანებისა და აღმოჩნდა ადამიანის სხეულში“. მან როგორც ადამიანმა, გულში განაგრძო ყოველგვარი პატივის ზეციერი მამისთვის მიგება. სწორედ ამიტომ გამუდმებით აფრთხილებდა განკურნებულ ადამიანებს: „იცოდე, არავის უთხრა, არამედ წადი, ეჩვენე მღვდელს და შესწირე ძღვენი, მოსემ რომ დაადგინა მათდა დასამოწმებლად“ (მათ.8:4). და კიდევ ვკითხულობთ: „იესომ კი მკაცრად გააფრთხილა ისინი და უთხრა: „აჰა, არავინ გაიგოს!“ (მათ.9:30). ანალოგიური მითითებები მრავლადაა სახარებებში.

იესო დედამიწაზე ყოფნისას წარმოადგენდა ზეციერ მამასთან დაკავშირების ხილულ საშუალებას, ამიტომ მამისთვის პატივის მიგება მისი ძის პატივისცემით ხდებოდა. მან სწორედ ამიტომ არ გაკიცხა უსახელო ქალი, რომელმაც ძე იესოს ძვირადღირებული ნელსაცხებელი ცხო. იესო არასოდეს საყვედურობდა ადამიანებს, რომლებიც მას პატივს მიაგებდნენ, არამედ აქებდა მამასთან ამგვარი კავშირისთვის. გაიგეთ, რომ იგი არ ეძებდა საკუთარ დიდებას, არამედ *პატივისცემის პრინციპის* ნიმუში აჩვენა მათ, ვისთანაც იყო გამოგზავნილი.

პატივის დინება

ჯვარცმის კვირას იესომ საფუძვლიანი განცხადება გააკეთა, თუ როგორ გაგრძელდებოდა მისი მსახურება მისი წასვლის შემდეგ:

„ველარ მიხილავთ ამიერიდან, ვიდრე არ იტყვით: კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“

– ლუკ. 13:35

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამიერიდან ველარ მნახავთ, სანამ ჩემს წარმოგზავნილებს არ ცნობთ სიტყვებით: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“ ან სხვაგვარად: „ვერ შემიცნობთ ან მიხილავთ, სანამ ჩემი სახელით გამოგზავნილებს *პატივს* არ მიაგებთ“. შეჩერდით და იფიქრეთ ამაზე. იესომ თქვა, რომ გაეცხადებოდა მათ, ვინც აკურთხებდა და პატივს მიაგებდა მის წარმოგზავნილებს. რატომ? იესო ამაზე პასუხს გვცემს წმიდა წერილის სხვა მონაკვეთებიდან. ერთ-ერთი ამგვარი განაცხადია: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვინც ღებულობს (*პატივს მიაგებს*) იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს (*პატივს მომაგებს*), ხოლო ვინც მე მღებულობს (*პატივს მომაგებს*), ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს (*პატივს მიაგებს*)“ (იოან.13:20, ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩემი ინტერპრეტირებაა).

ამის ფონზე მოვისმინოთ, რას ამბობს კიდევ იესო პატივისცემის პრინციპის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შესახებ:

„ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს. ვინც წინასწარმეტყველის სახელით ღებულობს წინასწარმეტ-ყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და ვინც მართლის სახელით ღებულობს მართალს, მართლის საზ-ღაურს მიიღებს. ვინც ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთ სასმის ცივ წყალს დაალევინებს მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავი-სი საზღაური“.

– მათ. 10:40-42

ნება მომეცით, შინაარსის შეუცვლელად ჩავსვა სიტყვები „*პატივის მიგება*“ ყველგან, სადაც მოცემულ მუხლებში გვხვდება *მიღება* ან *დალევინება*.

„ვინც თქვენ *პატივს მოგაგებთ*, მე *მომაგებს პატივს*, ხოლო ვინც მე *მომაგებს პატივს*, ჩემს მომავლინებელს *მიაგებს პატივს*. ვინც წინასწარმეტყველის სახელით *პატივს მიაგებს* წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და

ვინც მართლის სახელით *პატივს მიაგებს* მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს. ვინც ერთს ამ მცირეთაგან თუნდაც ერთი სასმისი ცივი წყლის მიწოდებით *მიაგებს პატივს* მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“.

სწორი მიმართულების ასაღებად საჭიროა ხსენებული მუხლებიდან ორი მთავარი პუნქტის გამოყოფა. პირველი, ღვთის სამეფოში ძალაუფლების სტრუქტურა არსებობს. ის მამა ღმერთისგან იწყება, იესოზე მოდის და გადადის მის წარმოგზავნილებზე, რომლებსაც ყოველგვარი ძალაუფლება მიანიჭა. აღდგომის შემდეგ იესომ განაცხადა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცაში და დედამიწაზე“ (მათ.28:18). იგია ეკლესიის თავი და დადგება დღე, როცა მეფობას მამას დაუბრუნებს მას შემდეგ, რაც ყოველი მეამბოხე მის ფერხთა ქვეშ მოექცევა (1 კორ.15:24-26).

ცათა სამეფოში რანგით მომდევნო „წინასწარმეტყველი“ გახლავთ. მხედველობაში მიიღეთ, რომ იესო იმ ადამიანებს ელაპარაკებოდა, ვისაც არ ჰქონდათ ახალი აღთქმის წერილები. მათ არ იცოდნენ ჩვენთვის ნაცნობი ტერმინოლოგია და გზები, ამრიგად იესო მათთვის გასაგებ ენაზე საუბრობდა.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები უფლის წარმომადგენლების სახით ფუნქციონირებდნენ (გამ.4:16; 7:1). შემდეგში ებრ.1:1-2 ამას ამოწმებს: „ღმერთი, ძველთაგან მრავალჯერ და მრავალგვარად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა მეშვეობით, ამ უკანასკნელ დღეებში კი გველაპარაკა ძის მიერ“. ახალი აღთქმა იგივეს იმეორებს იესოს მკვდრეთით აღდგომასა და ამაღლებასთან კავშირში: „და მან მოგვცა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი კი მწყემსებად და მასწავლებლებად, (ეფეს.4:11).

იესო დღეს ჩვენ რომ მოგვმართავდეს, ასე იტყოდა: „ვინც პატივს მიაგებს მოციქულს მოციქულის სახელით, მოციქულის საზღაურს მიიღებს; ვინც პატივს მიაგებს მწყემსს მწყემსის სახელით, მწყემსის საზღაურს მიიღებს“ – იგივე მიდგომა მართებულია წინასწარმეტყველების, მახარებლების ან მასწავლებლების მიმართ.

მათეს სახარების მე-10 თავში იესო წინასწარმეტყველის პატივისცემიდან (ანუ წინამძღოლებიდან) მართალ ადამიანზე გადადის და „ერთი მცირეთაგანით“ ასრულებს. მან, ფაქტობრივად, მოიცვა ყველა დონე და ძალაუფლების დინამიკა, რომელთანაც მორწმუნეებს შეხება აქვთ – ჩვენი ზემდგომები,

თანასწორები და ჩვენს ქვემოთ მყოფნი, ვისზეც ვზრუნავთ ან ძალაუფლებას გადავცემთ. ყველა ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში ვხვდებით, რომელიმე ამ სფეროს ეკუთვნის.

ამას მეორე მნიშვნელოვან პუნქტამდე მივყავართ. თუ ზემდგომებს პატივს მივაგებთ ... საზღაურს ვიღებთ. თუ პატივს მივაგებთ ჩვენს დონეზე მყოფებს (თანასწორებს) ... საზღაურს ვიღებთ. და ბოლოს, ჩვენს მზრუნველობაზე მონდობილების ან ჩვენი ქვემდგომების პატივისცემით ... ასევე ვიღებთ საზღაურს. გაიხსენეთ ჩვენი პარაფრაზი, „ვერ მიხილავთ, სანამ პატივს არ მიაგებთ ჩემს წარმოგზავნილებს“. თუ ამას მათეს სახარებაში მოცემულ მუხლებთან დავაკავშირებთ, ვნახავთ, რომ სამივე ზემოხსენებული სფერო საოცარ ზეციურ ჯილდოს ითვალისწინებს. ასევე, ჯილდოები იესოს ვინაობის უფრო დიდი გამოცხადების მიღებასაც მოიცავს. ეს მოსაზრება იქნება წიგნის დარჩენილი ნაწილის ცენტრალური თემა.

4

როგორც არც ერთს ამ წინამძღოლთაგან არაფერი გაუკეთეთ

პირველ სამ თავში წმიდა წერილის საკმაოდ ბევრი მუხლი მიმოვიხილეთ ღვთისგან პატივის მიღების მნიშვნელოვანი როლის დასადგენად. მოკლედ, განვლილი მასალა ეფუძნებოდა იოანე მოციქულის მითითებას, რომ გვეცხოვრა *სრული საზღაურის* მისაღებად. მის მიერ ხაზგასმული *სრული საზღაური* გვაფიქრებინებს, რომ არსებობს ნაწილობრივი საზღაურიც და საერთოდ, მის გარეშე დარჩენა. იესოს მსახურებაში ვნახეთ შემთხვევები, როცა ადამიანები სრულ და ნაწილობრივ საზღაურს ან არაფერს არ იღებდნენ. და ეს ყველაფერი დადიოდა დამოკიდებულებამდე, თუ რად მიიჩნევდნენ (რა პატივს მიაგებდნენ) იესოს ადამიანები.

იესომ ამაღლებამდე განაცხადა: „წასვლას ვაპირებ და ველარ მიხილავთ, სანამ პატივს არ სცემთ ჩემი სახელით გამოგზავნილ ადამიანებს“ (ავტორის პარაფრაზი ლუკ. 13:35-ზე). გარდა ამისა, იგი აჩვენებს, რომ წინამძღოლის პატივისცემით ღვთისგან მივიღებთ საზღაურს, რომელიც მისი მეშვეობით უნდა მოგვცეს; იგივე მიდგომა ვრცელდება ჩვენს თანასწორებსა და ბოლოს, ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფ ადამიანებზე. თავდაპირველად, ზემდგომ ძალაუფლებაზე ვისაუბრებთ, ხოლო დარჩენილ ორ დონეზე შემდგომ თავებში ვიმსჯელებთ.

ჩვენი დღის ნიმუში

პირადად ვიცნობ დიდებულ მსახურებს, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ სახარების საქადაგებლად. მათ შორის რამდენიმე გამოირჩევა. პირველი გახლავთ ტომი ლი და დეიზი ოსბორნების წყვილი. წინამდებარე წიგნის წერის დროისთვის ორივეს დასრულებული ჰქონდა ასპარეზი საუკუნო ზეციური ჯილდოს მისაღებად. 1980-იან წლებში მე და ლიზას მათი რამდენჯერმე მომსახურების პატივი გვხვდა წილად. იმ პერიოდში რვა ათასიანი ეკლესიის შტატში ვირიცხებოდი. ჩემი საქმე სტუმარი მქადაგებლების მომსახურება გახლდათ. ოსბორნები რამდენჯერმე გვეწვივნენ, ამიტომ მათთან ერთად საკმაო დრო გავატარეთ. ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით და ხშირად ვწერდით ან ტელეფონით ვსაუბრობდით. ტომი ლიმ ორჯერ გამომიგზავნა ტანსაცმლით სავსე ყუთები, რადგან ერთი ზომის ვიყავით. იგი იყო და ახლაც არის ჩემთვის რწმენის ერთ-ერთი გმირი.

იმ დროისთვის ტიმი ლიმ და დეიზიმ მილიონობით ადამიანი მიიყვანეს სულის გადარჩენამდე. ფაქტობრივად, გამოთვლილია, რომ მათი მსახურების მეშვეობით იესო ორმოცდაათ მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო. ეს არ მომხდარა ტელევიზიის დახმარებით, არამედ მთელ მსოფლიოში ღია ცის ქვეშ მახარებლობით. ამგვარი ევანგელიზაციური მსახურებების უმეტესი ნაწილი აფრიკის კონტინენტზე ჩატარდა. შეკრებებს, დაახლოებით, 50 000-დან 250 000-მდე ადამიანი ესწრებოდა.

თითოეულ ასეთ შეხვედრაზე რამდენიმე ბრმა იკურნებოდა. მხედველობის არმქონე ადამიანები თვალახელილები მიდიოდნენ! თუმცა ეს მხოლოდ აისბერგის წვერია. ათასობით ყრუ ადამიანს სმენა დაუბრუნდა. უამრავი განუკურნებელი დაავადებისგან განიკურნა; დავრდომილები, რომლებიც საკაცეებით მოჰყავდათ, დგებოდნენ და თავიანთი საწოლები მიჰქონდათ. ძმა ოსბორნმა ტომეულები დაწერა იმ ღირსშესანიშნავი განკურნებების აღსაწერად, რომლებიც ღია ცის ქვეშ მსახურებებზე ხდებოდა, განსაკუთრებით, აფრიკაში.

ერთ-ერთი ყველაზე გულისშემძვრელი ამბავი, რომელიც მათგან მოვისმინე, ქალბატონს შეეხებოდა. ის დეიზის აფრიკაში მახარებლობისას ეწვია მსახურებებს შორის შუალედში. ქალს ხელში მკვდარი ბავშვი ეჭირა. ბავშვი მთლიანად სახვევებში იყო გახვეული ისე, რომ სახეც კი არ უჩანდა. დედამ ჩვილი დეიზის გადასცა და თარჯიმნის საშუალებით სთხოვა მისთვის ლოცვა, რომ ეცოცხლა. დეიზიმ გახვეულ სხეულს ხელები მოხვია

და უბრალო ლოცვა წარმოთქვა. რამდენიმე წუთში ქალმა მოძრაობა იგრძნო და სახვევის ქვეშ ხველისა და ცემინების ხმა გაიგონა. მან სახვევი გადასწია და პატარა ბიჭუნას სახე დაინახა, რომელიც ცოცხალი იყო.

დეიზიმ ბავშვი ისევ შეახვია და დედას გადასცა. დედამ სახვევი გადასწია და როცა ბიჭის სახე დაინახა, მღელვარებით წამოიყვირა.

დეიზი შეფიქრიანდა. გაუკვირდა, რატომ არ ჰქონდა დედას რეაქცია, როცა ბავშვის ხველა და ცემინება გაიგონა მის მკლავებში. რატომ არ გამოხატა სიხარული, სანამ სახვევი არ გადასწია სახის დასანახად?

ამრიგად, მან დედას კითხვა დაუსვა თარჯიმნის მეშვეობით. ქალის პასუხი ასეთი იყო: „ჩემი შვილი ცალი თვალით დაიბადა. ის დამახინჯებული იყო. თვალის ადგილას მხოლოდ ცარიელი ბუდე ჰქონდა. ახლა როცა დავხედე, ჩემმა შვილმა ორი მშვენიერი თვალით შემომხედა!“

რამდენი საოცარი ამბავია მათი ძალმოსილი საქმეების მიღმა და ეს ყველაფერი ჩვენი აღმდგარი მხსნელის, იესო ქრისტეს სახელით მოხდა.

კიდევ ერთი მეგობარი მყავს, რომელმაც აფრიკაში უამრავი სამახარებლო მსახურება ჩაატარა, განსაკუთრებით ეთიოპიასა და სუდანში. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მის მსახურებებზე 50 000-დან 200 000-მდე ადამიანი ესწრებოდა. ისიც ხედავს ასობით ახელილ თვალსა და გახსნილ ყურს. ის ხედავს დავრდომილების სიარულს, ურიცხვ განკურნებულ სნეულებს და დაპატარავებულ და გამქრალ სიმსივნეებს.

რამდენიმე წლის წინ ყველაზე გულშიჩამწვდომი ამბავი მომითხრო. აფრიკის იმ ნაწილში, სადაც მახარებლური მსახურება ტარდებოდა, იყო „ადამიანი-მაიმუნის“ სახელით ცნობილი, დემონით შეპყრობილი კაცი, რომელსაც ვერავინ ათვინიერებდა. იგი შიშველი ცხოვრობდა ხეებს შორის და ოთხზე დადიოდა. ხელებიც ისევე დაკოჟრილი ჰქონდა, როგორც ფეხები.

რამდენიმე მზრუნველმა ადგილობრივმა შეკრა დამსახურებაზე მოიყვანა. ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ჯონ, ხალხის დიდ ჯგუფს ვუქადაგებდი და მოულოდნელად დავინახე, როგორ მოფრინავდა ჰაერში ადამიანი — დაახლოებით, რვა ფუტის სიმაღლეზე – და უცებ მიწაზე დაეშვა. იგი არ ინძრეოდა. ვიფიქრე, მოკვდა-მეთქი. მეორე დღეს ჩემ წინ იდგა პლატფორმაზე შარვალსა და კოსტიუმში სრულად გამოწყობილი და ამოწმებდა, როგორ გაათავისუფლა ღმერთმა; ეს იყო „ადამიანი-მაიმუნი“.

მეგობარმა მითხრა, რომ ათობით და შემდეგ ასობით ათასი ადამიანი მოვიდა კარვის მსახურებაზე, რადგან „ადამიანი-მაიმუნი“ ცნობილი იყო მთელ იმ არეალში. ხალხს მოსწყურდა ღვთის სიტყვის მოსმენა, რომელმაც დემონური ძალებით დატყვევებული ადამიანი გაათავისუფლა.

უამრავი ამბის მოყოლა შემიძლია მამაკაცებსა და ქალებზე, რომლებმაც ანალოგიური ძალთაქმედებები იხილეს, განსაკუთრებთ აფრიკაში. თუმცა მთავარი აქ ის არის, რომ ამერიკაში ან სხვა დასავლურ ქვეყნებში დაბრუნებული იგივე მსახურები, იმავე სიტყვით, ცხებულებით და მსახურების ტექნიკით, მხოლოდ რამდენიმე თავის ტკივილს, ხერხემლის პრობლემას და ართრიტს კურნავენ თავიანთი ქადაგებით. რატომ? ეს ყველაფერი *პატივისცემას* უკავშირდება! ზემოხსენებული მეგობრები მათი მსახურების ზოგიერთ ქვეყანაში დიდად დაფასებულები არიან. იქ მათ ღვთის მამაკაცებად და ქალებად იღებენ და ისე ექცევიან, როგორც სამეფო წარმოშობის ადამიანებს.

„ღვთის კაცი ხართ, არა?“

რამდენიმეჯერ აფრიკაში მსახურება მომიხდა – ქვეყნებში, როგორიცაა კენია, ზიმბაბვე, ანგოლა და სხვა. ხშირად მათი სტუმართმოყვარეობა თავს უხერხულად მაგრძნობინებს (არა მათ მიმართ უნდობლობის, არამედ ჩემი არაკომფორტულობის გამო). ისე მექცევიან, როგორც მეფეს. მასპინძლები მშვენიერ სასტუმროს არჩევენ და ვიცი, რომ ეს დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებათ ფინანსური კუთხით. არ მაძლევენ არაფრის ტარების უფლებას, ბიბლიისაც კი. საუკეთესო საკვებს მთავაზობენ და საუკეთესო ხალხი მემსახურება.

ერთ შემთხვევას ვიხსენებ, როცა რამდენიმე ათას ადამიანთან ქადაგების შემდეგ კონდიცირებულ ოთახში შემიყვანეს (მსახურებებზე თითო-ოროლას თუ ექნებოდა ნანახი კონდიციონერიანი ოთახი). მომსახურე პერსონალს ერთი ქალი გამოეყო და ჩემ წინ თავდახრილმა დაიჩოქა დიდი ტაშტით ხელში. მეორე ქალმა დოქით წყალი მოიტანა ხელების დასაბანად. ხელები რომ დამაბანინეს, ერთმა მხრიდან პირსახოცი მოიხსნა და გამიმშრალა. ისინი საუკეთესოდ მემსახურებოდნენ. ისინი პატივს მცემდნენ.

როცა ქალმა ჩემ წინ მუხლი მოიყარა, ძალიან მეუხერხულა. ვიფიქრე, *ჩემითაც შემიძლია ხელების დაბანა, თქვენ რატომ აკეთებთ-მეთქი.* შემდეგ თითქოს გავიგონე, როგორ მითხრა

სულიწმიდამ, „არც კი იფიქრო უარის თქმა. მომსახურების ნება მიეცი მათ“.

პატივისცემასა და თაყვანისცემას შორის დიდი განსხვავებაა. მარადიულად მხოლოდ ჩვენს ღმერთს, უფალსა და მეფეს ვცემთ თაყვანს. თუმცა პატივს მარადიულად მივაგებთ მას, ვისაც ის ეკუთვნის. ასეთია ღვთის სამეფოს ეტიკეტი.

მახსენდება, რომ 1990-იან წლებში ერთი ცნობილი მოციქულის წინამძღოლებთან ქადაგების პატივი მერგო. ეს ადამიანი ზედამხედველობს ეკლესიებს, რომლებიც ხუთ მილიონ ადამიანს აერთიანებენ. მისი ეკლესიები გაბნეულია აფრიკის კონტინენტის თვრამეტ სხვადასხვა ქვეყანაში. ყოველი წლის თებერვალში იგი ერთად კრებს ექვსი ათას უფროს მწყემსს (დამხმარე მწყემსები არ არიან მიწვეულნი) და მათთან საქადაგებლად ეპატიჟება ამერიკისა და სხვა კონტინენტების ლიდერებს. მთელი ის ათწლეული უძლიერესი ცხებულების ქვეშ ვმოქმედებდი. პირდაპირი მნიშვნელობით, სხვა სამყაროდან მოსულივით ვქადაგებდი. ღვთის თანდასწრება გამაოგნებელი იყო.

მსახურებებს შორის ისე მემსახურებოდნენ, როგორც ზემოთ აღვწერე. როცა მომსახურე ადამიანი გავიდა, ხსენებულმა ლიდერმა შემომხედა და მითხრა:

– დააკვირდი იმ ქალს, ვინც ახლახან მოგემსახურა? ის ამ ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის უფროსია.

ელდა მეცა. როცა თავი ხელში ავიყვანე, უნდობლობით ვკითხე:

– და ეს მან ჩემთვის გააკეთა?

არ მჯეროდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნება ამ უბრალო საქმეს გამიკეთებდა. ამ ქალბატონის გარემოცვაში ყოფნითაც პატივდებული ვიქნებოდი, მის მომსახურებაზე რომ არაფერი ვთქვა.

ამ დიდმა მოციქულმა ისევ გამომხედა შეფიქრიანებულმა და მითხრა:

– ღვთის კაცი არ ხარ?

ვფიქრობ, *ჩვენ, ამერიკელები ამას ვერ გავიგებთ.*

როგორ იღებენ მაცნეს

მოგზაურობასა და ღვთის სიტყვის მსახურებაში ოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავატარე. გამუდმებით ვხვდებოდი ადგილებს, სადაც მსახურება უადვილესი იყო (დიდი ზეგავლენა და სასწაულები; ადვილად ქადაგება და ღვთის უძლიერესი

თანდასწრება). ძირითადად, ეს გახლდათ განვითარებადი ქვეყნები, ციხეები და სამხედრო ბაზები. რატომ? იმიტომ, რომ უმეტესად სწორედ ისინი იჩენდნენ ძალაუფლებისადმი პატივისცემასა და მოკრძალებას. ამის საპირისპიროდ, მსახურებისთვის ურთულესი ადგილები იყო ქრისტიანული საშუალო სკოლები და ეკლესიები, სადაც ღვთიურ ძალაუფლებას პატივს არ მიაგებდნენ.

მახსოვს, როგორ აღმოვაჩინე, რომ ამ საქმეში ჩემი, როგორც მსახურის მდგომარეობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო და ატმოსფეროს უფრო ხალხის მხრიდან მიღება განაპირობებდა. ქადაგება მქონდა დაგეგმილი შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ერთ-ერთ ეკლესიაში. იმ ადგილას სახელმწიფოს უმკაცრესი რეჟიმის ციხე იყო განთავსებული, რომელშიც დაახლოებით, ხუთასი ადამიანი იმყოფებოდა. ეკლესიის უფროსი პასტორი, ამავდროულად, ციხის დამხმარე კაპელანი გახლდათ. მან მკითხა, ხომ არ ვისურვებდი კვირა დილით პატიმრებთან საუბარს. მათი მსახურება 8:00 საათზე იწყებოდა, ხოლო საეკლესიო მსახურება მხოლოდ 11:00-ზე. საკმარისი დრო გვქონდა ორივეს მოსასწრებად. სიხარულით დავთანხმდი.

იმ საკვირაო მსახურებას ასზე მეტი პატიმარი ესწრებოდა. თაყვანისცემა საოცარი იყო. კაცები მთელი გულით გალობდნენ. სრულიად გადამავიწყდა, რომ მკაცრი რეჟიმის ციხეში ვიმყოფებოდი, სანამ ქება-დიდების ლიდერს არ ვკითხე, რამდენი ჰქონდა მისჯილი. მისი სუფთა თვალებისა და მხიარული გამომეტყველების შემყურე ვფიქრობდი, რომ ორ ან სამ წელს მეტყოდა.

მან დიდი სიმშვიდითა და თავმდაბლობით შემომხედა და მითხრა:

– სერ, სამგზის სამუდამო პატიმრობის განაჩენი მაქვს.

საჭირო არ არის თქმა, რომ გაოგნებული დავრჩი. იგი ჩემ მიმართ უკიდურეს პატივისცემას იჩენდა. იგივეს ვგრძნობდი ყველა იქ დამსწრე ადამიანის მხრიდან. პატიმრები აღფრთოვანებული იყვნენ, რომ სხვა ქალაქიდან ჩამოსულმა მსახურმა დრო გამონახა, რომ მათთვის იესოს შესახებ მოეყოლა. მეტად თვალსაჩინო იყო პატივისცემა, რომელსაც ჩემ მიმართ გამოხატავდნენ. მათი მიღებით გული მოვიდრიკე.

იმ დილით, როგორც კი მიკროფონი ავიღე, მაშინვე არაამქვეყნიური ადამიანივით დავიწყე სწავლება და ქადაგება. ძლიერი ცხებულება იგრძნობოდა და ენერგიაც უხვად მქონდა. ფეხბურთის გუნდის მწვრთნელივით დავრბოდი, რომელიც

გუნდს ჩემპიონატისთვის ამზადებს. იქ მყოფთაგან ენთუზიაზმის შეძახილები ისმოდა. ჩინებული მსახურება იყო!

ერთი საათი ვილაპარაკე. ამის შემდეგ აუდიტორიაში ღვთის სული დაეშვა და მომდევნო საათნახევრის მანძილზე საოცრებები ხდებოდა. კაცებმა გადარჩენა მიიღეს, სულიწმიდით აივსნენ და ზოგიერთს ღმერთმა სრული დროით მსახურებისკენ მოუწოდა.

დასასრულს ჩემი მოგზაურობის თანაშემწე მოვიდა, მიკროფონი აიღო და ლოყებზე ჩამომდინარი ცრემლებით და მგზნებარებით ხალხს მიმართა:

– ამ ქალაქში რომ ვცხოვრობდე, ეს იქნებოდა ჩემი ეკლესია.

წარმოუდგენელი ყიჟინი ატყდა; პატიმრები მთლად გადაირივნენ სიხარულისგან.

ციხე 10:30 საათზე დავტოვეთ. მე, პასტორი და ჩემი თანაშემწე ავსებულები წამოვედით. მომხდარზე ვლაპარაკობდით და ეკლესიაში საოცარი მსახურების მოლოდინი გვქონდა.

მე ვთქვი:

– იმის შემდეგ, რაც ახლახანს ვნახეთ, ალბათ, ძალიან კარგი რამ გველის.

ვიცოდი, რომ ადგილზე მისვლისას ჩვენზე დავანებული დიდება ეკლესიის მსახურებაზე გადმოდინდებოდა.

არასოდეს დამავიწყდება, რაც იქ მოხდა. მსახურება დაიწყო, მაგრამ ლაპარაკს ძლივს ვახერხებდი. იმდენად მძიმე და დამთრგუნველი ატმოსფერო იდგა, რომ ქადაგება მიბრკოლდებოდა. ჩემთვის ვფიქრობდი, *მოიცა, სულ რაღაც ორი საათის წინ ისე ვქადაგებდი და ხალხს ვემსახურებოდი, როგორც ვინმე ზებუნებრივი ადამიანი. ახლა რა ხდება?* ვერაფერი გამეგო. შიგნიდან მგზებარების ნასახი არ მოდიოდა და ვერც გამომეწვია. დავითრგუნე. ცხებულება დაკავდა ჩემს ცხოვრებაში. იმ დროისთვის პატივისცემის პრინციპზე არაფერი ვიცოდი. ჯერ კიდევ შესწავლის პროცესში ვიყავი. ახლა მინდა, რომ ეს ყველამ გაიგოს!

მოდი, დავასრულოთ ის საოცარი ამბები, რაც ციხეში მოხდა. თექვსმეტი წლის შემდეგ ნებრასკას შტატში, ომაჰას დიდ ეკლესიაში მიმიწვიეს. არ ვიცოდი, იქ რა მელოდა. პირველივე მსახურებაზე აღმოვაჩინე, რომ ეკლესიის შტატიანი თანამშრომელი, რომელიც ხმის აპარატურას მართავდა, ზემოხსენებული კვირა დილის მსახურების ქება-დიდების ლიდერი გახლდათ. გაოგნებული და თან, გახარებული ვიყავი. ვიკითხე:

– როგორ გამოხვედი? შენ ხომ სამგზის სამუდამო პატიმრობა მოგისაჯეს ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე?

მან გათავისუფლების სასწაულის შესახებ მიამბო, რომლის დაწვრილებით გადმოცემის დრო ამჯერად არ მაქვს. როგორც არ უნდა ყოფილიყო, მან წინასწარმეტყველური სიტყვა მაჩვენა, რომელიც თქვსმეტი წლის წინ მსახურებისას წარმოვთქვი – იმ დროს, როცა პატიმრებს შორის ღვთის სული იძვროდა. ციხის მსახურების ჩანაწერი არსებობდა, რამაც მას წინასწარმეტყველების ამოწერის საშუალება მისცა. მას თავის დღიურში ინახავდა წლების მანძილზე. დღიური გადმომცა და წავიკითხე წლების წინ ციხეში ნათქვამი სიტყვები. ღმერთი მას ცათა სამეფოში სრული დროით მსახურებისთვის მოუწოდებდა და ციხის ოთხ კედელში ყოფნა მოგვიანებით თავისუფლებაზე მსახურებისთვის მზადება გახლდათ. ეს სიტყვები მანამდე ვუთხარი, სანამ მის განაჩენს გავიგებდი. მიხარია, რომ მსახურების მომენტში ამაზე არაფერი ვიცოდი. ალბათ, გამიძნელდებოდა იგივე სიტყვების თქმა სამგზის სამუდამო პატიმრობამისჯილი კაცისთვის.

ეს გვაჩვენებს, რა ძლიერად მოქმედებდა ციხეში ღვთის სული და საათზე ნაკლები დროის შემდეგ ეკლესიაში მძიმე და დამთრგუნველი ვითარება გამეფდა. ქადაგებას გაჭირვებით ვახერხებდი. იმ დღეს ვისწავლე, რომ ამის მიზეზი ვიყავი არა მე, არამედ დამხვდურთაგან ღვთის წარმომადგენლის მიღების დამოკიდებულება. პატიმრებმა დამაფასეს, პატივი მომაგეს და მაღიარეს. ეკლესიის წევრებმა კი ჟესტებით გამოხატეს: „ეს ყველაფერი მოსმენილი გვაქვს. ბევრი სტუმარი მქადაგებელი გვინახავს. რა უნდა თქვა განსხვავებული?“ შედეგებს შორის დიდი სხვაობა მომდინარეობდა ერთი სიტყვიდან — პატივისცემა.

პატივისცემა განაწყენების დროს

ნება მომეცით, სხვა ადგილებიც მოვიყვანო წმიდა წერილიდან, რომ შედეგები ნაკლებად არის დამოკიდებული მსახურზე და უფრო მეტად, მის დახვედრაზე. იყო კაცი ძველ აღთქმაში, სახელად, ელკანა. მას ორი ცოლი ჰყავდა, ხანა და ფენინა (მიხარია, რომ ახლა ასე აღარ ვიქცევით. მომწონს, რომ მხოლოდ ერთ ქალზე ვარ დაქორწინებული).

ფენინას შვილები ჰყავდა, ხოლო ხანა უნაყოფო იყო. იმ დღეებში ქალები ქმრისადმი სიყვარულს მისთვის შვილების, განსაკუთრებით კი, ვაჟების შობით ამჟღავნებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი იყო ვაჟის მხრიდან შთამომავლობის გაგრძელება.

ოჯახი ყოველ წელს მიემგზავრებოდა შილოში უფლის თაყვანისცემისთვის. ფენინას შვილების რაოდენობა იზრდებოდა, ხოლო ხანას ერთიც კი არ ჰყავდა, რომ უფლის წინაშე წარედგინა. ამან ქალი ძალიან შეაწუხა. ფენინას გესლიანი ლაპარაკი მდგომარეობას კიდევ უფრო უმძიმებდა. წმიდა წერილი გვეუბნება: „მისი მეტოქე ფენინა ამწარებდა და აღიზიანებდა“ (1 სამ. 1:6). წარმოიდგინეთ ფენინას შეურაცხმყოფელი სიტყვები: „ჰეი, გოგო, ვის უყვარს ჩვენი ქმარი? მე მას ამდენი შვილი ვაჩუქე. შენები სად არიან? შენ ხომ ქალი არ ხარ! ნახევარი ქალიც კი არ ხარ! ხომ არ ეზიზღები ქმარს საწოლში? არ მოსწონხარ? მას ნამდვილად მე ვუყვარვარ“. და ა.შ.

ბოლოს, ხანას ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. მან სავანეში წასვლა გადაწყვიტა, რომ უფლის თანდასწრებაში ეპოვა ნუგეში მეტოქისგან შორს. ის შეწუხებული იყო და უფლის წინაშე ლოცვის დროს მწარედ ქვითინებდა.

ხანამ გულისნადები ამოთქვა; მისი ბაგეები მოძრაობდა, მაგრამ ხმა არ ისმოდა. ქალმა თავისი სათხოვარი უფალთან მიიტანა. თუ იგი საშოს გაუღებდა და შვილიერს გახდიდა, ბავშვს უკანვე დაუბრუნებდა, რომ მას მომსახურებოდა დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

ამ დროს, ყელი მღვდელმთავარი იქვე იჯდა და ქალს აკვირდებოდა. მან იფიქრა, მთვრალიაო და ასე უთხრა: „როდემდე უნდა იყო მთვრალი? გამოფხიზლდი ღვინისგან!“ (1 სამ. 1:13,14).

კიდევ ერთხელ მიხარია, რომ ხანა ამერიკელი არ იყო. ამ შემთხვევაში ყელი საკადრის პასუხს მიიღებდა. ქალი, ალბათ, გაცოფდებოდა და იფიქრებდა: *ეს რანაირი პასტორია? მე გულს ვღვრი ღვთის წინაშე და ვმარხულობ, ის კი სიმთვრალეს მაბრალებს. არა, ეს რეალობა არ უნდა იყოს. ალბათ, სმენა მატყუებს. წარმოვიდგინე, რომ გავიგონე, არა? მოიცა, არა, მან ნამდვილად ასე თქვა. შე სასტიკო, ულმერთო და უგრძნობელო. რა სულელია! როგორ შეიძლება ასეთი იყოს ეკლესიის მეთაური? ეს უნდა დაითხოვონ და მსახურებას ჩამოაშორონ!*

ამის შემდეგ შეეძლო ესეც კი წამოეყრანტალებინა: „ახლახან მთვრალი ხომ არ მიწოდეთ? ვმარხულობ და გულს ვღვრი ღვთის წინაშე ჩემი ოჯახის საჭიროებაზე, შენ კი მთვრალს მეძახი? იმასაც კი ვერ ხვდები, როდის ლოცულობს ადამიანი გულწრფელად? რანაირი პასტორი ხარ? ეს რა ეკლესიაა? ჩემს ქმარს ვეტყვი და აქ მეორედ მომსვლელი არ ვარ. იმ ეკლესიაში ვივლით, ქუჩის ქვემოთ რომ არის!“

ასე რომ მოქცეულიყო, ხანა საზღაურს ვერასოდეს მიიღებდა. მას შვილი არასოდეს ეყოლებოდა და შესაძლებელია, კიდევ უფრო გამწარებულიყო უფლის მიმართ. ერთ დღესაც, ალბათ, მოკვდებოდა აზრით, რომ ღმერთი ლოცვებს არ პასუხობს. *ვიმარხულე, გულმოდგინედ ვილოცე, მაგრამ ღმერთმა არ მიპასუხა.* როგორც არ უნდა იყოს, ხანა ასე არ მოქცეულა. აი, მისი პასუხი შეურაცხმყოფელი წინამძღოლის მიმართ: „არა, ბატონო, სულდამწუხრებული ქალი ვარ, არც ღვინო და არც მაგარი სასმელი არ დამილევია; უფლის წინაშე ვღვრიდი ჩემს სულს. უკეთურ ქალად ნუ მიიჩნევ შენს მხევალს“ (1 სამ. 1:15-16).

ხედავთ, რომ ქალმა დიდი პატივისცემა გამოამჟღავნა. პირველ რიგში, ის მღვდელმთავარს „ბატონს“ უწოდებს. შემდეგ საკუთარ თავს მის „მხევლად“ მიიჩნევს. ის უღრმესი პატივის გამომხატველი სიტყვებით ლაპარაკობს. ამის შემდეგ ყელი ეუბნება: „მშვიდობით წადი და შეგისრულოს ისრაელის ღმერთმა თხოვნა, რაც სთხოვე მას“ (მუხ. 17).

მომდევნო სამი თვის განმავლობაში ხანა დაორსულდა. ერთი წლის თავზე მას სამუელი შეეძინა. ეს იყო ის, ვინც გამოღვიძებას მოიტანდა მთელ ისრაელში. ხანას სურვილი და ლოცვის სათხოვარი მანამ არ აღსრულდა, სანამ მღვდელს პატივი არ მიაგო, რომელმაც მას აწყენინა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ღმერთი მოგვიანებით ასე ამბობს იგივე მღვდელზე: „ნათქვამი მაქვს მისთვის, რომ სამუდამო მსჯავრს დავდებ მის სახლს უმართლობისთვის, რადგან იცოდა თავისი ძეების უკეთურება და არ ალაგმა. ამიტომაც დავუფიცე ყელის სახლეულს, რომ უკუნისამდე არ გამოისყიდება მისი სახლეულის ბრალი“ (3:13-14).

ოჰო, ამ სიტყვების გაგონება არასოდეს მოგინდებათ თქვენი ან თქვენი ოჯახის მიმართ. არანაირი პატიება სამარადისოდ! და მაინც, ხანა სწორედ ამ ადამიანის პატივისცემისთვის სასურველს იღებს ღვთისგან. შედეგზე ნაკლებად იმოქმედა ყელის მდგომარეობამ. მთავარი იყო ხანა როგორ მიიღებდა მის ზემდგომ ძალაუფლებას. თუ პატივს მივაგებთ ჩვენს მაღლა მდგომებს, ღვთისგან საზღაურს მივიღებთ მათი პოზიციის გავლით.

5

ძალაუფლება

სანამ წინასწარმეტყველის ან წინამძღოლის საზღაურზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, თავად ძალაუფლების მნიშვნელობასა და ფასეულობაზე ვილაპარაკოთ. რაკი ეს ჭეშმარიტება ერთხელ და სამუდამოდ ფესვს გაიდგამს ჩვენს გულში, გულწრფელად და უფრო ნაყოფიერად მივაგებთ პატივს ძალაუფლებაში მყოფთ.

გავიხსენოთ „*პატივის*“ მნიშვნელობა; ეს არის „დაფასება, წონადად და ძვირფასად მიჩნევა“. თუ ჩვენი პატივისცემის ობიექტი ძალაუფლების მქონე ადამიანია, რომელ საკითხსაც მომდევნო რამდენიმე თავში განვიხილავთ, პატივისცემას მოკრძალებისა და მოწიწების მნიშვნელობაც კი ენიჭება. უებსტერის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად (1828 ვერსია), პატივი გახლავთ „მოწიწებული, თავაზიანი დამოკიდებულება; *დაფასებით და მორჩილებით მოქცევა და მის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება*“. ამ განსაზღვრებიდან ვხედავთ, რომ ძალაუფლების მორჩილება ნამდვილი პატივისცემის ერთ-ერთი ასპექტია.

თუ ვამბობთ, რომ ძალაუფლებას პატივს მივაგებთ, მაგრამ მის მორჩილებაზე უარს ვამბობთ, საკუთარ თავს ვატყუებთ. ძალაუფლების პატივისცემა მის დამორჩილებას ნიშნავს. თუ ასე არ მოვიქცევით, უპატიოვყოფთ მას. გაიხსენეთ რომაელი ასისთავი; იგი იყო ადამიანი, რომელიც აღიარებდა, ცნობდა და ემორჩილებოდა ძალაუფლებას. ეს მისი არსების ნაწილი გახლდათ. პატივისცემა მისი გულიდან მოდიოდა. შედეგად, მან დიდი პატივი მიაგო იესოს და სრული საზღაური მიიღო.

ძალაუფლების ოთხი კატეგორია

თუ ეს საკითხი საფუძვლიანად არ გესმით, განსაკუთრებით, დღევანდელ საზოგადოებაში, ძალიან ადვილია გადაცემული ძალაუფლების მიმართ ნაკლები პატივისცემის გამოჩენა ან საერთოდ უგულებელყოფა. ამ ჭეშმარიტებამ ფესვი უნდა გაიდგას თქვენს გულებში. მოკლედ გვეუბნებიან:

> „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას; ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღმერთისაგან, ხოლო არსებულნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ღმერთის დადგენილებას ეწინააღმდეგება, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“.
>
> – რომ. 13:1-2

პირველი, ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს არ არის რჩევა. ეს არის ბრძანება. ასევე დააკვირდით სიტყვებს „ყოველი სული“. ეს ნიშნავს, რომ გამონაკლისი არ არსებობს. ყველა, ვინც იესოს სახელს მოუხმობს, ამ ვალდებულებას ექვემდებარება.

ვინ არის „უმაღლესი ხელისუფლება“? ამ კონკრეტულ მონაკვეთში პავლე სამოქალაქო ანუ სახელისუფლებო ძალაუფლებაზე ლაპარაკობს. თუმცა შეგონების სიტყვები არა მარტო მთავრობის მეთაურებს, არამედ გადაცემული ძალაუფლების სხვა სფეროებსაც ეხება.

ახალი აღთქმა გადაცემული ძალაუფლების ოთხ კატეგორიაზე ლაპარაკობს: სამოქალაქო, საეკლესიო, საოჯახო და საზოგადოებრივი. საზოგადოებრივში ვგულისხმობ დამქირავებლებს, უფროსებს, მასწავლებლებს, მწვრთნელებსა და ასე შემდეგ. ახალი აღთქმა თითოეული კატეგორიისთვის განსაკუთრებულ მითითებებს იძლევა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, რჩევა საზღვრებს ცდება და გადაცემული ძალაუფლების ყველა სფეროს მოიცავს.

გაიხსენეთ, რომ წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველის სახელით მიღებაზე ლაპარაკისას, იესომ მასთან დააკავშირა მართალი კაცი და ბოლოს, ერთი მცირეთაგანი. როგორც ადრე აღვნიშნეთ, აქ ადამიანთა სამ კატეგორიას ვხედავთ: ჩვენს წინამძღოლებს, თანატოლებსა და ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფებს. რაც შეეხება წინამძღოლებს, იესო მას „წინასწარმეტყველს“ უწოდებს, რაც პირდაპირ საეკლესიო

მმართველობაზე მიუთითებს თუმცა პრინციპი ვიწრო ფარგლებს ცდება და სხვა სფეროებსაც მოიცავს. შემდეგი მონაკვეთი ამ მოსაზრებას ადასტურებს:

„სწორედ ამისათვის იხდით ხარკს, ვინაიდან ისინი ღვთის მსახურებს წარმოადგენენ და დღენიადაგ მიძღვნილნი არიან ამ საქმეზე. ამრიგად, *მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის*: „ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, ვისაც შიში - შიში, *ვისაც პატივი — პატივი*“.

– რომ. 13:6-7 (ხაზგასმა ჩემია)

სამოქალაქო ძალაუფლება ღვთის მიერ არის დანიშნული და მისთვის შრომობს. მათთვის პატივის მიგებით ღმერთს მივაგებთ პატივს; შესაბამისად, ღმერთიც საზღაურს დაგვიბრუნებს. ეს პატივისცემის პრინციპია.

საზოგადოებრივ ძალაუფლებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„უღელქვეშ მყოფი მონები *ყოველგვარი პატივის* ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ ბატონებს“.

– 1 ტიმ. 6:1 (ხაზგასმა ჩემია).

თანამედროვეობაში მისი პრაქტიკული გამოყენება ასეთია: „დაქირავებული მუშაკები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ უფროსებს“. ან ასე: „განათლების სისტემის მოსწავლეები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ მასწავლებლებს“. იგივე დამოკიდებულება უნდა იყოს გუნდის წინამძღოლებსა და წევრებს ან ათლეტებსა და მათ მწვრთნელებს შორის. მითითება მოიცავს ყველა ურთიერთობას, სადაც ერთი მეორეს ექვემდებარება. ოჯახში ძალაუფლების შესახებ ვკითხულობთ:

„*პატივი მიაგე* შენს მამას და დედას, - ეს არის პირველი მცნება აღთქმით, - რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“.

– ეფეს. 6:2-3 (ხაზგასმა ჩემია)

მშობლების პატივისცემის საზღაური მცნებაზეა მიბმული.. ამაზე დაწვრილებით შემდეგში ვიმსჯელებთ. და ბოლოს, საეკლესიო ძალაუფლებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„გთხოვთ ძმებო, პატივი ეცით მომსახურეთ თქვენ შორის, თქვენს წინამძღოლთ უფალში და თქვენს დამრიგებელთ; უაღრესი სიყვარული გამოიჩინეთ მათდამი, მათი საქმის გამო“.

– 1 თეს. 5:12-13 (ხაზგასმა ჩემია)

კიდევ არის ბიბლიური მონაკვეთები ძალაუფლების თითოეულ სფეროზე და მათ მოგვიანებით განვიხილავთ. მთავარია, რომ ღმერთი გადაცემული ძალაუფლების ყოველი კატეგორიის პატივისცემისა და ამის გაკეთებით თავად პრინციპის დაფასებისკენ მოგვიწოდებს. საზღაურს მივიღებთ, ნაწილობრივსა თუ სრულს, თუმცა ამას ძალაუფლების მიმართ გამოვლენილი პატივის ხარისხი განსაზღვრავს.

სამეფო

უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის სამეფო ნამდვილად სამეფოა. მას აქვს რანგები, წესრიგი და გადაცემული ძალაუფლება. ამაზე წლების მანძილზე ვლაპარაკობ, მაგრამ მთელ მსოფლიოში, ყოველ კონტინენტზე (ანტარქტიკის ჩათვლით) სახარების ქადაგებისას აღმოვაჩინე, რომ ღვთიური საკითხების ადამიანებამდე მიტანა ყველაზე ძნელად დასავლურ სამყაროში ხდება. რატომ? პასუხი მარტივია.

ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც ღვთიური სამეფოს პრინციპებს დემოკრატიული აზროვნებით იგებს.

ღვთის სამეფო დამოკრატიული არ არის. ამრიგად, თუ ღმერთთან ასეთი აზროვნებით მივდივართ, მას საერთოდ ვერ დავუკავშირდებით, მისი ძალაუფლების დაცვის გარეშე დავრჩებით და ადვილად ავცდებით სწორ გზას. ამის გამო ხომ არ თქვა იესომ, რომ ბევრი იქნებოდა მოტყუებული ჩვენს თაობაში? დღეს უფრო მეტად უგულებელვყოფთ ძალაუფლების პატივისცემას, ვიდრე ოდესმე. კიდევ უფრო საგანგაშოა ფაქტი, რომ ასე მხოლოდ საზოგადოებაში კი არ ხდება, არამედ მაღიარებელ მორწმუნეთა შორისაც იგივე მდგომარეობაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ლეგიტიმური ძალაუფლება ღვთისგანაა და მოცემულია ჩვენი დაცვის, უზრუნველყოფისა და მშვიდობისთვის.

დასავლური აზროვნება ამერიკის ბევრი თემის გახლეჩის მიზეზი გახდა. სწორედ ამიტომ ტოვებენ ადამიანები ეკლესიას და სახლის ეკლესიას იწყებენ. მაღიარებელ ქრისტიანებს აღარ უნდათ თავად იესოს მიერ დადგენილი ძალაუფლების მორჩილება. შეიძლება თქვათ, *ჯონ, ჩინეთის ეკლესიები სახლის ჯგუფებისგან შედგება*. დიახ, ეს მართალია, მაგრამ ისინი იძულებული არიან ასე მოიქცნენ, რადგან საჯარო შეკრების უფლება არ აქვთ. გარდა ამისა, ჩინელები უკიდურესად ორგანიზებული არიან ღვთის სიტყვის პრინციპების შესაბამისად. ეს საოცარი ძალაუფლების მქონე სტრუქტურაა.

წლების წინ ჩინეთის იატაკქვეშა ეკლესიის ხუთ წინამძღოლთან შეხვედრა მთხოვეს. ამ ხუთ ადამიანს მრავალ მილიონ სულზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ისინი იატაკქვეშა ეკლესიის წამყვანი უხუცესები არიან. მათი ორგანიზებულობა საოცარია. ნახევარი მილიონი წიგნი გავუგზავნეთ და რამდენიმე დღეში მოახერხეს მთელი რაოდენობის დარიგება. მათ ბიბლიური ძალაუფლების შესაბამისი სტრუქტურა აქვთ.

ამერიკაში წარმოშობილი ახალი ჯგუფების საქმე ასე არ გახლავთ. მათ აკლიათ ახალაღთქმისეული მმართველობა და ანგარიშვალდებულება.

თუ შეამჩნიეთ წერილებში, პავლე გამუდმებით შეაგონებდა ტიტესა და ტიმოთეს, რომ უხუცესები დაეყენებინათ ეკლესიებში, სადაც წარგზავნილები იყვნენ. ამ წინამძღოლებს უნდა შეესწორებინათ, საყვედურები გამოეთქვათ, დაერიგებინათ და აეშენებინათ ეკლესიები. არსებობდა იესოს მიერ გადაცემული ძალაუფლებით გათვალისწინებული ანგარიშვალდებულება. ასეთ რამეს ხშირად ვერ შეხვდებით ამ ერში, სამაგიეროდ მრავლად იპოვით მორწმუნეებს, რომლებსაც გული ატკინეს ან აწყენინეს და ამის გამო ეკლესიასა და რაიმე სახის სტრუქტურაში გაერთიანება აღარ სურთ. მათ თვითმმართველ სახლის ჯგუფებს მიმართეს, რომ ეკლესიური საქმიანობა ანგარიშვალდებულების გარეშე აწარმოონ.

უნდა გვახსოვდეს, რომ არა ადამიანმა, არამედ იესომ დააფუძნა ეკლესია. (ეკლესია კი ყოველთვის არასრულყოფილი იყო – უბრალოდ, პავლეს წერილები წაიკითხეთ). საქმეთა წიგნიდან დაინახავთ, რომ მორწმუნეები ერთადაც იკრიბებოდნენ და ცალ-ცალკე სახლებშიც. კარგია სახლებში შეკრება, მაგრამ ჩვენი წინამძღოლობა და ანგარიშვალდებულება სულიერად მოწიფული უხუცესებისგან უნდა მოდიოდეს.

გთხოვთ, გაიგოთ, რომ სახლის ეკლესიების საწინააღმდეგო კამპანიას არ ვატარებ. მსოფლიოში ბევრი გამორჩეული სახლის

ეკლესია არსებობს, მაგრამ ისინი თავიანთ თავს ქრისტეს დიდი სხეულის ნაწილად მიიჩნევენ. ისინი ერთმანეთს არ გამოეყოფიან იმედგაცრუების, ტკივილის ან უთანხმოების ნიადაგზე.

ადვილი დასავიწყებელია, რომ ეკლესია ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც უმთავრესად, არაწევრი ადამიანებისთვის არსებობს. ეკლესია მომხმარებლური დამოკიდებულების კიდევ ერთ მსხვერპლად ვაქციეთ, მაგრამ ის არასდროს არ უნდა გამხდარიყო ჩვენი ნუგეშის მასაზრდოებელი სივრცე. ეკლესიას უნდა უზრუნველეყო ადამიანების მხარდამხარ დგომა, ლიდერების ჩათვლით, რომლებიც ჩვენს სტატუს-კვოს არ შეურიგდებოდნენ და ღვთიური მოგზაურობის საოცარ სამყაროში წინსვლისკენ გვიბიძგებდნენ.

ყველა კანონიერი ძალაუფლება ღვთისგანაა

ისევ რომაელთა მიმართ წერილს თუ დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ყველანი უნდა დავემორჩილოთ მმართველ ძალაუფლებას, რატომ? იმიტომ, რომ „არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღმერთისაგან“ (13:1). ყველა კანონიერი ძალაუფლება სამყაროში ღვთის ტახტიდან მოდის. თუ ნამდვილად ღვთის სულით შობილი ხართ, ცნობთ და დააფასებთ ძალაუფლებას. ფაქტობრივად, მაჩვენეთ პიროვნება, რომელიც ძალაუფლებას პატივს არ მიაგებს და მე გაჩვენებთ ადამიანს, რომელიც არ არის ღვთის შვილი. როცა ღმერთს ხვდებით, ძალაუფლებას ხვდებით, რადგან ღმერთი და მისი ძალაუფლება განუყოფელია. მნიშვნელობა არ აქვს, შეასრულა თუ არა ადამიანმა ცოდვილის ლოცვა ან დადის თუ არა ეკლესიაში ყოველ კვირას. ვისაც გულში ძალაუფლების პატივისცემა არ აქვს, ნამდვილი წმიდანი არ არის.

შეიძლება კითხვა დასვათ, „ჯონ, საიდან გაქვთ ამის თქმის გაბედულება?“ იესომ თქვა, რომ მორწმუნეებს მათი ნაყოფებით ვიცნობდით და არა შაბლონური ლოცვის წარმოთქმის ფაქტით. ადამიანი, რომელიც ნამდვილად იცნობს ღმერთს და უყვარს იგი, მის ძალაუფლებას ცნობს, რადგან ღვთის შეცნობა მისი ძალაუფლების აღიარებას ნიშნავს. მოგვიანებით პავლე რომაელებში აცხადებს: „არსებულნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი“ (13:1). ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ მუხლის თანახმად, ძალაუფლებანი არ არიან ადამიანის მიერ დადგენილნი? არა, თავად ღმერთმა დააყენა ისინი. ფაქტობრივად, სიტყვის „*დადგენილნი*“ შესაბამისი ინგლისური სიტყვა გახლავთ ბერძნული *ტასსო*, რც ნიშნავს „დაშვება,

დადგენას“. აქ „შემთხვევით“ რაიმეს დაშვება გამორიცხულია. ეს პირდაპირი დანიშვნაა. ვინაიდან ღმერთმა დაადგინა ყველა მათგანი, უარს ვამბობთ მათ უკან მდგარ ძალაუფლებაზე თუ პატივს არ მივაგებთ ან არ ვემორჩილებით. ამას ვაცნობიერებთ თუ არა, ღვთის დადგენილებას ვეწინააღმდეგებით. როცა ღვთის გადაცემულ ძალაუფლებას ვუპირისპირდებით, თავად ღმერთს ვუპირისპირდებით. სწორედ ამიტომ წერს მოციქული: „ხელისუფლების მოწინააღმდეგე ღმერთის დადგენილებას ეწინააღმდეგება“ (13:2).

მახსოვს, როცა პირველად გავაცნობიერე ეს ჭეშმარიტება. 1992 წელს ბილ კლინტონი შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს. დათრუგუნული და გაბრაზებული ვიყავი დაახლოებით სამი დღის განმავლობაში. შემდეგ სულიწმიდამ ჩემამდე მოიტანა აზრი, რომ ამ თანამდებობას ვერავინ დაიკავებდა ისე, რომ მას არ სცოდნოდა. გულში მიღებული ამ გამოცხადების შემდეგ პრეზიდენტ კლინტონის კრიტიკის ნაცვლად მისი პატივისცემა, მისთვის ლოცვა და ღვთის წინაშე მადლიერება დავიწყე. ღმერთი პავლე მოციქულის მეშვეობით გვეუბნება: „შეგაგონებ, უწინარეს ყოვლისა, ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი ... მეფეებისა და ყველა ზემდგომთათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობითა და პატიოსნებით“ (1 ტიმ. 2:1-2).

ყურადღება მიაქციეთ, რომ მშვიდობიანი ცხოვრება შესაძლებელია მაშინ, როცა ძალაუფლების მიმართ მოკრძალება გაქვს. ეს ერთ-ერთი საზღაურია, რომელსაც ღმერთი მმართველობის პატივისმცემელს აძლევს. თუ ჩვენ, როგორც მორწმუნეები პატივს არ მივაგებთ ძალაუფლებას, საკუთარ თავს პრობლემებს მოვუტანთ.

არსებობს დევნის ორი ტიპი. ერთია საკუთარი ქმედებებით დატეხილი, ხოლო მეორე – სიმართლის გამო. პეტრე მოციქული ორივეს განიხილავს. პირველთან დაკავშირებით იგი ამბობს: „რა სარგებელია, თუ დანაშაულისთვის გცემენ და ითმენთ“ (1 პეტრ. 2:20). მარტივად რომ ვთქვათ, თუ არასწორად ვიქცევით, ამისთვის დავისჯებით. კიდევ უფრო მარტივად, თუ გაჩერების საგზაო ნიშანს არ დაემორჩილეთ და გაიარეთ, რის შემდეგაც უკანა ხედვის სარკეში წითელი და ლურჯი სიგნალებით მოციმციმე მანქანა დაინახეთ, ეშმაკს ნუ დააბრალებთ. რატომ? იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ღმერთმა ხელისუფლება დააყენა. „მთავრები კეთილის მოქმედთათვის კი არ არიან საშიშნი, არამედ ბოროტ საქმეთა ჩამდენთათვის ... კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან“ (რომ.13:3). ამრიგად,

ძალზე ადვილია საკუთარი თავისთვის მიყენებული ტანჯვისგან გათავისუფლება; უბრალოდ, დაემორჩილეთ ძალაუფლებას და პრობლემები აღარ გექნებათ.

მეორე სახის დევნა სიმართლის გამო ხდება. ამ დროს ხელისუფლება გვსჯის, თუმცა ცუდი არაფერი ჩაგვიდენია. პეტრე ასე ამბობს: „თუ კარგი ქცევის მიუხედავად ცუდად გეპყრობიან და მაინც კეთილ მსახურად რჩებით, ეს ჩაგეთვლებათ ღვთის წინაშე. ასეთი ცხოვრებისთვის მოგიწოდათ იესომ. ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ქრისტემ“ (1 პეტრ. 2:2021 MSG).

როცა ცუდად გვექცევიან და მაინც კარგ თანამშრომლად, სტუდენტად, მოქალაქედ, ეკლესიის წევრად ვრჩებით, ეს უმაღლესი პატივია. მდევნელთა ფასეულ ადამიანებად მიჩნევას უფლის შიში სჭირდება ჩვენს გულებში.

ამ სიტყვების გათვალისწინების ნაცვლად ბევრი პროტესტს გამოთქვამს: „მე თავისუფალი ვარ, მე ქრისტიანი ვარ და თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობ. ასეთ სისულელეს ვერ შევეგუები!“ დიახ, თავისუფალი ხართ, მაგრამ გაიხსენეთ, რას ამბობს ღვთის სიტყვა: „ხოლო თქვენ, ძმებო, თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად“ (გალ.5:13). ჩვენ მოწოდებული ვართ ცხოვრებისთვის, რომ უსამართლო მოქცევას სწორად უნდა ვუპასუხოთ. მოუსმინეთ, რას ამბობს პეტრე: „ამისათვის ხართ კიდეც მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და ნიმუშიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ“ (1 პეტრ.2:21).

როგორი იყო იესოს მაგალითი? იგი ხელისუფლებამ დასაჯა არასწორი საქციელისთვის, როცა ყველაფერს სწორად აკეთებდა. ამას დიდი ხნის კითხვასთან მივყავართ: *უნდა დავემორჩილოთ და პატივი მივაგოთ თუ არა უღმერთო მთავრობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცუდად გვექცევა?*

უღმერთო მთავრობა?

ბევრს პროტესტის ნიშნად განუცხადებია ჩემთვის: „ჯონ, ვიცი ძალზე სასტიკი და ბოროტი მთავრობები. გინდა მითხრა, რომ ისინი ღმერთმა დააყენა? უფრო მეტიც, უნდა დავემორჩილოთ მათ? ნუთუ აქ გამონაკლისი არ არსებობს?

მართალია, ბევრი მთავრობა სასტიკი, ტირანული და უსამართლოა; ფაქტობრივად, წმიდა წერილი სავსეა ამის მაგალითებით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რას ამბობს ღვთის სიტყვა. ის ამბობს, რომ *ყოველგვარი ძალაუფლება ღვთისგანაა, მაგრამ არ ამბობს, რომ ყველა მთავრობა ღვთისნიერია.*

როცა ღმერთი ახალი აღთქმის ავტორებს თავისი შვილებისთვის მითითებებს აწერინებდა, იცოდა, რომ ურჯულო მთავრობებიც იქნებოდნენ. ფაქტობრივად, წმიდა წერილში მრავლადაა აღწერილი ასეთი ურჯულო ხელისუფალნი. გადახედეთ ფარაონს. იგი სასტიკად ეპყრობოდა აბრაჰამის შთამომავლებს, ღმერთთან აღთქმაში მყოფ ადამიანებს. ის ჩაგრავდა, სცემდა და კლავდა კიდეც მათ შვილებს.

საიდან მიიღო ფარაონმა ეს ძალაუფლება? წმიდა წერილის თანახმად, ღმერთმა უთხრა ფარაონს: „იმისთვის გტოვებ“ (გამ. 9:16). პავლემაც დაამოწმა იგივე აზრი ერთ-ერთ წერილში (რომ. 9:17) და ეს ჭეშმარიტება ორი მოწმის მიერ დამტკიცდა (იოან. 8:17). ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ღმერთმა და არა ადამიანმა ან ეშმაკმა წამოაყენა და დატოვა ფარაონი ძალაუფლების პოზიციაზე. ეს ეთანხმება განცხადებას, რომ „არსებულნი, ღვთის მიერ არიან დადგენილნი“ (რომ. 13:1).

გადახედეთ ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს. მან გაანადგურა იუდა, გაძარცვა ტაძარი და ღვთის ხალხის სახლების დიდი უმრავლესობა. მან თავისი იმპერია იმ დროს ცნობილ მსოფლიოზე გადაჭიმა. ის იმდენად ეურჩებოდა ღვთის გზებს, რომ სიცოცხლეშივე გაგიჟდა და ადამიანთა რიგებიდან ამოირიცხა. მხეცებთან ცხოვრობდა მინდორში და ხარივით ჭამდა ბალახს, მისი სხეული დილის ცვრით სველდებოდა, თმები არწივის ფრთებს მიუგავდა, ხოლო ფრჩხილები – ფრინველის კლანჭებს (დან.4:33). და მაინც, ღმერთმა ნათლად თქვა ამ ადამიანზე: „აჰა, გავგზავნი და მოვიყვან ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს, *ჩემს მსახურს*, და დავდგამ მის ტახტს (იეს. 43:11, ხაზგასმა ჩემია) ღმერთმა მას „ჩემი მსახური“ უწოდა, რადგან კიდევ ვიმეორებ, რომ „არსებული ძალაუფლება ღვთის მიერ არის დადგენილი“.

გადავხედოთ მეფე საულს. ბევრი მსახურისგან გამიგია ასეთი განცხადება: „საული ხალხის არჩეული იყო, ხოლო დავითი – ღვთისა“. ეს მცდარი ვარაუდია, რომელიც ღვთის სრულ სიტყვას არ შეესაბამება. ანალოგიური უმეცრების გამომხატველი განცხადებები ღვთის ხალხს აზიანებს, რადგან შეპარვით გადმოსცემს აზრს, თითქოს ზოგიერთი კანონიერი ძალაუფლება შეიძლება ადამიანის მიერ იყოს დანიშნული და არა ღვთისგან დადგენილი. ეს კი თავის მხრივ იწვევს ხალხისგან პატივისცემის დაკავებას, მთავრობის დაუმორჩილებლობას და საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას. მოუსმინეთ, რა თქვა ღმერთმა ამ დაუცველ, შეურაცხად და ურჯულო წინამძღოლზე: „ვწუხვარ, რომ გავამეფე საული, რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს“ (1 სამ. 15:11).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთმა თქვა: „გავამეფე საული“. ხალხმა კი არა, ღმერთმა დააყენა ის. ვიმეორებ, რომ ეს შეესაბამება განცხადებას: „არსებული მთავრობები ღვთისგან არიან დადგენილნი“.

დავითი, რომელიც ერთადერთია ბიბლიაში, ვისაც „ღვთის გულის სანდომი კაცი“ ეწოდება, საულის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ღმერთმა საულის გამეფების შესახებ წუხილი გამოთქვა. ეს არ იყო შემთხვევითობა, არამედ – ღვთიური გეგმა.

საული მას კეთილად ექცეოდა დასაწყისში, სანამ დავითი მის მიზნებს ემსახურებოდა. როგორც კი დავითი საკუთარი უსაფრთხოების მუქარად აღიქვა, საული ძალმომრეევი და ეჭვიანი გახდა. მან დავითის განადგურება განიზრახა, რის გამოც ეს უკანასკნელი ბუნდოვან მომავალზე ფიქრით გაიქცა.

მომდევნო თოთხმეტი წლის მანძილზე დავითი გამოქვაბულებში, უდაბნოებსა და შორეულ ადგილებში იცხოვრებს. სამშობლოდან გადახვეწაც არ იქნება მისთვის უცხო. იფიქრეთ ამაზე, რომ დავითს თქევსმეტი წლიდან ოცდაათის მიღწევამდე არათუ სახლში დაბრუნება, დროებით სტუმრობაც კი არ შეეძლო. იგი მოკვეთილი იყო ოჯახის წევრებს და ბავშვობის მეგობრებს. ის ვეღარ შეძლებდა დროის გატარებას საუკეთესო მეგობართან, იონათანთან, რადგან ამით მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა საულის მხრიდან. ყველაფერი, რაც სიჭაბუკეში იტაცებდა – უსაფრთხოება, ნუგეშისცემა და ბავშვობის საამო ადგილები – უხეშად მოგლიჯეს თოთხმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ იმ წინამძღოლის გამო, რომლის ქვეშევრდომადაც ღმერთმა დააყენა. გადასახლებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დავითს ამ ლიდერის მიერ დატეხილი საცოდავი მდგომარეობისთვის ბოლოს მოღება შეეძლო. მას ყენ გადის უდაბნოში საულის მოკვლის შესაძლებლობა მიეცა. მეფე და მისი არმია ყენ გადის გამოქვაბულში იმყოფებოდნენ იარაღის გარეშე და არ იცოდნენ, რომ დავითი და მისი კბილებამდე შეიარაღებული ხალხი იმავე გამოქვაბულის ბოლოში იმალებოდნენ. თანამებრძოლებმა დავითი საულის მოსაკლავად წააქეზეს. მის დასარწმუნებლად ღვთის სიტყვაც კი არასწორად გამოიყენეს: „აი, ის დღეც, რომელზეც გითხრა უფალმა, აჰა, ხელში ჩაგიგდებო შენს მტრებს და უყავი, რაც გენებოს“ (1 სამ. 24:4).

არსებითად, ისინი ასე ეხვეწებოდნენ: „დავით, მეფე საული მანიაკია, ჩვენს ერს ანადგურებს. მან უდანაშაულო ოჯახები და მღვდლები დახოცა. დიდმა წინასწარმეტყველმა სამუელმა

ისრაელის მეფედ გცხო. ღმერთმა ასე ბრძანა. თუ შენ არ დაასწრებ, საული მოგკლავს. ეს თავდაცვაა. ნებისმიერი მსაჯული დაამოწმებს ამას და უდანაშაულოდ გცნობს!“ მშვენიერი ნააზრევი იყო და მათ არც კი უხსენებიათ სრულიად ცხადი სამხილები: საულის უსაფუძვლო ბრალდებები და დავითის წინააღმდეგ შეტევები, რომელთა გამოც ასე საცოდავ მდგომარეობაში ცხოვრება უწევდა.

მათმა ზეწოლამ დავითი ვერ დაარწმუნა, მაგრამ ერთი იდეა კი მიაწოდა. ერთხელ და სამუდამოდ დაუმტკიცებდა თავის ერთგულებას საულს მოსასხამის ბოლოს მოჭრით. თუ საული დარწმუნდებოდა, რომ დავითს მისი მოკვლა შეეძლო, მაგრამ თავი შეიკავა და თანმხლებთაც დაუშალა, აღარ მიიჩნევდა მისი ძალაუფლების მტრად და მოსაკლავად დევნასაც შეეშვებოდა.

როგორც კი საულს მოსასხამის ბოლო მოაჭრა, წმიდა წერილის თანახმად, გული შეუშფოთდა და სინდისმა ამხილა. მან მეფეს პატივი არ მიაგო. როგორ შეეძლო ასეთი რამის ჩადენა? მან სწრაფად დაიხია უკან და თავის ხალხს უბრძანა: „ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს! ხელს არ აღვმართავ მასზე, რადგან უფლის მიერ არის იგი ცხებული“ (მუხ. 6-7).

თუმცა, რაკი უკვე დააზიანა მეფის მოსასხამი, გადაწყვიტა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა და თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. მან შორი მანძილიდან შესძახა თავის წინამძღოლს:

> „რატომ უსმენ ხალხის სიტყვებს, აჰა, ბოროტს გიპირებსო დავითი? აჰა, შენი თვალით დაინახე, რომ ხელში ჩამიგდო შენი თავი უფალმა გამოქვაბულში. ზოგიერთნი მეუბნებოდნენ, მოკალიო, მაგრამ დაგინდე და ვთქვი, ხელს არ აღვმართავ-მეთქი ჩემს ბატონზე, რადგან უფლის მიერაა ცხებული! შეხედე, მამაჩემო; დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს. მოსასხამის კიდის მოჭრისას რომ არ მოგკალი, ამით მიხვდი, რომ არ ვარ ბოროტი და მეამბოხე; არც ბოროტება განმიზრახავს, არაფერი შემიცოდავს შენ წინაშე; შენ კი მოსაკლავად მდევნი უფალმა განსაჯოს ჩემსა და შენს შორის და უფალმა მოგიზღოს სამაგიერო ჩემ გამო. მე შენზე ხელს არ აღვმართავ“.
>
> – 1 სამ. 24:9-12

თუკი სადმე არსებობდა შურისძიების მიზეზი, ნამდვილად იყო აქ, მაგრამ დავითი ღმერთს მიენდო. რაც შეეხება მის

საქციელს, საულის პატივისცემის გარდა არაფერი გაუკეთებია. საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზს „მამაჩემოც“ კი უწოდა.

საული დიდად განაცვიფრა დავითის სიკეთემ და შესძახა: „შენ უფრო მართალი ხარ, ვიდრე მე; კეთილად მექცეოდი, მე კი ბოროტებით გიხდიდი“(მუხ.17). შემდეგ საული თავის კაცებთან ერთად წავიდა.

დავითის პატივისცემის უდიდესი გამოცდა

ახლა, როცა დავითმა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა, ალბათ, იფიქრებდით, რომ საულმა თავი გაანება. ამ სასტიკი წინამძღოლისგან მსგავსი არაფერია მოსალოდნელი. გარკვეული დროის შემდეგ საულმა გაიგო, რომ დავითი ხაქილას გორაკებზე იმალებაო. ისევ წაიყვანა სამი ათასი რჩეული მეომარი და დავითს დაედევნა.

წარმოგიდგენიათ დავითის გულისტკივილი? მან საულს თავისი უდანაშაულობა სულ ცოტა ხნის წინ დაუმტკიცა, ახლა კი ისევ მის სიცოცხლეს დაეძებს. ეს მკაფიოდ ადასტურებდა, რომ დავითის იმედი არ გამართლდა: მისი წინამძღოლი ცივსისხლიანი მკვლელი იყო. ყველაზე მეტად ეს აღაშფოთებდა. *პატივი მივაგე ჩემს წინამძღოლს მისი სიცოცხლის დანდობით, როცა ადვილად შემეძლო თავდაცვის მიზნით მისი მოკვლა და რა მივიღე გამოჩენილი პატივის სანაცვლოდ?* ალბათ, ბევრი შესძახებდა: „ახლა კი სამაგიერო უნდა გადაუხადო!“

მალე დავითმა შეიტყო, რომ საულის არმია ღრმა ძილს მოეცვა უფლისგან (1 სამ. 26:12). მან თავის ხალხს ჰკითხა, ვინ გაყვებოდა საულის ბანაკამდე. წინ გამოვიდა სრულყოფილი მოხალისე აბიშაი, იოაბის უმცროსი ძმა (ისინი სისხლს მოწყურებული ძმები იყვნენ).

ამრიგად, დავითი და აბიშაი ღამით საულის არმიის ბანაკში შეიპარნენ. საულს ბანაკის შუაგულში ღრმა ძილით ეძინა აბნერის გვერდით. აბიშაიმ დავითს უთხრა:

– ღმერთმა ჩაგაგდებინა დღეს ხელში შენი მტერი. ნება მომეცი და ერთი დაკვრით დავაკლავ მიწას, მეორე დარტყმა აღარ დამჭირდება (მუხ. 8).

ვხედავ, როგორ ყოყმანობს დავითი საპასუხოდ. ის, ალბათ, ასე ფიქრობს:

– *ამ წუთას შემიძლია ბოლო მოვუღო ჩემს ძაღლუმადურ ცხოვრებას და არა მარტო ჩემსას, არამედ ჩემი ხალხისა და ერისას. აქ მყავს ერთ-ერთი მომხრე, რომელიც ჩემი ერთგულია*

და მეხვეწება, რომ ლოგიკურად ვიმოქმედო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი თანამებრძოლებისთვისაც. ამ ერთგულ ადამიანებს თავიანთი ოჯახების ნახვა სურთ. რატომ უნდა ვიყო საულის ერთგული და არა ჩემი ხალხისა? საულმა მომატყუა. მან სახელი მომპარა, როცა ერს უთხრა, რომ მოღალატე ვიყავი. მან მომპარა საკუთარი მამის სახლში ძედ და ისრაელის მოქალაქედ წოდების პრივილეგია. მან წამართვა ცოლი და სხვა კაცს მისცა (1 სამ. 25:44). მან წამართვა ყველაფერი, რაც გამაჩნდა.

ფიქრებს ერთგული თანამებრძოლის ხმა აწყვეტინებს, რომელმაც სიცოცხლე მიუძღვნა დავითის კეთილდღეობას. ეს აბიშაია.

– დავით, რას აკეთებ? რატომ აჭიანურებ ბრძანების გაცემას, რომ ეს ურჩხული მიწას დავაკლა?

ვხედავ, როგორ განაგრძობს აბიშაი:

– არც კი მითხრა, რომ ამის გაკეთებას არ აპირებ. შენ არაერთხელ დაამტკიცე საკუთარი უდანაშაულობა. არ გახსოვს, რა მოხდა ყენ-გადის მღვიმეში? ის შენს ხელთ იყო, მაგრამ მისი სიცოცხლე დაინდე. შენი ერთგულება ეჭვგარეშე იყო, მაგრამ მაინც განაგრძობს შენს დევნას. ეს თავდაცვაა; ნებისმიერი სასამართლოსთვის ცხადი იქნება.

პასუხი არ არის.

ვხედავ, როგორ ეკარგება მოთმინება აბიშაის:

– დავით, დიდმა წინასწარმეტყველმა სამუელმა გცხო ისრაელის მომდევნო მეფედ. შენ ხარ ერთადერთი, ვინც ჩვენი ხალხი ბოროტი მეფისგან უნდა იხსნას. არ გახსოვს, სინდისის ქენჯნის გარეშე რომ ამოხოცა ნობში ოცდარვა მღვდელი, მათი ცოლები და პატარა შვილები მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა პური მოგვცეს საჭმელად (1 სამ. 22)? ის ბინძური მკვლელია!

ბოლოს აბიშაიმ ამოილუღლუღა:

– დავით, როგორ გგონია, რისთვის მოუვლინა ღმერთმა ძილქუში მთელ ამ არმიას? იმისთვის, რომ ერი ამ ბოროტი მეფისგან გეხსნა!

დავითმა აწონ-დაწონა ერთგული მეგობრის რჩევა. რაც არ უნდა ლოგიკური ყოფილიყო ის, ღვთიურ რჩევასთან მაინც ვერ მოვიდოდა. ამრიგად, მან უარი თქვა აბიშაის შემოთავაზებაზე, თავდაცვის აზრებზე და მტკიცედ განაცხადა:

– ნუ მოკლავ, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელი არ დარჩება.

დავითმა ასე თქვა:

– უფალს ვფიცავ, თავად უფალი განგმირავს მას ან მისი დღე მოვა და მოკვდება, ან ომში წავა და დაიღუპება. ღმერთმა

დამიფაროს, რომ უფლის ცხებულზე აღვმართო ხელი. ახლა აიღე მის სასთუმალთან დარჭობილი ეგ შუბი, წყლის ჭურჭელი და წავიდეთ აქედან (1 სამ. 26:9-11).

დავითმა შეაკავა თავისი მსახური და ორივემ დატოვა ბანაკი.

რატომ მოგვარა ღმერთმა ღრმა ძილი მთელ ბანაკს? დავითის გულის გამოსაცდელად. იმისთვის, რომ ენახა, დარჩებოდა ღვთის გულის სანდომ კაცად თუ საულს დაემსგავსებოდა და ვითარების საკუთარ ხელში აღებას შეეცდებოდა? უპატივცემულობას გამოიჩენდა ღვთის მიმართ მის მიერ დაყენებული ადამიანის უპატივცემულობით თუ არა? ეს დავითისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მომენტი იყო.

დავითმა პატივი მიაგო მეფეს მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელმა ყველაფერი გააკეთა მისი შეურაცხყოფისთვის. საზღაური იმაზე დიდი იქნებოდა, ვიდრე დავითს წარმოედგინა. ნახეთ, რა თქვა ღმერთმა კაცზე, რომელმაც დააფასა და პატივი მიაგო სასტიკ წინამძღოლს:

> „ვპოვე დავითი, მსახური ჩემი და ჩემი წმიდა ზეთი ვცხე მას. ჩემი ხელი წარმართავს მას, და ჩემი მკლავი განამტკიცებს მას. მტერი ვერ დაჯაბნის მას და ურჯულო ვერ დაჩაგრავს. მის წინაშე შევმუსრავ მის მტრებს და მის მოძულეებს დავლახვრავ. ჩემი ერთგულება და წყალობა იქნება მასთან; ჩემი სახელით მომაღლდება მისი რქა ღირსებისა ერთხელ დავიფიცე ჩემი სიწმიდით: არ ვეცრუები დავითს. მარადჟამს იქნება მისი შთამომავალი და მისი ტახტი - როგორც მზე ჩემს წინაშე; მთვარესავით დაფუძნდება უკუნისამდე, როგორც ერთგული მოწმე ზეცაში“.
>
> – ფს. 89:20-24, 35-37

დავითმა შეძლო საულის სისასტიკის მიღმა გახედვა და მის ზემოთ მდგარი ძალაუფლების დანახვა. იგი პატივისგების პრინციპით ცხოვრობდა; თუ პატივს მიაგებდა მას, ვინც ღმერთმა ზემდგომად დაუყენა, ფაქტობრივად, თავად უზენაესს მიაგებდა პატივს. მე ვიტყოდი, რომ ზემომოყვანილი ადგილი იმ უზარმაზარ პატივს გამოხატავს, რომელიც ღმერთმა დავითს არგუნა. მართლაც დიდი საზღაურია!

ამ შემთხვევიდან მოკლე ხანში ღმერთმა საული განსაჯა – ფილისტიმელებმა იგი ბრძოლაში მოკლეს. როცა დავითმა მისი

სიკვდილის ამბავი შეიტყო, ქების სიმღერა უძღვნა საულსა და იონათანს და შემდეგ ყველა იუდეველს ასწავლა, რომ ემღერათ. მან თავის წინამძღოლს ღვთიური გასამართლების შემდეგაც მიაგო პატივი.

უკვე განვიხილეთ რამდენიმე ბიბლიური მაგალითი, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რომ ღმერთი აყენებს ადამიანს ძალაუფლების პოზიციაზე და არა ადამიანი ან თუნდაც დემონური ძალები. კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ღმერთმა დაადგინა ყოველი წინამძღოლი – კეთილი ქცევის თუ სასტიკი. ეს ადამიანები გარკვეული მიზნისთვის იყვნენ დაყენებულნი და არა შემთხვევით. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო ღვთის შეუცდომელი სიტყვა: „არსებული ძალაუფლებანი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“.

სასტიკი წინმამძღოლის ძალაუფლებაც ღვთის მიერ დადგენილია. თუმცა მისი ბოროტი ქცევა ღვთისგან არ მოდის. წინამძღოლი ღვთის წინაშე პასუხს აგებს, მაგრამ იქამდე მისი ქვეშევრდომები დავითის მსგავსად გამოიცდებიან. თუ პატივს მიაგებენ, დიდ საზღაურს მიიღებენ.

უკვე დავრწმუნდით, რომ სწორედ ღმერთი აყენებს ყოველგვარ ძალაუფლებას. მომდევნო თავში გავაგრძელებთ შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემას: *უნდა დავემორჩილოთ თუ არა ძალაუფლებას, რომელიც მკაცრი ან უფრო მეტიც, ბოროტია?*

6

მკაცრი ხელისუფლება

წინა თავში წმიდა წერილიდან შევისწავლეთ, რომ ღმერთმა დაადგინა ყველა კანონიერი ხელისუფლება, მათ შორის სასტიკებიც. როგორ შეუძლია კეთილ ღმერთს ძალაუფლების სათავეში სასტიკი ადამიანების დაყენება? პასუხი მარტივია. ღმერთია ძალაუფლების ავტორი, მაგრამ არა – სისასტიკისა. ადამიანი არის პასუხისმგებელი თავის არასწორ ქმედებებზე და არა ღმერთი. დაიმახსოვრეთ ეს ჭეშმარიტება: *ყოველგვარი ძალაუფლება ღვთისგანაა, მაგრამ ყველა ძალაუფლება როდია ღვთისნიერი.*

ახლა კიდევ ერთ ძველ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი. დავემორჩილოთ თუ არა სასტიკ ხელისუფლებას, როცა ისინი ცუდად გვეპყრობიან? პასუხი ნათელია დავითის ცხოვრებიდან. მისი მაგალითი გვაჩვენებს, რომ ღვთის ნებაა ძალაუფლების მორჩილება მაშინაც კი, როცა ის ურჯულოა. მოდი, კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ წინ; პეტრე მოციქულს მივმართოთ და პირდაპირ მოვისმინოთ ამის შესახებ:

> „მსახურნო (დაქირავებულო მუშაკებო, სტუდენტებო, მოქალაქეებო, ეკლესიის წევრებო და ა.შ.) დაემორჩილეთ ბატონებს (დამქირავებლებს, უფროსებს, მასწავლებლებს, ეკლესიის ლიდერებს, სამოქალაქო ძალაუფლებას) მთელი მოშიშებით, არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უკუღმართთაც“.
>
> – 1 პეტრ. 2::18 (ფრჩხილებში სიტყვები ჩემია)

სასურველია კარგი და თავაზიანი ლიდერების ყოლა და ისინი მნიშვნელოვანნი არიან ჩვენი ზრდა-განვითარებისთვის. თუმცა პეტრე არა მარტო *კეთილებსა* და *შემწყნარებლებზე* მიუთითებს, არამედ განსაკუთრებით ხაზს უსვამს *უკულმართთა* მორჩილებას.

ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს: „მთელი მოშიშებით". ამაშია მისი მითითების საიდუმლო. გაიხსენეთ, რომ ნამდვილი პატივისცემა გულიდან მოდის და ღვთისმოშიშების მაჩვენებელია. ამერიკელებს გვჩვევია ძალაუფლებისთვის თქმა: „ჯერ ჩემი პატივისცემა დაიმსახურე, სანამ ჩემგან პატივსა და მორჩილებას მიიღებ". თუმცა, ესაია წინასწარმეტყველის თანახმად, უფლის შიში ნანახით და გაგონილით კი არა, სიმართლით განიკითხავს (ეს.11:3). ამრიგად, ადამიანის გულში არსებული უფლის შიში ასე ეუბნება მის წინამძღოლს: „ვაღიარებ შენს ძალაუფლებას ჩემზე და იმას, რომ ის ღვთისგან მოდის. ამიტომ უკვე გაქვს ჩემი პატივისცემა. ამას დამსახურება არ სჭირდება, რადგან პატივს მივაგებ შენს პოზიციას და არა შენს ქცევას".

კიდევ ერთხელ მიაქციეთ ყურადღება მის მითითებას: „არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უკულმართთაც". ერთ დღეს, როცა ამ მუხლს ვაკვირდებოდი, ასე ვიფიქრე: *ერთი წუთით! იქნებ მეფე იაკობის ვერსიაში ამ სიტყვის უკიდურესი მნიშვნელობა გამოიყენეს. კარგი იქნებოდა ბერძნული დედნის ნახვა.*

პირველი ლექსიკონი, რომელსაც მივმართე, გახლდათ *Thayer's*. ვნახე, რომ ბერძნულში „უკულმართის" აღსანიშნავად გამოყენებული იყო სიტყვა *სქოლიოს.* ეს ნიშნავს, „დაგრეხილს, გახრწნილს, ბოროტს, უსამართლოს და ა.შ.". სკამიდან წამოვხტი და გავიფიქრე, *საქმე უფრო უარესად ყოფილა. იქნებ ეს ლექსიკონი ცდება. სხვა წყაროს უნდა მივმართო.* იმედი მქონდა, რომ ამით საქმეს ეშველებოდა. მეორე ექსპერტი გადმოვიღე ახალი აღთქმის ბერძნული სიტყვების განმარტების საქმეში – *W.E. Vine's*. მასში ზემოხსენებული სიტყვის შემდეგი განმარტება ვიპოვე – *ტირანი ან უსამართლო ბატონები (წინამძღოლები).*

კვლევა გავაგრძელე. აღმოვაჩინე, რომ სხვა თარგმანებში მეფე იაკობის ბიბლიაზე უფრო ცუდი განსაზღვრებები იყო მოცემული. *NCV*-ში ამოვიკითხე: „არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უნამუსოებსაც". თანამედროვე ინგლისური ვერსია აცხადებდა: „არა მარტო კეთილებსა და შემწყნარებლებს, არამედ სასტიკებსაც". ახალ ამერიკულ სტანდარტულ ბიბლიაში ლაპარაკი იყო *უგუნურ ბატონებზე.*

ახლა უნდა დავსვათ კითხვა: „ნუთუ ღმერთს მოსწონს თავისი შვილების აბუჩად აგდება?" არა, და ათასგზის არა! იგი სამყაროში

საუკეთესო მამაა. მას სიყვარული კი არ აქვს, ის თავად არის სიყვარული. მოდი, ამაზე ვიფიქროთ: ჩემი საყვარელი ზეციერი მამა მე, მის შვილს მეუბნება, რომ დავემორჩილო უხეშ, სასტიკ, უნამუსო, გადაგვარებულ, ტირანს, უმართლო და უპატიოსნო წინამძღოლს? და არათუ მთხოვს ამას, არამედ მიბრძანებს კიდეც? ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ ყველას ერთად შეჯამება შეიძლება: *ეს ჩემს სასიკეთოდ ხდება*.

ასეთი წინამძღოლების პატივისცემა სამ სარგებელს მოგვიტანს. პირველი, უსამართლოდ მოქცევისას ჩვენი მორჩილება ამ საქმეს ღვთის ხელს გადასცემს, რომელიც სამართლიანად განსჯის (1პეტრ.2:21-23). თუ ვითარების მოგვარებას თავად შევეცდებით, ღმერთი უკან დაიხევს და საკუთარი თავის ანაბარა დაგვტოვებს. ასე საცოდავ მდგომარეობაში ჩავვარდებით. ვინაიდან საქმე ძალაუფლებასთან გვექნება, დიდი ალბათობით, ჩვენთვის არახელსაყრელ სიტუაციაში აღმოვჩნდებით. იშვიათ შემთხვევაში ბრძოლას მოვიგებთ, მაგრამ სულში დაგვრჩება ჭრილობა ან ფესვი, რომელიც ქრისტესმიერი არ იქნება და საბოლოოდ, პრობლემას ანუ უწმინდურობას მოიტანს, რომელიც თავს მოგვიანებით იჩენს.

მეორე, პეტრე გვეუბნება, რომ უსამართლო მოპყრობის სანაცვლოდ პატივის მიგება ან კურთხევა შემდეგს მოგვცემს: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც ლანძღვას ლანძღვის წილ; პირიქით, აკურთხეთ (*პატივი მიაგეთ*), რადგან ამისთვის ხართ მოწოდებულნი, *რათა კურთხევა დაიმკვიდროთ*“ (1 პეტრ. 3:9 NIV, სიტყვები ფრჩხილებში ჩემია).

მოწოდებული ვართ, რომ უსამართლო მოპყრობას სწორად დავუხვდეთ იმ ადამიანთათვის პატივის მიგებით (დაფასებით, დამორჩილებით და კურთხევით), ვინც ბოროტად გვექცევა. რატომ ვართ ამისკენ მოწოდებული? რომ დავრჩეთ კურთხევის (საზღაურის) დამკვიდრების პოზიციაში. როცა უსამართლოდ გეპყრობიან, განსაკუთრებით კი ძალაუფლების მქონენი, გაიხარეთ, რადგან საზღაურისთვის ხართ წარდგენილნი!

წინსვლის საზღაური

მინდა ერთი ამბავი გაგიზიაროთ, რომელიც წინა მცირე წიგნში აღვწერე. ეს გახლავთ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ გვაყენებს ღმერთი საზღაურის მიღების პოზიციაში, როცა პატივს მივაგებთ მას, ვინც უსამართლოდ გვექცევა.

ერთი ახლო მეგობარი მყავს, პასტორი ალ ბრაისი. რამდენიმე წლის წინ დალასის ერთ-ერთ ეკლესიას მწყემსავდა. ერთ კვირა

დილის მსახურებაზე პეტრეს პირველი წერილიდან იქადაგა. როცა ლაპარაკი დაასრულა, ეკლესიის წევრი (სახელად ბრაიანს ვუწოდებ) მიუახლოვდა გადაუდებელი შეკითხვით.

– პასტორო ბრაის, – უთხრა მან, – ძალზე დიდი სადაზღვევო კომპანიის უმცროსი აღმასრულებელი დირექტორი ვარ. წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი გახლდით. ყველა თანამშრომელმა იცოდა, რომ ეს პოზიცია დავიმსახურე. მართლა დავიმსახურე, თუმცა ამ ადგილის გათავისუფლების შემდეგ იქ სხვა ადამიანი დანიშნეს.

– ასე რატომ მოხდა? — იკითხა პასტორმა ალმა.

– იმიტომ, რომ ეს ახალი თეთრკანიანია, ხოლო მე – შავკანიანი. პასტორო, ეს ხომ დისკრიმინაციაა. დარწმუნებული ვარ, რომ ამის დამტკიცებას შევძლებ. ფაქტობრივად, მზად ვიყავი, რომ სარჩელი შემეტანა მომავალ კვირას. ამ დილით თქვენი ქადაგების შემდეგ თავგზა ამებნა!

პასტორმა ბრაისმა ბრაიანს შეხედა და უთხრა:

– გინდა ღვთიური გზით წარმართო ეს საქმე თუ ისე, როგორც შენ მოგესურვება?

ბრაიანმა უყოყმანოდ უპასუხა:

– პასტორო, ღმერთი მთელი გულით მიყვარს. მინდა, მისი გზებით წარიმართოს ეს საქმე; სწორედ ამიტომ დაგისვით კითხვა. ხომ არ ილოცებდით ჩემთან ერთად?

ალმა უპასუხა:

–დიახ.

მათ თავი დახარეს და ეს საქმე მამა ღმერთს გადასცეს, რომელიც სამართლიანი მსაჯულია.

მეორე დღეს ბრაიანი სამსახურში მივიდა და გადაწყვიტა, რომ პირველი ყოფილიყო, ვინც ახალდანიშნულ უფროსს პატივს მიაგებდა. იგი მის კაბინეტში შევიდა, ხელი გაუწოდა და გულიანი ღიმილით უთხრა:

– მინდა წინსვლა მოგილოცოთ და გითხრათ, რომ თქვენი გუნდის საუკეთესო წევრი ვიქნები.

წარმოიდგინეთ, რა უხერხულობა იგრძნო იმ კაცმა, რადგან თავადაც იცოდა, ვინ იყო დაწინაურების ღირსი. მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, სწორედ ბრაიანი იქნებოდა მისი უფროსი და ამ მაგიდასთან იჯდებოდა.

რამდენიმე კვირა ისე გავიდა, რომ არაფერი მომხდარა. უნდა გააცნობიეროთ, რომ ხშირად ასე ხდება. ღვთიური განსჯა ან ხსნა მოდის, მაგრამ იმაზე გვიან, ვიდრე ვისურვებდით! ბრაინი არ ჩაღრმავებია ფიქრს, თუ რა უსამართლოდ მოექცნენ. მან პატივის გზა აირჩია და ისევ განაგრძობდა თავისი მოვალეობის უმაღლეს დონეზე შესრულებას.

ერთ დღეს ბრაიანს კონკურენტმა, ძალზე მსხვილმა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიამ დაურეკა, რომელსაც დალასში ფილიალი ჰქონდა. ხაზის ბოლოში მყოფმა კაცმა უთხრა:

– გაკვირდებოდით, როგორ ექცეოდით საერთო კლიენტებს. აღტაცებული ვართ. ხომ არ ისურვებდით ჩვენთან მუშაობას?

ბრაიანს ამაზე დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია.

– არა, არ ვარ ამით დაინტერესებული, – უპასუხა მან, – სამუშაოების ცვლა არ მინდა. ამ კომპანიაში დიდი ხანია ვმუშაობ. მოზრდილი სარგებელი და კლიენტების სოლიდური ჯგუფი მყავს. ჩვენმა მომხმარებლებმა და თანამშრომელებმა იციან ჩემი რეპუტაციისა და ხასიათის შესახებ. ახლა კარგ ფორმაში ვარ, მართლა არ მინდა რაიმე სახის ცვლილება. გმადლობთ, მაგრამ შემოთავაზებაზე უარი უნდა გითხრათ.

მეორე კომპანიის წარმომადგენელი დაჟინებით თხოვდა:

– ერთად ვისადილოთ ამ საკითხზე სასაუბროდ. ამით რა უნდა გაფუჭდეს?

ბრაინმა კიდევ უფრო მეტი სიმტკიცის გამოჩენა სცადა.

– გეუბნებით, რომ დროს ტყუილად კარგავთ. არ ვარ ამით დაინტერესებული.

ისე ჩანდა, რომ იმ ადამიანს კარგად არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ.

– ოჰ, კარგი რა! ნუთუ ერთ სადილზე უარს გვეტყვით?

სასოწარკვეთილი ბრაიანი დათანხმდა:

– კარგი. შეგხვდებით.

დრო დათქვეს და სადილის დღეც დადგა. ბრაიანი და სხვები ერთმანეთს მიესალმნენ და კერძები შეუკვეთეს. მსხვილი სადაზღვევო კომპანიის ერთ-ერთმა აღმასრულებელმა თქვა:

– ბრაიან, გაკვირდებოდით და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუ როგორ მართავდი ანგარიშებს. ჩვენმა ხალხმა თქვა, რომ შენთან მუშაობას ისურვებდნენ.

ბრაიანმა თავი გადააქნია.

– ტელეფონზე საუბრისას გითხარით, რომ დროს ტყუილად კარგავთ. არ მინდა სამუშაოს შეცვლა. სტაბილურობა მიყვარს. საუკეთესო სარგებელი მაქვს. ჩემს კომპანიაში ბევრი რამ ჩავდე. უბრალოდ, არ მინდა ამის გაკეთება.

– კარგი ბრაიან, მოგისმინეთ, მაგრამ გვინდა ეს გააკეთო. სახლში წადი და მეუღლეს დაელაპარაკე. ორივენი შეთანხმდით ხელფასის სასურველ ოდენობაზე, რომელიც უნდა გადაგიხადოთ. ერთი კვირის შემდეგ ისევ შევხვდეთ და ამ საკითხზე საუბარი გავაგრძელოთ.

ბრაიანმა მისი საუკეთესო გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ამოიოხრა და თქვა:

– კარგი ასე იყოს.

იგი სახლში წავიდა. ეს ყველაფერი სერიოზულად არც კი მიუღია. ცოლთან დიდად არ ულაპარაკია, სანამ მომდევნო სადილის წინა საღამო არ დადგა. ბრაიანმა მეუღლეს ყველაფერი უამბო და ბოლოს დასძინა:

– მართლა არ მინდა სამუშაოს შეცვლა. მათ მთხოვეს, რომ ხელფასის ოდენობა დაგვესახელებინა. ამ საქმემ დამღალა და აი, რის გაკეთებას ვაპირებ. როცა ხელფასზე საუბარს დაიწყებენ, რაღაც სასაცილოს ვეტყვი. სამჯერ მეტ ხელფასს მოვითხოვ, ვიდრე ახლა ვიღებ! რესტორნიდან დაცინვით გამომიშვებენ და ყველაფერი მალე მორჩება.

მან მოკლე წერილი დაწერა და ხელფასის ოდენობა მიუთითა, რომელიც მის ახლანდელ შემოსავალს სამჯერ აღემატებოდა. გაითვალისწინეთ, რომ ის საკმაოდ მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი იყო თავის კომპანიაში. ასეთი დიდი რიცხვის დასახელება მართლაც უაზრობა იქნებოდა.

მომდევნო დღეს ბრაიანი სადილზე მივიდა. კერძების შეკვეთის შემდეგ სადაზღვევო კომპანიის აღმასრულებელმა ბრაიანს ჰკითხა, შეთანხმდნენ თუ არა ხელფასის გარკვეულ რაოდენობაზე.

– დიახ, – უპასუხა ბრაიანმა. ის-ის იყო ხელი პალტოს ჯიბისკენ გაიწვდინა წერილის ამოსაღებად, რომ მეორე კაცმა შეაჩერა.

– არა, არა. არ გვინდა იმის ნახვა, შენ რამდენს ითხოვ, თავდაპირველად, გაჩვენებთ, ჩვენ რამდენის გადახდას ვაპირებთ.

კაცმა მაგიდის გასწვრივ წერილი გააცოცა. ბრაიანმა აიღო და პირველი რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ კინაღამ გონება დაკარგა. ისინი ოთხჯერ იმაზე მეტ თანხას სთავაზობდნენ, ვიდრე თავად გამოიმუშავებდა! გაშეშებულ კაცს ხმის ამოღება არ შეეძლო და წერილს უბრალოდ მიშტერებოდა. მისი სიჩუმე სხვა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმა არასწორად გაიგეს და დაასკვნეს, რომ შეთავაზება საკმარისად დიდი არ იყო. ამროგად, მათ ხელფასი კიდევ უფრო გაზარდეს და ბონუსებიც დაამატეს!

ბოლოს, ბრაიანმა თავი ხელში აიყვანა და თქვა:

– ბატონებო, მე ქრისტიანი კაცი ვარ. მინდა ამ შემოთავაზებით სახლში წავიდე და ვილოცო ჩემს მეუღლესთან ერთად. მოგვიანებით დაგიკავშირდებით.

– რასაკვირველია, ნუ იჩქარებ! – უთხრეს მათ.

ბრაიანი სახლში დაბრუნდა და ცოლს ყველაფერი უამბო. მათ ერთად ილოცეს და ღვთის სული ორივეს დაელაპარაკა. უფლის სათქმელი ასეთი იყო: „შვილო, შენი საქმე გადმომეცი და მეც განაჩენი გამოვიტანე. ეს არის შენი დაწინაურება ჩემგან. მიიღე ის!“

ახლა, წლების შემდეგ, ბრაიანი დალასში აღარ ცხოვრობს. იგი იმ გიგანტი სადაზღვევო კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორია, რომელსაც სათაო ოფისი ვირჯინიაში აქვს. ამ კომპანიამ შთანთქა ბრაიანის წინა კომპანია, სადაც მას უსამართლოდ მოექცნენ და დამსახურებულ დაწინაურებაზე უარი უთხრეს.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? ეჭვგარეშეა, ბრაიანს შეეძლო თავის დაცვა და შურისძიება. მას სასამართლოში საქმის აღძვრის კანონიერი საფუძველი ჰქონდა და შეეძლო თავისი უფლებების დაცვა. მას პატივი არ მიაგეს და არასწორად მოექცნენ, ამიტომ საქმის მოგებაც შესაძლებელი იყო. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი არ იქნებოდა იმ ადგილზე, სადაც ახლა არის. იგი დაკარგავდა კურთხევას, რომლის მისაღებადაც იყო წარდგინებული. მან შურისძიებაზე უარის თქმა ამჯობინა და საქმე ღვთის სამართალს მიანდო, რისთვისაც სრული საზღაური მიიღო!

დაქვემდებარება და დამორჩილება

მესამე მიზეზი, რის გამოც სასტიკი მმართველების დამორჩილება გვიხდება, არის ჩვენში ღვთიური ბუნების განვითარება, რომელსაც უფალზე მინდობით და შურისძიებაზე უარის თქმით შევძლებთ. პეტრე ასე აგრძელებს: „ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა, თქვენც განიმსჭვალეთ იმავე აზრით, რადგან, ვინც ხორციელად იტანჯება წყვეტს ცოდვის ჩადენას“ (1 პეტრ. 4:1).

წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ქრისტეს ტანჯვაში ხელისუფლების მხრიდან უსამართლო მოპყრობა იგულისხმება. ჩვენც იგივე აზრით უნდა აღვიჭურვოთ. რატომ? მოწოდებული ვართ ძალაუფლების პატივისცემისკენ, თუნდაც უსამართლოდ გვეპყრობოდნენ.

პეტრე ამბობს, რომ ამის გაკეთებით ცოდვის ჩადენას ვწყვეტთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულიერი სიმწიფის დონემდე მივდივართ. ამ აზრს პავლეც ამოწმებს: „ამიტომაც ვხარობთ პრობლემებსა და განსაცდელებში, ვინაიდან ვიცით, რა არის

ჩვენთვის სასიკეთო – ეს ყველაფერი გამძლეობის სწავლაში გვეხმარება, ხოლო გამძლეობა მტკიცე ხასიათს წარმოქმნის ჩვენში“ (რომ. 5:3-4 NLT). როცა ჩვენში ხასიათის სიმტკიცე წარმოიშობა, უფრო ადვილი გახდება იმ ადამიანებისთვის პატივის მიგება, ვისი საქციელიც ამას არ იმსახურებს. ამ შემთხვევაში უფლის შიშის უფრო დიდი მასშტაბით ვცხოვრობთ და სამაგიეროდ უფრო დიდ საზღაურსაც ვიღებთ.

ახლა ყველაფერი სათანადოდ გავაწონასწოროთ აქამდე ნათქვამიდან გამომდინარე. ბიბლია გვირჩევს, რომ უპირობოდ დავექვემდებაროთ ძალაუფლებას, თუმცა ის არ გვეუბნება, რომ მას უპირობოდ უნდა დავემორჩილოთ.

ეს არის განსხვავება დაქვემდებარებასა და დამორჩილებას შორის. დაქვემდებარება ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო დამორჩილება ჩვენს მოქმედებებზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ“ (ეს. 1:19). ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა სულიწმიდამ დამოკიდებულება შემისწორა. გულგატეხილი ვიყავი, რადგან საქმეები კარგად არ მიდიოდა. ექვსი თვის განმავლობაში ღვთისგან არაფერი მიმიღია ჩემს ეკლესიაში. პასტორის სიტყვა ვერ მკვებავდა. ლოცვაში უფალმა მიმითითა წერილის ამ ადგილზე და მითხრა, რომ ჩემი პრობლემის მიზეზი სწორედ ეს იყო.

მე შევეწინააღმდეგე:

– მორჩილი ვარ! ყველაფერს ვაკეთებ, რასაც ჩემი პასტორი და ზემდგომები მეუბნებიან!

სულიწმიდამ სწრაფად მიპასუხა:

– მე არ მითქვამს, რომ დამორჩილების შემთხვევაში შეჭამ-დით მიწის დოვლათს; მე ვთქვი: „თუ მოინდომებთ და შეის-მენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ“. დამორჩილება მოქმედებაა, მონდომება კი დამოკიდებულებას უკავშირდება. ხოლო შენი დამოკიდებულება ყარს!

მოულოდნელად მივხვდი, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გულის მდგომარეობა. ასევე გახსოვდეთ, რომ მასში მკვიდრობს უფლის შიში, ხოლო პატივისცემა უფლის შიშიდან მომდინარეობს.

იგივეს ვხედავთ ახალ აღთქმაში. პავლე აცხადებს: „მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და *დაემორჩილეთ* მათ, ვინაიდან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, როგორც პასუხისმგებელნი, რათა ამას სიხარულით აკეთებდნენ და არა კვნესით; რადგან ეს სასარგებლო აღარ იქნება თქვენთვის“ (ებრ.13:17, ხაზგასმა ჩემია). ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ახსენებს როგორც ზემდგომების მოსმენას (დაქვემდებარებას),

ისე – მათ დამორჩილებას. მორჩილებას საქმე აქვს ჩვენს ქმედებებთან, ხოლო მოსმენას ძალაუფლების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებასთან. ისევ ვიმეორებ შემდეგს: თუ ზევით მყოფებს პატივს არ მივაგებთ, ეს ჩვენთვისვე იქნება უსარგებლო და არა ლიდერისთვის. ამით საზღაურს დავკარგავთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბიბლია ძალაუფლების უპირობო დაქვემდებარებას, მაგრამ არა უპირობო დამორჩილებას გვასწავლის. ბიბლია მხოლოდ ერთხელ – ვიმეორებ – ერთხელ გვეუბნება, რომ ძალაუფლებას არ უნდა დავემორჩილოთ. ეს ხდება მაშინ, როცა ის ცოდვის ჩადენისკენ (ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოს კეთებისკენ) გვიბიძგებს.

წმიდა წერილში ამის ბევრი მაგალითი არსებობს. ჩვენ მხოლოდ ერთს განვიხილავთ. მეფე ნაბუქოდონოსორმა ბრძანება გამოსცა, რომ ყველა ადამიანს თაყვანი უნდა ეცა ოქროს კერპისთვის, როცა მუსიკალური ინსტრუმენტების ხმას გაიგონებდნენ. ბრძანების შეუსრულებლობას გარკვეული შედეგი მოყვებოდა, ასეთებს გახურებულ ღუმელში ჩაყრიდნენ.

იმ დროისთვის ბაბილონის სამეფოში სამი იუდეველი ყმაწვილი ცხოვრობდა – შედრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო. მეფე კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ, რადგან ნიჭიერი და ბრძენი ჭაბუკები იყვნენ. ამ სამ ადამიანს ღვთის შიში ჰქონდა და მათი წინამძღოლის ბრძანება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მეორე მცნებას, რომელიც ღმერთმა მოსეს თორაში ჩააწერინა.

სამმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა, რომ მეფის ბრძანებას არ დამორჩილებოდა. მხოლოდ დროის ამბავი იყო, როდის მივიდოდა მათი დაუმორჩილებლობის ამბავი მეფე ნაბუქოდონოსორის ყურამდე. იგი განარისხა ჭაბუკების ქმედებამ და მათი დასაკითხად მოყვანა ბრძანა. დააკვირდით მათ პასუხს: „არ გვჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შეუძლია ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გვიხსნას და შენი ხელიდანაც გადაგვარჩინოს, მეფევ, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, დაე, ცნობილი იყოს შენთვის მეფევ, რომ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს და არც შენ მიერ აღმართულ ოქროს კერპს ვცემთ თაყვანს!“ (დან.3:16-18)

ისინი მტკიცედ იდგნენ ღვთის მცნების დასამორჩილებლად, მაგრამ მეფეს დიდი პატივით ელაპარაკნენ. ისინი მას „მეფეს“ უწოდებდნენ და არ უთქვამთ, „ტირანო ძაღლო, არასდროს მოვიქცევით შენი ნათქვამისანებრ!“ ასე ლაპარაკი ღვთის უპატივცემულობა იქნებოდა, რომელმაც ეს ადამიანი ძალაუფლების სათავეში დააყენა. ხელისუფლებას უნდა

დავექვემდებაროთ (პატივი მივაგოთ) მაშინაც კი, როცა მის მითითებებს არ ვემორჩილებით.

შედრაქმა, მეშაქმა და ყაბედ-ნეგომ პატივი მიაგეს ღმერთს და მეფეს. პირველი, მათ ღვთის მიმართ პატივისცემა ცოდვაზე უარის თქმით გამოხატეს, თუმცა იცოდნენ, რომ გახურებულ ღუმელში ჩაყრა არ აცდებოდათ. მეორე, მათ პატივი მიაგეს მეფეს, როცა მისი ძალაუფლების პოზიციას დაექვემდებარნენ და თავაზიანად ელაპარაკნენ მაშინაც კი, როცა თავად სიძულვილით მიმართავდა. მათ დაცინვა, მასხრად აგდება ან რაიმე ფორმის მუქარა არ წამოცდენიათ. ისინი პატივისცემის პრინციპით ცხოვრობდნენ. მათი საზღაური დიდი და სრული იქნებოდა, თუმცა თავდაპირველად ამის ნიშან-წყალიც არ ჩანდა.

მეფემ მაშინვე ბრძანა ყმაწვილების ღუმელში ჩაყრა. ფაქტობრივად, ნაბუქოდონოსორი ისე განრისხდა, რომ ღუმლის შვიდჯერ მეტად გახურების ბრძანება გასცა. შემდეგ წარჩინებულ მეომრებს ყმაწვილი იუდაელების შეკვრა და ღუმელში ჩაყრა უბრძანა. ღუმელი ისეთი ცხელი იყო, რომ მითითების შესრულებისას მეომრები დაიხოცნენ. შემდეგ ვკითხულობთ:

„ეს სამნი კი - შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო ცეცხლით
გახურებულ ღუმელში ჩაცვივდნენ შებოჭილნი.
მაშინ ფეხზე წამოიჭრა გაოცებული ნაბუქოდონოსორი
და თავის მთავრებს უთხრა: „განა სამი შებოჭილი კაცი
არ ჩავყარეთ ცეცხლში?“
მიუგეს და უთხრეს მეფეს: „ჭეშმარიტად, მეფევ!“
მიუგო მან და თქვა: „შეხედეთ, ხელფეხგახსნილ ოთხ
კაცს ვხედავ, შუაგულ ცეცხლში მიდი-მოდიან უვნებლად.
მეოთხე, შესახედაობით ღვთის შვილს ჰგავს!“
მიუახლოვდა ნაბუქოდონოსორი ცეცხლით
გავარვარებული ღუმლის კარს და თქვა: „შადრაქ,
მეშაქ და ყაბედ-ნეგო, უზენაესი ღმერთის მსახურებო!
გამოდით და აქ მოდით!“
და გამოვიდნენ შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო
ცეცხლის შუაგულიდან. შემოიკრიბნენ სატრაპები
მთავრები, მეფისნაცვლები და მრჩევლები მათ გარშემო
და ნახეს, რომ ამ კაცებს ტანზე ცეცხლის კვალიც არ
ეტყობოდათ, არც თმები შეტრუსოდათ თავზე და არც
სამოსელი დასწვიათ; კვამლის სუნიც კი არ უდიოდათ“.

– დან. 3:23-27

ეს სამი კაცი არა მარტო საშინელ სიკვდილს გადაურჩა, არამედ ზეციერი თანმხლების გარემოცვაშიც აღმოჩნდა. ისინი შებოჭილები ჩაყარეს ღუმელში, მაგრამ იქედან თავისუფლები გამოვიდნენ. თოკები შემოეწვათ, თუმცა მათი სამოსელი გადარჩა. როცა გარეთ გამოვიდნენ, ნამწვის სუნიც კი არ ასდიოდათ. მათმა საზღაურმა არ დააყოვნა. ბიბლიაში ვკითხულობთ:

„ამის შემდეგ კვლავ აღამაღლა მეფემ შადრაქი,
მეშაქი და ყაბედ-ნეგო ბაბილონის ქვეყანაში“.

– მუხ. 30

ისინი დააწინაურეს! როცა ძალაუფლების მქონე უსამართლოდ გვექცევა, მაგრამ ჩვენ მაინც პატივს მივაგებთ, დავჯილდოვდებით იმ სადაზღვევო კომპანიის აღმასრულებლის ან სამი ებრაელი ყმაწვილის მსგავსად, რომელთა შესახებაც ახლახან წავიკითხეთ. ეს სულიერი კანონია: ღვთის მიერ დაყენებულების პატივისცემით ღმერთი სამაგიერო პატივს მოგვაგებს. როცა ვითარების მიღმა ვიყურებით და სულიერ კანონს ვითვალისწინებთ, არასოდეს დავრჩებით იმედგაცრუებული.

სწორედ ამ მიზეზით წერს პეტრე შემდეგში: „ბოროტს ვინ გაგიკეთებთ, თუ კეთილის მოშურნე იქნებით?“ (1 პეტრ. 3:13). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ პატივისცემის პრინციპს გულში ღრმად ჩაიმარხავთ, ვინ რას გიზამთ? თუ სწორი დამოკიდებულება გექნებათ, ნებისმიერი უსამართლობა, განსაკუთრებით კი ძალაუფლების მქონეთაგან გამოვლენილი, დაწინაურების ან საზღაურის მიღების პოზიციაზე დაგაყენებთ. აი, რა კითხვა უნდა დავსვათ: რამდენი ჯილდო ან დაწინაურება გავუშვით ხელიდან, როცა ძალაუფლების პრინციპი არ გავითვალისწინეთ?

7

საერო მმართველების პატივისცემა

„მთავრები კეთილის მოქმედთათვის კი არ არიან საშიშნი, არამედ ბოროტ საქმეთა ჩამდენთათვის. გინდა, რომ არ გეშინოდეს ხელისუფლების? კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან; ვინაიდან იგი *ღვთის მსახურია* შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტებას იქმ, გეშინოდეს, რადგან ტყუილად როდი ატარებს მახვილს; ის ღვთის მსახურია და რისხვით შურისმაძიებელი ბოროტმოქმედზე. ამიტომ გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინდისის გამოც. სწორედ ამისათვის იხდით ხარკს, *ვინაიდან ისინი ღვთის მსახურები არიან* და დღენიადაგ მიძღვნილნი არიან ამ საქმეზე. ამრიგად, *მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის*: ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, *ვისაც შიში - შიში, ვისაც პატივი — პატივი*“.

– რომ. 13:3-7 (ხაზგასმა ჩემია)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ზემომოყვანილ მონაკვეთში საერო ხელისუფლებას „ღვთის მსახურები“ ეწოდება და მათი სათანადოდ პატივისცემის მოვალეობა გვაკისრია.

ასევე დააკვირდით, რომ პეტრე *ყველაზე* ლაპარაკობს და არა ცალკე აღებულ რომელიმე მმართველზე. ყოველთვის ვგრძნობ ამ ძლიერ განცდას გულში, როცა პოლიციელს, მეხანძრეს, მრჩეველს, მერს, კანონმდებელს, მმართველს, მოსამართლეს,

კონგრესმენს, სენატორს ან მთავრობის რომელიმე სფეროს წარმომადგენელს ვხვდები. როცა ქალაქის, შტატის ან ფედერალურ ოფისებში მივდივარ, შინაგანში პატივისცემისა და ღირსეულობის გრძნობა მეუფლება. მივხვდი, რომ ეს უფლის შიშია ჩემს გულში დამკვიდრებული.

ამას წინათ თანამშრომლებთან მნიშვნელოვან შეხვედრაზე მივიჩქაროდი. სასწავლო წელი იმ კვირას დაიწყო. ზაფხულის ორთვენახევრიანი არდადეგების დროს ჩემს უბანში საათში 35 მილის სისწრაფით ვმოძრაობდი. თუმცა სკოლის სეზონის დაწყებასთან ერთად სიჩქარის ლიმიტი საათში 20 მილამდე შემცირდა გარკვეული საათების განმავლობაში. შეხვედრაზე დაგვიანება არ მინდოდა და სისწრაფეში ვერ შევამჩნიე საგზაო ნიშანი, რომელიც მძღოლებს დაბალი სიჩქარით გასავლელი მონაკვეთის მოახლოებას ატყობინებდა და იქ 35 მილის სიჩქარით გავიქროლე. გვერდზე თვალი მოვკარი ბუჩქებში მიმალულ პოლიციელს მოტოციკლეტით, რომელმაც სიგნალები ჩართო და მეც გავჩერდი.

ის სერიოზული და მტკიცე იყო ყველა იმ პოლიციელის მსგავსად, რომელიც თქვენგან მართვის მოწმობასა და დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს ითხოვს. მის მიმართ პატივისცემით განვიმსჭვალე. სრულად ვაცნობიერებდი, რატომ გამაჩერა და ეს ძალიან მაწუხებდა. დიალოგი ჩემს დარღვევასთან დაკავშირებით წარიმართა. შემდეგ მან თქვა, რომ ადამიანთა უმრავლესობა წუწუნებდა, თავს იმართლებდა და ბრაზობდა, როცა მათ აჩერებდა.

– სერ, დამნაშავე ვარ – ვუპასუხე მე.

მან თქვა, რომ სასკოლო ზონაში სიჩქარის გადაჭარბებისთვის განსაზღვრულია ჯარიმა 220 $-ის ოდენობით, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, პოლიციელმა მართვის მოწმობა და დაზღვევის ბარათი უკან დამიბრუნა და ასე მითხრა:

– სასიამოვნო დღეს გისურვებთ!

შემდეგ ისევ უკან გაბრუნდა თავისი მოტოციკლეტისკენ.

გაოგნებული დავრჩი. პოლიციელს შევძახე:

– ჯარიმის ქვითარი არ უნდა მომცეთ?

მან გამიღიმა და ხელი დამიქნია. მანქანა დავძარი და მადლის საოცარმა გრძნობამ შემიპყრო. ჩემი განცდის დაკნინება იქნებოდა მარტო იმის თქმა, რომ მადლობელი ვიყავი.

ეს ყოველთვის არ ხდება. წლების განმავლობაში რამდენიმე საჯარიმო ქვითარი მიმიღია, თუმცა პოლიციელებს მაშინაც იგივე პატივისცემით ვეპყრობოდი. ერთ განსაკუთრებულ შემთხვევას გავიხსენებ, როცა ახალ თანამშრომელთან ერთად

აეროპორტისკენ მივდიოდით. მაშინაც დავკარგე სიჩქარის შეგრძნება და ისევ ჩემს უბანში გამაჩერეს. თანაშემწემ იფიქრა, რომ ჩემს თვალში კეთილგანწყობას მოიპოვებდა, თუ პოლიციელის მისამართით დამამცირებელ შენიშვნას გამოთქვამდა უხეში სიტყვის თანხლებით, სანამ ის გვიახლოვდებოდა, მით უფრო, რომ დაშვებულ სიჩქარეს მხოლოდ რამდენიმე მილით გადავაჭარბე. სხვა პოლიციელები ამაზე ყურადღებას არ გაამახვილებდნენ.

მის მიმართაც ანალოგიური პატივისცემა გამოვიჩინე, მაგრამ ის ისე თავაზიანი ან შემწყნარებელი სულაც არ ჩანდა, როგორც ზემოაღწერილი პოლიციელი. მან სიმკაცრე გამოიჩინა და სრული ჯარიმის გამოწერა გადაწყვიტა. მე გამიზნულად ვიცდიდი, სანამ ქვითარს მომაწვდიდა და შემდეგ ვუთხარი:

– ვწუხვარ, სერ, ჩემი ნამოქმედარის გამო. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ. მადლობას გიხდით, რომ კეთილსინდისიერად ასრულებთ თქვენს სამუშაოს და საზოგადოებას ემსახურებით (ვიცოდი, რომ პორტატულ კომპიუტერში გამოწერილ ქვითარს ვეღარ გააუქმებდა).

ოფიცრის ქცევა მეყსეულად შეიცვალა და ხმის ტემბრს დაუწია. ისე მოლბა ჩემგან პატივისცემის დანახვაზე, რომ ქვითრის უკან დაბრუნებაც კი უნდოდა, მაგრამ ორივემ ვიცოდით, რომ ეს შეუძლებელი იყო. იმ ადამიანის კურთხევა მინდოდა, რომელშიც ღვთის მსახურს ვხედავდი რომაელთა წერილის თანახმად. ურთიერთობა მეგობრული საუბრით დავასრულეთ.

როგორც კი პოლიციელი წავიდა, ჩემს თანამშრომელს მივუბრუნდი და ვუთხარი:

– თუ ფიქრობდი, რომ ოფიცრის გაკრიტიკებით ჩემს კეთილგაწყობას მოიპოვებდი, სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მიიღე.

და შემდეგ მის განსწავლას შევუდექი.

დიდი დრო არ დასჭირვებია იმის გასააზრებლად, რომ მისი აღზრდა პოლიციელის მიმართ ასეთ პატივისცემას არ ითვალისწინებდა და დამოკიდებულება, რომელიც ნორმალურად მიაჩნდა, სრულიად ეწინააღმდეგებოდა ღვთის სიტყვის მითითებებს საერო ძალაუფლებასთან ურთიერთობის შესახებ. იმ შემთხვევის შემდეგ მან სამოქალაქო ხელისუფლების მიმართ პატივისცემის პრინციპი ისწავლა.

სამოქალაქო ძალაუფლების საზღაური

ნება მომეცით, ერთი დამოწმება გაგიზიაროთ, რომელიც სამოქალაქო ძალაუფლების პატივისცემის ასპექტს გამოკვეთს. საქადაგებელი მოგზაურობები ოთხმოციანი წლების ბოლოსკენ წამოვიწყე. პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ხუთჯერ მომიხდა შუა დასავლეთის ადგილობრივ ეკლესიაში ქადაგება. წევრების რიცხვი, დაახლოებით, ასორმოცდაათს შეადგენდა და ძალზე უმოქმედონი იყვნენ. წლები გადიოდა, მაგრამ ისინი ერთი და იმავე ნიშნულთან იდგნენ. ბოლოს შევწყვიტე იქ სიარული. რამდენიმე წლის შემდეგ მათგან ყოველწლიურ კონფერენციაზე დასწრების მოწვევა მივიღე (ასეთი რამ ადრე არასოდეს ჰქონიათ). შევამჩნიე, რომ ცნობილი მქადაგებლებიც იქნებოდნენ და როგორც შემატყობინეს, მოწვეულთა საერთო რაოდენობა რვაასს აჭარბებდა. ცოტა არ იყოს, გაოცებული დავრჩი.

ცნობისმოყვარეობამ მძლია. ლოცვის შემდეგ თანაშემწეს ვუთხარი, რომ მოწვევა მიეღო. ისევ გავემგზავრე მათ ქალაქში და ახალი შენობისკენ გაჭიმული მანქანების რიგიდან შევნიშნე, რომ ავტოსადგომზე ტევა აღარ იყო. როცა აუდიტორიაში შევაბიჯე, გამაოცა იმ ფაქტმა, რომ რვაასიდან ცხრაას ადამიანამდე შეკრებილიყო. ღვთის თანდასწრება ძალუმად იგრძნობოდა, რაც ადრე იქ არასოდეს მინახავს და მართლაც დიდებული მსახურება ჩატარდა.

შეკრების შემდეგ პასტორთან მარტო დავრჩი და კითხვა დავუსვი:

– რა მოხდა? წლების მანძილზე ეკლესიაში ძვრა არ იყო. როგორ გაიზარდა ის ასე სწრაფად? მე ხომ მხოლოდ სამი წელია, რაც არ ჩამოვსულვარ?

მან უყოყმანოდ მითხრა, რა იყო ცვლილების მიზეზი:

– ჯონ, ძალიან დამღალა ხალხის წუწუწმა გადასახადების თაობაზე და ჩვენი საერო მმართველების უსამართლობაზე. რაღაც უნდა გამეკეთებინა, ამიტომ ეს სათხოვარი ლოცვით მივიტანე და ღმერთმა იდეა მომაწოდა.

იგი ქალაქის ჩინოვნიკებთან მივიდა და ჰკითხა, რა იყო მათი უდიდესი საჭიროება. მათ უთხრეს, რომ სახანძრო დეპარტამენტს სპეციალური ნიღბები სჭირდებოდა, რომ მეხანძრეებს კვამლშიც შეძლებოდათ დანახვა. ხანძართან დაკავშირებული სიკვდილიანობის მიზეზი იმდენად დამწვრობა არ იყო, რამდენადაც კვამლი. მეხანძრეებს კვამლის სისქე პრობლემას უქმნიდა, რადგან მათთან სულ რამდენიმე ნაბიჯზე

მყოფ ადამიანს ვერ ხედავდნენ. ეს ნიღბები დაზარალებულების ადვილად დანახვაში დაეხმარებოდა და სამაშველო ოპერაციას სწრაფად დაასრულებდნენ. ასეთი იყო ქალაქის უდიდესი საჭიროება, მაგრამ ბიუჯეტს საკმარისი თანხები არ ჰქონდა. მხოლოდ ერთი ასეთი ნიღაბი 25 ათასი დოლარი ღირდა.

მომდევნო კვირის მსახურებაზე პასტორი კათედრასთან დადგა და რომაელთა მიმართ წერილიდან იქადაგა. მან სიყვარულით მიანიშნა მრევლს, რომ არასწორი იყო ქალაქის მმართველებზე წუწუნი.

მან ხალხს უთხრა, რომ სახელმწიფო მოხელეები ღვთის მსახურებს წარმოადგენდნენ და მორწმუნეები არ იკურთხებოდნენ, თუ გადასახადებს დამალავდნენ და საერო მმართველებს სათანადო პატივს არ მიაგებდნენ. მყარი ბიბლიური საძირკვლის ჩაყრის შემდეგ პასტორმა მათ ქალაქის საჭიროება გააცნო სახანძრო ნიღბების თაობაზე და განსაკუთრებული შესაწირი დააწესა ნიღბების საყიდელი ფულის შესაგროვებლად. მან მრევლს უთხრა, რომ ეს ღვთისგან დაყენებული სამოქალაქო ხელისუფლების პატივისცემის კარგი საშუალება იქნებოდა.

ეკლესიამ ამ განაცხადს არასწორი დამოკიდებულების მონანიებით უპასუხა და ოცდახუთი ათასი დოლარი გაიღო. პასტორმა მერს დაურეკა და იმ კვირაში ქალაქის წინამძღოლების შეკრება სთხოვა, რადგან მისი ეკლესია ნიღბის შესაძენი თანხის გადაცემას აპირებდა. როცა მერიას მიუახლოვდნენ, პასტორი და მისი ლიდერები გაკვირვებული დარჩნენ იქ შეკრებილი ჩინოვნიკებისა და თანამშრომლების რაოდენობით, რომელთაც ამ საოცარი პატივისცემის ჟესტის ნახვა სურდათ.

სანამ ჩეკს წარუდგენდნენ, პასტორმა რომაელთა მე-13 თავი წაიკითხა და ყველას გაუზიარა, რა პატივს სცემდნენ მისი ეკლესიის წევრები ქალაქის მმართველებსა და თანამშრომლებს, რადგან ღვთის მსახურებად მიიჩნევდნენ. შემდეგ ყველას მადლობა გადაუხადა საზოგადოების დაცვისა და მომსახურებისთვის გაწეულის შრომის გამო. ისინი გაკვირვებული დარჩნენ ეკლესიის მიერ გამოჩენილი პატივისცემით და სიუხვით. (ხშირად, პატივს მივაგებთ ფინანსების გაღებით. გაიხსენეთ, რომ პატივისცემა დაფასებას ნიშნავს. ფინანსებს იქითკენ მივმართავთ, რასაც ვაფასებთ).

შემდეგ პასტორმა მითხრა:

– რამდენიმე თვის შემდეგ ახალი შენობის მიძღვნა გვქონდა. მსახურებას ქალაქის მერიის თანამშრომლები და მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. ბევრმა მიიღო სულის გადარჩენა და ჩვენი ეკლესიის მსახურებებზე სიარული გადაწყვიტა. სწორედ ამ შემთხვევამ გაგვიღო საზოგადოების კარი.

უნდა გვახსოვდეს იესოს ნათქვამი: „ვინც წინასწარმეტყველს მიიღებს წინასწარმეტყველის სახელით, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს“. აქ მან საეკლესიო ძალაუფლებაზე ილაპარაკა, მაგრამ სულიერი კანონები ხშირად ვიწრო საზღვრებს ცდება და ძალაუფლების სხვა სფეროებშიც მოქმედებს. ასევე შეიძლება ითქვას: „ვინც პატივს მიაგებს საერო ხელისუფლებას საერო ხელისუფლების სახელით, მათ საზღაურს მიიღებს“.

რა არის მათი საზღაური? პასუხი საზოგადოებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა. ისინი არიან ჩვენი დაბების, ქალაქების, შტატებისა და ერების ბუნებრივი კარისმცველები; ეს ღვთისგან ბოძებულია. რამდენი თემი და ერი ფართოდ გაიღებოდა სახარებისთვის, ყველა ეკლესია რომ გაერთიანებულიყო ხელისუფლების წინამძღოლთა პატივისცემის საქმეში მათი კრიტიკისა და გადასახადებისგან თავის არიდების ნაცვლად?

ახალი სახე

ერთი კარგი მეგობარი მყავს, სახელად დენი. იგი დიდი ეკლესიის პასტორი იყო ადელაიდაში, ავსტრალიაში (მან ეკლესია ერთ ფენომენალურ წინამძღოლს გადასცა, თავად კი ახლა მოგზაურობს და ახალგაზრდა ლიდერებს წვრთნის). პირველად, როცა მის კონფერენციაზე მსახურებისთვის ჩავედი, ერთი ნიშანდობლივი ამბავი გამიზიარა. იგი ეკლესიის წინ გამოვიდა და სურვილი გამოთქვა, რომ პატივი მიეგოთ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქალაქის მომსახურებისა და დაცვისთვის შრომობდნენ. გარკვეული დროით ფიქრისა და ლოცვის შემდეგ მიხვდა, რომ საჯარო სკოლების სისტემა უდიდეს საჭიროებას განიცდიდა. ამრიგად, მან ქალაქის ყველაზე გაუბედურებული სკოლა იპოვა, რომლის შენობა და მოედნები სავალალო მდგომარეობაში იყო. პასტორი სკოლის მესვეურებთან მივიდა და იკითხა, შეეძლო თუ არა მის ეკლესიას ერთ შაბათ დღეს მოსვლა და სკოლის ლაზათიანად „გალამაზება“. ისინი სიხარულით დათანხმდნენ.

ჩემი მეგობარი ეკლესიის წინ წარდგა და ქალაქის პატივისცემის ხედვა გაუზიარა. მათ ყველა დურგალსა თუ ხელოსანს მოუხმეს, რომ ერთი დღით თავიანთი უნარები ამ საქმისთვის გამოეყენებინათ. შემდეგ ეკლესიის სხვა წევრებს სთხოვა დახმარება. ლიდერებმა დიდი საორგანიზაციო სამუშაო გასწიეს რამდენიმე კვირის განმავლობაში. მასალები შეიძინეს და მოწყობილობები უსაფრთხოყვეს, რომ სკოლას სრულიად ახალი სახე მიეღო.

პასტორმა იმ დიდი დღის ვიდეო მაჩვენა. ვხედავდი, როგორ აძრობდნენ დურგლები ძველ და დამპალ ნაწილებს; მუშაკები ძველ კარადებს ხსნიდნენ და ახლებით ცვლიდნენ; უამრავი მამაკაცი და ქალი ყველაფერს ხეხავდა, ფუთავდა და ღებავდა. ვაკვირდებოდი, როგორ დგამდნენ ახალ დაფებს, ამონტაჟებდნენ მოწყობილობებს, ამუშავებდნენ ნიადაგს, აგებდნენ ბალახის საფარს, რგავდნენ ხეებს, ბუჩქებსა და ყვავილებს. მთლიანი ვიდეოპანორამა გაკეთდა სამუშაოების დაწყების წინ, ხოლო მეორე ასეთივე – სკოლის განახლების დასრულების შემდეგ. ეს საოცარი იყო. ყველაფერი სრულიად ახალს ჰგავდა.

ეკლესია აღფრთოვანებული იყო, რომ ქალაქის დახმარება შეძლო. ერთი რამ მუდამ ცხადია: თქვენს გულს სიხარული ავსებს, როცა პატივს სცემთ ვინმეს, ვინც ამას სრულიად არ ელოდება. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი საზღაური იყო უფალ იესო ქრისტეს სახელით ქალაქის დახმარებით მოგვრილი კმაყოფილება. თუმცა უფრო დიდი საზღაურიც არსებობდა. ავსტრალიის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ჯონ ჰოვარდმა გაიგო, რა გააკეთა ეკლესიამ ქალაქისთვის და გამოაცხადა, რომ ეკლესიაში სტუმრობა გადაწყვიტა მადლობის გადასახდელად. ვუყურე ვიდეოჩანაწერს, სადაც ერის წინამძღოლი ეკლესიას ეწვია და გულითადი მადლობა გადაუხადა. ამის შედეგად, ის ეკლესია ერთ-ერთ ყველაზე პატივდებულ ეკლესიად ითვლება მთელ ქალაქში. მისი ზეგავლენა დიდად გაიზარდა საზოგადოებასა და ერში.

ეს დასასრული არ არის! როცა პასტორი დენი ამ რეკონ-სტრუქციის ამბავს სხვებს უყვებოდა, გამრავლების იმპულსი წარმოიშვა. საპასუხოდ, სხვა ეკლესიებმაც გადაწყვიტეს თავიანთი პროექტების წამოწყება და ახლა მთელ ავსტრალიაში, ინგლისში, შვედეთში, სინგაპურსა და მალაიზიაში ორასზე მეტი სკოლა შეკეთდა.

პასტორ დენის ეკლესია აგრძელებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ადგილობრივი ქალთა ციხის განახლებით. პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში ეკლესიამ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა პენიტენციური სამსახურის დეპარტამენტთან. ამის შედეგად პატიმრებს დღის განმავლობაში ეკლესიის სტუმრობის უფლება მისცეს – ახლა მრავალმა ქალმა მიიღო ხსნა და ციხის შენობაში მსახურებებიც იმართება.

კარგი სახელი

შეიძლება, დაინტერესდეთ, რატომ არის აუცილებელი

კარგი სახელის ქონა ქალაქში. მიზეზი მარტივია. უპირველეს ყოვლისა, ეს ბიბლიურია. პავლე მოციქული წერს, რომ ეკლესიის წინამძღოლებს „კარგი მოწმობა უნდა ჰქონდეს გარეშეთაგან, რათა გასაკიცხი არ გახდეს და ეშმაკის მახეში არ აღმოჩნდეს გაბმული“ (1ტიმ.3:7). სახარებას შეურაცხვყოფთ, როცა ურწმუნო ადამიანებში კარგი რეპუტაცია არ გვაქვს, რაც თავის მხრივ აბრკოლებს სახარების გავრცელებას და ეს ეშმაკის მახეა.

ურწმუნო რომაელმა პირველი საუკუნის ქრისტიანებზე ასეთი რამ დაწერა: „ისინი სიცოცხლის დღეებს დედამიწაზე ატარებენ, მაგრამ ზეცის მოქალაქეები არიან. ისინი დაწერილ კანონებს ემორჩილებიან და ამავდროულად, კანონებით გათვალისწინებულზე მეტსაც აკეთებენ“ (წერილი დიოგნეტუსს, თავი 5).

საქმეთა წიგნში მოცემულია ჩანაწერი იერუსალიმის ეკლესიის შესახებ: „ხალხი კი (*ეკლესიის მიღმა*) ადიდებდა მათ“ (საქმ.5:13, ჩართვა ფრჩხილებში ჩემია). რატომ მიაგებდნენ ასეთ პატივს მოქალაქეები? მათი ცხოვრების მაღალი სტანდარტების გამო. ნამდვილი სიწმიდის ასპექტი გახლავთ სამეფოს დონეზე აზროვნებისა და ცხოვრების წამოწევის უნარი.

მავანმა შეიძლება კითხვა დასვას: „ჯონ, სახარებასთან კომპრომისზე ხომ არ წავალთ სამოქალაქო ხელისუფლების პატივისცემით და დაახლოებით?“ არავითარ შემთხვევაში! იოანე ნათლისმცემელმა ჰეროდე მის ურჯულოებაზე გააფრთხილა, როცა ძმის ცოლთან საქმე დაიჭირა. ფაქტობრივად, სწორედ ამის გამო მოკვეთეს თავი.

ვიცი მსახური, რომელიც პრეზიდენტ კლინტონს შეხვდა თავის ოფისში და სასჯელის შესახებ გააფრთხილა, რომელიც მისი და ამერიკელი ერის ცხოვრებაში მოვიდოდა თუ ის და სხვა ლიდერები უცოდველი ბავშვების (აბორტი) მოკვლის კანონის მხარდამჭერებად დარჩებოდნენ. იმ მსახურმა ისე გააკეთა ეს საქმე, რომ პრეზიდენტმა დიდი პატივით მიიღო ეს გაფრთხილება, როგორც ჰეროდე მოექცა იოანეს.

ჰეროდემ იოანეს, როგორც წინასწარმეტყველის მიმართ მოკრძალება გამოიჩინა. ბევრი მოდის სახელმწიფო მოხელეებთან უპირატესობის, კრიტიკისა და განკითხვის დამოკიდებულებით, რაც პატივისცემისგან შორსაა. შედრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო პატივისცემით ელაპარაკნენ მეფეს მაშინაც კი, როცა მის კერპთაყვანისცემლობაზე საუბრობდნენ.

კონტრასტი

ჩემმა ცოლმა სიზმარი ნახა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ერთხელ, პრეზიდენტ კლინტონის მმართველობისას, გაოგნებულმა გამაღვიძა. მან თქვა:

– ჯონ, სიზმარი ვნახე, რომელიც აუცილებლად უნდა გიამბო (ღმერთი ხშირად ელაპარაკება ლიზას სიზმრების მეშვეობით).

მან განაგრძო:

– მე და შენ უზარმაზარ დარბაზში ერთ მსახურს ვუსმენდით. არ ვიცი, ვინ იყო ის, მაგრამ ქრისტიანებში პოპულარობით სარგებლობდა. მან პრეზიდენტ კლინტონის საწინააღმდეგოდ ილაპარაკა და შეარცხვინა. მსახური გაბრაზებული გაჰყვიროდა, რა ცუდი იყო პრეზიდენტი. მრევლის უმეტესობა ენთუზიაზმით შესძახოდა „ამინს“ და მის ნათქვამს ეთანხმებოდა. მე და შენ თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობდით.

ლიზამ განაგრძო:

– შემდეგ სიბნელეში ადამიანი შევნიშნე, რომელიც წამოდგა და დიდი დარბაზის უკანა ნაწილისკენ წავიდა. ვიგრძენი, რომ უკან უნდა გავყოლოდი. როცა შენობის ფოიეს მივაღწიე, კაცი შემობრუნდა და შემომხედა; ეს იყო პრეზიდენტი კლინტონი! იგი სავსე იყო ნაღველითა და მწუხარებით, გულგატეხილი ჩანდა და შემდეგ დაეცა.

ლიზამ ასე გააგრძელა:

– ჯონ, სიზმარში ვიცოდი, რომ ეკლესიაში მის მხარდასაჭერად და დასახმარებლად მოვიდა, მაგრამ ეკლესიამ გამოლანძღა ნამდვილი სიყვარულისა და თანაგრძნობისგან დაცლილმა. ღმერთმა მაჩვენა, რომ გულები გავიქვავეთ და ვაიძულეთ, ზურგი ექცია იმისთვის, რაც საჭირო იყო პირადად მისთვის და ერისთვის.

მოდი, ეს სიზმარი შევადაროთ ჩემი მეგობრის ნათქვამს, რომელიც ადრე დასავლეთ ამერიკის ერთ-ერთ დიდ ეკლესიას მწყემსავდა. იგი ასევე ხელმძღვანელობდა ეროვნული ლოცვის ცენტრს ჩვენს დედაქალაქში. ამას წლების მანძილზე აკეთებდა, რადგან ღმერთმა გულში ჩაუდო სენატის, წარმომადგენელთა პალატისა და ვაშინგტონის სხვა წინამძღოლების მომსახურება. იგი პასტორობის პარალელურად ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში მიემგზავრებოდა წელიწადში დაახლოებით ოცდაორი კვირის მანძილზე, ხოლო მისი რამდენიმეათასიანი ეკლესია იზრდებოდა და ვითარდებოდა.

მან მითხრა:

– ჯონ, ამ ლიდერებს ერთადერთი რამის გამო ვხვდებოდი:

ჩვენი ქვეყნის სამსახურისთვის მადლობის გადასახდელად და იმის საკითხავად, სჭირდებოდათ თუ არა ჩემი ლოცვა.

მან გამიზიარა, რომ არაერთხელ დასჭირვებია პასტორებისა და გარკვეული ეკლესიური ჯგუფების დარიგება, როგორ მოქცეოდნენ მთავრობის წარმომადგენლებს, როცა ისინი გვეწვეოდნენ. ხშირად უხდებოდა მრევლის მხრიდან განკითხვის დამოკიდებულების დაოკება სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრამდე; მათ ლიბერალებად თვლიდნენ და ეს აბრმავებდათ იმ ფაქტის დასანახად, რომ ღმერთი მათ პატივისცემასა და მათთვის ლოცვას ასწავლიდა.

შემდეგ მითხრა, რომ ეკლესიის ჯგუფები ხშირად გაკვირვებული რჩებოდნენ მთავრობის წარმომადგენლების თავაზიანობით და გულგახსნილობით. ეს იმ ფაქტის შედეგი იყო, რომ ეკლესია მათ პატივსაცემად მოვიდა და არა რაიმეს სათხოვნელად ან ჭკუის სასწავლებლად. ნება მომეცით, პასტორისგან მიღებული ორი დამოწმება გაგიზიაროთ. როცა ამას წაიკითხავთ, გაითვალისწინეთ, რომ ეს ჩინოვნიკები უკიდურესი ლიბერალები იყვნენ.

– ამ კონგრესმენებს ადრე რამდენჯერმე შევხვდი. ეკლესიაში უნივერსიტეტის ასაკის მუსიკოსთა ჯგუფი გვყავდა და კონგრესმენმა ოფისში მიგვიწვია, სადაც მასთან ერთად შტატის რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა. მათთან საუბარი სტანდარტული წარდგენით დავიწყეთ. ეს მოიცავდა მადლიერების გამოხატვას მისი ოლქის მოქალაქეებისა და მთელი ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის.

შემდეგ მან რამდენიმე მოსაზრება გაგვიზიარა და კითხვები დაგვისვა.

მე ვკითხე, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, რომ გვემღერა და მისთვის გველოცა. იგი სიხარულით დაგვთანხმდა.

სიმღერის დაწყებისთანავე ოთახში ცხებულებამ იმატა და ყველას თვალებზე ცრემლები მოადგა. პატრიოტული და ევანგელური სიმღერების შესრულების შემდეგ, შეხვედრა ლოცვით დავასრულეთ. ამან იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ხმას ვერავინ იღებდა თავად კონგრესმენის ჩათვლით.

ბოლოს მან შემომხედა და შეეცადა, საკუთარი სიტყვებით გადმოეცა, რაც იგრძნო და რამაც შინაგანად შეძრა, მაგრამ ვერ შეძლო. ბოლოს ასე მითხრა:

– პასტორო, თქვენ იცით, რომ სახლში ორი პატარა შვილი მყავს. ნამდვილად აუცილებელია მათი ეკლესიაში დაბრუნება, არა?

და ამასთან ერთად მადლობა გადაგვიხადა მასთან სტუმრობისთვის.

მან კიდევ ერთი ამბავი მომითხრო სხვა კონგრესმენის შესახებ:

– როცა ამ კონგრესმენს პირველად შევხვდი. მის ოფისში ერთ-ერთი ეკლესიის თხუთმეტ ლოცვით შუამდგომელსა და მათ პასტორთან ერთად აღმოვჩნდი. მისი სხეულის ენა ცხადყოფდა, რომ ვერ ხვდებოდა, რა გვინდოდა მისგან, ვინაიდან ეკლესიის ჯგუფსა და ეროვნული ლოცვის ცენტრს წარმოვადგენდით.

ის ძალიან კეთილგანწყობილი იყო და გვკითხა, რით შეძლებდა ჩვენს დახმარებას. მე ვუთხარი, რომ მისგან არაფერი გვინდოდა და უბრალოდ, ქვეყნის სამსახურისთვის მადლიერების გამოსახატავად მივედით. ასევე კარგი იქნებოდა, თუ წასვლამდე მისთვის ლოცვის ნებას დაგვრთავდა.

კონგრესმენი მოეშვა თავის სავარძელში და გვითხრა:

– ეს ჩემთვის საჩუქარია.

შემდეგ გვიამბო, რაში გავლა უწევდა ყოველდღიურად, როცა მის კაბინეტში ადამიანები მოდიოდნენ და ფულს თხოვდნენ. მან გვითხრა, რომ კედელზე ყოველდღე უყურებს ციფრულ გამოსახულებას, რომელიც დღის განმავლობაში მოთხოვნილ თანხას აჯამებს. შემდეგ მოგვიბრუნდა და თქვა:

– თქვენ კი დღეს სხვა რაღაცის მოსაცემად მოხვედით. ეს ადრე არასოდეს მომხდარა.

როცა მისთვის ვილოცეთ, დასასრულს გვითხრა:

– შეგიძლიათ, ჩემი თანამშრომლებისთვისაც ილოცოთ? მთელი შტატი შემოვიდა და მათთვისაც ვილოცეთ.

ბოლოს მან მაჯის საათს დახედა და თქვა:

– ამ წუთას ერთი შეხვედრა გაუქმდა. ხომ არ ისურვებდით ჩემთან ერთად წამოსვლას კაპიტოლიუმის დასათვალიერებლად? (როგორც წესი, ამას კონგრესმენი არ აკეთებს. ეს სტაჟიორების ან საწყისი დონის თანამშრომლების მოვალეობაა).

მას კაპიტოლიუმში დავყავდით, დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში. ბოლოს მე და კონგრესმენმა სავიზიტო ბარათები გავცვალეთ და ის წავიდა.

ორი კვირის შემდეგ იმ ეკლესიის პასტორისგან ამაღელვებელი სატელეფონო ზარი შემოვიდა. მან მითხრა, რომ ახლახანს ზემოხსენებულმა კონგრესმენმა დაურეკა და სთხოვა, შეეძლო თუ არა ამ უქმეებზე მის ეკლესიაში მისვლა. ვისაუბრეთ, როგორ უნდა მოეგვარებინა ეს საქმე და დარწმუნებული იყავით, რომ პოლიტიკოსი მეუღლესა და შტატის უფროსთან ერთად მართლაც გამოჩნდა კვირა დღეს.

ღვთისმსახურების შემდეგ პასტორმა მას მეუღლე გააცნო და ცოტა ხნით ისაუბრეს. შემდეგ მისთვის და მისი ცოლისთვის

ილოცეს, რამაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ყველაფერი კონგრესმენის კაბინეტში პატივის მიგებისა და ლოცვის შედეგი იყო.

ჩემს მეგობარ პასტორს ამგვარი დამოწმებები მრავლად აქვს. შესაძლოა, კითხვა დასვათ: „ჭეშმარიტება ჩვენი ქვეყნის ლიდერებსაც უნდა მივუტანოთ?“ დიახ, ისევე როგორც იოანე ნათლისმცემელი იქცეოდა, როგორც ზემოხსენებულმა მსახურმა გააფრთხილა პრეზიდენტი კლინტონი, როგორც სხვები აკეთებენ და კვლავაც გააკეთებენ. და მაინც, თუ ჩვენი ერის წინამძღოლები ეკლესიას არ აღიარებენ, როგორც იესო ქრისტეს სიყვარულით და თანაგრძნობით მავალ ადამიანებს, რომლებიც მათი ძალაუფლების პოზიციას პატივს სცემენ, ჩვენს სიტყვებსაც არ მოისმენენ. ჭეშმარიტება უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ სიყვარულით და უფლის მოშიშებით.

იქნება მომენტები, როცა ღმერთი მის მსახურ(ებ)ს საერო წინამძღოლთან გაგზავნის მკაცრი სიტყვით, როგორც წინასწარმეტყველები მიდიოდნენ მეფეებთან ძველ აღთქმაში. თუმცა რა სიკეთე შეიძლება მოვიდეს, როცა სახლებში, პატარა ჯგუფებსა და ეკლესიის მსახურებებზე მათ ვაკრიტიკებთ ან მხარს ვუჭერთ ამის გამკეთებლებს? ეს სხვა არაფერია, თუ არა ლანძღვა. ჩუმად ლაპარაკის ნაცვლად, სიყვარულით სავსე გულით და პატივისცემით თქმა უნდა შეგვეძლოს ერის წინამძღოლთა წინაშე. თუ ასე არ ვიქცევით, საკუთარ სულს ვწამლავთ და ეს ერის მთავართა წინაშე გამოვლინდება.

მეფის პატივისცემა

მოისმინეთ პეტრე მოციქულის სიტყვები. იგი ამბობს: „გეშინოდეთ უფლის. მეფეს პატივი ეცით“ (1 პეტრ. 2:17).

პეტრე ამბობს: „როგორ ამბობთ, რომ ღვთისა გეშინიათ, რომელსაც ვერ ხედავთ, თუ პატივს არ მიაგებთ მის მიერ დაყენებულ ერის წინამძღოლს, რომელსაც ხედავთ?“ თუ ღვთისა გვეშინია, პატივს მივაგებთ წინამძღოლებს, იქნებიან ისინი საერო, საზოგადოებრივი, ოჯახის თუ ეკლესიისა.

როგორც წინა თავში განვაცხადეთ, ამერიკაში წინამძღოლს ასე ვეუბნებით: „ჯერ ჩემი პატივისცემა დაიმსახურე“. თუმცა უფლის შიში ამბობს: „ვხედავ ძალაუფლებას, რომელიც ღმერთმა მოგანიჭა. ამრიგად, ჩემი პატივისცემა უკვე თქვენ გეკუთვნით“.

გამოვიკვლიე, რომელ მეფეზე ლაპარაკობდა პეტრე. რასაკვირველია, წმიდა წერილში არ იგულისხმება რომელიმე კერძო პირი. მისი სიტყვები მიმართულია ყველა დროის ყველა

მორწმუნის მიმართ, რომ პატივი მიაგონ თავიანთი ერის ლიდერებს. თუმცა პეტრეს შემთხვევაში ლაპარაკია ჰეროდე აგრიპა I-ზე, რომელიც უკიდურესად გახრწნილი და ანგარებიანი ლიდერი გახლდათ.

ამ ადამიანმა ძალაუფლება ჩვ. წ.-ის 37 წელს მიიღო იესოს აღდგომის შემდეგ. ეს საკუთარი ჭკუითა და ტაქტიანობით შეძლო. შორსმჭვრეტელი გონებით გადასინჯა ყველა საშუალება, რომელიც წინსვლაში დაეხმარებოდა. რომის იმპერატორ კალიგულას მკვლელობის შემდეგ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მანევრი იყო ტახტის მოსაპოვებლად კლავდიუსის მხარდაჭერა. ამ უკანასკნელმა სათანადოდ დააფასა ჰეროდეს გონივრული ნაბიჯი, მის სამეფოში განამტკიცა და თან იუდეისა და სამარიის ტერიტორიებიც დაუმატა. ახლა აგრიპა იმხელა სამეფოს მართავდა, რამხელაც მის პაპას, ჰეროდე დიდს ჰქონდა.

მმართველობის პერიოდში ჰეროდე აგრიპა I-ს იუდაიზმსა და ქრისტიანთა სექტას შორის დაპირისპირებისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აიძულეს. მან უყოყმანოდ აირჩია ქრისტიანთა სასტიკად მდევნელის როლი. ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „იმ დღეებში, მეფე ჰეროდემ საბოროტოდ აღმართა ხელი ეკლესიის ზოგიერთ წევრზე. მან მახვილით მოაკვლევინა იაკობი, იოანეს ძმა; და როცა დაინახა, რომ ამით იუდევლებს აამა, პეტრეც დააპატიმრა“ (საქმ. 12:1-3). იგი სასტიკად ექცეოდა მორწმუნეებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების გამო და იუდეველთა კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. მან მოაკვლევინა იაკობი – იესოსთან დაახლოებულ მოციქულთაგან ერთ-ერთი – და პეტრეს მოკვლაც განიზრახა.

აგრიპას პეტრეს დასჯის გეგმა ჩაეშალა ეკლესიის ლოცვებისა და მორჩილების გამო (მუხ. 5-19). მისმა ხსნამ მნიშვნელოვნად განამტკიცა მორწმუნეები. წმიდა წერილში მათი მორჩილების საზღაურს ვპოულობთ: „ღვთის სიტყვა კი იზრდებოდა და მრავლდებოდა“(მუხ. 24).

წმინდანთა გამუდმებულმა ლოცვებმა და ძალაუფლების წარმომადგენელთა პატივისცემამ დიდი გავლენა მოახდინა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. როგორც ვკითხულობთ, ჰეროდე აგრიპამ დღე დანიშნა ხალხის წინაშე გამოსვლისთვის, ტახტზე დაჯდა სამეფო სამოსით და ქვეშევრდომებს მიმართა: „ხალხი კი ღაღადებდა: „ღმერთის ხმაა და არა კაცისა“. მაგრამ მოულოდნელად უფლის ანგელოზმა დასცა იგი, ვინაიდან დიდება არ მიაგო ღმერთს, და მატლებისგან შეჭმულს, სული ამოხდა“ (მუხ. 22-23).

სასჯელი მოვიდა, მაგრამ უფლის მახვილისგან და არა ღვთის ერისგან. ღმერთია ერთადერთი, ვისაც შეუძლია ძალაუფლებაში

მყოფთ განაჩენი გამოუტანოს. ჩვენ კი გვებრძანა, რომ ვილოცოთ და პატივი მივაგოთ წინამძღოლებს. თუ სასჯელის საჭიროება დადგება, ღმერთი ამბობს, რომ საამისო ადგილი უნდა დავუტოვოთ. სამართლიანად განსჯის დაპირებას ვაუქმებთ ჩვენი დაუმორჩილებლობით წინამძღოლებისთვის ლოცვისა და მათი პატივისცემის საქმეში. არსებითად, ამით ვიშორებთ ჩვენი ერის ან თემისთვის ძალზე საჭირო რამეს – ღვთიურ ჩარევას.

თანამედროვე მაგალითი

არცთუ დიდი ხნის წინ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ნიგერიაში. ბოროტმა წინამძღოლმა, სანი აბაჩამ 1993 წელს ძალაუფლება ხელში ჩაიგდო საერთო არჩევნების გაუქმებით და სავარაუდო გამარჯვებულის, მოსჰუდ აბიოლას დაპატიმრებით. ამის შემდეგ მან ბევრი დემოკრატი ლიდერი დასაჯა და დიქტატორულ მმართველობას შეუდგა. მისი მმართველობის პირობებში მრავალი უდანაშაულო ადამიანი მოკლეს, ხოლო მისი პირადი ევროპული ანგარიშებიდან 3 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

ერთი ახლო მეგობარი მყავს, მარკი. ის ხშირად ჩადის ნიგერიაში. მარკი ორ წამყვან ნიგერიელ პასტორს დაუმეგობრდა – ე. ა. ადებოიესა და ეპისკოპოს დევიდ ოიედეპოს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უზარმაზარ ქრისტიანულ მოძრაობაზე. მათ ყოველთვიურ ლოცვით შეხვედრებზე, როგორც წესი, მილიონი მორწმუნე ესწრება. წელიწადში ორჯერ განსაკუთრებული ლოცვითი შეხვედრები აქვთ – ერთი ივნისში და მეორე — დეკემბერში და ორივეზე დამსწრეთა რიცხვი ორ მილიონს აჭარბებს.

ჩემო მეგობარო, ისინი, ვინც ხშირად სტუმრობენ ამ ერს, მეუბნებიან, რომ ნიგერიელი მორწმუნეები დიდ პატივს მიაგებენ თავიანთ საერო მმართველებს. მეორე მხრივ, ისინი გულმოდგინედ ლოცულობენ ერის წინამძღოლებისთვის და მათ ერში სამართლიანი მმართველობისთვის.

პასტორმა მარკმა მითხრა, რომ 1998 წლის დასაწყისში ყოველთვიური ლოცვითი შეკრების დროს მესამე ცნობილმა ნიგერიელმა პასტორმა ჩრდილოეთიდან – ემანუელ კურიმ იხილა, როგორ გაიყო ღრუბლები და ორი უზარმაზარი ანგელოზი გამოჩნდა მახვილებით ხელში. ღმერთმა აჩვენა, რომ აბაჩას დღეები დათვლილი იყო. ფაქტობრივად, მან იწინასწარმეტყველა, რომ ეს სამ თვეში მოხდებოდა. ამას თავს ვერ დააღწევდა, თუ არ მოინანიებდა. პასტორ კურის ნალაპარაკევი პრეზიდენტის

ყურამდე მივიდა. აბაჩამ „სამშვიდობო შესაწირი“ – უზარმაზარი თანხა გაგზავნა, რომ წინასწარმეტყველება გაეუქმებინათ. პასტორმა კურიმ მარკს გაუზიარა უფლის სიტყვები: „არ შეეხო მას, თორემ შენზე გადმოვა მისი [აბაჩას] კეთრი“. პასტორმა კურიმ ამცნო მას, რომ მონანიება და ღვთისკენ მობრუნება სჭირდებოდა.

ღმერთმა ლოცვითი შეკრების წარმმართველ პასტორს, ე. ა. ადებოიეს პრეზიდენტ აბაჩასთან შეხვედრის შესაძლებლობა მისცა. მან მმართველი გააფრთხილა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა, თუ არ მოინანიებდა.

1998 წელს დიდი ლოცვითი მსახურების დროს, სამი თვის შემდეგ, რაც კურიმ ანგელოზები იხილა, პასტორი ადებოიე შეკრებილებს მიუბრუნდა და უთხრა, რომ ერთმანეთისთვის „ბედნიერი ახალი წელი“ ესურვებინათ. ხალხი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა. მან თქვა, რომ უღელი დამტვრეული იყო და ქუჩები ცეკვის ხმებით აივსებოდა.

ამ განცხადებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ პრეზიდენტი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით. ახალი ამბები იტყობინებოდა (რომელიც ინტერნეტით მოვიპოვე): „BBC-ის თანახმად, სახელმწიფო რადიო გადმოსცემს ადგილობრივი ახალი ამბების ცნობას, რომ ნიგერიელები მთელი ქვეყნის მასშტაბით ზეიმობენ პრეზიდენტის გარდაცვალების ახალ ამბავს“. ლოცვის შეხვედრებზე დამსწრე მლოცველები მიხვდნენ, რომ ადებოიე დიქტატორის მმართველობის უღლის გადაგდებაზე ლაპარაკობდა.

მოკლე ხანში ნიგერია იკურთხა. პრეზიდენტის პოსტი ქრისტიანმა კაცმა დაიკავა. ერში ღვთის სულის დიდი მოძრაობა დაიწყო. ფაქტობრივად, ევანგელისტ რეინჰარდ ბონკეს ნიგერიაში არ უშვებდნენ აბაჩას მმართველობისას. მისი გარდაცვალების შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა, ოლუსეგუნ ობასანჯომ, რეინჰარდი თავის ინაუგურაციაზე მიიწვია. ამის შემდეგ კი მისთვის ქვეყნის კარი გაიღო.

რეინჰარდ ბონკეს პირველი სამახარებლო მსახურება 1999 წლის ოქტომბერში ჩატარდა. 2006 წლის ოქტომბრისთვის მისი მახარებლობის შედეგად იესო ქრისტე მხსნელად და უფლად აღიარა ორმოცდაორმა მილიონმა ადამიანმა. ეს დადასტურებულია წერილობითი გადაწყვეტილების ბარათებით და ამის შესახებ მეგობარმა მითხრა, რომელიც იმ დროს ბონკეს მსახურების აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა.

2000 წელს ნიგერიის მოსახლეობა 123 337 822 ადამიანს შეადგენდა. არსებითად, ორმოცდაორი მილიონი მოქცეული

მთელი ერის მესამედი ნაწილია! ამაში არ შედის ადგილობრივი პასტორების, სხვა მახარებლებისა და მორწმუნეების ნაყოფები, რომლებიც ნიგერიაში 1999 წლიდან შრომობდნენ (საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნიგერიის მოსახლეობა მთელი აფრიკის კონტინენტის პოპულაციის ერთ მეოთხედს შეადგენს). ვიტყოდი, რომ ეს დახსნილი სულების საოცარი მოსავალია. გაიხსენეთ, რას ამბობს წერილი ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ: „უფლის სიტყვა კი იზრდებოდა და ვრცელდებოდა“ (საქმ. 12:24). რატომ ეწია მას სიკვდილი? იმიტომ, რომ წმინდანები უფლის მოშიშებით დადიოდნენ (რაც ერის მთავართა პატივისცემას მოიცავს), ხოლო ეკლესია ერთობლივად ლოცულობდა.

როცა ღვთის ერი პატივს მიაგებს ძალაუფლების სათავეში მყოფ ადამიანებს, მათთვის ლოცულობს და ღვთის სიტყვის მორჩილებაში დადის, ღვთის სულის დიდებულ გადმოღვრას ვიხილავთ ჩვენს დაბებზე, ქალაქებსა და მთლიან ერზე. რას ველოდებით?

8

საზოგადოებრივი წინამძღოლების პატივისცემა

„უღელქვეშ მყოფი მონები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ ბატონებს, რათა არ იგმობოდეს ღვთის სახელი და მოძღვრება“.

– 1 ტიმ. 6:1

ამ მუხლში პავლე საზოგადოების წინამძღოლებზე ლაპარაკობს. მათში შედიან ჩვენი დამქირავებლები, უფროსები, მასწავლებლები, მწვრთნელები და ასე შემდეგ. როგორც ერთ-ერთ წინა თავში განვაცხადეთ, დღეს იგივე მუხლი შეიძლება ასე წავიკითხოთ: „თანამშრომლები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ დამქირავებლებს“. ან კიდევ: „მოსწავლეები ყოველგვარი პატივის ღირსად უნდა თვლიდნენ თავიანთ მასწავლებლებს“. იგივე შეიძლება ითქვას ათლეტებსა და მწვრთნელებზე ან სხვა რომელიმე ურთიერთობაზე, სადაც ერთი ადამიანი მეორეს დაქვემდებარებაშია.

ყურადღება მიაქციეთ, რომ საზოგადოებრივ წინამძღოლებს პატივი უნდა მივაგოთ, რომ „არ იგმობოდეს“ ღვთის სახელი და სახარების მოძღვრება. ბიბლიის გავრცობილი თარგმანი ამბობს: „რომ ღვთის სახელსა და მოძღვრებას [მის შესახებ] *არ შეექმნას ცუდი სახელი და არ დაიგმოს*“ (ხაზგასმა ჩემია). *ცუდი სახელი* განიმარტება როგორც „საზოგადოების მიერ დაბალი

შეფასების მქონე“, ხოლო *გმობა* „ღვთის ან წმინდა საგნების უპატივცემულოდ მოპყრობას“ ნიშნავს.

ამ ორი განსაზღვრების შეერთებით ვხედავთ, რომ ღვთის სამეფოს ხალხი არ დააფასებს, როცა მორწმუნეები უფროსების, მასწავლებლების და სხვა საზოგადოებრივი წინამძღოლების პატივისცემას უგულებელყოფენ და ეს შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ღმერთს ან მის სიწმინდებს უპატივცემულოდ მოეპყრან.

როგორ შეიძლება გამოხატოს საზოგადოებამ ღვთის მიმართ უპატივცემულობა? სკოლებში ლოცვა გააუქმეს; სასამართლო დარბაზებიდან მოაშორეს ათი მცნება. ჩვენი გართობის სახეობათა დიდი ნაწილი შეურაცხმყოფელი და ათეისტურიც კია; მუსიკა მეტწილად ღმერთს შეურაცხყოფს; ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა სამყაროს ღვთისგან წარმოშობის იდეის მორწმუნეებს არა მარტო გონებაშეზღუდულებად მიიჩნევს, არამედ ცოდნის წინსვლის საფრთხედაც და სია ასე გრძელდება. შეგვიძლია თუ არა მორწმუნეებს, რომ ჩვენი საზოგადოების ურჯულო ქცევას რამე შევმატოთ საზოგადოებრივი ძალაუფლების მიმართ უპატივცემულობით? ზემომოყვანილ მუხლში პავლეს სიტყვებიდან ჩანს, რომ სწორედ ეს ხდება, როცა სათანადო პატივისცემას არ ვიჩენთ.

სახარების ტრაგიკული პორტრეტი

ამ თემაზე ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ პავლეს ნათქვამის დამადასტურებელი საუკეთესო მაგალითი ის ამბავია, რომელიც რამდენიმე წლის წინ გადამხდა. თვითმფრინავში ჩავჯექი, რომ ერთი დიდი ქალაქიდან გავფრენილიყავი. მუდმივი მოგზაურის სტატუსმა მიშველა და პირველი კლასის ბილეთებით დამაჯილდოვეს. ერთი კარგად ჩაცმული ბიზნესმენის გვერდით აღმოვჩნდი, რომელიც შერეულ სასმელს წრუპავდა. ვიგრძენი, რომ უნდა გავცნობოდი და სახარება გამეზიარებინა, ამიტომ საუბარი დაუყოვნებლივ გავუბი. ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ, რასაც სწრაფი და წამახალისებელი აზრთა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მოყვა. მოკლედ, ერთმანეთს კარგად გავუგეთ.

ძალზე გამჭრიახი ჩანდა და სანამ პირდაპირ ვკითხავდი, უკვე მივხვდი, რომ საქმე ლიდერთან მქონდა, ამიტომ მისი სამუშაოთი დავინტერესდი. მან მითხრა, რომ ქალაქში სიდიდით მეორე ტაქსოპარკის მფლობელი გახლდათ. საუბარი ამ მიმართულებით წავიყვანე და დავინტერესდი, როგორ მართავდა კომპანიას. გარკვეული დროის მანძილზე მისი საქმიანობის შესახებ მიამბობდა და შემდეგ მკითხა, მე რას ვაკეთებდი. ასე

ვუპასუხე:

– მე ღვთისა და სახარების მსახური ვარ.

მისი მეგობრული გამომეტყველება უცებ შეიცვალა. მან ცხვირი ჩამოუშვა, რაღაც წაიბუზღუნა და მიტრიალდა. ელდა მეცა. ასერიგად კეთილგანწყობილმა ადამიანმა მოულოდნელად უარმყო, თითქოს არ უნდოდა, ჩემთან რაიმე საერთო ჰქონოდა. და მაინც, ჩვენი საუბარი აქამდე ისე კარგად მიდიოდა, რომ შემეძლო ცოტათი მივწოლოდი, ამრიგად, უდარდელად ვიკითხე:

– ოჰო, რა რეაქცია გქონდა! რა ხდება?

იგი ისევ მომიბრუნდა სერიოზული გამომეტყველებით და მითხრა:

– იცი, უბრალოდ, მომეწონე, ამიტომ გეტყვი, რატომ არ მინდა რაიმე საერთო მქონდეს მსახურებთან და საერთოდ, ქრისტიანებთან.

ახლა უკვე ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

მან მითხრა:

– ერთი თანამშრომელი ქალი მყავდა, „ზეციდან შობილთა-განი“ [ხმა არ ამომიღია]. იგი სამუშაო დროის დიდ ნაწილს სხვა თანამშრომლებთან ქადაგებაში ხარჯავდა, რომ მათ „გადარჩე-ნა“ სჭირდებოდათ. არა მარტო თავად იყო არაპროდუქტიული, სხვებსაც არ აცლიდა მუშაობას.

ბოლოს დამეთხოვა და თან წაიყოლა კომპანიის კუთვნილი ნივთები. უფრო მეტიც, რვა ათასი დოლარის საერთაშორისო სატელეფონო საუბრების ვალი დამიტოვა, რომელიც თავის ვაჟთან გერმანიაში ლაპარაკისას დააგროვა (ეს ამბავი 90-იან წლებში მოხდა, როცა სატელეფონო საუბრები ძვირი ღირდა).

გული მეტკინა. კომპანიის თანამშრომლებისთვის ახლა ძნელი იქნებოდა ღვთის სიტყვის მოსმენა, რადგან იმ ქალის საქციელმა სირცხვილი მოიტანა. მან პატივი არ მიაგო თავის უფროსს და კომპანიის თანამშრომლებს იმ დროს ქადაგებით, როცა უნდა ემუშავა და შემდეგ ქურდობით. ის ყველაზე სანდო მუშაკი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ ეუბნება პავლე მშრომელებს:

> „მონები ემორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს ყველაფერ-ში, მოსაწონნი იყვნენ და არა მოკამათენი, არაფერი მოიპ-არონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება, რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძ-ღვრება“.

– ტიტე 2:9-10

იმ ქალმა ხაზი გადაუსვა თავის ნაქადაგებს (ჩვენი ცხოვრება ნათქვამზე ხმამაღლა ლაპარაკობს). მან გაკიცხვა მოუტანა სახარებას. ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ღვთის სიტყვა ამბობს, პატივი ეცა დამქირავებლისთვის, საქმეს სულ სხვაგვარად წარმართავდა. პატივისცემა დაფასებას, დაქვემდებარებას და ძვირფასად მიჩნევას ნიშნავს. მისი დამოკიდებულება და ქცევა განსხვავებული იქნებოდა, პატივისცემით სავსე გული რომ ჰქონოდა. შინაგან სიწრფელესთან შეწყვილებული საქმის კარგად შესრულების მოტივაცია სახარების წინსვლას მოიტანდა.

იმ კომპანიის მფლობელთან საუბრის დარჩენილი დრო ზემოხსენებული ქალის საქციელის გამო ბოდიშის მოხდას მოვანდომე. იგი მისმენდა, მაგრამ ნუგეშცემული არ ჩანდა. ზარალი დიდი იყო და მისი გამოსწორება ადვილი არ გახლდათ. იმ შემთხვევამ მთელ ჩვენს საუბარს დაატყო თავისი დაღი.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ამბავი ერთ ეკლესიაში ქადაგებისას აღვნიშნე.

ჩვენმა ერთ-ერთმა ფინანსურმა პარტნიორმა, მოგვიანებით, ეს ამბავი დისკზე ჩაწერილი მოისმინა და ჩვენს მსახურებას თხოვნით დაუკავშირდა. თუ იმ ბიზნესმენის კომპანიის შესახებ ინფორმაციას და მისამართს მოვიძიებდით, ის საბოდიშო წერილს დაწერდა და რვა ათასი დოლარის ჩეკს გაუგზავნიდა ღვთის სიყვარულის ნიშნად.

ამაღელვა ამ კაცის სურვილმა კომპანიის მფლობელისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ და საქმეში პირადად ჩავერთე. კომპანიაში დარეკვის შემდეგ გავიგე, რომ მფლობელი ექვსი თვის წინ გულის შეტევით გარდაცვლილიყო. ეს კიდევ ერთი გამანადგურებელი ამბავი იყო ჩემთვის. მაინტერესებდა, მოისმინა თუ არა, რაც თვითმფრინავში ვუთხარი, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვა, მაშინ ვერ შევძელი სახარების გაზიარება, რადგან მისი გული დაკეტილი იყო. მხოლოდ იმის იმედი მქონდა, რომ სახარების სხვა მუშაკმა მოახერხა მისთვის სიტყვის მიტანა. კარგა ხნის მანძილზე ვფიქრობდი, მოახერხა თუ არა ღმერთთან მშვიდობის დამყარება. ვიცოდი, რომ თანამშრომელი ქალის საქციელის შემდეგ ამ საქმეს სასწაული დასჭირდებოდა.

რამდენად ადვილი იქნებოდა იმ ბიზნესმენისთვის სახარების თვითმფრინავში მიტანა, იმ ქალს პატივი რომ მიეგო უფროსისა და კომპანიისთვის. ფაქტობრივად, ის გაიხსნებოდა ღვთის სიტყვის მისაღებად. რატომ? ის ასე იტყოდა: „ჯონ, ვიცი, რასაც ამბობ. ჩემი საუკეთესო თანამშრომლები ქრისტიანები იყვნენ. ჩემს ცხოვრებაში არეულობაა. იესო მჭირდება, რომ საუკუნო სიცოცხლე მომცეს. დიახ, შენთან ერთად ვილოცებ“.

დადებითი კუთხითაც რომ ვილაპარაკოთ, მომისმენია ურწმუნოებისთვის, რომლებიც ნამდვილი ქრისტიანობის მოწმობას ხედავდნენ თავიანთ თანამშრომლებში, არა მათი ქადაგების, არამედ რთულ ვითარებებში ქრისტიანული ხასიათის წარმოჩენისა და სამუშაო ეთიკის გამო. მათ ასე უთქვამთ: „ისინი სხვა თანამშრომლებზე მეტს მუშაობდნენ“ ან „ისინი არიან ყველაზე პატიოსანი და სანდო თანამშრომლები, რომლებიც კი მყავს“ ან „ისინი არასოდეს კამათობენ, წუწუნებენ და ჩემთან კადნიერად არ ლაპარაკობენ“.

რა აძლევს ამ მორწმუნეებს სხვაგვარად შრომის უნარს, რაც ზემოხსენებულ ქალს არ ჰქონდა? პასუხი მარტივია – უფლის შიში, რომელიც ნამდვილ პატივისცემას წარმოშობს ჩვენს გულებში იმ ადამიანების მიმართ, ვისზეც ღმერთი ზრუნავს და უყვარს.

საკლასო ოთახში

უამრავი ანგარიში და ამბავი მომისმენია წლების მანძილზე, თუ როგორ შეეწეოდნენ მორწმუნეები სახარების საქმეს ან სახელს უტეხდნენ მას საერო ვითარებაში პატივისცემის გამოჩენით ან უპატივცემულობით. ჩემი პირველი შეხვედრა ამგვარ მოწმობებთან როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მოხდა.

იესო ქრისტე უფლად მივიღე პერდიუს უნივერსიტეტის სტუდენტურ საძმოში. კათოლიკედ აღმზარდეს და საეკლესიო მსახურებებს ერთგულად ვესწრებოდი, თუმცა სულის ხსნა ძალიან მჭირდებოდა. მახსოვს, როგორ მიიპყრო ჩემი ყურადღება საძმოს ერთ-ერთმა სტუდენტმა თავისი მოსიყვარულე, მაგრამ მტკიცე ხასიათით და ქცევით. ის საოცარი ათლეტი გახლდათ და მისი ცხოვრება დისციპლინით გამოირჩეოდა. შევნიშნე, რომ საძმოს საღამოებს დასაწყისიდანვე ესწრებოდა, მაგრამ მიდიოდა, სანამ დანარჩენები კარგად გამოვთვრებოდით და მთლად ხელიდან წავიდოდით. იგი ძალზე თავაზიანად ესაუბრებოდა როგორც ბიჭებს, ისე გოგონებს და თან ამ დროს გაზიან წყალს სვამდა.

მან შეამჩნია, რომ რელიგიური ვიყავი, თუმცა ღვთისგან შორს მყოფი. ამრიგად, თავდაპირველად, დამიმეგობრა და გარკვეული დროის შემდეგ, ერთ საღამოს კარზე მომიკაკუნა. ღვთის სიტყვის გაზიარების შემდეგ მკითხა:

– ჯონ, შეგიძლია რამე მითხრა შეერთებული შტატების პრეზიდენტის შესახებ?

მე ვუპასუხე:

– რასაკვირველია, მისი სახელია ჯიმი კარტერი, მის მეუღლეს როზალინი ჰქვია. ადრე ჯორჯიის შტატის მმართველი იყო, ხოლო იმის წინ – არაქისის ფერმის მეპატრონე.

მან მითხრა:

– კარგია. ახლა შეგიძლია იესოს შესახებ მიამბო?

მე ვუპასუხე:

– რა თქმა უნდა. იგი ქალწულისგან იშვა. მისი გამზრდელი მამა იყო იოსები. მას ჰყავდა თორმეტი მოციქული და ჯვარს აცვეს.

მან მითხრა:

– დიდებულია. ახლა მიპასუხე, პრეზიდენტ კარტერს ისევე კარგად იცნობ, როგორც საკუთარ დედას?

სწრაფად ვუპასუხე:

– არა.

მან მკითხა, რაში იყო განსხვავება.

მე ვუპასუხე:

– ის ხომ დედაჩემია. მას პირადად ვიცნობ. შეერთებული შტატების პრეზიდენტს კი არასოდეს შევხვედრივარ.

შემდეგ მან მითხრა:

– ამრიგად, დედასთან პირადი ურთიერთობა გაქვს, მაგრამ პრეზიდენტს კარგად არ იცნობ, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრი რამ იცი, მასთან ახლოს არ ხარ.

მე ვუპასუხე:

– მართალია.

შემდეგ მან მკითხა:

– იესოს ისევე კარგად იცნობ, როგორც დედას?

გავშეშდი. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა. მან ღვთის სრული გეგმა დამანახა, რომ იესოს დედამიწაზე გამოგზავნის მიზეზი არ ყოფილა ეკლესიაში მოსიარულეთა ჯგუფის შექმნა, არამედ ახლო და პირადი ურთიერთობის ჩამოყალიბება ჩვენთან, რადგან ამას დიდხანს ელოდა და ვუყვარდით. აღმაფრთოვანა იმის აღმოჩენამ, თუ რისთვის ვიყავი შექმნილი.

მომდევნო წელს საათებს ვატარებდი ბიბლიის კითხვაში. ვერ ვძღებოდი, ისე მინდოდა ღვთის სიტყვის ცოდნა. სანამ ცხოვრებას იესოს მივუძღვნიდი, ბიბლია ამბებისა და წესების ერთობლიობა იყო. ახლა ის ღვთის სიტყვად იქცა ჩემთვის, რადგან გულში ცოცხლდებოდა.

როგორც საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტს, რამდენიმე არჩევითი საგნის შესწავლა შემეძლო. ჩამონათვალში იყო ნოტრ დამის მიერ შემოთავაზებული კურსები, რომელსაც პერდიუს

ადგილობრივი პროფესორი გვიკითხავდა. გადავწყვიტე *ძველი აღთქმის მიმოხილვა 101* ამერჩია. ახალმოქცეული ვიყავი და ძველი აღთქმის ზოგიერთი მოძღვრების გაგება მიჭირდა. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა ამ საკითხზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა.

ჩვენი კლასი ყოველ ორშაბათს სამი საათით იკრიბებოდა. პირველ გაკვეთილზე პროფესორი ჩვენ წინ წარსდგა და მისმა განცხადებამ შოკურ მდგომარეობაში ჩამაგდო. მან თქვა, რომ წმიდა წერილში ექვსასზე მეტი წინააღმდეგობა იყო და ბიბლიის საფუძველზე ისტორიულად ვერ დაამტკიცებდით, აღდგა თუ არა იესო მკვდრეთით და როცა მოსემ მეწამული ზღვა გადალახა ისრაელიანებთან ერთად, ის მაშინ ჭაობი იყო. ბიბლიაში ეს მოვლენება ასე შთამბეჭდავად იმიტომ აღიწერა, რომ თაობები მიდიოდა და ამბავს თანდათან დეტალები ემატებოდა, სანამ ჭაობი დიდ ზღვად არ გადაიქცა.

საჭირო არ არის იმის თქმა, რომ სემესტრი მღელვარედ გავატარე. მახსენდება ჩემი დაპირისპირებები პროფესორთან და სხვა სტუდენტებთან. ერთ-ერთი გაკვეთილის დროს მე და პროფესორი გამოყოფილი სამი საათიდან ორი საათის მანძილ-ზე ვკამათობდით. ამ დროის განმავლობაში მტკიცე გადაწ-ყვეტილებით ვლაპარაკობდი, მაგრამ პატივისცემას ვიჩენდი მისი, როგორც მასწავლებლის პოზიციის მიმართ.

სასწავლო წლის დასაწყისში კვლევის ჩატარება დაგვავალეს, რომელიც სემესტრის ბოლოს უნდა წარგვედგინა. საბოლოო შეფასების მესამედი ამ დავალებაზე იყო დამოკიდებული. გულმოდგინედ ვიშრომე. ბოლო გაკვეთილზე პროფესორმა გასწორებული ნაშრომები დაგვიბრუნა. ჩემს კვლევაზე შეფასება საერთოდ არ იყო, მაგრამ ეწერა უზარმაზარი „I“ ნიშანი. შევფიქრიანდი, მეტი რომ არაფერი ვთქვა. გაკვეთილის ბოლოს მასთან მივედი. მან ასე მითხრა:

– ჯონ, ჩემს კაბინეტში მოდი და იქ ვილაპარაკოთ შენი შეფასების შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ მის კაბინეტში შევხვდით. საუბარი ამ სიტყვებით დაიწყო:

– ჯონ, მე და შენ ორ განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობთ. ამიტომ, ვიფიქრე, რომ შენი კვლევის გასწორება არ შემეძლო. ამიტომ დავსვი მასზე „I“, რაც ნიშნავს, რომ არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო შეფასებისას. სემესტრული ნიშნის გამოყვანისას მხოლოდ ორი გამოცდის შედეგებს გავითვალისწინებ.

შემდეგ მან დაამატა:

– ჩემს სტუდენტებს შორის რამდენიმე „ფუნდამენტალისტი“ მყავდა, რომლებიც დიდ სატკივარს მიჩენდნენ. თითქმის ყველა მათგანმა სამიდან ერთი რამ გააკეთა: ჯგუფში ქაოსი შექმნა, გაკვეთილი დატოვა და ზოგიერთმა რწმენაც კი უარყო.

შემდეგ ხმა დაურბილდა და თქვა:

– ჯონ, შენ განსხვავებული იყავი. ერთი ნაბიჯითაც არ დაგიხევია საკუთარი მრწამსიდან. მტკიცედ იდექი შენსაზე და თან პატივისცემით მელაპარაკებოდი. ასევე დაიმსახურე თანაკურსელების პატივისცემა. მადლიერი ვარ შენი გამბედაობისა და პატივისცემისთვის, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინე.

ჩვენი საუბრით ღმერთმა რაღაც მაჩვენა. როცა მტკიცედ ვდგავართ მისი სიტყვის გამოცხადებაზე, მაგრამ ამას ლიდერების პატივისცემით ვაკეთებთ, ვხედავთ ღვთის მოძრაობას ჭეშმარიტების სასიკეთოდ. მის აუდიტორიაში მყოფი სხვა „ფუნდამენტალისტები“, ალბათ, ზეციდან შობილი მორწმუნეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათმა მოწმობამ სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო, რის მიღწევასაც ცდილობდნენ: იესო ქრისტეს დანახვება თანაკურსელებისა და მასწავლებლისთვის. ისე ჩანდა, რომ კამათისა და უპატივცემულობის დამოკიდებულებამ ნამდვილი სახარების სახელი შელახა პროფესორისა და კურსელების თვალში და აუდიტორიაში ქაოსი წარმოშვა. დიდი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული პატივისცემის პრინციპის უგულებელყოფის გამო.

უკანა არასოდეს არ უნდა დავიხიოთ ღვთის სიტყვის განაცხადიდან. მტკიცედ უნდა ვიდგეთ. თუმცა მოწინააღმდეგეებს თავმდაბლობისა და სათნოების სულში უნდა ვუპასუხოთ. თუ ასეთები ჩვენი დირექტორები, მწვრთნელები ან მასწავლებლები არიან, ქრისტეს მსგავსი მაგალითით უნდა ვიცხოვროთ. თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, ჭეშმარიტება გაბედულად უნდა გავაცხადოთ სიყვარულით და ჩვენი წინამძღოლების პატივისცემით.

საზოგადოებრივი ძალაუფლების პატივისცემა

როგორ უნდა მივაგოთ პატივი საზოგადოებრივი ძალაუფლების მქონეთ? მოდი, ერთხელ კიდევ გადავხედოთ პატივის მნიშვნელობას. ეს არის დაფასება, ძვირფასად და წონადად შერაცხვა, რათა მოწიწებით, დაქვემდებარებითა და მორჩილებით მოვიქცეთ იქამდე, სანამ საქმე წმიდა წერილის დაპირისპირებამდე არ მივა.

თუ ამ განსაზღვრებაზე ვიფიქრებთ და ლოცვაში ჩავრთავთ, ჩვენი საქციელი დადებითად აისახება სამუშაო ადგილებზე, საკლასო ოთახებში ან სათამაშო მოედნებზე. თუ ღმერთს ვთხოვთ, რომ ჩვენი გულები საზოგადოებაში ძალაუფლების წარმომადგენელთა მიმართ პატივისცემით აავსოს, შესაბამისადაც მოვექცევით. ჩვენი უფლებების დაცვის ნაცვლად მათი სურვილების გათვალისწინებას შევეცდებით. მათი წარმატების მიღწევისთვის ვიბრძოლებთ იმის მიუხედავად, გვაღიარებენ ან სათანადოდ გვიხდიან თუ არა ჩვენი შრომისთვის. როგორ შევძლებთ ამის გაკეთებას? წერილი გვეუბნება:

> „მონებო (დაქირავებულო თანამშრომლებო), შიშითა და ძრწოლით დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს (უფროსებს, დირექტორებს), გულწრფელად, როგორც ქრისტეს. არა თვალის ასახვევად, როგორც პირმოთნენი, არამედ როგორც ქრისტეს მონები, რომლებიც გულით ასრულებენ ღვთის ნებას. გულითადად, როგორც უფლისთვის და არა ადამიანთათვის. იცოდეთ, რომ ყველა, ვინც სიკეთეს სჩადის, მასვე მიიღებს უფლისგან, მონა იქნება ის, თუ თავისუფალი“.
>
> – ეფეს. 6:5-8 (სიტყვები ფრჩხილებში ჩემია)

ყურადღება მიაქციეთ განცხადებას: „გულითადად, როგორც უფლისთვის“. თუ თქვენს გულში ასეთი დამოკიდებულებაა, მონის მდგომარეობიდან მსახურამდე ამაღლდებით. შეიძლება თქვათ: „მე მონა არ ვარ“. სანამ სწრაფად მიპასუხებდეთ, ნება მომეცით, გითხრათ, რა განსხვავებაა მონასა და მსახურს შორის. მონა ვალდებულების მინიმუმს ასრულებს, ხოლო მსახური – მაქსიმალურად შესაძლებელს. მონას პარავენ, მსახური თავად იძლევა; მონა ვალდებულია, მსახური აღწევს. მსახური შესაძლებლობებს ეძებს და ნაკლებად ელოდება ბრძანების მიღებას. იგი ხედავს იმ ადამიანის საჭიროებას, ვისაც ემსახურება და მითითების გარეშეც ასრულებს.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფროსი უსამართლოდ გექცევათ, რეაქციის ნაცვლად უნდა იმოქმედოთ. როცა ადამიანი რეაგირებს, წუწუნს იწყებს, რაოდენ უსამართლოდ მოექცნენ ან ნაღვლიანდება და შესაბამისად, უნაყოფოა. ადამიანი, რომელიც მოქმედებს, ბოროტს კეთილის კეთებით უტევს (რომ. 12:21). იგი არაკეთილგანწყობილ უფროსს უახლოვდება და რაღაც ამდაგვარს ეუბნება: „ბატონო, ვხედავ, რომ დამატებითი

სამუშაოა შესასრულებელი და მინდა იცოდეთ, რომ მომდევნო კვირას ორი საათით ადრე მოვალ და გავაკეთებ. ამისთვის ზედმეტის გადახდა არ დაგჭირდებათ“.

თუ პატივის ამგვარი გამოხატვით თქვენი უფროსის თვალში კეთილგანწყობას ვერ ჰპოვებთ, ღმერთი სხვა ადგილას გახსნის კარს, სადაც მადლს ჰპოვებთ იმ აღმასრულებელი დირექტორის მსგავსად, რომელზეც წინა თავში ვილაპარაკეთ. მან პატივი მიაგო დამქირავებელს მაშინ, როცა კომპანიამ უპატიოჰყო. საბოლოოდ, ღმერთმა მას უფრო დიდი კომპანიის კარი გაუღო და ახლა სრული საზღაური აქვს ერთ-ერთი მთავარი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციის დაკავებით.

ეს კანონია. თუ საზოგადოებრივ ძალაუფლებას პატივს მიაგებ ცხოვრებაში, ღმერთი მოგაგებს პატივს და სრულად დაჯილდოვდები. ეს შეიძლება უშუალო უფროსის, მასწავლებლის ან მწვრთნელისგან არ მოვიდეს, მაგრამ აუცილებლად მოვა. ღმერთი თვალ-ყურს ადევნებს მის სიტყვას შესასრულებლად.

9

ოჯახის წინამძღოლების პატივისცემა

ეოდი, ყურადღება ოჯახზე გავამახვილოთ. დავიწყებთ ბავშვებზე მსჯელობით. „პატივი მიაგე შენს მამას და დედას, - ეს არის პირველი მცნება აღთქმით, - რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“ (ეფეს. 6:2-3).

მშობლების პატივისცემა რჩევა და რეკომენდაცია კი არა, ბრძანებაა. ზოგიერთებს ხომ არ დაავიწყდათ, რომ ღვთის მცნებები უნდა დავიცვათ როგორც ახალი აღთქმის მორწმუნეებმა? ეს ჩვენში დამკვიდრებული ღვთიური სიყვარულის დასტურია. იესო ამბობს: „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული“ (იოან.14:21). იოანე მოციქულმა ეს შემდეგი აზრით დაამოწმა: „სიყვარული კი ის არის, რომ მისი მცნებების მიხედვით დადიოდეთ“ (2 იოან.6).

რაკი ერთხელ მივიღეთ იესო ქრისტე უფლად, შინაგანად შევიცვალეთ. ძველი პიროვნება, რომელიც ადრე არსებობდა, აღარ ცხოვრობს. ჩვენ ახალი ქმნილებები ვართ. გულები განახლდა ჩვენში დამკვიდრებული ღვთის შიშით და სიყვარულით. ახლა ჩვენი სურვილები ღვთისკენაა მიმართული; მისთვის სიამის მინიჭებას ვესწრაფვით, რადგან ასეთია ჩვენი ბუნება. ისე ვიცხოვრებთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი არაფერი იქნება, „თუ არა ღვთის მცნებათა დაცვა“ (1კორ.7:19).

ამის საწინააღმდეგოდ, ვისაც ჩვევაში აქვს ღვთის მცნებათა უგულებელყოფა, არ ჰქონია ნამდვილი შეხვედრა იესო ქრისტესთან სულიწმიდის მეშვეობით. ისინი შეიძლება ქრისტიანობას აღიარებენ, მაგრამ როგორც იესო მიგვითითებს,

მათი ნამდვილი ბუნება მათივე ცხოვრების სტილით შეიცნობა (მათ.7:20). თუ ისინი ღვთის მცნებებს უგულებელყოფენ ან ზედაპირულად ეკიდებიან, მისნაირი გული არ აქვთ. იოანე წერს: „ვინც ამბობს, შევიცანიო იგი (*იესო ქრისტე*), მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა (*მოტყუებულია*) და ჭეშმარიტება არ არის მასში“ (1 იოან. 2:4, სიტყვები ფრჩხილებში ჩემია). იოანე ნათლად გვეუბნება, რომ ასეთი ადამიანი ღვთის შვილი არ არის. ის მოტყუებულია. შეიძლება ფიქრობდეს, რომ გადარჩენილია, მაგრამ სინამდვილეში, არ არის.

მოდი, ერთხელ კიდევ შევაჯამოთ პატივისცემის მნიშვნელობა: დაფასება, მოკრძალება, თავაზიანად მოპყრობა, დიდმნიშვნელოვნად ჩათვლა. როცა მშობლებს პატივისცემის თვალით ვუყურებთ, მათთან სიყვარულით და მოკრძალებით ვურთიერთობთ. გაიხსენეთ, რომ პატივისცემა შეიძლება გამოიხატოს საქმეებით, სიტყვებით და აზრებითაც კი, მაგრამ ნამდვილი პატივისცემა გულიდან მოდის. ამრიგად, თუ ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები მშობლებს თავხედურად, გულგრილად ან არათავაზიანად ელაპარაკებიან, ისინი გარეგნულად გამოხატავენ მათ მიმართ პატივისცემის ნაკლებობას. ვინაიდან გულში მოჭარბებულს ბაგეები ლაპარაკობენ (მათ.12:34). მათი უპატივცემულობა ასევე გამოიხატება მათ ქცევაში, მაგალითად, ხმის ტემბრში, თვალების გადატრიალებაში, ამრეზით გამოხედვაში, ფეხის ათრევაში თხოვნის შესასრულებლად, წუწუნსა და სხვა ამგვარში.

მშობლების უპატივცემულობა ცხოვრების წესად იქცა ამერიკაში. ჩვენი კულტურა ამით არის გაჯერებული. ჩემს შვილებს ვერ ვაძლევდი ზოგიერთი „ოჯახური ფილმის“ ყურების ნებას. ზოგიერთ მათგანს „G“ აღნიშვნაც კი აქვს და შემოთავაზებულია „სანდო კინოკომპანიების“ მიერ. როგორც წესი, ასეთი ფილმებს უსაფრთხოდ მივიჩნევთ. სიუჟეტი ზოგჯერ გულისამაჩუყებელია. თუმცა მშობლების წინაშე შვილების ქცევის მანერა სრულიად სხვა თემაა. ისინი მამას ან დედას ისე ეპყრობიან, როგორც სულელს და ან ადამიანს, რომელსაც არ უნდა მიეკარო. ისინი უხეშად უგულებელყოფენ მშობლების მითითებებს და ფილმის დასასრულს შვილები გმირებად წარმოჩნდებიან ან სასურველს აღწევენ მიუხედავად იმისა, რომ მშობლები აბუჩად აიგდეს. შეიძლება იფიქროთ, რომ ვაზვიადებ, მაგრამ მოისმინეთ, რას ამბობს ღმერთი: „წყეულიმც იყოს დედ-მამის შეურაცხმყოფელი! მიუგებს მთელი ერი და იტყვის: ამინ!“ (2 რჯ. 27:16).

ხვდებით, რამდენად ძლიერია სიტყვა *წყეული*? ღვთისგან დაწყევლა სერიოზული ამბავია. ალბათ, ამის გაგონებას

ელოდით, რომ „წყეულია მკვლელი, ქურდი, სქესობრივად გარყვნილი ან ჯადოქარი“. თუმცა ღმერთი ამბობს, რომ ვინც დედას და მამას პატივს არ მიაგებს, დაწყევლილია. მოდი, ისევ გადავხედოთ სიტყვა *უპატივცემულობის* მნიშვნელობას: რიგითად, ჩვეულებრივად და დაბალ საფეხურზე მყოფად ჩათვლა. განსაზღვრების უკიდურესი ფორმა იქნება სამარცხვინოდ, დამამცირებლად მოპყრობა.

წყევლა, რომელიც თაობებს სწვდება

წმიდა წერილში რამდენიმე მაგალითია მოყვანილი, თუ როგორ დაიტეხეს ადამიანებმა წყევლა მშობლების უპატივცემულობის გამო. ერთი გამოკვეთილი შემთხვევა გახლავთ ნოეს უმცროსი ვაჟის, ქამის ამბავი.

წარღვნის შემდეგ ნოემ მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი. ერთ საღამოს კარგად დალია. რატომ მოიქცა ასე? შესაძლოა, დეპრესიას ებრძოდა, რადგან უკანასკნელი პაპა იყო დედამიწის ზურგზე; ან წარღვნის შემდგომი აღმშენებლობის ზეწოლას განიცდიდა. ნებისმიერ შემთხვევაში, რაღაც აწუხებდა და შვებას ეძებდა, თუმცა არასწორი გზით. კარგად რომ დალია, კარავში შევიდა, გაიხადა და უგონოდ დაეცა.

ქამი იმ კარავში შევიდა, სადაც მამამისი იწვა, დაინახა მისი შიშველი სხეული, ამოიოხრა და გაბრუნდა, რომ ახალი ამბავი ყველასთვის მოეყოლა (იმ დროს, დედამიწაზე მაინცდამაინც ბევრი არავინ იყო, მხოლოდ სემი და იაფეტი). შემიძლია, წარმოვიდგინო, როგორ ხითხითებს და გესლიანად ამბობს: „ჰეი, ბიჭებო, არ დაიჯერებთ, რომ გითხრათ. მამა სკუნსივით დამთვრალა და ჩხიკვივით გაშიშვლებულა! წამოდით, ნახეთ“.

როცა სემმა და იაფეტმა ძმის დამცინავი ლაპარაკი მოისმინეს, სულ სხვაგვარად მოიქცნენ. სამოსელს დაავლეს ხელი, მხრებზე მოიგდეს, კარავში უკუსვლით შევიდნენ და ნოეს სიშიშვლე დაფარეს. მათ არ უნდოდათ მამის სირცხვილის დანახვა.

მეორე დღეს ნოე გამოფხიზლდა და გაიგო, როგორ მოექცა ქამი. ბიბლიაში ვკითხულობთ:

შემდეგ მან დაწყევლა ქამის ვაჟის, ქანაანის შთამომავალნი:

> „თქვა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მსახურთა მსახური იყოს!“. და თქვა: „კურთხეულია უფალი, სემის ღმერთი; მის მსახურად იყოს ქანაანი. განავრცოს ღმერთმა იაფეთი და სემის კარვებში დაემკვიდროს. მის მსახურად იყოს ქანაანი“.
>
> – დაბ. 9:25-27

ნოეს ბაგიდან გამოსული წინასწარმეტყველური სიტყვები რამდენიმე თაობას გადაწვდა. ქანაანელები, რომლებიც ქამის შთამომავლები იყვნენ, დაიწყევლნენ და ბოლოს, ღვთის ბრძანებისამებრ ისრაელიანთაგან დამარცხდნენ.

ქამმა შეურაცხყო მამა და წყევლა დაიტეხა საკუთარ ცხოვრებასა და შთამომავლებზე. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ქამის ქცევამ მას საშინელი შედეგები მოუტანა, თუმცა ნოეს სიმთვრალის შედეგებზე ბიბლიაში არაფერი წერია. ფაქტობრივად, ნოე ერთ-ერთია რწმენის გიგანტებს შორის ებრაელთა მე-11 თავში – დიახ, კაცი, რომელიც გათიშვამდე გამოთვრა. მან ნამდვილად მოინანია თავისი ცოდვა და ეპატია. თუმცა იმავე თავში ქამზე არაფერი წერია. უფრო მეტიც, იმის შემდეგ ბიბლიაში დადებითად არასოდეს მოუხსენებიათ.

ნოეს ზნეობრივი მარცხი პატივისცემის გამოცდად იქცა მისი შვილებისთვის. მათი გულები გამოვლინდა. ერთს პატივისცემა აკლდა და მეამბოხე იყო, დანარჩენმა ორმა პატივისცემა გამოიჩინა და თავი შეიკავა იმ საკითხში განსჯისგან, რაზეც პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ნოეს ქცევა ღვთისნიერი არ იყო, მაგრამ ეს ღმერთს უნდა მოეგვარებინა და არა მის ვაჟებს. ორი ძე, ვინც სწორად მიხვდა საქმის ვითარებას, ისევ განაგრძობდა გულში მამის პატივისცემას, ხოლო მესამემ მამის საქციელის განკითხვა არჩია, ამით შეურაცხყო ის და ბოლოს წყევლა დაიტეხა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ის გახლავთ, რომ ქამის ანგარიში ზუსტი იყო. მამამისმა მართლაც დალია და გაშიშვლდა, მაგრამ ქამი თავიდანვე არასწორად მოიქცა. ლოგიკა მის ქმედებებს გაამართლებდა. მან ის გაიმეორა, რაც დაინახა და „სარწმუნო“ მოწმე იყო. თუმცა პატივისცემისა და ცათა სამეფოს ძალაუფლების პრინციპი სხვაგვარად სჯის.

უპატივცემულობა დროთა განმავლობაში იზრდება

კიდევ ერთი კაცი, რომელმაც მამა შეურაცხყო, რეუბენი გახლდათ. ის იაკობის პირმშო იყო და ლეასგან იშვა. როგორ შეურაცხყო რეუბენმა მამა? მის ერთ-ერთ ხარჭასთან, ბილჰასთან დაწვა.

და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ აქ მეტი იმალებოდა, ვიდრე მამის კუთვნილ ქალთან სქესობრივი თანაცხოვრებაა. იაკობს ორი ცოლი ჰყავდა – ლეა და რახელი, რომლებიც დები იყვნენ. ბილჰა რახელის მოახლე იყო. რახელი და ლეა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქიშპობა აინთო და უფრო გაღვივდა, რადგან

იაკობი უპირატესობას რახელს ანიჭებდა. იგი ასე იქცეოდა მათი ქორწინების დასაწყისიდანვე, რაც რახელის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

როცა ღმერთმა დაინახა, რომ ლეა ქმარს არ უყვარდა, საშო გაუხსნა მას. ქალს ჩაესახა და რეუბენი შვა. ვაჟის დაბადებაზე მისი რეაქცია ასეთი იყო: „იხილა უფალმა ჩემი ტანჯვა, ახლა შემიყვარებს ჩემი ქმარი“ (დაბ. 29:32).

გარკვეული დროის შემდეგ მან მეორე ვაჟიც შვა. მისი დაბადებისას ქალმა ასე თქვა: „ისმინა უფალმა, რომ მოძულებული ვარ, ამიტომ მომცა ეს ძეც. და უწოდა სახელად სიმონი (ნიშნავს *შესმენას*)“ (მუხ. 33, სიტყვები დახრილი შრიფტით ჩემია).

მესამედაც შვა ძე. მისი მზარდი სასოწარკვეთა მისივე ნათქვამში ჩანს: „ამიერიდან მომეწებება ჩემი ქმარი, რადგან სამი ძე ვუშვი“. და უწოდა სახელად ლევი (ნიშნავს *მიმაგრებას*)“ (მუხ. 34, სიტყვები დახრილი შრიფტით ჩემია).

როცა რახელმა დის წარმატება დაინახა იმ დროს, როცა თავად ბერწი იყო, გეგმა დასახა, რომ ლეასთვის მისგან ხეირის მიღებაში ხელი შეეშალა. მან იაკობს თავისი მხევალი ბილჰა მისცა და უთხრა: „აჰა, ბილჰა, ჩემი მხევალი, შედი მასთან, ჩემს მუხლებზე შობს და მეც მეყოლება მისგან შვილები“ (30:3). ბავშვის დაბადების შემდეგ რახელმა თქვა: „ღვთიური ჭიდილით შევეჭიდე ჩემს დას და ვძლიე კიდეც“ (მუხ. 8).

პირმშო იაკობი დედამისსა და რახელს შორის გაჩაღებული ბრძოლისა და ჯიბრის მომსწრე იყო. ის საკმარისად დიდი იყო, რომ მამის მიერ უგულებელყოფილი დედის ტკივილი დაენახა. ისე მოხდა, რომ რეუბენმა მინდორში მანდრაგორები იპოვა და დედას მიუტანა. რახელს შური აღეძრა და მათი დასაკუთრება მოინდომა. ვაჭრობა დაიწყო. საფასურად რახელმა ლეას იაკობთან ერთი ღამის გატარების უფლება მისცა.

როცა იაკობი საღამოს მინდვრიდან დაბრუნდა, ლეა შეეგება და უთხრა: „ჩემთან შემოდი, რადგან ჩემი ძის მანდრაგორებით გამოგისყიდე“ (მუხ. 16). ამ მონაკვეთიდან ცხადი ხდება, რომ იაკობი ღამეების უმეტეს ნაწილს რახელთან ატარებდა და ლეასთვის მასთან ყოფნის ერთადერთი საშუალება ფასის გადახდა იყო.

რეუბენი გულისტკივილით აკვირდებოდა სასტიკ დაპირისპირებას საკუთარ ოჯახში. დარწმუნებული ვარ, რომ დედამისის მიმართ მამის უსიამოვნო და ულმობელი საქციელი მის გულში დაბუდებულ წყენას დღითიდღე ზრდიდა.

ეს მხოლოდ საწოლის გაყოფით არ შემოიფარგლებოდა და თავს იჩენდა ცხოვრების ყველა ასპექტში. დრო გავიდა და იაკობს უკვე ათი ძე შეეძინა. ბოლოს რახელიც დაფეხმძიმდა

და იოსები შვა. რეუბენის წყენა გაძლიერდა, როცა დაინახა, როგორ ევლებოდა თავს იაკობი რახელის ერთადერთ ძეს. იოსებს სხვებს ამჯობინებდნენ და ყველა სხვა ძმაზე მეტად უყვარდათ. ამის ნიშნად ლამაზი მოსასხამიც კი აჩუქეს.

როცა ოჯახი ლაბანს, ლეასა და რახელის მამას, გაექცა, სიტყვა მოვიდა, რომ ესავი მათ შესახვედრად მოდიოდა ოთხასი კაცით. შიშმა დაჯაბნა იაკობი, რადგან კარგად ახსოვდა ძმის ფიცი, მოკვლით რომ ემუქრებოდა პირმშოობის მოპარვის გამო.

იაკობმა სიცოცხლისა და შთამომავლობის გადასარჩენად ოჯახი ორად გაყო და ესავის შესახვედრად წინ ცალ-ცალკე ჯგუფებად გაიძღოლა. მისი გათვლა ასეთი იყო: თუ ესავი პირველ ჯგუფს გაანადგურებდა, საკმარისი დრო დარჩებოდა უმცროს ძმასა და უახლოეს ადამიანებთან ერთად გაქცევისთვის. მოდი, გადავხედოთ, როგორ გაყო იაკობმა ოჯახი: „წინ მხევლები და მათი ბავშვები დააყენა, მათ უკან - ლეა და მისი ბავშვები, ხოლო რახელი და იოსები - სულ ბოლოს“ (33:2). წარმოგიდგენიათ, რა ტკივილი და ბოღმა დატრიალდა რეუბენის გულში? ის და დედამისი რახელის წინ განაწესეს მოსაკლავად, ამ დროს კი მამამისი უპირატესობას რახელსა და მის ძეს ანიჭებს და ბოლოს მოდის საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად.

დრო გადიოდა და რეუბენის გულში წყენა იზრდებოდა. რახელმა მეორე ვაჟი შვა და მშობიარობას გადაყვა. იაკობმა დიდად იგლოვა და მის საფლავზე სვეტი აღმართა, რომელიც მომავალ თაობებში ნიშნად იქნებოდა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ლეას სვეტზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ რახელისას ახსენებენ. ცხადია, საფლავის მონუმენტი უზარმაზარი და დიდებული იქნებოდა. ალბათ, რეუბენის გულში სიმწრის ცეცხლი გიზგიზებდა.

ბიბლიაში რახელის გარდაცვალებისთანავე ვკითხულობთ, რომ „დაწვა რეუბენი ბილჰასთან“ (35:22). რეუბენი აგონიაში მყოფი უყურებდა დებს შორის ქიშპობის გაღვივებას. მას აწუხებდა ის ფაქტი, რომ მამას რახელი ყველას ერჩივნა და დედამისს არად აგდებდა. სრულიად შესაძლებელია, რომ ბილჰასთან თანაცხოვრების სურვილის გამო კი არ დაწვა, არამედ რახელის კარავის შესარცხვენად და იმ ტკივილის გამო სამაგიეროს გასასახდელად, რასაც მამის საქციელი აყენებდა.

ახლა ხედავთ, რატომ ამბობს ღმერთი რეუბენზე დიდი ხნის შემდეგ, რაც ძმები გარდაიცვალნენ და წავიდნენ: „პირმშო იყო იგი, მაგრამ *შებილწა* თავისი მამის სარეცელი და მისი პირმშოობა ისრაელის ძის, იოსების ძეთ გადაეცა, ამიტომ პირმშოდ ვეღარ ჩაიწერებოდნენ“ (1 ნეშტთ. 5:1, ხაზგასმა ჩემია).

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ იაკობის ქმედებები არასწორი იყო, როცა რახელი შეიყვარა და ლეა უგულებელყო. ფაქტობრივად, ეს უფალს არ მოეწონა, რადგან ბიბლიაში ვკითხულობთ: „იხილა უფალმა, რომ მოძულებული იყო ლეა და გაუხსნა საშო“ (დაბ. 29:31). ბიბლიის გავრცობილი თარგმანის კლასიკურ ვერსიაში ვკითხულობთ: „როცა უფალმა იხილა, რომ ლეა მოძულებული იყო, აკურთხა იგი ქმრის დამოკიდებულებით გამოწვეული დარდის სფეროში.

რეუბენმა ყველაფერი სწორად განსაჯა. მამის საქციელის შეფასება არ იყო მოგონილი. თუმცა წყენას გულში დაბუდების საშუალება მისცა და ამით მოიწამლა. მან უარყო ყველა შვილის გულში ღვთისგან ჩადებული პატივისცემა და განაწყენებას მამის მიმართ უპატიობის დამკვიდრების უფლება მისცა. იქამდე გაზარდა ეს გრძნობა, რომ მამის შეურაცხმყოფელი საქციელიც კი გაამართლა. ეს მას ძვირად დაუჯდა. მან პირმშოობა დაკარგა.

გაიხსენეთ წინა თავიდან, რომ ხანასაც აწყენინა ელი მღვდელმა, მაგრამ ქალმა მის უპატიოსნო ქცევას ღვთის მიერ დადგენილი ძალაუფლების პატივისცემის დაბრკოლების საშუალება არ მისცა. მან სრული საზღაური მიიღო. მეორე მხრივ, რეუბენმა საზღაური – მისი მემკვიდრეობა დაკარგა. იგი 100 პროცენტით მართალი იყო შეფასებაში, მაგრამ მისი რეაქცია 100 პროცენტით არასწორი გახლდათ.

სხვის არასწორ საქციელს თქვენზე გავლენის მოხდენის უფლება არ მისცეთ

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ სხვის არასწორ საქციელს ზეგავლენის მოხდენის საშუალება არ უნდა მივცეთ იქ, სადაც ვიცით, რა არის სწორი. ეს ჭეშმარიტება ნათლად ჩანს მოსეს ცხოვრებაში.

ისრაელის ძეები, იაკობის მსგავსად, გამუდმებით იქცეოდნენ ისე, რაც ღვთისთვის მოსაწონი არ იყო. იაკობმა ცოლი მოიძულა, ხოლო ისინი განუწყვეტლივ წუწუნებდნენ. რეუბენის მსგავსად, მოსეც დაზარალდა მათი არასწორი საქციელით. ორმოცი წლის მანძილზე ვერ შეძლო აღთქმული მიწის ხილვა და უდაბნოში რჩებოდა მათი ნამოქმედარის გამო.

ისინი აქაც დრტვინავდნენ, რომ არ ჰქონდათ წყალი. ამიტომ, ღმერთმა მოსეს უთხრა, კლდისთვის ეთქვა და წყალი გადმოდინდებოდა. ამჯერად მოსეს ყელში ამოუვიდა მათი საქციელი, ყველანი შეკრიბა და იყვირა: „ისმინეთ, ურჩებო, ამ

კლდიდან გადმოგიჩქეფოთ წყალი?“ აღმართა მოსემ ხელი და ორჯერ დაჰკრა კვერთხი კლდეს“ (რიცხვ. 20:10-11).

ამის გამო მოსეს ჩამოერთვა ისრაელიანების აღთქმულ მიწაზე შეყვანის პრივილეგია. ნახეთ, რას წერს მეფსალმუნე წლების შემდეგ: „განარისხეს მერიბას წყლებთან და დაისაჯა მოსე მათ გამო, რადგან სული გაუმწარეს და ნაჩქარევად ილაპარაკა თავისი ბაგეებით“ (ფს. 106:32-33).

ისრაელიანების არასწორი საქციელი გულზე მოხვდა მოსეს, ამიტომ არ მოიქცა ღვთის სიტყვის თანახმად. ეს მას ძვირად დაუჯდა! ჩემს ბიბლიაში ამ მუხლის გასწვრივ მიწერია: „ჩვენს ცუდ ქცევას სხვების ცუდ საქციელს ვერ დავაბრალებთ“. ეს ყველა ჩვენგანისთვის მკაცრი გაკვეთილია.

რეუბენის მამის დამოკიდებულება დედისადმი არასწორი იყო, მაგრამ ამან ვერ გაამართლა მისი უპატივცემულობა და არასწორი ქცევა მამის მიმართ. ღმერთი გვეუბნება, რომ პატივი მივაგოთ მამას და დედას, მიუხედავად იმისა, რამდენად სწორად თუ არასწორად იქცევიან ჩვენს თვალში ან რამდენად პატივსაცემი თუ უპატიოა მათი მოქმედება.

ნება მომეცით, კიდევ ერთი შენიშვნის სახით შეგახსენოთ წინა თავში ნასწავლები მნიშვნელოვანი პრინციპი. ყოველთვის პატივი უნდა მივაგოთ და დავექვემდებაროთ ძალაუფლებას და ასევე უნდა დავემორჩილოთ მას. თუმცა ძალაუფლების მორჩილება არ გვმართებს, თუ ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოდ გვიბრძანებენ. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მშობლების თხოვნა, რომ ბავშვმა მასწავლებელს მოატყუოს. ამ შემთხვევაში შვილს შეუძლია თქვას: „მამა ან დედა, გაფასებთ და პატივს გცემთ, მაგრამ ვერ ვიცრუებ, რადგან ეს ცოდვაა ღვთის წინაშე“. ან უფრო მძიმე შემთხვევა იქნება მამის მხრიდან ახალგაზრდაზე სექსუალური ძალადობა. ამ შემთხვევაში ვაჟს ან ასულს შეუძლია სხვა ძალაუფლებისგან დახმარების მიღება. როგორც მამის, ისე შვილების შველის თხოვნა მამის მიმართ უპატივცემულობად არ ჩაითვლება.

ორმაგი საზღაური

მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ საწყის მონაკვეთს წმიდა წერილიდან: „პატივი მიაგე შენს მამას და დედას, - ეს არის პირველი მცნება აღთქმით, - რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“ (ეფეს. 6:2-3).

პატივისცემის საზღაური ორმაგია და ამ მუხლში ნათლად ჩანს. პირველი, ეს ცხოვრებაში შეგეწევა და წარმატებას

მოგიტანს მშვიდობასთან, სიხარულთან, სიყვარულსა და ჯანმრთელობასთან ერთად. ისიამოვნებ დაჯილოდებული ცხოვრებით. მეორე, დედამიწაზე ხანგრძლივი ცხოვრება გექნება. რომელიმე ფატალური სნეულებით, ავტოკატასტროფით ან სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ნაადრევად არ მოკვდები.

შეიძლება იფიქროთ, *ვიცი ადამიანი, რომელიც პატივს სცემდა მშობლებს, მაგრამ ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა.* ეს შეიძლება ასეც იყოს. ახლა კითხვას დასვამთ: „მაშ, რატომ არ აღსრულდა დაპირება მათ ცხოვრებაში?“ მოკლედ გეტყვით, ღვთის აღთქმები ავტომატურად არ სრულდება; ისინი რწმენით უნდა მიიღოთ. შესაძლოა, გაოგნებული დარჩეთ ამ პასუხით, მაგრამ ნება მომეცით, ამ ჭეშმარიტების მაგალითი წმიდა წერილიდან მოგიყვანოთ.

ღმერთი აბრაჰამს შეჰპირდა, რომ ისაკის მხრიდან მოვიდოდა აღთქმული თესლი. ღმერთმა კონკრეტულად ასე უთხრა მას: „მასთან დავდებ სამარადისო აღთქმას მისი შთამომავლობისათვის“ (დაბ.17:19). დასამოწმებლად კიდევ ერთ ადგილს მოვიყვან: „ისაკში იწოდება შენი თესლი“ (რომ.9:7). ეს მონაკვეთი ადასტურებს, რომ ისაკს შვილები უნდა ჰყოლოდა, არა?

ვინ შეარჩია ისაკის ცოლი? თავად ღმერთმა. გაიხსენეთ, როგორც წავიდა აბრაჰამის მსახური ისაკის ცოლის საძებნელად აბრაჰამის ნათესავებთან. ადგილზე ჩასვლისას ასე ილოცა:

> „უფალო, ჩემი ბატონის, აბრაჰამის ღმერთო! შემეწიე დღეს და უყავი წყალობა ჩემს ბატონს, აბრაჰამს. აჰა, ვდგავარ ჭასთან და სადაცაა ქალაქის მკვიდრთა ასულნი გამოვლენ წყლის ამოსახაპად. ვეტყვი ქალწულს, მომიდრიკე შენი სურა, რომ წყალი დავლიო-მეთქი, და თუ მიპასუხა, შენც დალიე და აქლემებსაც დაგირწყულებო, სწორედ ის იქნება *დადგენილი* შენი მორჩილი ისაკისთვის“.
>
> – დაბ. 24:12-14 (ხაზგასმა ჩემია)

მართლაც ძალზე კონკრეტული ლოცვაა და დამთხვევის ალბათობა თითქმის გამორიცხულია. ეს აქლემები უზარმაზარი ოდენობის წყალს სვამენ და იშვიათად გამოჩნდებოდა ისეთი გულმოწყალე უცხოელი, რომელიც ამ რაოდენობის წყლის მოტანას მოისურვებდა მათ დასარწყლებლად, თუ ღმერთი არ აღძრავდა საამისოდ. აბრაჰამის მსახური დარწმუნებული უნდა ყოფილიყო სწორ არჩევანში, ამიტომ გახადა მოთხოვნა

ასეთი ზუსტი და ძნელად შესასრულებელი. ასევე ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს, რომ ამ დავალების შემსრულებელი ყმაწვილქალი იქნებოდა *დადგენილი* ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვთის მიერ ისაკისთვის არჩეული.

სანამ ლოცვის სათხოვარს დაასრულებდა, რებეკა, აბრაჰამის ნათესავის ასული დოქით მხარზე მოვიდა ჭასთან. მსახური სწრაფად გაემართა მისკენ და სთხოვა: „ცოტა წყალი დამალევინე შენი სურიდან“ (მუხ.17). ყურადღება მიაქციეთ, რომ მას აქლემების დარწყულებაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ზუსტად ის კითხვა დაუსვა, რაც ლოცვაში წარმოთქვა. იგი სიხარულით დაეთანხმა და წყალი მისცა. ახლა, ვნახოთ, რას ამბობს შემდეგ: „წყურვილი რომ დაუცხრო, უთხრა: „შენი აქლემებისთვისაც ამოვხაპავ წყალს, ვიდრე არ დარწყულდებიან“ (მუხ.19).

ზუსტად ისე მოხდა, როგორც აბრაჰამის მსახურმა ითხოვა. იგი გაოცდა და სიხარულმა აავსო. ეამა, რომ ასე მალე აუსრულდა სათხოვარი.

მიუხედავად ამისა, საქმე ჯერ დასრულებული არ იყო. ახლა ისაკისთვის ღვთიური არჩევანით გათვალისწინებული ბოლო ხიდი უნდა გადაელახა. მისცემდა თუ არა ოჯახი უცხო კაცს ქალწულის წაყვანის და სამუდამოდ იმ ქვეყანაში დატოვების უფლებას, რომელიც თვალითაც არ ენახა?

როცა აბრაჰამის მსახურმა ოჯახს შეხვედრის ამბავი მოუყვა, ასეთი პასუხი მიიღო: „უფლისგან გამოვიდა ეს საქმე და ვერც კარგს ვიტყვით და ვერც ცუდს“ (მუხ. 50). მომდევნო დღეს ოჯახმა ყმაწვილქალს წასვლის ნება დართი და აბრაჰამის მსახურმაც ის ისაკს მიუყვანა. ისინი დაქორწინდნენ.

ახლა ამ ამბის საოცარი ნაწილი იწყება. ღმერთმა სასწაულებრივად მიჰგვარა ცოლი ისაკს. თუმცა დაოჯახების შემდეგ აღმოჩნდა, რომ რებეკა უნაყოფო იყო: შვილები არ ეყოლებოდა. რა?! რატომ მიჰგვარა ღმერთმა ისაკს ბერწი ქალი, როცა აბრაჰამის თესლი ისაკის მეშვეობით უნდა გაგრძელებულიყო? პასუხი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ღვთის აღთქმები ავტომატურად არ მოდის ადამიანის ცხოვრებაში. ისინი რწმენით უნდა იქნას მოპოვებული და მიღებული. ჩვენ ვკითხულობთ: „ემუდარებოდა ისაკი უფალს თავისი ცოლისთვის, რადგან ბერწი იყო იგი; ისმინა მისი უფალმა და დაორსულდა რებეკა, მისი ცოლი“ (დაბ. 25:21).

ბიბლიის გავრცობილი თარგმანის კლასიკური ვერსია ამბობს: „ბევრს ლოცულობდა ისაკი უფლის წინაშე თავისი ცოლის გამო, რადგან უშვილო იყო; უფალმა შეისმინა ლოცვა და რებეკა დაფეხმძიმდა“. რას ლოცულობდა იგი? იგი შესძახოდა: „ღმერთო,

შენ შემპირდი, რომ ერები და მეფეები გამოვიდოდნენ ჩემგან და თესლი – ჩემი შთამომავლებისგან. ეს როგორ მოხდება, როცა ჩემი ცოლი შვილებს ვერ შობს? ოჰ, უფალო. გთხოვ გახსნა რებეკას საშო, რომ შენი დაპირებისამებრ მოვიდეს აღთქმული თესლი“.

სულიერი კანონი

არსებობს სულიერი კანონი, რომელიც უნდა ვიცოდეთ და გავიაზროთ. წმიდა წერილი ასეთ განაცხადს აკეთებს: „უფალო, უკუნისამდეა განმტკიცებული შენი სიტყვა ზეცაში“ (ფს. 119:89).

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ არ წერია: „უკუნისამდეა განმტკიცებული შენი სიტყვა ზეცაში და დედამიწაზე“. არა, ის ნათლად აცხადებს, რომ უფლის სიტყვა განმტკიცებულია ზეცაში, ხოლო დედამიწაზე არაფერია ნათქვამი. მაშ, როგორ არის მისი სიტყვა დაფუძნებული დედამიწაზე? წმიდა წერილის უფრო ღრმა კვლევისას გვეუბნებიან: „ორი ან სამი მოწმის პირით *მტკიცდება ყოველი ჭეშმარიტება*“ (2კორ.13:1), ხაზგასმა ჩემია). ყურადღება მიაქციეთ, რომ ორი და მით უფრო, სამი ადამიანის პირით მტკიცდება სიტყვა. ახლა ნახეთ, რას ამბობს ღმერთი: „ასე იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი ბაგიდან - ფუჭად არ დამიბრუნდება იგი, რადგან იმას მოიმოქმედებს, რაც მსურს და მიაღწევს იმას, რისთვისაც გავგზავნე“ (ეს. 55:11, ხაზგასმა ჩემია).

როგორ უბრუნდება მას სიტყვა? პასუხი მარტივია – ჩვენი ბაგეებით. პირველია ღმერთი, შემდეგ ვართ ჩვენ. როცა ბაგეებით გამოვთქვამთ ღვთის სიტყვას, რომელიც უკვე გამოვიდა მისი ბაგიდან, მას დედამიწაზეც ვამკვიდრებთ. ხედავთ ამ საოცარ ჭეშმარიტებას? ღვთის აღთქმით, ისაკში იწოდებოდა თესლი, მაგრამ ისაკს ეს ბაგეებით უნდა წარმოეთქვა, რომ დედამიწაზეც დამკვიდრებულიყო, როგორც პირადად მისი, ისე მისი ოჯახის ცხოვრებაში.

ღმერთი ამბობს, რომ ჩვენი მშობლების პატივისცემით ხანგრძლივ ცხოვრებას დავიმკვიდრებთ. თუ ამ აღთქმას *რწმენით* წარმოვთქვამთ, დავიმკვიდრებთ იმას, რაც უკვე თქვა ჩვენს ცხოვრებაზე. ჩვენ ვართ მეორე მოწმეები, რომლებიც ჭეშმარიტებას აქ, დედამიწაზე ამტკიცებენ. ახლა ისე აღფრთოვანებული ვარ, რომ გრძნობას ვერ ვიტევ! ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია სნეულებას პირდაპირ შევხედოთ, ხანგრძლივი ცხოვრების შესახებ ღვთიური აღთქმა გამოვაცხადოთ და ის გაიქცევა ჩვენგან. გაბედულად ვილაპარაკოთ ჩვენი მგზავრო-

ბების, სახლის ან სხვა ადგილების უსაფრთხოების შესახებ, სადაც შეიძლება რაიმე გვემუქრებოდეს. თამამად ვაცხადებთ: „ვერ შემაშინებს ხალხის სიმრავლე, გარს რომ მერტყმის ყოველი მხრიდან“ (ფს. 3:6), რადგან უფალი „დღეთა ხანგრძლივობით გამაძღებს და გადარჩენას მომივლენს მისას“ (ფს. 91:16).

ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის აღთქმაზე, რომ სიკეთე გვექნება. თუ სიძნელეები შეგხვდათ და ვითარება გამომშრალი ან უიმედო ჩანს, გაბედულად თქვით: „დედ-მამას პატივს ვცემ და ღვთის აღთქმისამებრ, სიკეთე მექნება! იესოს სახელით ვუბრძანებ ნაკლოვანების, ტანჯვისა და დეპრესიის, არახელსაყრელი გარემოებების კედლებს უკან დახევას და გზის გათავისუფლებას.“

ამის გაკეთება ღვთის ნებისმიერი აღთქმის შემთხვევაში შეგვიძლია. ერთადერთი განსხვავება უხვ ცხოვრებაში მოსიარულესა და ნაკლოვანებებით გატანჯულს შორის არის მათი ბაგიდან წამოსული სიტყვები. ღმერთი ამბობს: „მოწმედ მოვუხმობ დღეს ცასა და მიწას, რომ: სიცოცხლე და სიკვდილი, კურთხევა და წყევლა დაგიდე წინ. ამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (2 რჯ.30:19). ყურადღება მიაქციეთ, რომ სიცოცხლე უნდა ამოვირჩიოთ. რატომ? იმიტომ, რომ სიცოცხლეს თუ არ ავირჩევთ (აღთქმით კურთხევას), სიკვდილი უკვე მოქმედებს დედამიწაზე. მაშ, როგორ უნდა ამოვირჩიოთ სიცოცხლე? ისევ ვკითხულობთ: „სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია და მისი მოყვარულნი შეჭამენ მის ნაყოფს“ (იგ. 18:21).

არჩევანი გვაქვს, რომ დავეთანხმოთ ღვთიური დაპირებების აღთქმას ან ნაკლოვანებების, ავადმყოფობისა და სიკვდილის სატანურ წყევლას. ძალიან ბევრი ბრკოლდება ამ მარტივ ჭეშმარიტებაზე. ამ მიზეზით იაკობი აცხადებს:

> „ვინაიდან ჩვენ ყველანი ბევრს ვცოდავთ. ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც. აჰა, ცხენებს ლაგამს ამოვდებთ, რათა დაგვემორჩილონ და ვმართავთ მათ მთელ სხეულს. ... ასევეა ენაც. პატარა ასოა და ბევრს იქადის. აჰა, რა მცირე ალი ჰბუგავს დიდ ტყეს“.
>
> – იაკ. 3:2-3,5

პატარა ნაპერწკალს მთელი ტყის გადაწვა შეუძლია. ასე რომ, შიშით ნათქვამ სიტყვებს ნგრევა მოაქვს თქვენს ცხოვრებაში. კარგი ამბავი ის არის, რომ ღვთის დაპირებების

აღთქმა გვაქვს და თუ გულში ღრმად შევინახავთ, ჩვენი პირი შესაბამისად ილაპარაკებს. იაკობი ასევე ამბობს, რომ ჩვენი ენა წყლის ნაკადივითაა; მას არ შეუძლია ერთდროულად გაატაროს ცოცხალი და მწარე წყალი. გასაღები ნაკადში კი არა, დედამიწაშია, რომელიც წყლის წყაროა. ამ შემთხვევაშიც კი, მთავარი არის არა ენა, არამედ წყარო, რომელიც ჩვენს გულშია. რადგან იესო აცხადებს: „გულის სისავსიდან მეტყველებს მისი პირი“ (ლუკ. 6:45).

ღმერთი ამბობს, რომ სიკეთით სავსე და ხანგრძლივი ცხოვრება გექნება, თუ მშობლებს პატივს მიაგებთ. როცა ამ სიტყვებს წაიკითხავთ, სულიწმიდა ამ ჭეშმარიტებას გულში ჩაგინერგავთ და შესაბამისადაც ილაპარაკებთ. ნუ დააფუძნებთ თქვენს რწმენას სხვების გამოცდილებაზე, არამედ ღვთის ხალას სიტყვას დაეყრდენით. ვიცი, რომ ნაადრევად არ მოვკვდები; ეს დაპირება ჩემს გულში ღრმად ფესვგადგმულია და ღმერთი თვალყურს ადევნებს მისი სიტყვის აღსრულებას.

ცოლის მოწოდება პატივისცემისკენ

ცოლის როლთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ცოლს - მოშიშება ჰქონდეს ქმრისა [ყურადღებას აქცევდეს, პატივს მიაგებდეს, ამჯობინებდეს და აფასებდეს; ასევე დაუთმოს გადაწყვეტილების მიღების უფლება, აქოს, უყვარდეს და ამაღლებდეს]“ (ეფეს. 5:33 AMPC).

ოჰო, მართლაც ბევრია ნათქვამი! ხედავთ, რა ხატოვნად აღწერს პავლე, თუ როგორი პატივისცემით უნდა მოექცეს ცოლი ქმარს. (მოგვიანებით, ამ წიგნში ყურადღებას გავამახვილებ ქმრების მხრიდან ცოლის პატივისცემაზე).

ქმარი ოჯახის თავია. ეს შოვინისტ კაცებს არ მოუგონიათ. ეს ღვთის იდეა გახლავთ. შეუძლებელია ნამდვილი მშვიდობისა და კურთხევის ქონა ოჯახში, სადაც ქმარს პატივს არ ცემენ, როგორც ოჯახის თავს. ამის საპირისპიროდ, როცა ღვთისმოსავი ქალი ქმარს აფასებს, როგორც ოჯახის წინამძღოლს, თავად მიიღებს პატივის ჯილდოს. ეს შესაძლოა, თავად ქმრისგან ან სხვა გზებით მოვიდეს.

ამას წინათ ევროპის ერთ-ერთ ძალზე დიდ ეკლესიაში ვიმსახურე. ერთმა ქალმა მითხრა:

– ჯონ, თქვენ ხართ მიზეზი, რის გამოც ეკლესიაში ვარ.

ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი. ქალმა თავისი ამბავი მომიყვა. წლების წინ მათთან ხელმძღვანელობის ცვლილება მიმდინარეობდა. ის და მისი ქმარი დიდ მანძილს გადიოდნენ

მსახურებებზე დასასწრებად, ამიტომ იფიქრეს, რომ დრო იყო სახლთან უფრო ახლოს მდებარე ეკლესია მოეძებნათ. ისინი რამდენიმე მსახურებას დაესწრნენ და ბოლოს თავიანთ რაიონში ერთი თემი შეარჩიეს. ქმარს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ამ მრევლს არ უნდა შეერთებოდნენ; მისი აზრით, უმჯობესი იყო თავდაპირველ ეკლესიას დაბრუნებოდნენ. ქალი უხალისოდ დაეთანხმა ქმარს, მაგრამ მეორე ეკლესიაში სიარულიც გააგრძელა საღამოს საკვირაო მსახურებებზე.

ქალი უფრო დაუახლოვდა და ჩაერთო ახალი ეკლესიის საქმიანობაში. ბოლოს, ლიდერებმა არჩევანის წინაშე დააყენეს: „როდის დადგები მტკიცედ ქმრის წინაშე და ეტყვი, რომ ჩვენს ეკლესიაში სიარულის ღვთიურ წინამძღოლობას უნდა დაემორჩილო?“ (ასეთი ლიდერები მაძრწუნებენ.)

მათმა სიტყვებმა ქალი დაარწმუნა და ქმარს აცნობა ეკლესიის შეცვლის გადაწყვეტილების შესახებ. შემდეგ პირველი ეკლესიის პასტორს შეხვედრაზე შეუთანხმდა, რომ მისთვისაც ეთქვა სხვა ეკლესიაში გადასვლის შესახებ, თუმცა ქმარი ისევ იქ რჩებოდა. შეხვედრის წინა საღამოს ჩემი წიგნის, *მფარველობის ქვეშ*, წაკითხვა დააპირა, სადაც ძალაუფლებაზე ღვთის ჩანაფიქრის შესახებ ვწერდი.

მან მითხრა:

– ჯონ, მთელი ღამე წიგნის კითხვაში გავატარე. ვტიროდი მისი დასრულებისას; მივხვდი, რომ ამბოხებული ვიყავი ღვთისა და ჩემი ქმრის წინააღმდეგ. მეორე დღეს მოვინანიე როგორც ქმრის, ისე პატორის წინაშე,

ქალი თავისი ნებით დაუბრუნდა ძველ თემს. რამდენიმე თვის შემდეგ პასტორის ცოლმა ვიღაც ქალი გააცნო ეკლესიაში. ისე მოხდა, რომ ორივეს მსგავსი ხედვა აღმოაჩნდა კონკრეტული ბიზნესის დასაწყებად, ასე რომ, საქმეს შეუდგნენ. დღეს ისინი ძალზე წარმატებულები არიან და ბიზნესის მოგების დიდ ნაწილს ღვთის სამეფოს აღმშენებლობას ახმარენ.

მან მითხრა:

– ჯონ, სხვა ეკლესიაში რომ გადავსულიყავი, ბოლოს, ალბათ, ქმარს გავეყრებოდი და ბიზნესის მოწოდებას ვერასოდეს გავყვებოდი, რომელიც ჩემს ცხოვრებაში არსებობს.

შემდეგ მან მიამბო, რომ მეორე ეკლესია, რომლის ლიდერებიც ქმრის წინამძღოლობის უგულებელყოფას ურჩევდნენ, აღარ არსებობს. ქალმა პატივი მიაგო ქმარს და შედეგად მიიღო როგორც დაცვა, ისე საზღაური.

ურწმუნო ქმრების ცოლები

პეტრე მოციქული პავლეს მსგავსად წერს:

„ასევე თქვენ, ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს [დაუქვემდებარეთ თავი მას, რომ იყოთ მეორე და მასზე დამოკიდებული და მოერგეთ], რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან [ღვთის] სიტყვას, უსიტყვოდ იქნენ შეძენილნი ცოლების [ღვთისნიერი] ქცევით, იხილავენ რა თქვენს სუფთა და მოშიშ ქცევას [ქმრისადმი მოკრძალებით, რაც პატივისცემის ყველა ფორმას გულისხმობს: დაფასებას, მოწონებას, ქებას და ადამიანური გაგებით, მისით აღფრთოვანებას, მისდამი თავის მიძღვნას, ღრმა სიყვარულს და მისით გახარებას]“.

– 1 პეტრ. 3:1-2

პეტრე გვაჩვენებს, რომ ურწმუნო ქმარს ცოლის პატივისცემა მოიპოვებს და არა ქადაგება ან სწავლება. ვიცნობ მამაკაცებს, რომლებიც უფალთან სწორედ ცოლების ქცევამ მოიყვანა. ამის დიდი მაგალითია სმით უიგლზუორთი, ერთ-ერთი უდიდესი ღვთის კაცი ადრეული 1900-იანი წლების ევროპაში.

უიგლზვორთი სანტექნიკოსი იყო და გარკვეული დროის შემდეგ ღვთის მიმართ გაცივდა. მას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი სურდა. მეორე მხრივ, პოლი, მისი ცოლი, მთელი გულით მიძღვნილი მორწმუნე გახლდათ. ფაქტობრივად, ღვთისადმი მისი მოშურნეობა გამუდმებით იზრდებოდა. მისი თავდადების ფონზე უიგლზუორთის გულგრილობა კიდევ უფრო შესამჩნევი ხდებოდა და ცოლის გვერდით ყოფნა უკვე აღიზიანებდა.

იგი სასტიკად დევნიდა ქალს მისი რწმენის გამო და არაერთხელ აუკრძალავს მისთვის ეკლესიაში სიარული. პოლი არ ითვალისწინებდა მის ამ მოთხოვნას, რადგან ეს ღვთის ნებას ეწინააღმდეგებოდა (თუმცა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ძალაუფლებას უნდა დავემორჩილოთ, სანამ ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოდ მოქცევას არ გვიბრძანებენ).

ის ქმარს სადილს უმზადებდა და საღამოს საკვირაო მსახურებაზე მიდიოდა. ერთხელ ეკლესიიდან ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა. სახლში შესვლისას სმითმა მოსთხოვა:

– ამ სახლის ბატონი მე ვარ და უფლებას არ მოგცემ, რომ ამა და ამ საათზე გვიან დაბრუნდე!

პოლიმ წყნარად უპასუხა:

– ვიცი, რომ ჩემი ქმარი ხარ, მაგრამ ჩემი ბატონი ქრისტეა.

ძალზე გაღიზიანებულმა და გაბრაზებულმა უიგლზვორთმა სახლის უკანა კარი გააღო, ცოლი გარეთ გაუძახა და კარი გადაუკეტა. დილით გაღვიძებისას სმითმა კარი გამოაღო თუ არა გაზეთის ასაღებად, პოლი წინკარში დავარდა (მთელი ღამე კარზე მიყუდებულს გაუტარებია). ქალი მაშინვე წამოდგა და სიხარულით ჰკითხა:

– სმით, რა მოგიმზადო საუზმეზე?

ის მაშინვე შეუდგა საუზმეზე ზრუნვას.

ისე მოხდა, რომ პოლის მიერ ღვთის მორჩილებასა და ქმრის პატივისცემაში გამოჩენილმა სიმტკიცემ უიგლზუორთზე საფუძვლიანი ზეგავლენა მოახდინა. ბოლოს იგი დიდად დარწმუნდა და სრულიად დაემორჩილა იესო ქრისტეს მსახურებას. მისი მოღვაწეობა ახლაც პატივსაცემი და სალაპარაკოა. სმითის მხრიდან ბევრმა მიიღო გადარჩენა, განკურნება და მკვდრეთით აღდგომაც კი.

ქრისტეს სამსჯავროზე პოლის საზღაური უზარმაზარი იქნება, რადგან მისი ქმრის მსახურებამ ასობით ათას ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა. მან არა მარტო ქმრის შეცვლის საზღაური მიიღო, არამედ დიდი მოსავალიც მოიმკა მომავალ ცხოვრებაში.

ახლა ნათელი გახდა, რაშია საქმე? მითითება გვაქვს, რომ პატივი მივაგოთ არა მარტო ჩვენთვის სათნო ადამიანებს, არამედ პატივი მივაგოთ ცათა სამეფოს გულისთვისაც. თავად დავზარალდებით, როცა პატივისცემას დავუჭერთ მათ, ვისაც ის ეკუთვნის.

MessengerX

თქვენი აპლიკაცია ყოველდღიური დამოწმებისთვის

სრულიად უსასყიდლოდ!

უბრალოდ ჩამოტვირთეთ
პორტატულ მოწყობილობაზე და
დაიწყეთ!
ან ისარგებლეთ ვებრესურსით:

MessengerX.com

115 + ენაზე და მეტია მოსალოდნელი

- იხილეთ და ჩამოტვირთეთ თარგმნილი მასალა 115-ზე მეტ ენაზე.
- რესურსები მეგობრებს გაუზიარეთ ან სასწავლო ჯგუფები შექმენით.
- მუდმივად ემატება ახალი მასალები

უყურეთ! წაიკითხეთ! უსმინეთ!

აღმოაჩინეთ მდიდარი ბიბლიოთეკა: სასწავლო პროგრამები, ელექტრონული და აუდიო-წიგნები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები და მრავალი სხვა.

იპოვე ყველაზე მნიშვნელოვანი

იპოვე შემდეგი თემები: ოჯახური დინამიკა, ჯანსაღი ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზნის პოვნა, პორნოგრაფიისაგან თავისუფალი ცხოვრება, რწმენის ზრდის საშუალებები, ღმერთის ხმის მოსმენა, წინამძღოლობა ბიზნესში და მრავალი სხვა.

ზრდის ხელშემწყობი მოგზაურობა

MessengerX - მზადაა დაგეხმაროთ მომდევნო ნაბიჯების გადადგმაში. ამრიგად, ჩვენ დავამუშავეთ დამოწაფების მოგზაურობა მძლავრი ინსტრუმენტების გამოყენებით სწორი მიმართულების შესანარჩუნებლად.

შესანიშნავი ფუნქციები, რომლებიც მოგეწონებათ!

- მარტივი და ადვილად გასაზიარებელი ინსტრუმენტები სიტყვის გასავრცელებლად.
- Chromecast და AirPlay თქვენს რჩეულ სმარტ-ტელევიზორზე.
- შეინახეთ ადრე წარმოებული მოქმედებები ნებისმიერ მოწყობილობაზე. რჩეულები შეინახეთ ბიბლიოთეკაში ადვილი წვდომისათვის.
- ჩამოტვირთეთ საკუთარ მოწყობილობაში კავშირის არქონის დროს დასათვარიელებლად.
- მძლავრი საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველის საპოვნელად.
- აუდიო წიგნების თანმიმდევრულ თავებზე ავტომატურად გადასვლა, აუდიო ბიბლია და ქება-თაყვანისცემა თქვენს ენაზე.

MessengerX- ადვილია, როგორც 1-2-3!



1 ჩამოტვირთეთ **MessengerX** - ის აპლიკაცია Apple Store-დან ან Google Play-დან.

2 შექმენით ანგარიში და გადაიყვანეთ თქვენს ენაზე.

3 დაათვარიელეთ, წაიკითხეთ, უყურეთ, უსმინეთ, ჩამოტვირთეთ და გააზიარეთ სასურველი რესურსები.

იყავი დამოწაფებული და დაიმოწაფე სხვები!

თქვენ, როგორც **MessengerX**-ის ნაწილი, თარგმნილ რესურსებს მთელი მსოფლიოს გაუზიარებთ.

რადგან ყველა იმსახურებს ცოდნას!

MessengerX.com

Download on the App Store

GET IT ON Google Play

Available on all browsers

10

ეკლესიის ლიდერების პატივისცემა

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ცათა სამეფო ნამდვილად სამეფოა. შესაბამისად, ეკლესიაში უნდა იყოს დადგენილი ძალაუფლება და რანგები. ეკლესიის წინამძღოლის პატივისცემით იესოს მივაგებთ პატივს, ხოლო იესოს პატივისცემით მამა ღმერთს მივაგებთ პატივს (მათ.10:40-41). როგორც ამ ლიდერს მოვექცევით, დაველაპარაკებით ან ვიფიქრებთ მასზე, ისევე მოვეპყრობით მის წარმომგზავნელს.

ამის შემდეგ ღმერთი ამბობს: „ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან“ (1 სამ.2:30)! ღვთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ეკლესიის წინამძღოლების მიმართ ქცევით განისაზღვრება. ვერ იტყვით, რომ ღვთის შიში გაქვთ, თუ საეკლესიო ძალაუფლებას პატივს არ მიაგებთ.

„ღვთის მეშინია და არა კაცის!“

არასოდეს დამავიწყდება შეხვედრა მსახურებაზე, სადაც ეს ჭეშმარიტება თვალწინ ცხადად დამიდგა. წყენისგან განთავისუფლების მნიშვნელობის სწავლების შემდეგ ბევრი დათანხმდა ლოცვისთვის წინ გამოსვლის მოწოდებას. ამ დიდი ჯგუფიდან ერთი ახალგაზრდა გამოირჩეოდა. ჩანდა, რომ ძალზე გულნატკენი იყო. მას კათედრასთან მოვუხმე შემდგომი მსახურებისთვის. როცა ის გამოვიდა, კიდევ ერთი ადამიანი გამოეყო ხალხს, მოვიდა და პლატფორმაზე ჩვენთან ერთად დადგა.

მეორე კაცს გრძელი „პონის კუდის“ ვარცხნილობა ჰქონდა, ჯინსები, შავი ტყავის ჟილეტი და მაისური ეცვა. მკლავების მთელ სიგრძეზე ტატუები ჰქონდა დატანილი. თვალებში ველური გამომეტყველება უკრთოდა და ძალიან დაძაბული იყო. შევნიშნე, რომ პირველი ახალგაზრდა მაშინვე შეცბა და ღვთის კურთხევის მისაღებად საჭირო გახსნილობა დაკარგა.

მეორე კაცს მივუბრუნდი და ზრდილობიანად ვთხოვე პლატფორმიდან ჩასვლა.

მან შემომხედა და უხეშად მიპასუხა:

– არა!

ჩემს თხოვნაზე ასე აშკარა უპატივცემულობის თავდაპირველი შოკისგან რომ გამოვერკვიე, შინაგანად მოვემზადე და ვუთხარი:

– სერ, არ გავაგრძელებ, სანამ დაბლა არ ჩახვალთ.

მან ისევ მიპასუხა:

– არა!

ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი და გონებაში კითხვა წამოტივტივდა: რატომ არ მეხმარებიან აშერები ამ ადამიანის პლატფორმიდან ჩაყვანაში? შემდეგ მივხვდი, რომ მისი ყველას ეშინოდა. ახლა უკვე სრულად გავაცნობიერე, რომ საქმე ამბოხებულ პიროვნებასთან მქონდა, რომელსაც არანაირი ძალაუფლების პატივისცემა არ გააჩნდა, ამიტომ მტკიცედ უნდა ვმდგარიყავი ჩემს ძალაუფლებაში და ღმერთს მივნდობოდი. ვიცოდი, რომ პირველ ახალგაზრდას ვერ დავეხმარებოდი ამგვარ ვითარებაში და დაჟინებით მოვითხოვე:

– სერ, ახლა გიბრძანებთ, რომ უკან ჩახვიდეთ პლატფორმიდან.

მან შემომხედა და ისევ თქვა:

– არა!

შემდეგ უხერხული პოზა მიიღო და ამოიბურტყუნა:

– მე ღვთის შიში მაქვს და არა კაცის!

ამ კაცს არც ღვთის შიში ჰქონდა. მას საკუთარ გონებასა და გულში წარმოდგენილი ღმერთის ეშინოდა, რომელიც ნამდვილად არ იყო ცისა და მიწის ღმერთი. მას მართლა რომ ჰქონოდა ღვთის შიში, პატივს მომაგებდა, როგორც ღვთისმსახურს და ჩემს თხოვნას დაემორჩილებოდა.

უკან დახევა არ მინდოდა, ამიტომ შინაგანად სულიწმიდის დახმარებას ვეძებდი. მოულოდნელად, თითქოს ვიღაცამ მითხრაო, გავიაზრე, რომ ეს კაცი ახალგაზრდა ბიჭის მამა იყო. ვიკითხე და დადებითი პასუხი მივიღე. მას ასე ვუთხარი:

– სერ, თუ გინდათ, რომ თქვენმა შვილმა ღვთისგან დახმარება მიიღოს, პლატფორმიდან უნდა ჩახვიდეთ; თუ ასე არ მოიქცევით, თავად იქნებით ღვთის განმკურნებელი ძალის დაბრკოლებაზე პასუხისმგებელი.

როგორც აღმოჩნდა, ამ სიტყვებმა მისი გაქვავებული გული იმდენად გაარღვია, რომ უხალისოდ ჩავიდა პლატფორმიდან. საბოლოოდ, შვილი ისევ გაიხსნა მსახურების მისაღებად და ღმერთი ძალმოსილად შეეხო მას. მართლაც საოცარი იყო ღვთის მოქმედება მის შინაგანში. ახალგაზრდას გული ამოუჯდა და აქვითინდა.

მსახურების შემდეგ მამამისს შევხვდი პასტორის კაბინეტში. იგი ქალაქის მოტოციკლისტთა ერთი ხმაურიანი გუნდის წევრი აღმოჩნდა. კაცს თავი მაგრად ეჭირა და ხელშეუხებელი ჩანდა, მაგრამ მე უკან არ ვიხევდი. საუბრის განმავლობაში ჩვენი დაპირისპირება იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ერთ მომენტში მისგან ფიზიკურ თავდასხმასაც ველოდი.

მას ვუთხარი, რომ შეუძლებელი იყო ღვთის შიშის ქონა და მისი მსახურებისადმი უპატივცემულობის გამომჟღავნება. ღვთის შიში მის მიერ დადგენილი ძალაუფლების პატივისცემას ნიშნავს. ავუხსენი, რატომ იყო არასწორი საქციელი პლატფორმიდან ჩასვლის თხოვნაზე უარის თქმა.

ბოლოს იგი ცოტათი მოლბა. თუმცა ამ დროსაც არ დამიხევია უკან და მტკიცედ მივუთითებდი ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაზე. კაცი ნელ-ნელა მოეშვა და ცრემლები ჩამოუგორდა. როგორც აღმოჩნდა, მამამისმა დიდად ატკინა გული და მისმა არასწორმა მოპყრობამ ცხოვრებაზე, ძალაუფლებასა და ღმერთზე მის შეხედულებას დიდი კვალი დაამჩნია. ის მამას ვერ პატიებდა და იგივე შეურაცხმყოფელ ქცევას საკუთარ შვილთან იმეორებდა. სანამ წავიდოდი, კაცი უკვე ჩვილი ბავშვივით ქვითინებდა.

მან თავისი შეცდომა დაინახა და პასტორისა და ჩემი წინამძღოლობა ბოდიშის მოხდით აღიარა. ამის შემდეგ ღვთისგან საოცრად დიდი ნუგეშისცემა მიიღო. ჩვენი შეხვედრის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ საუბრის ბოლოს მისი გმირი გავხდი. ახლა ძალიან მოვწონდი კაცს, რომელიც მზად იყო ჩემთვის ევნო.

დაფარული უპატივცემულობა

ზემომოყვანილი მაგალითი გამორჩეული შემთხვევაა, თუმცა გულში დამარხული დამოკიდებულება იმაზე მეტად არის გავრცელებული მორწმუნეთა შორის, ვიდრე წარმოგვიდგენია. იმ კაცის უპატივცემულობა თვალშისაცემი გახლდათ. იგი არაფერს მალავდა და ფაქტობრივად, უფრო ადვილად შევძელი მის გულამდე მისვლა. მისი ქცევა უნიღბო იყო, თუმცა მრავალი ადამიანია იგივე მდგომარეობაში, მაგრამ უპატივცემულობას

სხვაგვარი ხერხით გამოხატავს. ასეთები ურჯულოს ან უმართავის იარლიყის მიკვრის შიშით თანამშრომლობის სახეს იღებენ და შესაბამისადაც მეტყველებენ, თუმცა შიგნით უპატივცემულობას ატარებენ. ასეთი დამოკიდებულება გარეთ შეფარული ფორმებით ვლინდება.

ისინი, ვისზედაც ვლაპარაკობ, წინამძღოლებს ბაგეებით სცემენ პატივს, მაგრამ მათი გული შორს არის ღვთისგან დაყენებული მსახურების პატივისცემისგან. ეს გარეგნულად შესაწირავების, მიმართულების შეცვლის ან ლიდერების მხრიდან სხვადასხვა სათხოვრების მიმართ მათი რეაქციით გამოიხატება. პასტორი წევრებს სთხოვს განსაკუთრებული თაყვანისცემის საღამოზე დასწრებას და მრევლის მხოლოდ ერთი მეათედი მოდის. ან ის წევრებს სთხოვს ყოველთვიურ ევანგელიზაციაში მონაწილეობის მიღებას და ალბათ, ერთი მეოცედი გამოჩნდება.

ბევრ ეკლესიაში მივდივარ, სადაც, დაახლოებით, ორიდან ოთხამდე საკვირაო მსახურებას ათასობით ადამიანი ესწრება. თითქმის ყველა ამ მსახურებაზე დარბაზი ივსება. მიუხედავად ამისა, როცა პასტორი ორშაბათ საღამოს ერთობლივი ლოცვის შეკრებას ნიშნავს, იქ რამდენიმე ასეულ ადამიანს თუ იპოვით. რატომ? იმიტომ, რომ მათ პასტორის მიმართ პატივისცემა აკლიათ.

შეიძლება თქვათ, *ჯონ, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამი ხომ არ არის?* ნება მომეცით, სხვა მაგალითი მოგიყვანოთ, რაც საწინააღმდეგოში დაგარწმუნებთ. დავუშვათ, პასტორმა ერთ-ერთ კვირა დღეს ყველა წევრს გამოუცხადა: „ამ თვეს გვექნება განსაკუთრებული ლოცვითი შეკრებები ორშაბათ საღამოს. მომდევნო ოთხი ორშაბათის მანძილზე ერთმანეთს შევხვდებით საღამოს შვიდიდან რვა საათამდე“. ამრიგად, განცხადება მაინც და მაინც სახალისო არ იქნება წევრების 80 პროცენტისთვის, განსაკუთრებით, თუ ეს პერიოდი ორშაბათ საღამოს საფეხბურთო გადაცემას ემთხვევა.

შემდეგ პასტორი აცხადებს: „განსაკუთრებული ლოცვების ბოლო საღამოს ჩვენი ქალაქის ერთი შეძლებული ქალბატონი ხუთასი ათასი დოლარის ჩეკს გადასცემს ყოველ ადამიანს, რომელიც ოთხივე ლოცვით შეკრებას დაესწრება“.

როგორი იქნება დასწრება? უბრალოდ, იმის წარმოდგენა შემიძლია, რომ ყველას დასატევად ადგილი საკმარისი არ იქნება. ადამიანები რაც შეიძლება ადრე მოვლენ ადგილის დასაკავებლად იმის შიშით, რომ შემდეგში გარეთ არ დარჩნენ.

როგორი იქნება თქვენი გამოხმაურება? თავს ნუ მოიტყუებთ, რადგან ასეთი საქციელით თქვენი გულის ნამდვილ ზრახვებს დაფარავთ.

საკუთარ თავს ორი კითხვა დაუსვით. პირველი, დასწრებიხართ ამგვარ ლოცვის შეკრებებს დაპირებული ფულის გამოცხადების გარეშე? მეორე, დაესწრებით თუ არა შეკრებებს დაპირებული ნახევარი მილიონისთვის? იფიქრეთ ამაზე – სახლისა და მანქანის გადასახადს სრულად დაფარავდით და კიდევ ბევრი დაგრჩებოდათ სხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

თუ თქვენი პასუხი უარყოფითი იყო პირველ კითხვაზე და დადებითი მეორეზე, უკვე აღმოაჩენდით, რამდენად აფასებთ პასტორის სიტყვას. გახსოვდეთ, რომ პატივისცემა დაფასებაა.

ღმერთმა თქვა: „მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და დაემორჩილეთ მათ“ (ებრ. 13:17). ეს გახლავთ ღვთის მითითება მისი ხალხისთვის; ჩვენი ეკლესიის წინამძღოლებს უნდა დავემორჩილოთ. ამრიგად, თუ გულწრფელი შეფასებისას მიხვდით, რომ ამას ფულის გულისთვის გააკეთებდით, მაგრამ მხოლოდ პასტორის თხოვნის გამო დაიზარებდით, ვინ ყოფილა თქვენი ბატონი? იესო აცხადებს, რომ შესაძლებელია მხოლოდ ორი ბატონის მორჩილება – ღვთის ან სიმდიდრის (მათ.6:24).

მოდი, რამდენიმე კითხვა დავსვათ: მსახურებაზე დროულად მიდიხართ? გრძნობთ თუ არა გულში გარკვეულ წინააღმდეგობას, როცა პასტორი განსაკუთრებული შესაწირის გაღებას გთხოვთ? გამუდმებით უგულებელყოფთ თუ არა თქვენი ლიდერის მოწოდებას ეკლესიურ მსახურებაში ან მრევლის დახმარებაზე? ეძებთ თუ არა თავის გასამართლებელ მიზეზებს, თუ რატომ არ შეგიძლიათ განსაკუთრებულ კვირა საღამოს მსახურებაზე დასწრება? ახლა საკუთარ თავს ჰკითხეთ, ყველა ჩამოთვლილ შემთხვევას ხუთასი ათასი დოლარის ჩუქების დაპირებას თუ დაუმატებენ, განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდით? თუ კი, რატომ? თქვენზე იყოს ამ რთულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ გულწრფელობა არ დაგავიწყდეთ. როცა პასუხის გაცემას დაიწყებთ, იესოს სიტყვებიც გაითვალისწინეთ: „ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს“ (მათ.10:40). ვიმეორებ, რომ ასეც შეიძლება ითქვას: „ვინც პატივს გცემთ თქვენ, მე მცემს პატივს, ხოლო ვინც მე მცემს პატივს, ჩემს წარმომგზავნელს სცემს პატივს“. როცა თქვენი პასტორის სიტყვას აფასებთ, ღვთის სიტყვას აფასებთ, რადგან ის ღვთის წარმოგზავნილია.

ახლა გასაგებია, რატომ ვერ აღწევენ მრავალნი წარმატებას ცხოვრებაში. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღმერთის ეზოებში აყვავდებიან“ (ფს.92:13). როცა ეკლესიაში ვართ დარგული, ცხოვრებაში ავყვავდებით, როგოც აქ, ისე ქრისტეს სამსჯავროზე. ყურადღება მიაქციეთ,

რომ მეფსალმუნე არ ამბობს: „უფლის სახლში მომსვლელნი“. შესაძლებელია საეკლესიო მსახურებებზე დასწრება ისე, რომ დარგული არ იყოთ. დარგვა ნიშნავს, რომ იმ ადგილზე სიცოცხლეს დებთ ღვთის სამსახურებლად. სწორედ იქ გაიღებთ, ემსახურებით და ემორჩილებით წინამძღოლებს. როცა დარგულები ვართ, ვაფასებთ ადგილობრივ ეკლესიას, ისევე როგორც ხე აფასებს ნიადაგს, რომელიც მას სიცოცხლეს აძლევს.

შესაძლოა, აყვავებამ, წარმატებამ და ბედნიერებამ იფეთქოს თქვენს ცხოვრებაში მაშინ, როცა არ იქნებით ეკლესიაში დანერგილი, მაგრამ ვერასოდეს გამოცდით ამ კურთხევების ხანგრძლივობას. არ უნდა გვინდოდეს შემთხვევითი კურთხევები, არამედ ის, რაც ძლებს, რასაც დიდი საიმოვნება და კმაყოფილება მოაქვს ხანდაზმულობის წლებში და ყველაზე მეტად, ქრისტეს სამსჯავროზე წარდგომისას, სადაც ყველაფერი გაცხადდება.

თუ ეკლესიაში დანერგილი ხართ, დააფასებთ ეკლესიის ლიდერების სიტყვებს. ზედაპირულად არ მოეკიდებით მათ სათხოვრებს. მაშინ უფლის შიშს მოიპოვებთ და ღვთისმოშიშებაში პატივს მიაგებთ მის მიერ დადგენილ წინამძღოლებს. ამის გაკეთებით სრულ საზღაურს მიიღებთ ღვთისგან, რომელიც თქვენთვის აქვს შენახული.

კეთილი იფიქრეთ მათზე

ბიბლია მიგვითითებს: „გთხოვთ ძმებო, პატივი ეცით მომსახურეთ თქვენ შორის, თქვენს წინამძღოლთ უფალში და თქვენს დამრიგებელთ; უაღრესი სიყვარული გამოიჩინეთ მათდამი, მათი საქმის გამო“ (1 თეს. 5:12-13).

თითქმის ორმოცწლიანი მსახურების მანძილზე, საიდანაც შვიდი წელი ადგილობრივ ეკლესიაში გავატარე, ხოლო დანარჩენი – მოგზაურობაში, შევნიშნე, რომ ყველაზე შემდგარი, მშვიდობით სავსე, ბედნიერი, აყვავებული და წარმატებული მორწმუნეები თავიანთი ეკლესიის წინამძღოლებზე კარგი აზრის არიან და მთელი გულით გასცემენ მათ მიმართ სიყვარულსა და თავდადებას. ღმერთი ამის გაკეთებისკენ მოგვიწოდებს და ნუთუ ეს მოწმობა ჭეშმარიტი არ იქნება? საპირისპიროც ასევე მართალია.

წლების განმავლობაში ვხვდებოდი ადამიანებს ამ სპექტრის ორივე ბოლოდან. მინახავს ისეთები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ პასტორს არაფრით ჩამოუვარდებიან. წინამძღოლებს მხოლოდ იმიტომ ეგუებიან, რომ ხელმძღვანელი პოზიციები უჭირავთ.

მათი აზრით, ასევე კარგად და უფრო უკეთაც შეუძლიათ ეკლესიის ან მსახურების წარმართვა. ისინი ხშირად დროს ფუჭად ფლანგავენ იმის ლოდინში, როდის „დააწინაურებს“ ღმერთი წინამძღოლთა მსახურებაში. ისინი თვლიან, რომ პასტორის ჩანაცვლება პრობლემას არ წარმოადგენს და სხვა ადამიანებივით ადვილად ხელწამოსაკრავია.

ანალოგიური აზროვნების შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც არ აქვს მსახურების მისწრაფება. ასეთები ბიზნესის სფეროში მოღვაწეობენ და საეკლესიო მსახურებებს ვალდებულების გამო ესწრებიან. ისინი ზემოთ აღწერილებისგან განსხვავებით ფიქრობენ, რომ პასტორობა ნებისმიერს შეუძლია, განსაკუთრებით, თავად მათ, მაგრამ ბიზნესის სფეროში მოღვაწეობა არჩიეს. მათთვის პასტორები ნაკლები ინტელექტის მქონე ადამიანები არიან და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მსახურებას ვერ გასცდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ ნახავთ ცხოვრებაში ამ ადამიანების წარმატებას სრული პოტენციალით. დიახ, შესაძლოა, ურიგოდ არ უძღვებიან ბიზნესს ან მსახურებას, მაგრამ ახლოსაც არ არიან იმ შესაძლებლობასთან, რომელიც ეკლესიაში დანერგვისა და პასტორის, როგორც ღვთიური ნიჭის მქონე პიროვნების დაფასების შემთხვევაში ექნებოდათ. მათი დამოკიდებულება ყველაზე ხშირად სირთულეებს ქორწინებასა და შვილებში გამოიწვევს; ისინი დაზარალდებიან ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ფინანსურად და ცხოვრების ბევრ სხვა სფეროში.

გულისშემძვრელი ამბავი

უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია ადამიანებზე, რომლებიც თავიანთ წინამძღოლებს არათუ არ აფასებენ, არამედ კიდევაც შეურაცხყოფენ (და მოკლედ შევეხებით სპექტრის დადებით მხარეს). თუმცა რეალური ამბავი, რომელიც ამ ტრაგედიას აღწერს, ჩემს ნაცნობებს შეემთხვათ. მყავს მეგობარი, რომელიც დიდი ეკლესიის მწყემსია. მის კათედრასთან რეგულარულად ვიდექი ოცდახუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგრამ თვითონ მას ოცდათხუთმეტ წელზე მეტია, რაც ვიცნობ.

მას პატივს სცემენ არა მარტო თავის ეკლესიაში, არამედ მშობლიური ქვეყნისა და საზღვარგარეთელი ლიდერებიც.

წლების წინ იგი ერთ ახალგაზრდა კაცს დაეხმარა მის ცხოვრებაში ღვთიური მიმართულების პოვნაში. ეს ახალგაზრდა,

რომელსაც ამჯერად ბილს ვუწოდებთ, ისეთ დენომინაციურ ეკლესიაში აღიზარდა, სადაც ღვთის სიტყვის ბევრი ფასეული ჭეშმარიტების არ სწამდათ. ჩემი მეგობარი, რომელსაც აქ რენდის ვუწოდებ, ბილს დაეხმარა სულიწმიდით ავსებაში და ეს უკანასკნელი ძალმოსილებით იქნა გამოყენებული ღვთის მიერ ძალიან ნაყოფიერი მსახურების მიმართულებით.

მოკლე ხანში ბილმა ეკლესია დაკარგა სულიწმიდით ნათლობის გამო. პასტორი რენდი ხალხის ჯგუფთან ერთად მივიდა და ბილის სახლის ნივთები მოაგროვა, რომელიც იმ დენომინაციის წარმომადგენლებმა ქუჩაში დაყარეს და ბილისა და მისი ოჯახისთვის ბინა იქირავა.

საბოლოოდ, ბილი ერთი წარმატებული ეკლესიის პასტორი გახდა სხვა ქალაქში. მან პატარა ჯგუფიდან დაიწყო, მაგრამ მის ცხოვრებაში არსებული ღვთის ძლიერი ნიჭის წყალობით ეკლესია სწრაფად გაიზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ ბილმა კინოთეატრის შენობა შეიძინა და მაღაზიის წინა სივრცეში დაქირავებული ფართიდან განახლებულ კინოთეატრში გადავიდა. მან პასტორი რენდი მოიწვია შენობის ღვთისთვის მიძღვნაში დასახმარებლად, რადგან მისი ზეგავლენა დიდი იყო ბილის ცხოვრებაში. ეს მართლაც დიდებული შემთხვევა გახლდათ.

ეკლესია წინსვლას განაგრძობდა, მაგრამ ბილი ერთი მიდრეკილებისგან იტანჯებოდა, რომელიც კარგად იყო დაფარული. პრობლემა იზრდებოდა და ბოლოს, ეკლესიის უხუცესებმა ამის შესახებ შეიტყვეს.

ბილი პერიოდულად რენდის ურეკავდა და ეუბნებოდა, რომ გადადგომა გადაწყვიტა, თუმცა მიზეზს არ უხსნიდა. პასტორი რენდი ბილს ამხნევებდა მანამ, სანამ ერთ-ერთმა უხუცესმა არ დაურეკა და ბილის დამაბრკოლებელი ბორკილების შესახებ არ უამბო. რენდი მაშინვე გაფრინდა ბილის დასახმარებლად. სამწუხაროდ, უხუცესებმა იცოდნენ ბილის დამოკიდებულების ამბავი და მაინც უნდოდათ, რომ ის კათედრასთან მდგარიყო.

როცა რენდიმ უხუცესების აზრი მოისმინა, ასე თქვა:

– თუ მაინც ეცდებით ბილის კათედრასთან დატოვებას, კვირის მსახურებაზე მოვალ და სახალხოდ ვილაპარაკებ ამ ვითარებაზე. თქვენ მის ოჯახზე არ ზრუნავთ; მხოლოდ საკუთარი თავი და ეკლესია გადარდებთ. თუ მის გადადგომას დათანხმდებით, ეკლესიის გარდამავალ პერიოდში დაგეხმარებით.

იმ დღეს პასტორმა რენდიმ ბილი და მისი ოჯახი გამოიხსნა, სხვა შტატში გადაიყვანა მისი ეკლესიის ახლოს და მაღალანაზღაურებადი სამსახური უშოვა. დროთა განმავლობაში

ბილი გამოჯანსაღდა რენდის მეთვალყურეობის ქვეშ.

მოგვიანებით, რენდიმ იგი შტატში აიყვანა დამხმარე პასტორად, რომ ისევ დაბრუნებოდა ღვთიური მოწოდების თანახმად მსახურებას. ამასობაში ქრისტიანულმა გამოცემებმა ბილის დახსნის შესახებ ამბავი გამოაქვეყნეს და დამოწმების შედეგად მისი რეპუტაცია გაიზარდა. გარკვეული დროის შემდეგ ბილთან სხვა შემოთავაზება მოვიდა. მას უნდა ესწავლებინა და თან მოგზაური მქადაგებლის მსახურების დაწყებისკენაც მოუწოდეს. პასტორი რენდი ხვდებოდა, რომ ბილი ჯერ მზად არ იყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად და სხვა რამ შესთავაზა. ბილმა იფიქრა, რომ პასტორი აკონტროლებდა და მის ხვედრს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ რენდის რჩევა უგულებელყო და წავიდა.

დრო გავიდა და ერთხელ მე და ბილი სადილზე შევხვდით ერთმანეთს, სადაც კიდევ რამდენიმე ლიდერი იმყოფებოდა. ბილმა ერთად ყოფნის დროის უმეტესი ნაწილი პასტორ რენდი-ზე წუწუნში გაატარა. ის კრიტიკულად აფასებდა ეკლესიის მართვის მისეულ სტილს, შტატში მუშაობის დროს მისდამი მოპყრობას და ძველ პასტორთან უთანხმოებას მის წასვლასთან დაკავშირებით. მახსენდება, როგორი განგაშის სიგნალი ვიგრძე-ნი გულში. ვიცი, რომ ნაწყენი იყო, რამაც ამ კეთილისმყოფელი ადამიანის შესახებ მისი წარმოდგენა ძალიან დააზარალა.

იმ სადილზე რენდი დავიცავი, მაგრამ ვხედავდი, რომ ჩემი სიტყვები ყრუ კედელს ეხეთქებოდა. ვიცოდი, რომ არასწორი იყო ამ საკითხებზე მსჯელობა რენდის არყოფნისას, როცა მას თავისი ვერსიის მოყოლის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ჩვენი საუბარი ბილისთვის რჩევის მიცემით დავასრულე – რენდი მისი მამა იყო რწმენაში და თუ რამეში შეცდა კიდეც (აქ სიფრთხილე გამოვიჩინე, არ მინდოდა არგუმენტების ნაკლებობის პირობებში მემტკიცებინა, რომ შეცდა), ბილის მხრიდან არასწორი იქნებოდა მისი კრიტიკა და უპატივცემულობის გამოჩენა. მას სხვა ბიბლიური მაგალითებიც მოვუყვანე, რომლებზეც ამ წიგნში ვისაუბრეთ, მაგრამ ბილი შეუვალი იყო და პასტორ რენდიზე აზრი არ შეიცვალა.

რამდენიმე თვის შემდეგ პასტორმა რენდიმ დამირეკა. ახლაც მახსენდება მის ხმაში გამკრთალი ნაღველი, თითქოს ვიღაც გარდაიცვალაო. ბილმა წიგნი გამოსცა და მის ერთ-ერთ თავში მაკონტროლებელ ეკლესიებსა და წინამძღოლებთან ურთიერთობის გზებს აღწერდა. რენდიმ მითხრა:

– ჯონ, ბილის ახალი წიგნიდან ოთხი გვერდი მინდა წა-გიკითხო.

მან რენდიზე, მისი თანამშრომლების შტატსა და ეკლესიაზე ცილისმწამებლური ანგარიშის კითხვა დაიწყო. მართალია, სახელები არ უხსენებია, მაგრამ ყველა მიხვდებოდა, ვის შესახებ წერდა. ეს ხომ ერთადერთი ეკლესია იყო, სადაც ბილი დამხმარე პასტორის მოვალეობას ასრულებდა და წიგნის მკითხველები რენდის ეკლესიის ეროვნული სტატუსიდან გამომდინარე ადვილად მიხვდებოდნენ, ვინ იყო ნახსენები ლიდერი. ბილის წიგნიდან გამომდინარე იფიქრებდით, რომ პასტორი რენდი ერთი ახირებული, მაკონტროლებელი ურჩხული იყო (საინტერესოა ფაქტი, რომ წლების მანძილზე, რაც რენდის ეკლესიაში მიმსახურია, თანამშრომელთა დიდმა შტატმა ძალზე მცირე ცვლილება განიცადა. ისინი თავდადებული ადამიანები არიან და პასტორი ძალიან უყვართ).

ოთხი გვერდის ჩაკითხვის შემდეგ რენდიმ მითხრა:

– ჯონ, პიროვნულ დონეზე ამის გადატანა შემიძლია, მაგრამ გული მტკივა ეკლესიის წევრების გამო (მათი რიცხვი ათასებს ითვლიდა), რომლებიც წიგნს წაიკითხავენ და იცი, რომ აუცილებლად წაიკითხავენ – ის ხომ ჩვენთან პასტორად მსახურობდა. ეს მათ მოშხამავს და დააბრკოლებს, რომ ისევ მიიღონ ღვთიური კურთხევა ჩვენს ეკლესიაში.

გული მეტკინა. ყურებს არ ვუჯერებდი. რენდიმ ბილი ისეთი სიტუაციებიდან დაიხსნა, რომლებსაც ბევრი ადამიანი ახლოს არ გაეკარებოდა. მან ბილი წამოაყენა, იზრუნა მასზე და აღადგინა. როგორ შეეძლო ბილს ასე მოქცევა? ვიცოდი, რომ მან უპატივცემულობის თესლი დათესა და მოსავალი არცთუ სასურველი იქნებოდა. ფაქტობრივად, განადგურებას მოიმკიდა, თუ არ მოინანიებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ბილს სხვა ეკლესიის პასტორობა შესთავაზეს. იგი ისევ შეეცადა ეკლესიის გაზრდას ღვთივბოძებული ნიჭის მეშვეობით (ნიჭი გარკვეული წარმატებით მოქმედებს, თუნდაც ღვთის გულს ჩამოშორებული ვიყოთ). მოსავალმა არ დააყოვნა. იგი ისევ ჩაიჭირა ძველმა ბორკილებმა. ამჯერად საქმე უარესად იყო, რადგან სხვა ოჯახის განადგურებაც გამოიწვია. შედეგებმა შეარყია ეკლესია და საზოგადოება. ეკლესია დაჭრილ მდგომარეობაში დატოვა. ბევრი განაწყენებული და იმედგაცრუებული დარჩა.

ბილს პატივი რომ მიეგო მისი სულიერი მამისთვის, დარწმუნებული ვარ, თავის დროზე საკუთარ მსახურებასაც წამოიწყებდა, მეორეჯერ არ დაეცემოდა და ახლაც ბრწყინვალე მოწმე იქნებოდა, თუ როგორ გვიხსნის და აღგვადგენს ღმერთი ცოდვისგან. თუმცა მან სულიერი მამის უპატივცემულობა

არჩია და მივიღეთ ტრაგედია, რომელმაც მეტისმეტად ბევრი ადამიანი დაჭრა. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. ეს ამბავი იმ იმედით მოგიყევით, რომ ანალოგიური ვითარება სხვების ცხოვრებაში მაინც იქნას არიდებული.

ბილს ღვთის სიტყვის სწავლების საოცარი ნიჭი ჰქონდა. ფაქტობრივად, მაოცებდა ის გამოცხადებები, რაც მას მიეცა. მომისმენია, როგორ აფასებდნენ მისი სწავლების ძალას სხვები, რომლებიც იცნობდნენ და მის მსახურებას ემორჩილებოდნენ. საშინელებაა. ნეტა ბილს პატივი მიეგო სულიერი მამისთვის! ეს დიდად წაადგებოდა და მის ზეგავლენას გაზრდიდა.

პავლე მოციქული აცხადებს: „თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამა ბევრი ვერ გეყოლებათ“ (1 კორ. 4:15). უნდა გვახსოვდეს ღვთის ნათქვამი, რომ წყევლის ქვეშ ვართ, როცა მამას პატივს არ მივაგებთ. ეს არა მარტო ხორციელ მამებს ეხება, არამედ სულიერებსაც. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი წარუმატებლობის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა, გულში ნამდვილი პატივისცემის გრძნობას გამომუშავებისა და წყენის დაბუდებისგან დაცვის შემთხვევაში, განსაკუთრებით სულიერი მამებისა და დედების მიმართ.

ორი ან სამი მოწმე

კაცმა, რომელმაც პირველად დამაყენა მსახურებაზე, დაკარგა რვა ათასი წევრისგან შემდგარი ეკლესია. ის დღეს აღარ არსებობს, რადგან პასტორმა ცოლი მიატოვა ახალგაზრდა ქალის გამო. მან მრევლს უთხრა, რომ ცოლს ეყრებოდა და თუ ეს არ მოსწონდათ, შეეძლოთ სხვა ეკლესიაში წასვლა. ეს იყო გამანადგურებელი აფეთქება. სამწუხაროდ, ბევრი მამაკაცი მიყვა მის მიერ აღებულ მიმართულებას და ცოლებს გაეყარნენ ეკლესიაში.

ბევრმა ადამიანმა, ვინც ჩემ გვერდით შრომობდა იქ მსახურებისას, გააკრიტიკა ხსენებული პასტორი. მეც ავყევი მათ. ძალზე იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვიყავი. პატივისცემა, რომელიც ამ სულიერი მამის მიმართ მქონდა, სწრაფად გაქრა. იმ ეკლესიიდან უკვე ხუთი წლის წამოსული ვიყავი. მან მე და ლიზა კურთხევით გამოგვიშვა სხვა შტატში ახალი მსახურების დასაწყებად. მიუხედავად იმისა, რომ იმ ეკლესიაში აღარ ვიყავით, მაინც იზრდებოდა ჩემი იმედგაცრუება და ბრაზი მის მიმართ.

ამის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ჩემს ძველ პასტორზე ოთხი სიზმარი ვნახე. საერთოდ, იშვიათად მახსოვს საკუთარი

სიზმრები. ამრიგად, ორ კვირაში ოთხი სიზმრის ნახვა, რომლებიც დამამახსოვრდა, სრულიად არაჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. უხერხულობას ვგრძნობ, ამას რომ ვწერ, მაგრამ მეოთხე სიზმრის ნახვამდე ვერ მივხვდი, რომ ღმერთს რაღაცის თქმა უნდოდა. ლოცვა დავიწყე და ვიკითხე:

– მამა, რას მაჩვენებ ამ სიზმრებით?

მაშინვე გავიგე მკაცრი ხმა:

– ის ჩემი მსახურია. შეწყვიტე ჩემი მსახურის განკითხვა!

ჩემი საქმე არ იყო ყოფილი პასტორის კრიტიკა ან მსჯავრის დატეხა ადამიანზე, რომელიც სულიერ მამად მეკუთვნოდა. როცა ამას მივხვდი, მოვინანიე და მობოდიშების წერილი გავუგზავნე.

ცოლთან გაყრიდან რამდენიმე თვის შემდეგ იგი ახალგაზრდა ქალზე დაქორწინდა და მოკლე ხანში ეკლესიის წევრთა რაოდენობა ოთხასამდე შემცირდა. იგი ეკლესიის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ მხოლოდ დროის ამბავი იყო, როდის დაიკეტებოდა მისი კარი სამუდამოდ. უნდა დატოვოთ თუ არა ეკლესია, რომლის პასტორი აშკარა ცოდვაში ცხოვრობს და მონანიებას არ აპირებს? პასუხი არის სრული „დიახ“. პავლე წერს:

> „წერილში გწერდით, გარყვნილ ხალხთან არ იქონიოთ-მეთქი [ახლო ან ჩვევაში გადაზრდილი] ურთიერთობა; არ მიგულისხმია ამ ქვეყნიერების გარყვნილები, ხარბები, მტაცებლები ან კერპთაყვანისმცემლები, რადგან მაშინ თქვენც მოგიწევდათ ამ ქვეყნიერებიდან გასვლა. არამედ გწერდით, რომ არ გქონოდათ კავშირი იმათთან, ვინც [ქრისტიან] ძმად იწოდება, მაგრამ მაინც გარყვნილია, ან ხარბია, ან კერპთაყვანისმცემელია, ან [ღვთიური ადგილის] მაგინებელია, ან ლოთია, ან მტაცებელია; ასეთებთან არც კი ჭამოთ“.
>
> – 1 კორ. 5:9-11

პავლე ნათლად აცხადებს, რომ სიახლოვე არ უნდა ვიქონიოთ „ქრისტიანთან“, რომელიც უზნეობაში ცხოვრობს. ეს ლიდერი უზნეოდ მოიქცა, როცა ცოლს გაეყარა. იმის გამო, რომ ვერ რიგდებოდნენ, როცა ამ დროს ახალგაზრდა ქალი მზად იყო მისი ადგილის დასაკავებლად. იესოს მოძღვრებით ეს სრულიად ნათლად ჩანს, რადგან ის ასე აცხადებს: „მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ვინც თავის ცოლს გაუშვებს, სიძვის მიზეზის გარეშე და სხვას შეირთავს, მრუშობს“ (მათ. 19:9).

ამრიგად, თუ არცკი უნდა ვჭამოთ ქრისტიანთან, რომელიც ნებსით ცოდვაში ცხოვრობს, მით უმეტეს არ უნდა ვეზიაროთ მის სულს; არ უნდა ვიჯდეთ იმ ადამიანის მსახურებაზე, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია. თუ მოინანიებს, ისევ შეგვეძლება მისგან მიღება.

ახლა შეიძლება მკითხოთ: „ჯონ, ნუთუ ეს განკითხვა არ არის?“ პასუხად გეტყვით, რომ ეს მისი ნაყოფის განკითხვა იქნება. უნდა განვსაჯოთ ნაყოფი – ადამიანის მოქმედება – მაგრამ არა მისი გულის მოტივები. პავლე ამბობს: „მე რატომ განვიკითხო გარეშენი? განა თქვენ შინაურებს არ განიკითხავთ?“ (1 კორ. 5:12).

დეტალებში ჩაღრმავების გარეშე განვიკითხავდი პასტორის გულის ზრახვებს და ამ მიზეზით ღმერთმა სიზმრების მეშვეობით გამაფრთხილა. მხოლოდ მას შეუძლია ადამიანის გულის მოტივები განსაჯოს. პავლე ამბობს:

> „ამიტომ ნუ განსჯით დროზე ადრე, სანამ უფალი არ მოვა, რომელიც გაანათებს ბნელში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს!“
>
> – 1 კორ. 4:5

ამ მიზეზის გამო იმედიანი ვრჩები ჩემი ყოფილი პასტორის სიცოცხლის გამო.

ამ საკითხის გარკვევაში დახმარებისთვის ერთხელ ერთ მსახურს ვესაუბრე, რომელიც მეტად შეაწუხა მეორე მსახურის მიერ კონფერენციაზე წარმოთქმულმა სიტყვამ. ეს მეგობარი ქადაგებას ტელეფონზე მასმენინებდა და წერილიდან ადგილები მოჰყავდა წარმოთქმულ ქადაგებაში შეცდომის მითითებით. ყველაფერს დავეთანხმე, რასაც ეს პიროვნება ამბობდა ქადაგებასთან დაკავშირებით (სხვა მსახურებმაც ანალოგიური შეშფოთება გამოხატეს). და მაინც, ტელეფონზე მოსაუბრემ ასე მითხრა:

–ვფიქრობ, ხსენებულმა მსახურმა ეს სწავლება იმიტომ მოიგონა, რომ უნიკალური ქადაგება ჰქონოდა, რომელიც ბევრი დიდი ეკლესიისა და კონფერენციის კარს გახსნიდა.

ტელეფონზე მოსაუბრე მეგობარი მაშინვე გავაჩერე და ვთქვი:

– შენ ახლა მის ზრახვებს განსჯი და ეს არასწორია.

მეგობარს ვუთხარი, რომ ნაყოფის ანუ ნათქვამისა და გაკეთებულის განსჯა დასაშვებია. ამ შემთხვევაში ეს რეალური

ქადაგებაა, მაგრამ არა ადამიანის ზრახვისა. ამის გაკეთება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. სწორედ ასე ვიქცეოდი ჩემი პასტორის შემთხვევაში და ღვთისგან მკაცრი გაფრთხილება მივიღე.

ის ოთხასი კაცი, რომელიც ყოფილი პასტორის ხელმძღვანელობის ქვეშ დარჩა, ძალზე დახლართულ მსახურებრივ ვითარებაში აღმოჩნდა. მათი ერთგულება არაბიბლიური იყო. ისინი მცდარი სულის ატმოსფეროში რჩებოდნენ და ეს არ იყო სულიწმიდა.

ამ დღემდე პატივს ვცემ ჩემს ყოფილ პასტორს, მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ არ მოუნანიებია (ახლა ის მესამე ცოლზეა დაქორწინებული). მას რომ ეკლესია ჰქონოდა, მის მსახურებას არ დავექვემდებარებოდი, მაგრამ მას ჩემს გულში პატივისცემის ადგილი სიცოცხლის ბოლომდე ექნება. გაიხსენეთ, რომ დავითი მას მერეც პატივს სცემდა საულს, რაც ღმერთმა განსაჯა და საქებარი სიმღერაც კი დაუწერა, რომელიც იუდას კაცებს შეასწავლა.

ჩემმა ყოფილმა პასტორმა დახმარებისთვის რომ მომმართოს, როგორც შემეძლება, დავეხმარები და თან, რაც შეიძლება სწრაფად. მან ღვთის სიტყვის მრავალი მშვენიერი ჭეშმარიტება მასწავლა, რომელთაც დღესაც სარგებელი მოაქვს ჩემთვის. მას ჩემი სჯეროდა და მაშინ მომცა შანსი, როცა სხვას არავის აღელვებდა ჩემი ამბავი. როცა ჯერ მკვახე და უმწიფარი ვიყავი და ბევრ შეცდომას დავუშვი, მან მაპატია და გამამხნევა. მას ყოველთვის მივაგებ სათანადო პატივს. ამ სიტყვების წერის დროსაც კი, რასაც მხოლოდ სხვების დახმარების სურვილით ვაკეთებ, ჩემი გული დამწუხრებულია იმ ტკივილის გამო, რაც მან და სხვებმა თავიანთი არჩევანით გამოიწვიეს. ვიმედოვნებ, რომ ის მოინანიებს და ისევ ისეთი დიდებული წინამძღოლი იქნება, როგორიც იყო. წერილი გვეუბნება, რომ ღვთის იმედი არ გადადის და შეურყეველია (1 კორ. 13:7).

მეორე მხრივ, დღეს მრავალი ტოვებს ეკლესიას, რადგან იგებენ ჭორს პასტორის მიერ ჩადენილ ცოდვაზე. არა, და ათასგზის არა! ჭორებს არ უნდა ვუსმინოთ. ჩვენ ასე გვეუბნებიან: „ნუ მიიღებ ბრალდებას ხუცესებზე, თუ არ გეყოლება ორი ან სამი მოწმე“ (1 ტიმ. 5:19).

მოწმე არის უდავო მტკიცებულების მქონე ადამიანი, რომლის წარდგენაც სასამართლოზე შეიძლება. აქ ლაპარაკი არ არის ორ, ერთმანეთში შეთანხმებულ ადამიანზე ან რამდენიმე სხვაზე, რომელთაც ერთი და იგივე ჭორი გაავრცელეს. არა, ორ ან სამ მოწმეს იზოლირებული სამხილი უნდა ჰქონდეს. რატომ წერს ამას პავლე? ჩვენს დასაცავად.

იფიქრეთ ამაზე. თუ წინამძღოლის შესახებ გავრცელებულ ჭორს დავიჯერებთ, ეს ეჭვსა და მცდარ რწმენას წარმოშობს. უპატივცემულობა ადვილად შეაღწევს ჩვენს გულში. თუ წინამძღოლს პატივს არ ვცემთ, მისგან საზღაურს ვერ მივიღებთ, რომელიც ღმერთს მისი მეშვეობით უნდა მოეცა. სწორედ ამიტომ დასავლელ ხალხს უჭირს ღვთისგან მიღება. ჩვენს თაობაში არაერთი დიდი სკანდალი მომხდარა მსახურებაში, რამაც მრავალი ადამიანის გულში ეჭვი დაბადა. დღეს ეკლესიაში ბევრი გადაიღალა ამ ყველაფრით და დაცინვაზეც კი გადავიდა. ეს დამოკიდებულება სრულიად არ განავითარებს პატივისცემას. ეს მტრის გეგმა იყო, რომ უკან დაგვეხია და შეგვეწყვიტა ზეციური არხებიდან, ღვთის წინამძღოლებისგან მიღება.

ხანამ შეძლო ყელისგან მიღება მიუხედავად იმისა, რომ მღვდლის გაუმაძღარი და ხარბი ცხოვრების სტილი გამოვ-ლინდებოდა და შედეგად სასჯელსაც მოიტანდა. ქალმა თავისი გული ცინიკური დამოკიდებულებისგან დაიცვა მაშინაც კი, როცა ყელის გაფუჭებული ხასიათის დარტმა იგრძნო „სიმთვრა-ლის“ დაბრალებისას. იგი უფრო მოქმედებდა და ნაკლებად რეაგირებდა.

დღეს ბევრი რეაგირებს ჩვენი დასავლური ეკლესიის წინამძღოლების მსახურებათა ჩავარდნით გამოწვეულ გულის-ტკივილზე.

წლების მსახურების მანძილზე ურიცხვი უარყოფითი ლაპარაკი მომისმენია ლიდერების შესახებ, მაგრამ ჩემი პირადი მრწამსი მაქვს, რომელიც ტიმოთეს პირველი წერილის ზემომოყვანილ მონაკვეთშია ფესვგადგმული და ჩემს ცხოვრებას მართავს. ავტომატურად ვაგდებ უარყოფით ამბავს, რომელიც მხოლოდ ერთი პიროვნებიდან მოდის ან კონკრეტულ სამხილს არ წარმოადგენს თუნდაც ორი პიროვნება. ამბავი რომ დავიჯერო, სულ მცირე, ორი ადამიანისგან რეალური დასაბუთება უნდა მქონდეს. თუ საეჭვო ამბებს სულ ცოტა მნიშვნელობა მაინც მივანიჭე, ზეცისგან მიღების უნარს დავაბრკოლებ. პირადად მე ღვთისგან ერთი მისხალის დაკარგვაც კი არ მინდა და დარწმუნებული ვარ, თქვენც ასევე ფიქრობთ.

სპექტრის მეორე ბოლო

სპექტრის მეორე ბოლოზე დაკვირვებით გავიგე და გავიზარდე სიყვარულში. ეკლესიაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც წინამძღოლებს პატივს მიაგებენ და მთელი გულით უყვართ. ზოგიერთები ეკლესიის შტატში შედიან, სხვები – ლიდერებს

ეხმარებიან, ხოლო მრავალი სხვა ეკლესიის წევრსა და ამ მსახურებათა პარტნიორს წარმოადგენს.

სასიამოვნოა დაკვირვება, თუ როგორ ზრდის ღმერთი ამ ადამიანებს წლების მანძილზე. ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანს რაიმე მოძრაობა პასუხისმგებლობის სკალაზე ან სწრაფი წინსვლის თვალსაზრისით, მაგრამ ათი, ოცი, ოცდაათი და ზოგჯერ, ორმოცი წლის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცე ზრდას ვხედავ მათ ცხოვრებაში ყოველი სასიკეთო გზით.

მახსენდება, რომ ბევრი იყო იმედგაცრუებული ჩემი პირველი პასტორის გამო, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ; მათ ისეთი დამოკიდებულება გამოიმუშავეს, რომელიც პატივისცემას არ წარმოშობდა. კრიტიკის სურვილმა დაძლია ისინი და ტრაგიკული შედეგებით დაზარალდნენ. ზოგს ოჯახი დაენგრა, სხვებს ცუდი რაღაცები შეემთხვათ შვილებთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენები მატერიალური თვალსაზრისით განადგურდნენ. სხვებმა ძალები მოიკრიბეს და ახალი ეკლესიები წამოიწყეს, მაგრამ წლების შრომის შემდეგაც ვერ მიიღეს წარმატებული ეკლესია.

განსაკუთრებული შემთხვევის სახით ერთი ქალი მახსენდება, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა. იგი სატელევიზიო გადაცემაში გამოვიდა და ჩემი პასტორის (ვინც მთელი ეკლესია დაკარგა) წინააღმდეგ ილაპარაკა. მას შესანიშნავი ჯანმრთელობა ჰქონდა, მაგრამ ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა ტვინის მძიმე ანევრიზმით. ეს შემთხვევითობას მივაწერო? პასუხი მხოლოდ უფალმა უწყის. ის კი ვიცი, რომ პავლეს აზრით, მრავალი მორწმუნე ვერ არჩევს უფლის სხეულს და შედეგად „ბევრია თქვენს შორის უძლური და სნეული და ბევრმაც დაიძინა (ნაადრევად გარდაიცვალა)“ (1 კორ. 11:30, სიტყვები ფრჩხილებში ჩემია). პავლემ ეს ზიარებასთან კავშირში დაწერა, მაგრამ გამოყენებული ჭეშმარიტება ქრისტიანული ცხოვრების სხვა სფეროებზეც ვრცელდება. უფლის სხეულის გარჩევა არა მხოლოდ ღვინის მიღებას და პურის გატეხვას უკავშირდება.

მეორე მხრივ, მინახავს მამაკაცები და ქალები, რომლებიც ჩემი ყოფილი პასტორის მხრიდან დაზარალდნენ, მაგრამ მის მიმართ სიყვარული და პატივისცემა შეინარჩუნეს მეფე დავითის მსგავსად და დღეს ყველა მათგანი წარმატებულია! მსახურებაში, ბიზნესსა და ცხოვრებაში მათი წარმატების მოწმე ვარ. მათი ქორწინება მყარია, მათი შვილები ღვთის სიყვარულში რჩებიან და იფურჩქნებიან. ისინი უხვი და სრული ცხოვრებით ცხოვრობენ, რადგან პატივისცემასა და სიწრფელეში დადიან.

ისინი გულებს გაუფრთხილდნენ და ბაგეებს დარაჯი დაუყენეს. მათ ღვთის გულს სიამე მიანიჭეს.

რატომ არ უნდა ადამიანს კეთილი ცხოვრება, რომელიც ღმერთს მისთვის სურს? ნუთუ მართლა ღირს გახდეთ კრიტიკული, დამცინავი ან ამ ყველაფრით გადაღლილი? რა ნაყოფს მოიტანთ? ხანგრძლივი შედეგების გათვალისწინებით, არაფერი საერთო არ მინდა მქონდეს ამგვარ დამოკიდებულებასთან და აქ უმნიშვნელოა, როგორ მომექცა ლიდერი. უბრალოდ, ამად არ ღირს. თუმცა ყველაზე არსებითი მიზეზთა შორის ასეთია: ბიბლიის პერსონაჟთაგან თავიანთი წინამძღოლების პატივისმცემლები იყვნენ ის ადამიანები, ვინც *ღვთის გულთან ახლოს რჩებოდნენ*. ჩემთვის ღვთის გულისწადილის შეცნობა და მასთან ძალზე ახლო მოზიარეობა ყველა საზღაურს აღემატება. ამაზე დიდი ცხოვრებაში არაფერია.

11

ორმაგი პატივისცემა

„ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, განსაკუთრებით კი ისინი, ქადაგებითა და დამოძღვრით რომ შრომობენ. ვინაიდან წერილი ამბობს: „პირს ნუ აუკრავ მეკალოე ხარს“; და კიდევ: „მშრომელი ღირსია თავისი საზღაურისა“.

– 1 ტიმ. 5:17-18

ეს ერთადერთი ადგილია მთელ წერილში, სადაც „ორმაგ პატივზეა“ ლაპარაკი ძალაუფლებასთან კავშირში. სახარების მსახურებს ორჯერ მეტი პატივი უნდა მივაგოთ, ვიდრე სხვა წინამძღოლებს.

როგორ უნდა განვახორციელოთ ეს პრაქტიკული კუთხით? ქრისტიანი ლიდერების მიმართ ჩვენი ქცევა და ლაპარაკი უკიდურესი პატივისცემით უნდა გამოირჩეოდეს. მათ ოფიციალურად უნდა მივმართოთ, როგორიცაა „პასტორო“, „ბატონო“ და ა.შ, თუ თავად სხვაგვარად არ მიგვითითებენ. მათთან საუბრის დროს თვალით კონტაქტი უნდა შევინარჩუნოთ იქამდე, სანამ ლაპარაკს არ დაასრულებენ.

როცა ლიდერი სიტყვას ასწავლის, ყურადღებით უნდა ვუსმინოთ. უპატივცემულობას გამოვიჩენთ, თუ გონებაგაფანტული ვისხდებით. გაიხსენეთ, რომ პატივისცემა არა მარტო სიტყვით და საქმით, არამედ აზრითაც გამოიხატება. ამ მიზეზის გამო პავლე გვაფრთხილებდა: „ყურადღება გაამახვილე კითხვაზე, შეგონებასა და მოძღვრებაზე“ (1 ტიმ. 4:13).

მსახურებაზე გვერდით მჯდომთან ლაპარაკი მქადაგებლის უპატივცემულობაა, რომ არაფერი ვთქვათ თავად სულიწმიდაზე. ყველა პირადი საუბარი შეკრების დასრულებამდე უნდა გადაიდოს. არც სოციალური ქსელების მიმოხილვა, მეგობრებისთვის მესიჯების გაგზავნა ან შეკრების დასრულებამდე გასვლა იქნება მიზანშეწონილი. მსახურებაზე დაგვიანებით არ უნდა მოვიდეთ. რას იტყოდნენ ჩვენი დამქირავებლები, სამსახურში ყოველ დილით თხუთმეტი წუთით რომ დავაგვიანოთ? ამას აზრადაც არ დავუშვებდით. მაშ, რატომ არ უნდა მოვიქცეთ ანალოგიურად ჩვენი ლიდერების მიერ დადგენილ დროსთან დაკავშირებით?

ჩვენი ლიდერების მომსახურებას მათი თხოვნის გარეშეც უნდა ვესწრაფოდეთ. მათზე ადრე დაგეგმეთ და მზად იყავით გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ საქმის უკეთესად და უფრო მაღალ დონეზე კეთებას. აღმატებული გზებით ვიმოქმედოთ, როცა მათ წარმოვადგენთ.

თუ თქვენი ლიდერისთვის გარკვეული დავალების შესრულებას გთხოვენ, სწრაფად და საუკეთესოდ შეასრულეთ. ნუ წახვალთ შეუფერებელი სამოსით ან ჭუჭყიანი მანქანით. თქვენი ლიდერი კარგად უნდა წარმოადგინოთ. ადრე აეროპორტში ისეთი მანქანით მხვდებოდნენ, რომელიც სავსე იყო ნაგვით და ათასი ხარახურით. ჩემთვის ვფიქრობდი, *რას იტყოდა ამ მსახურების წინამძღოლი, რომ სცოდნოდა, როგორ ხვდება მის სტუმარს მისი ეკლესიის წევრი? ის არა მარტო ჩემ მიმართ იჩენდა უპატივცებულობას, არამედ იმ პასტორის მიმართაც, რომელმაც ჩემი დახვედრა სთხოვა.*

მე და ლიზას, დაახლოებით, ორმოცდაათი კაცისგან შემდგარი შტატი გვყავს. გაოცებული ვარ ჩვენდამი მათი მოპყრობით. როცა კაბინეტში შევდივარ, მაგიდაზე ყოველთვის მხვდება გაწმენდილი ცივი წყლით სავსე ჭიქა. ზოგჯერ არც კი ვაკვირდები, ისე წაიყვანენ მანქანას ბენზინგასამართ სადგურზე და ავზს ბოლომდე ავსებენ, თუნდაც მასში ჯერ კიდევ საკმარისად იყოს საწვავი. ზრუნავენ იმაზე, რომ მანქანა ყოველთვის გარეცხილი იყოს. წლებია, რაც ოფიციალური დასაყენებელი ადგილი არ მაქვს ჩვენი ოფისის შენობის ეზოში, მაგრამ შტატი ყოველთვის ტოვებს მანქანის ადგილს წინა შესასვლელთან ჩემთვის და ლიზასთვის.

ისინი დგებიან, როცა მათ კაბინეტებში ან საკონფერენციო დარბაზში შევდივარ და ბატონობით მომმართავენ. და სანამ რაიმე საკითხს ჩემამდე მოიტანენ, ჯერ საფუძვლიანად იკვლევენ.

ისინი ჩემს კითხვებს წინასწარ იაზრებენ და პასუხი კითხვის დასმამდე მზად აქვთ. ნებისმიერი ჩემი სათხოვარი სწრაფად სრულდება და თუ სამუშაოს დასრულების რომელიმე გზა ბრკოლდება, ისინი სხვა გზებს ეძებენ მათ განსახორციელებლად. გამონაკლისი მხოლოდ ის დავალებაა, რომელიც მართლაც შეუსრულებელია, მაგრამ სანამ ეს ამბავი ჩემამდე მოვიდოდეს, ისინი ყველა შესაძლო მიმართულებას გამოცდიან და თავდაპირველი მოთხოვნის ალტერნატივებს მოძებნიან.

ჩვენ მიმართ გამოჩენილი პატივისცემა მყარი და მიზანმიმართულია. იმისთვის, რომ გონებაში ამ საკითხისადმი სწორი დამოკიდებულება მქონდეს, უპირველ ყოვლისა, ვიხსენებ, რომ ისინი ჩემი პატივისცემით იესოს მიაგებენ პატივს. მეორე, სრულად ვაცნობიერებ, რა საზღაურს მიიღებენ. მესამე, ვითვალისწინებ, რის გამო მემსახურებიან; მათ არ სურთ, რომ ჩვენი ენერგია ისეთი საგნებისკენ იყოს მიმართული, რაც ჩვენი დავალებისგან მოგვწყვიტავს. რაც უფრო მეტად გავამახვილებთ ყურადღებას მე და ლიზა ღვთის მოწოდებაზე, მით მეტი ადამიანი იქნება მომსახურებული. საბოლოოდ ეს ყველაფერი ცათა სამეფოსთვის მსახურებას ეხება და როცა ერთმანეთს პატივს მივაგებთ (მომდევნო თავებში თანამშრომლების შტატისადმი პატივისცემაზე ვილაპარაკებ), თოთოეული ჩვენგანი უფრო მეტად აამებს ღმერთს.

მე და ლიზა პატივისცემას არ ვეძებთ. ლიდერისთვის მიუღებელი უნდა იყოს პატივისცემის ძიება ან მოთხოვნა და ეს ღვთისთვის მოსაწონი არ არის. იესომ თქვა: „ადამიანისგან არ ვიღებ დიდებას“ (იოან.5:41). იგი მხოლოდ მამისგან მოსულ დიდებას ესწრაფოდა. მის თანამედროვე წინამძღოლებს ასე უსაყვედურა: „როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, როცა ერთიმეორისგან ღებულობთ დიდებას, ხოლო დიდებას, რომელიც ერთადერთი ღმერთისგან არის, არ ეძებთ?“ (იოან.5:44). ის ლიდერები ადამიანთაგან ეძებდნენ ქებისა და პატივისცემის მიღებას იმისთვის, რომ საკუთარი „ეგო“, სიამაყე და მაკონტროლებელი პიროვნული მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ. იესომ ადამიანთაგან პატივისცემა მათთვის სასარგებლოდ და უპირველეს ყოვლისა, ზეციერი მამის გულისთვის მიიღო.

მორწმუნეები სრულად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ჩვენამდე მოსული პატივისცემა იესოს და ზეციერ მამას უნდა მიემართებოდეს და იმ ადამიანების გამო უნდა ვხარობდეთ, ვინც მას მოგვაგებს. გააზრებული გვაქვს, რომ ზეციერი მამა სამაგიერო პატივს მიაგებს ჩვენს პატივისმცემლებს; ისინი საზღაურს მიიღებენ. საკმარისად კარგად ვერ გამოვკვეთე ეს

საკითხი: მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ხართ. თუ პატივის მიღება ნებისმიერი სხვა მიზეზით გსურთ, დაღმართზე მიექანებით, რომლის ბოლო არც სიცოცხლეა და არც ღვთისმოსაობა.

ორმაგი ფინანსები

უამრავი სიუჟეტის აღწერა შემიძლია საკითხზე, თუ როგორ მივაგოთ „ორმაგი პატივი“ სახარების მსახურებს. თუმცა ჯერ არ შევხებივარ იმ კონკრეტულ დეტალებს, რომლებზეც სულიწმიდა ლაპარაკობს პავლეს მოციქულის პირით 1 ტიმ. 5:17-18-ში. თუ კითხვას გავაგრძელებთ, დავინახავთ, რომ ის ფინანსებზე ლაპარაკობს. პავლე ასე ასრულებს თავის განაცხადს: „მშრომელი ღირსია თავისი საზღაურისა“. ახალ ცოცხალ თარგმანში (NLT) ვკითხულობთ: „ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, წესიერი ანაზღაურების ღირსნი არიან“. თანამედროვე ინგლისური ვერსია (CIV) გვეუბნება: „ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, ორმაგი საზღაურის ღირსნი არიან, განსაკუთრებით კი ისინი, ქადაგებითა და დამოძღვრით რომ შრომობენ“. კეთილი უწყების ვერსიაში (GNV) ვკითხულობთ: „ხუცესები, რომლებიც წინამძღოლობის საქმეს კარგად ასრულებენ, ორმაგი საზღაურის მიღების ღირსნი არიან“. და ბოლოს, ბიბლიის გავრცობილი თარგმანი (AMP) ამბობს, რომ თავიანთი მოვალეობის კარგად შემსრულებელი ხუცესები „შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის“ ღირსნი არიან.

ეს სულიერი პრინციპი იესოსა და მისი მოწაფეების სიტყვებშიც ჩანს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვინც პატივს მიაგებს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მომაგებს პატივს, ხოლო ვინც მე მომაგებს პატივს, ჩემს მომავლინებელს მიაგებს პატივს“ (იოან. 13:20, სიტყვა „*ღებულობს*“ შეცვლილია სიტყვებით „*პატივს მიაგებს*“). ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „*ვისაც მე მივავლენ*“. თქვენ ხედავთ, როგორ არის ჩართული თავად იესო. იგივეს ვხედავთ პავლეს აღწერილობაში ხუთმაგი მსახურების უფლებამოსილებით აღჭურვისა და წარგზავნისას:

> „და მან [იესო ქრისტემ] მოგვცა ერთნი მოციქულებად (განსაკუთრებულ მაცნეებად), მეორენი წინასწარმეტყველებად (შთაგონებულ მქადაგებლებად და განმმარტებლებად), ზოგნი მახარებლებად (სახარების მქადაგებლებად, მოგზაურ მისიონერებად), ზოგნი კი მწყემსებად (მრევლის მეთვალყურედ) და მასწავლებლებად“.
>
> – ეფეს. 4:11

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „მან მოგვცა“. იესო თავად იძლევა მსახურების ხუთმაგ ნიჭს. ისინი არიან ქრისტეს სხეულის უხუცესები, რომლებიც „მსახურობენ სიტყვითა და მოძღვრებით“ (1 ტიმ. 5:17). ღმერთი ხაზს უსვამს, რომ მათ „ორმაგი“ პატივი უნდა მიეგოთ.

ოცდათხუთმეტ წელზე მეტია, რაც ვმოგზაურობ და არასოდეს მინახავს ამ კანონიდან გამონაკლისი. ბევრ ეკლესიაში ვყოფილვარ, სადაც პასტორები და მათი დამხმარეები კარგ ანაზღაურებას არ იღებენ. ამავდროულად, ეკლესიის მრავალი წევრი მშვენიერ სახლებში ცხოვრობენ, მშვენიერი ავტომობილებით დადიან, მათი შვილები კარგ სკოლებში სწავლობენ და ა. შ. ირონია იმაში მდგომარეობს, რომ წევრების ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევისას პრობლემებს წააწყდებით. ბიზნესის მწარმოებელი მამაკაცები და ქალები გამუდმებით განიცდიან წარუმატებლობას და ზოგჯერ, გრძელვადიან ზარალსაც. ამის შედგეგად, ბევრი ყელამდე ვალებშია ჩაფლული. ბევრი ისეთ პრობლემებს აწყდება, რომლებიც მათ რეზერვებს გამუდმებით ნთქავს. ისე ჩანს, თითქოს არავის აქვს ზედმეტი ნაღდი ფული, რომ გაჭირვებაში მყოფებს დაეხმაროს. შეიძლება თუ არა ამის მიზეზი მორწმუნეთა მიერ ლიდერების კარგად ანაზღაურების უგულებელყოფა იყოს?

ეს საკითხი უფრო ცხადი ხდება, როცა ახლახან ნათქვამის საპირისპირო მდგომარეობას ვაკვირდებით. ისეთ ეკლესიებშიც ვყოფილვარ, სადაც პასტორებსა და მათ დამხმარეებს კარგად უხდიან. წევრები ხშირად განსაკუთრებულად მოქმედებენ ამ მსახურების პატივისცემისთვის: მათთვის საჩუქრებს ყიდულობენ, მშვენიერი სადილით უმასპინძლდებიან და სხვა კარგ საქმეებს უკეთებენ. ამ ეკლესიების ოჯახებზე დაკვირვებით ნახავთ, რომ საერთო ჯამში, თუ ისინი საკმარისად დიდხანს არიან დანერგილი, აყვავებული და წარმატებული ცხოვრებით ცხოვრობენ. ბიზნესმენი მამაკაცები და ქალები მომგებიან ოპერაციებს ახორციელებენ და წინ მიიწევენ. ისინი დაუყოვნებლივ ეხმარებიან ქვრივებს, მარტოხელა დედებს ან შეჭირვებულ ოჯახებს, რადგან ამისთვის დამატებითი რესურსები აქვთ. მთლიანობაში, ეს ეკლესიები გაცილებით მეტს გასცემენ მახარებლობისა და მისიების დაფინანსებისთვის, ვიდრე ზემოთ აღწერილები. აქედან გამონაკლისი ერთხელაც არ მინახავს. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ყველაფერი პატივისცემის პრინციპიდან მომდინარეობს.

ამრიგად, იფიქრეთ განხილულ საკითხზე. ნახსენები ეკლესიების პირველი ტიპი ტრაბახობს, რომ ფინანსებს ტყუი-

ლად არ ფლანგავენ და პასტორსა და მის თანაშემწეებს ადეკვატურ თანხას უხდიან. მათი მოსაზრება ასეთია, რომ ამით ცათა სამეფოსთვის უფრო მეტს გააკეთებენ: გაიღებენ მისიებისთვის, დაეხმარებიან გაჭირვებულებს და ასე შემდეგ. თუმცა უხუცესების ორმაგი პატივისცემის მცნების უგულებელყოფის გამო არ შეუძლიათ გაჭირვებულების სათანადოდ დახმარება სხვა ეკლესიების მსგავსად. მათგან ბიზნესით დასაქმებული ადამიანები წვალობენ და არც ისე ბევრს გასცემენ. რატომ არ შეგვიძლია იმის გაცნობიერება, რომ ნამდვილი წარმატების გზა ყოველთვის ღვთიურ სიბრძნეზე გადის? როცა ღვთის სიტყვის შესაბამისად მოქმედებაზე უარს ვამბობთ ჩვენი შეხედულების გამო, რომ მისი საქმისთვის ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, ეს სიამაყეა – ცრუ თავმდაბლობა. ამით ირიბად ვაცხადებთ, რომ ღმერთზე მეტი ვიცით, რადგან ის კი ამბობს, ღარიბებს დაეხმარეთო, მაგრამ ამავდროულად, მისი სიტყვით მშრომელებისთვის ორმაგი საზღაურის გადახდას გვიბრძანებს.

ვხვდები, რომ ხსენებული ჭეშმარიტება აბუჩად აგდებულია, განსაკუთრებით, ამერიკელ მსახურთა მცირე პროცენტის მიერ. ვნაღვლიანდები, როცა ლიდერები გამუდმებით ფულსა და მატერიალურ საგნებზე ლაპარაკობენ. ისინი ფუფუნებაში ცხოვრობენ და უფრო მეტად დროებითი და სიამით აღსავსე ცხოვრება აინტერესებთ, ვიდრე დაღუპული და გულდაჭრილი სულების ღვთისთვის მოპოვება. ისინი უფლის გულისწადილს ასცდნენ და დაქირავებული მუშაკის გზაზე გადაუხვიეს. მოისმინეთ, რას ამბობს ღმერთი ასეთ წინამძღოლებზე:

> „ჩემი ერის წინამძღოლები – უფლის გუშაგნი ბრმები არიან საფრთხის დასანახად, უმეცრები არიან ყველანი; მუნჯი ძაღლები არიან, არ შეუძლიათ ყეფა, მწოლიარე მესიზმრენი, თვლემის მოყვარულნი, ხარბი ძაღლები არიან, გაუმაძღარნი; მწყემსები არიან, მაგრამ გონიერება არა აქვთ. ყველამ თავ-თავის გზაზე გადაუხვია, უკლებლივ ყველამ - თავისი უმართლო ანგარებისკენ“.
>
> – ეს. 56:10-11

ყურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვებს „თავისი უმართლო ანგარებისკენ“. CEV აცხადებს: „თქვენ ხართ მწყემსები, რომლებიც ავად ეპყრობიან ფარას საკუთარი მოგების გამო“. არიან ლიდერები (მიხარია, რომ ასეთები ცოტანი არიან), რომლებიც

საკუთარი სიამოვნებისთვის იყენებენ ეკლესიაში ქალებს, ფულს და მსახურებისთვის განკუთვნილ სხვა აქტივებს. მათ პატივისცემის ჭეშმარიტება გაუკუღმართებულ ადგილას მოათავსეს. ისინი ბნელ აზროვნებამდე მივიდნენ – მთელი განზრახვა ამოაბრუნეს; ახლა მსახურება მათ ემსახურება. მსახურების ნამდვილი მიზნიდან, ღვთის ერის სათანადოდ მომსახურებისა და დაღუპულების მოპოვების გზიდან გადაუხვიეს. თუ ასეთები არ შეიცვლებიან, მათი ბოლო წყვდიადი იქნება.

ამრიგად, პატივისცემის პრინციპი მართლაც აბუჩად იყო აგდებული წლების მანძილზე და ამის მაგალითებს ბიბლიაშიც ვხედავთ, ნუთუ ამ მდგომარეობამ ღვთის მსახურებისთვის ორმაგი ფინანსური ანაზღაურების სულიერი მცნებიდან უნდა გადაგვახვევინოს?

ორი შეცდომა ვერასოდეს გამართლდება ღვთის თვალში.

საოცარი შემობრუნება

ეკლესიის ლიდერებისთვის ფინანსური პატვისცემის დაკავების ყველაზე მკაფიო მაგალითი ჩვენი მოგზაურობების პირველ წლებში ვნახეთ. მახსოვს, მე და ჩემი ცოლი, დაახლოებით, 120 წევრისგან შემდგარ ეკლესიას ვესტუმრეთ მსახურებისთვის. ის წლების წინ დაფუძნდა, მაგრამ წევრების ოდენობა 35-დან 120-მდე მერყეობდა. ეკლესიამ ეფექტურობის უფრო მაღალ დონეს ვერაფრით მიაღწია ურწმუნო ადამიანების მოპოვების თვალსაზრისით, თუმცა იმ შემოგარენში მოსახლეობის რიცხვი 250 000-ს აღემატებოდა.

წინასწარ დავგეგმეთ ოთხდღიანი შეხვედრა. პასტორმა თავის სახლში მიგვიწვია. მისი აზრით ჩვენი სასტუმროში დაბინავება ეკლესიას ტვირთად დააწვებოდა. ამაზე დავთანხმდით, რადგან მის ოჯახთან მანამდე ვმეგობრობდით, სანამ მოგზაური მქადაგებლის მსახურებას დავიწყებდით.

სახლში შაბათ საღამოს მოვედით და შევნიშნე, რომ წყვილი საკუთარ სახლში კი არ ცხოვრობდა, არამედ დაქირავებულ დუპლექსში. მათ ძველი მანქანა ჰყავდათ და არც მისი დასაყენებელი ადგილი ჰქონდათ, მაგრამ სრულად შემოგვთავაზეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ. ცოლის სტუმართმოყვარეობა გასაოცარი იყო და საერთოდ, ისინი ძალზე სათნო და თანამგრძნობ წყვილს წარმოადგენდნენ. გამიკვირდა, რომ ცოლი მთავარი ავიაკომპანიის გამცილებლად მუშაობდა. ის ქალაქში არ იმყოფებოდა თვეში, დაახლოებით, თხუთმეტიდან თვრამეტ დღემდე.

შეკრებამ კარგად ჩაიარა, თუმცა ატმოსფერო, ცოტა არ იყოს, დაძაბული იყო. ვერ მოვახერხეთ გარღვევა, რომ ძალუმად შეგვეგრძნო ღვთის თანდასწრება, ძალა და ცხებულება. ზეციდან მიღებას რაღაც აბრკოლებდა. ეკლესიის წევრები გულთბილი ადამიანები იყვნენ და ჩანდა, რომ ბევრ მათგანს უფალი ძალიან უყვარდა. საგონებელში ჩავვარდი.

შეკრების მესამე დღეს გარკვეული დრო ლოცვაში დავყავი. ჩემი სული შფოთავდა, მე კი პრობლემისთვის ვერ მიმეგნო, რომ ადგილიდან დამეძრა. ლოცვისას არ მშორდებოდა აზრი, რომ პასტორსა და მის ცოლზე ფინანსურად არ ზრუნავდნენ. ბოლოს ღვთის ხმა გავიგე: „ეს საკითხი ამ საღამოს შეკრებაზე უნდა გადაწყვიტო“.

ვიკითხე და ღმერთმა გამიცხადა გზა, რომ უნდა დამენგრია არსებული ბარიერი და ხალხისთვის პასტორის ფინანსური კურთხევის მნიშვნელობაზე მესწავლებინა. თუმცა ამის შემდეგაც არ ვიცოდი ზუსტად, როგორ უნდა მომეხერხებინა ეს საქმე,

შუადღეს პასტორმა მითხრა:

– ჯონ, ამ საღამოს შენი მსახურებისთვის შესაწირს არ გავაკეთებ. მირჩევნია, შენ იმოქმედო.

გამეღიმა. ვიცოდი, რომ ეს ღია კარი იყო. ჩემი მსახურებისთვის შესაწირის მოგროვების ნაცვლად ამას პასტორისა და მისი მეუღლისთვის გავაკეთებდი. იმ საღამოს პასტორმა წარმადგინა და პლატფორმაზე ასვლისას ჩამჩურჩულა:

– გახსოვდეს, ჯონ, რომ სრული თავისუფლება გაქვს შესაწირთან დაკავშირებით.

გამეღიმა. ვიცოდი, რომ ძალიან გაუკვირდებოდა, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. კათედრასთან დავდექი და ხალხს ბიბლიების გადაშლა ვთხოვე 1ტიმ.5:17-ზე. მომდევნო ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში მათ პასტორზე ფინანსური მზრუნველობის მნიშვნელობას ვასწავლიდი.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მრევლს მკაცრად ვუსაყვედურე. ერთ მომენტში ასე ვთქვი: „რატომ უნდა უწევდეს თქვენი პასტორის მეუღლეს ნახევარი თვის განმავლობაში ფრენა? ამ წყვილს ფინანსურად საკმარისად კარგი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს, რომ სახლში დარჩეს და დამატებითი სამუშაო არ ეძებოს“.

პასტორი თანდათან წითლდებოდა. დაპირისპირების მოლოდინმა ააღელვა. შეშფოთდა, რომ მრევლი იფიქრებდა, თითქოს მან წამაქეზა ამის სათქმელად. ასევე აღელვებდა, ხომ არ დატოვებდა ეკლესიას რამდენიმე ოჯახი (მინდა, ამ

საკითხს ნათელი მოვფინო. იმ ეკლესიაში არ წავალ და არ მივიტან მოსაზრებას, რომელიც ფუნდამენტალურ დოქტრინას არ წარმოადგენს, თუ ვიცი, რომ წინამძღოლი ამაზე თანახმა არ არის. ამ შემთხვევაში, არ ვიცოდი ეს. უბრალოდ, მის სახეზე მღელვარება შევნიშნე სწავლების განმავლობაში).

შემიძლია სიხარულით განვაცხადო, რომ იმ დღეს ეკლესიამ მიიღო სიტყვა, რომელიც ღმერთმა გულში ჩამიდო. ქადაგების დასასრულს ასე ვთქვი:

– დღევანდელი მსახურებისთვის შესაწირის შეგროვება მთხოვეს. თუმცა ამას არ გავაკეთებთ. დღევანდელი შესაწირი პირადად პასტორსა და მის მეუღლეს ერგება. სხვათა შორის, ამ ძღვენისთვის გადასახადის გადახდა არ მოგიწევთ. მინდა, გაჩვენოთ, როგორ აფასებთ ღვთის ნიჭს – თქვენს პასტორს.

შესაწირი შეგროვდა და მსახურება დასრულდა. ამის შემდეგ რამდენიმე ადამიანს ველაპარაკე, ხოლო პასტორმა სასწრაფოდ კაბინეტს მიაშურა. როცა მივხვდი, რომ დარბაზში არ იყო, მეც ოფისისკენ წავედი. როცა ვიპოვე, ძნელი იყო არ შემენიშნა, რომ სახე წითელი აღარ ჰქონდა — სულ გაფითრებულიყო. უკვე ვიცოდი, რომ კარგი ამბავი იყო მოსალოდნელი. გამეცინა და ვიკითხე:

– რამდენი შეგროვდა?

მან ხელით მაჩვენა. კინაღამ გონება დავკარგე. თანხა სამჯერ აღემატებოდა კვირა დილის მსახურებაზე ოდესმე აღებულ ყველაზე დიდ თანხას. ვიცოდი, რომ კარგი ამბის მოლოდინი უნდა მქონოდა, მაგრამ მათი ნამოქმედარი დიდად აღემატებოდა ჩემს წარმოდგენას ამ ზომის ეკლესიის შესაძლებლობაზე.

მომდევნო ორშაბათს პასტორის ზარი შემოვიდა. მან აღტაცებული ხმით მითხრა:

– ჯონ, კვირის მსახურების ჩანაწერს გიგზავნი.

მისმა შემოთავაზებამ გამაკვირვა და ასე ვუპასუხე:

– კარგი, შემდეგ მოვისმენ, რა იქადაგე გუშინ.

მან სასწრაფოდ მომიგო:

– ჯონ, მე არ მიქადაგია. ჩემი მრევლის წევრები მთელი ორი საათის მანძილზე კათედრასთან გამოდიოდნენ სპონტანურად და საოცარი ფინანსური გარღვევების შესახებ ამოწმებდნენ, რაც მათ სახლებსა და ბიზნესებში მოხდა ამ კვირის განმავლობაში. აღფრთოვანებამ მომიცვა, მაგრამ არ გამკვირვებია. ვიცოდი, რომ ღმერთი დიდ საქმეს გააკეთებდა, მაგრამ არ მეგონა, მოვლენები ასე სწრაფად თუ განვითარდებოდა.

სამი თვის შემდეგ ისევ ვესტუმრე იმ ეკლესიას. ისინი მაღაზიის წინა შემინულ ნაწილში აღარ იკრიბებოდნენ, არამედ

გარემონტებულ სკოლის შენობაში გადავიდნენ. ეს ყველაფერი არ არის, ეკლესიას შენობა არ უქირავებია. მათ ის იყიდეს! დამსწრეთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. პასტორის მეუღლეს დამატებითი სამუშაოსთვის თავის დანებების შესაძლებლობა მიეცა, რადგან ფინანსურად პატივდებული იყო. შედეგად, ეკლესიის ოჯახები და მათი ბიზნესებიც წარმატებული გახდა.

„ნუ იტყვი, რომ რაღაც გიყვარს“

ამას წყალი არ გაუვა. თუ სულიერ ლიდერებს ფინანსურად პატივს მიაგებთ, თქვენს ცხოვრებაშიც მოვა წინსვლა. ვაკვირდები დოქტორ დევიდ ჩოს, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიის მწყემსს სეულში, სამხრეთ კორეაში. მან მრავალი წლის წინ ეკლესია ნაგავსაყრელზე დაიწყო და ამ წიგნის წერის მომენტისთვის, როგორც მისი საეკლესიო საბჭოს ორმა წვერმა მითხრა, მრევლში უკვე ორმოცდაათ ათასზე მეტი მილიონერია.

რამდენჯერმე ვესტუმრე, გოლფი ვეთამაშე და რესტორნებშიც მისადილია მასა და მის თანმხლებ პირებთან ერთად. იგი, როგორც წესი, რამდენიმე ბიზნესმენსა და დამხმარესთან ერთად მოდის. ეს ადამიანები თვალყურს ადევნებენ, რომ მზრუნველობით იყოს მოცული, ყიდულობენ ყველაფერს, რაც სჭირდება და პირადად ვარ მოწმე, როგორც დგანან ფეხზე, სანამ ის მაგიდას არ მიუჯდება. ისინი მას დიდ პატივს მიაგებენ. შესაძლებელია თუ არა ქალაქის ყველაზე ღარიბ რაიონში დაფუძნებულ ეკლესიას ამდენი მდიდარი წევრი ჰყავდეს იმის გამო, რომ თავიანთ პასტორს პატივს მიაგებენ?

ჩემი ახლო მეგობარი ალ ბრაისი შესანიშნავ ეკლესიას მწყემსავს ფაიეტვილში, ჩრდილოეთ კაროლინაში. ალი მოყვარულ გოლფერთა ამერიკის ჩემპიონატზე თამაშობდა 1980 წელს. ის საოცარი გოლფერია. დოქტორ ჩოს უყვარს გოლფის თამაში მის მრავალრიცხოვან თანაშემწეებსა და მეგობრებთან ერთად, ამიტომ ალი განსაკუთრებით მოსწონდა.

ერთხელ ამერიკაში ვიზიტისას დ-რმა ჩომ და მისმა დამხმარეებმა ალთან გოლფის თამაში დაგეგმეს. ერთი თანმხლები გარეთ გავიდა და ნაქირავები მანქანიდან გოლფის ყვანჭები ამოალაგა. მას ახლახან ეყიდა სრულიად ახალი დიზაინერის გოლფის ჩანთა, რომელიც ნიუ იორკის მეხუთე ავენიუზე ათასობით დოლარი ღირდა. ალმა თავაზიანობის გამო აღნიშნა, რა ლამაზი იყო ის. მოულოდნელად, მისდა გასაკვირად, ამ კაცმა ახალი ჩანთიდან მთელი მოწყობილობის ამოლაგება

დაიწყო. შემდეგ ალის ყვანჭებს დასტაცა ხელი და თავის დიზაინერის ჩანთაში ჩალაგებას შეუდგა. ალმა სასწრაფოდ უთხრა:

– არა, შეჩერდით, რას აკეთებთ?

კორეელმა კაცმა ასე უპასუხა:

– მინდა პატივი მოგაგოთ და ეს ჩანთა თქვენ მოგცეთ.

ჩემი მეგობარი მის შეჩერებას შეეცადა, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ალი კორეაში ჩავიდა და ისევ გადაწყვიტა დოქტორ ჩოსა და მის თანაშემწეებთან გოლფის თამაში. მან პრო შოპის სუპერმარკეტში გოლფის ფეხსაცმელები დაინახა და თქვა:

– ოჰო, რა დიდებული ფეხსაცმელებია!

დოქტორ ჩოს ერთ-ერთმა თანმხლებმა მაშინვე გამოიტანა ფეხსაცმელები მაღაზიის თაროდან და სალაროსთან დადგა. ალმა უთხრა:

– არ გინდათ, ფეხსაცმელები არ მჭირდება. უბრალოდ, იმის აღნიშვნა მინდოდა, რომ ლამაზებია.

კაცმა უთხრა:

– არა, სერ. ამით პატივს მოგაგებთ. მინდა, რომ ჩაიცვათ.

როცა ალმა ამ შემთხვევაზე მიამბო, გაეცინა და თქვა:

– ვისწავლე, რომ დოქტორი ჩოს ხალხის თანდასწრებით არ წამომცდეს, რამე თუ მომეწონება, რადგან მაშინვე ჩემთვის ყიდულობენ.

ეს მორწმუნეები პატივისცემის უმაღლეს დონეზე მოქმედებენ და ამისთვის კურთხეულები არიან.

კურთხეული ცხოვრება

კიდევ ერთი მეგობარი მყავს, სახელად ჯეკი, რომელიც უკვე უფალთან გადავიდა. იგი დიდი წარმატებით და ძალმოსილებით ცხოვრობდა. მისმა მსახურებამ ასობით ათას ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა.

როცა ჯეკი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და მსახურება ახლად დაწყებული ჰქონდა, მის პასტორს შტატებში ცნობილი ეკლესია ჰქონდა. წლების მსახურების შემდეგ, ჯეკი ქვეყნის მეორე ნაწილში გაგზავნეს ეკლესიის დასანერგად.

რამდენიმე წლის შემდეგ ეკლესიის წევრთა რაოდენობამ ხუთიათასიან ნიშნულს მიაღწია. მასთან ხშირად ვქადაგებდი და მოგვწონდა დროის ერთად გატარება. ცხადად მახსოვს დღე, როცა მიყვებოდა, თუ როგორ უყვარს, აფასებს და პატივს სცემს

თავის ყოფილ პასტორს. იგი მას სულიერ მამად მიიჩნევდა. შემდეგ ჯეკმა მითხრა:

– ჯონ, ყოველთვის, როცა ჩემს პასტორს ვხვდები, წესად მაქვს მისთვის ათასდოლარიანი ჩეკის გადაცემა. გამაოცა პატივისცემის ხარისხმა.

მისმა ნათქვამმა დამაფიქრა, თუ რა დიდ საზღაურში ცხოვრობდა იგი. მისი ეკლესიის წევრებს გულით უყვარდათ. ფაქტობრივად, მისი დაკრძალვა ოთხ საათს გრძელდებოდა და შენობაში ტევა აღარ იყო. ხუთი ათასი ადამიანი მოვიდა – არა მარტო ეკლესიის წევრები, არამედ ქალაქის სხვა მშრომელები, რომლებიც მის ეკლესიაში არ დადიოდნენ. საზოგადოებიდან ბევრი აფასებდა მას.

ჯეკის ეკლესია მას პატივს მიაგებდა და უხვი ანაზღაურების გადახდაც სურდა, მაგრამ ჭკვიანური ინვესტიციების წყალობით, არ იყო ეკლესიიდან ხელფასის აღების საჭიროება. მან გადაწყვიტა ანაზღაურება ისევ მსახურებისთვის დაებრუნებინა. არცთუ ბევრი ადამიანი მინახავს, რომელიც ჯეკის მსგავსად დადიოდა ღვთის კურთხევაში. მეუღლესა და ქალიშვილებს გულით უყვარდათ. მშვენიერ სახლში ცხოვრობდა და ბევრი მეგობარი ჰყავდა. ჯეკი თავის სულიერ მამას პატივს მიაგებდა ფინანსურად; ამან იგი ძალზე უხვი საზღაურის მისაღებ პოზიციაზე დააყენა ცხოვრების მრავალ სხვა სფეროში.

ჩვენს შეხვედრებზე

„ერთგულად აკეთებ ყველაფერს, რასაც იქმ ძმებისთვის, თანაც უცხოთათვის, რომელთაც დაამოწმეს კიდეც შენს სიყვარულზე ეკლესიის წინაშე. კარგს იზამ ღვთის წინაშე, თუ ღირსეულად გამოისტუმრებ მათ. ვინაიდან მისი სახელის გულისთვის წამოვიდნენ და არაფერი აუღიათ წარმართთაგან. ამიტომ გვმართებს, რომ მივიღოთ ასეთები, რათა ჭეშმარიტების თანამშრომელნი გავხდეთ“.

– 3 იოან. 5-8

მთელ მსოფლიოში მოგზაურობებისა და ეკლესიების მომსახურებისას დავაკვირდი იმ დიდ განსხვავებას, რომელიც მათ შორის შედეგის თვალსაზრისით არსებობს ჩვენი გუნდის უკიდურესი სტუმართმოყვარეობით მიღებასა და უბრალო მოგზაურ მქადაგებლებად მიჩნევის გამო.

ისეთ ადგილებშიც ვყოფილვარ, სადაც გამკვირვებია, საერთოდ რატომ მთხოვეს ჩამოსვლა. ისინი უვარგის სასტუმროებსა და მოტელებში გვათავსებდნენ, სადაც არც სასმელი წყალი იყო ბოთლებში და არც რაიმე წასახემსებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ნომრის მომსახურებაზე. პასტორის ოფისში სითბოთი და ჩამოსვლის გამო მადლიერებით არ გვხვდებოდნენ. უფრო ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ: *ამას შენგან ველოდებით.* რამდენიმე ეკლესიაში ასეთი განწყობით დამხვდნენ: „რასაც აქ ვაკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთან ქადაგება თქვენთვის დიდი პატივია“.

როცა წარმადგენდნენ, ადამიანები ისხდნენ და უინტერესოდ მიყურებდნენ. თითქოს მათი ფიქრების გაგონებაც კი შეიძლებოდა: *ბევრისთვის მოგვისმენია. რა შეგიძლია გვითხრა განსხვავებული?* როცა იქ ვქადაგებდი, თავი სასამართლოზე მეგონა.

იმ შეკრებებიდან გადაქანცული მოვდიოდი. იმდენად დიდი იყო წინააღმდეგობა, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში მოწყურებული გულების დაკმაყოფილების ნაცვლად სულიერი ყამირის გატეხა მიხდებოდა. შემდეგ პასტორი იმდენად მცირე შემოწირულობის ჩეკს მაძლევდა, რომ ეს ეკლესია ვერაფრით გაიტანდა თავს, თუ ყოველკვირა ამის მეტი თანხა არ გროვდებოდა. ბედნიერი ვარ იმის აღნიშვნით, რომ ასეთი რამ ხშირად არ მომხდარა.

ერთი განსაკუთრებული შემთხვევა მინდა გავიხსენო. კონფერენციაზე ქადაგება მთხოვეს სხვა მსახურებთან ერთად მთელი კვირის განმავლობაში. პასტორმა გვითხრა, რომ კონფერენციაზე შემოწირულობის სახით 250 000 დოლარი მიიღეს. ძალიან მიხაროდა მათ გამო. თუმცა წამოსვლისას ჩვენი მსახურებისთვის ექვსასი დოლარის ჩეკი გადმოგვცეს. ფეხის ქირასაც ვერ დაარქმევდი, რადგან შემოწირულობის 10 პროცენტი ოცდახუთი ათასი იქნებოდა. თანხა ორ მეათედს მცირედით აღემატებოდა (რაც არის 0.2 პროცენტი).

პრაქტიკაში ვისწავლე, რომ ეს ჩვენს მსახურებაზე გავლენას არ ახდენს, რადგან ღმერთი ყოველთვის აკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებას სხვა წყაროებიდან. ყოველთვის, როცა ეკლესიები ამგვარ ფეხის ქირებს გვაძლევდნენ (ვფიქრობ, ეს ფეხის ქირად არ ჩაითვლება, რადგან სტანდარტებზე ბევრად დაბლა დგას), იმავე კვირას ფოსტით უზარმაზარ საჩუქარს ვიღებდით ცალკეული პიროვნებებისგან ან მომდევნო ეკლესიაში მივდიოდით და ისინი უშურველად გვაძლევდნენ უზარმაზარ შესაწირს. ძალიან მომწონდა ასეთი მომენტები, რადგან ამით ღმერთი თითქოს გვეუბნებოდა: „ყველაფერი ვიცი“.

ბევრჯერ მინახავს ღვთის ერთგულება ჩვენი უზრუნველყოფის საქმეში და ამის გამო ძილი არასოდეს დამფრთხობია. უფრო იმ ადამიანებზე ვდარდობ, რომლებიც ნამცეცებს იძლევიან, რითაც დიდი საზღაურის მიღების შესაძლებლობას ხელიდან უშვებენ იესოს წარგზავნილების სათანადო პატივისცემაზე უარის თქმით.

მეორე მხრივ, მიწვეული ვყოფილვარ შეკრებებზე, სადაც აეროპორტში დახვედრიდან უკან გამომგზავრებამდე აღტაცებით მხვდებოდნენ, უკიდურესი სათნოებით მექცეოდნენ და ნამდვილ სტუმართმოყვარეობას მაჩვენებდნენ.

შევდივარ სასტუმროს ნომერში და იქ მხვდება ხილის დიდი კალათა, სასმელები და წასახემსებელი, რაც ერთი კვირის სამყოფია. ეკლესია წინასწარ იგებს ჩვენი ოფისიდან, რა სახის საჭმელები მიყვარს. ზოგჯერ იქ საჩუქარიც კი დამხვედრია, მაგალითად, მშვენიერი კალამი, პერანგი, გოლფის ბურთები ან ოდეკოლონი. ისინი ჩემთვის ჯავშნიან იმ არემარეზე საუკეთესო სასტუმროს და ამოწმებენ, არის თუ არა სათანადო მომსახურება და სხვა ხელსაყრელი პირობები, რაც მოგზაურობით დაღლილ ადამიანს თავს საკუთარ სახლში აგრძნობინებს. ამას არა მარტო ჩემთვის აკეთებენ, არამედ ყველა ჩემი თანაშემწისთვის.

როცა კათედრასთან ვდგები, ხალხი ფეხზე წამომდგარი მესალმება ხმამაღალი შეძახილების ფონზე. ისინი მადლობას უძღვნიან ღმერთს მისი ერთ-ერთი მაცნის გამოგზავნისთვის და აღფრთოვანებით ელოდებიან ღვთის სიტყვის გაგონებას. ისინი ყურადღებით ისმენენ. მსახურებაზე მოძრაობას ან ჩურჩულს ვერ შენიშნავთ – არ უნდათ, რომ რამე გამოეპაროთ. ისინი ხარობენ ღვთის თანდასწრებით მსახურებაზე და ბოლოს ყველანი რესურსების მაგიდასთან მოდიან, რომ კიდევ ბევრი რამ შეიტყონ წიგნებიდან და სასწავლო პროგრამებიდან.

ეს ეკლესიები ჩვენს ოფისს უკავშირდებიან ან ჩემთან კონტაქტს არ წყვეტენ თვეების და ზოგჯერ წლების შემდეგაც კი. ისინი ასეთ აზრებს გამოთქვამენ: „თქვენი ჩამოსვლის შემდეგ სირთულეები გადავაგორეთ“ ან „ჩვენი შტატი და ეკლესია იგივენაირი აღარ დარჩენილა. თითქოს უფრო მაღალ საფეხურზე ავედით“. ხანდახან ამაზე გულში მეცინება, რადგან ერთი კვირით ადრე სხვა ეკლესიაში ვიყავით, სადაც რიგით მოგზაურ მქადაგებლებად ჩაგვთვალეს. მათთანაც იგივე საკითხი განვიხილეთ და იგივე მიზნით ჩავედით, თუმცა შედეგი მცირე იყო. არც თავიანთი მოსაზრებები გამოუთქვამთ ჩემი წამოსვლის შემდეგ. ეს ყველაფერი გვაჩვენებს, რომ საქმე ჩემში კი არა, მათ მიერ ჩემს მიღებაშია.

იესო ამბობს: „ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს“. როგორ იზრუნებდით იესოზე, თქვენი ეკლესიის მწყემსი რომ ყოფილიყო ან რომელიმე შაბათ-კვირას ეკლესიას სტუმრებოდა? ფაქტი ერთია: როგორც ვექცევით მის წარმოგზავნილებს, ისე ვექცევით თავად მას და ზუსტად ასევე ვეპყრობით ზეციერ მამას.

პატივი მიაგეთ უფალს

მოდი, ისევ გადავხედოთ პატივისცემის პრინციპს. ღმერთი ამბობს: „ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან“ (1სამ.2:30).

ეს სიტყვები გულებში უნდა ამოვიკვეთოთ. ვინც ღმერთს პატიივს მიაგებს, სამაგიერო პატივისცემას მიიღებს. ხმამაღლა თქვით: „თუ მე პატივს მივაგებ ღმერთს, ის პატივს მომაგებს მე“. ხშირად იმეორეთ, იფიქრეთ მასზე და გულში ღრმად ჩაიმარხეთ. ღვთის პატივისცემა მისი პატივისცემის მოზიდვას ნიშნავს. ეს საოცარი რეალობაა! მოდი, კიდევ უფრო შორს წავიდეთ. წერილში ვკითხულობთ:

„პატივი ეცი უფალს შენი ქონებიდან და მთელი
შენი მოსავლის პირველნაყოფიდან“.

– იგ. 3:9

გვეუბნებიან, რომ ღმერთს პატივი ვცეთ ჩვენი ქონებით. გავრცობილ ბიბლიაში ვკითხულობთ: „პატივი ეცი უფალს შენი კაპიტალით და [მართალი საშრომიდან მიღებული] შეძლებით, მთელი შენი შემოსავლის პირველნაყოფებით“. CEV-ში ვკითხულობთ: „პატივი მიაგე უფალს თანხის შეწირვით“. ღვთის პატივისცემის ერთ-ერთი გზა მისთვის ფულის შეწირვაა. ჩემი კითხვა ასეთია: როგორ შეიძლება მისთვის ფულის მიცემა? იგი მას არ იყენებს. პასუხი მარტივია – ეს შესაძლებელია მისი წარმოგზავნილისთვის შეწირვით.

თუ მეათედისა და შესაწირავის თემას გულმოდგინედ შეისწავლით მთელ ბიბლიაში, ნახავთ, რომ ეს სამ მთავარ მიზანს ემსახურება. პირველი გახლავთ დაყენებული მსახურების უზრუნველყოფა, რომლებიც ჩვენ გვემსახურებიან და როგორც ზემოთ ვიხილეთ ამ თავში, ისინი „ორმაგი პატივის“ ღირსი არიან. მეორე, მსახურთა უზრუნველყოფა მსახურების საქმის

საკეთებლად და მესამე, ღარიბების, ქვრივების, ობლებისა და ხიზნების დახმარებისთვის საჭირო თანხის არსებობა.

თითოეული მიზნის დასამოწმებლად თითო ადგილს მოვიყვან წმისა წერილის უამრავი მონაკვეთიდან. პირველი გახლავთ პავლეს სიტყვები კორინთელთა მიმართ: „თუ სულიერი დავთესეთ თქვენში, განა დიდი ამბავია, რომ ხორციელი მოვიმკათ თქვენგან? ... ასევე დაუწესა უფალმა სახარების მქადაგებლებს სახარებით ცხოვრება“ (1 კორ. 9:11,14).

NLT ვერსიაში ასე ვკითხულობთ: „უფალმა მიგვითითა, რომ სახარების მქადაგებლებს მხარი უნდა დაუჭირონ მისგან სარგებლის მიმღებებმა“. ეს პრინციპი ასევე ჩანს ძველ აღთქმაში. მღვდლებისა და ლევიანების მემკვიდრეობას ხალხისგან შემოსული მეათედი შეადგენდა. ისინი სხვა ტომებივით არ ფლობდნენ მიწას დასამუშავებლად.

მეორე საკითხზე მოწმობას ვხედავთ პავლეს სიტყვებში ფილიპელთა მიმართ:

> „თქვენ იცით, ფილიპელნო, რომ ხარების დასაწყისში, როცა მაკედონიიდან გამოვედი, არც ერთმა ეკლესიამ არ მიიღო მონაწილეობა ჩემთან მიღება-გაცემაში, თქვენ გარდა. თესალონიკეშიც გამომიგზავნეთ, რაც მჭირდებოდა, ერთი-ორჯერ. ... ყოველივე მივიღე და უხვად მაქვს; კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპაფროდიტესგან თქვენ მიერ გამოგზავნილი კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისთვის მოსაწონი“.
>
> – ფილ. 4:15-16,18

აქედან ხედავთ, რომ მიღებულმა ფინანსურმა დახმარებამ პავლეს მოწოდების თანახმად შრომა შეაძლებინა. მარტივად რომ ვთქვათ, საჯარო მსახურების შესრულებას თანხა სჭირდება. პავლეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ყოველივე „უხვად ჰქონდა“. ისინი ფინანსური გაცემის მეშვეობით პავლესთან ურთიერთობაში შევიდნენ სხვა ადამიანების გადასარჩენად.

რაც შეეხება მესამე საკითხს, ძველ აღთქმაში ღმერთმა ისრაელიანებს მიუთითა, რომ მეათედი უნდა მოხმარებოდა ლევიანებს (მსახურებს), ხიზნებს, ობლებსა და ქვრივებს (2 რჯ. 26:12). ახალ აღთქმაში ლიდერები შეთანხმდნენ: „ოღონდ უნდა გვხსომებოდა ღატაკები, რასაც ისედაც ვესწრაფოდი“ (გალ. 2:10).

ღარიბებში შედიოდნენ ხიზნები, ობლები და ქვრივები. მსახურების ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელია ისეთ

ადამიანებს დავეხმაროთ, რომლებსაც სხვაგვარად ვერასოდეს შევხვდებოდით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღმერთს პატივს მივაგებთ ჩვენი ფინანსებით, როცა მის მიერ მსახურებისთვის დაყენებულ ადამიანებს შევეწევით. ამრიგად, უნდა დავსვათ კითხვა: დღეს რამდენი ადამიანი უკავებს ღმერთს პატივისცემას, როცა საკმარისად არ იძლევიან მსახურების საქმისთვის? ბევრი არ დებს მეათედს და არ აძლევს შესაწირს მსახურებს, რომლებიც მათ ცხოვრებაში სულიერ ჭეშმარიტებას თესავენ. ისინი წუწუნებენ, როცა მსახურებისთვის ფულის შეგროვებაზე მიდგება საქმე და ასეთ განცხადებებს აკეთებენ: „არ შეიძლება ისე მიქადაგონ, რომ ფული არ მომთხოვონ? ჩემი საქმეები ბოლო ხანებში კარგად არ მიდის“. იქნებ სწორედ ამიტომ წვალობენ? ისინი უპირატესობას არ ანიჭებენ ღვთის საშრომს? არსებითად, ისინი საკუთარ თავს მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ღმერთს.

> „ახლა კი ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ჩაუკვირდით თქვენს გზებს. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტას იმკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღებით; სვამთ, მაგრამ ვერ რწყულდებით, იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით. თუ ვინმე რამეს შოულობს, გახვრეტილი ქისისთვის შოულობს. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ჩაუკვირდით თქვენს გზებს! ადით მთაზე, მორები აიტანეთ და ხელახლა ააშენეთ ტაძარი. მოვიწონებ ამას და დიდებით გამოვჩნდები - ამბობს უფალი. დიდი მოსავლის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ, აჰა, მცირედს ღებულობთ და რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ? - ამბობს ცაბაოთ უფალი - იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი საკუთარი სახლებისკენ გარბიხართ“.
>
> – ანგ. 1:5-9

რამდენად ნათელია ეს? დავუშვათ, ბიბლიის ზოგიერთ პერსონაჟს, რომლებითაც აღტაცებული ვართ, იგივე დამოკიდებულება ჰქონდა მსახურების მიერ ფულზე ლაპარაკთან დაკავშირებით, როგორც ბევრ ადამიანს დღესდღეობით. მრავალი ქვრივი მოკვდა ელიას დღეებში დიდი შიმშილობისას და ერთი გადარჩა პატივისცემის პრინციპის გათვალისწინების გამო. მას და მის ვაჟს მხოლოდ იმდენი ფქვილი და ზეთი ჰქონდათ, რომ ბოლო კვერი ეჭამათ და შემდეგ დახოცილიყვნენ. ისე მოხდა, რომ წინასწარმეტყველმა ჯერ თავისთვის გამოცხობა სთხოვა. ოჰო, ასეთ მსახურს დღეს დევნას დაუწყებდნენ როგორც

ეკლესიები, ისე სოციალური ქსელები და მედია-საშუალებები. ბევრი გააკრიტიკებდა მას: „როგორ ბედავ რაიმეს გამორთმევას ამ საწყალი ქალისთვის, რომელიც შიმშილით იტანჯება? ჯერ შენ უნდა დააპურო იგი“. თუმცა წინასწარმეტყველმა უფლის სიტყვისამებრ უთხრა ქვრივს, რომ ჯერ მისი მსახურისთვის მოემზადებინა საკვები; თუ ქალი პატივს მიაგებდა მას, ღმერთიც პატივს მიაგებდა ამ ქვრივს. ის ასე მოიქცა და ღმერთმაც არ დააყოვნა დაპირებული; მას არ გამოლევია ფქვილი და ზეთი გვალვიანობის დასრულებამდე (1 მეფ. 17).

როცა ღვთისგან წარმოგზავნილებს მეათედსა და შესაწირს ვუკავებთ, მხოლოდ საკუთარ თავს ვაზიანებთ, რადგან უფალს პატივს არ მივაგებთ. თავად ღმერთი ლაპარაკობს წინასწარმეტყველის მეშვეობით:

> „განა გაძარცვავს ღმერთს ადამიანი? თქვენ კი მძარცვავთ და თან კითხულობთ: როგორ გაგძარცვეთო? მეათედით და შესაწირით!“
>
> – მალ. 3:8

არჩევანი რომ მქონდეს, ალბათ, უფრო ბანკს გავძარცვავდი, ვიდრე ღმერთს. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანზე მეტად ღმერთისა მეშინია. მიხარია, რომ ასეთი არჩევანის წინაშე არ ვდგავარ. არავის გაძარცვა არ მინდა. მიუხედავად ამისა, ღმერთი ამბობს: „თქვენ კი მძარცვავთ!“ ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი არ ამბობს, „ჩემი მსახურები გაძარცვეთ!“ არა, ჩვენ ღმერთი გავძარცვეთ, როცა მეათედი არ გავიღეთ და მისი მსახურებისთვის შესაწირზე უარი ვთქვით, რადგან მის წარმოგზავნილთათვის დაკავება ღვთის უპატივცემულობაა. მოისმინეთ, რას ამბობს იგი: „მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში, რომ იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა გამომცადეთ ამით, - ამბობს ცაბაოთ უფალი, - თუ არ გაგიხსნათ ცის სარკმელები და არ გადმოგიღვაროთ კურთხევა აუწყველად“ (მუხ. 10).

აღსანიშნავია, რომ აქ თავად ღმერთი აცხადებს მეათედის კურთხევის სიუხვის შესახებ ისე, რომ „გადმოიღვრება ... აუწყველად“. არსებითად, კურთხევის *დატევა შეუძლებელი* იქნება. წლების მანძილზე მომისმენია მსახურებისგან, თუ როგორ აკურთხა ღმერთმა მათი ფინანსები და ქონება ისე, რომ შესანახად ადგილიც აღარ ჰქონდათ. ფული ადვილად შესანახი მოხმარების საგანია. მთელი მსოფლიოს ფული რომ მქონდეს,

სადმე მაინც მოვათავსებდი. ამრიგად, რას გულისხმობს ღმერთი, როცა აუწყველ კურთხევაზე ლაპარაკობს? პასუხს იგავთა წიგნში ვპოულობთ:

> „პატივი ეცი უფალს შენი ქონებიდან (ესენია თქვენი ძღვენი მსახურების საქმისთვის ან შესაწირი თავად მსახურებისთვის) და მთელი შენი მოსავლის პირველნაყოფიდან (ეს არის თქვენი მეათედი); და დოვლათით გაივსება შენი ბეღლები და მაჭარი იდინებს შენი საწნახლიდან“.
>
> – 3:9-10 (სიტყვები ფრხილებში ჩემია)

თქვენი ბეღლები შესანახი ადგილებია. ამაში შედის თქვენი საჩეკო წიგნაკი, საკუჭნაო, ბენზინის ავზი, ავტოფარეხი და ა.შ. ეს ის ადგილებია, სადაც მოთავსებად პროდუქტს ვინახავთ. ამრიგად, მართალია, რომ იგი ჩვენს ფინანსებსაც აკურთხებს. მაშ, რომელია კურთხევა, რის დასატევადაც ადგილი არ გვეყოფა? პასუხიც იქვეა, როცა იგავების წიგნის კითხვას ვაგრძელებთ: „მაჭარი იდინებს შენი საწნახლიდან“. საწნახელში ღვინოა, მაგრამ წერილის მიხედვით მისი დატევა შეუძლებელია და ღმერთი აცხადებს რომ ის *იდინებს*. რას წარმოადგენს მაჭარი? ბიბლიაში მაჭარი ყოველთვის აღნიშნავს სულიწმიდის ცოცხალ თანდასწრებას. ღმერთი ამბობს, რომ მისთვის პატივის მიგება ეკლესიის ლიდერებისთვის შეწირვით – მათი ეკლესიების ან მსახურებებისთვის გაღებით – მისი თანდასწრების გადმოღვრის სრულ საზღაურს მოიტანს! ეს ყველაზე საოცარი აღთქმაა.

დროდადრო, იმის მოწმე გავმხდარვარ, რომ ლიდერების ფინანსურ პატივისცემაში გამოჩენილ სიუხვეს ადამიანებისთვის მატერიალური კურთხევა მოაქვს და საკმარი აქვთ ყოველი კეთილი საქმის საკეთებლად, რაც კი მათ ცხოვრებაში გამოჩნდება. თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ისიც შემინიშნავს, რომ ასეთები მუდამ ღვთის უხვ თანდასწრებაში დადიან. რატომ გვიკვირს? ეს ხომ ღვთის დაპირებაა. ამ ჭეშმარიტების გაცნობიერებამ უპასუხა ჩემს კითხვას, თუ რატომ არ იგრძნობოდა ძლიერი თანდასწრება შეკრებებზე, სადაც პატივისცემას უგულებელყოფდნენ – სადაც პასტორი იტანჯებოდა ან ჩვენ რიგით მოგზაურებად გვთვლიდნენ. იქ ადამიანები სიუხვეს არ იჩენდნენ, თუმცა ამ პრობლემის გამოსწორების და ასე გაგრძელების შემდეგ ღვთის თანდასწრება დიდად იზრდებოდა მათ ეკლესიებში.

თუ ამ თავის ჭეშმარიტებებს აიღებთ და მთლიან ბიბლიას წაიკითხავთ, დაინახავთ სასწაულების, გათავისუფლების, გადარჩენის, ღვთის თანდასწრებისა და წარმატების სიუხვეს მათგან უხვად გაცემის დროს. ეს სულიერი პრინციპია, რომელიც ღმერთმა მადლში ჩააქსოვა. მოუსმინეთ, რა უთხრა პავლემ მაკედონელ მორწმუნეებს: „და აჰა, გაუწყებთ ძმებო, ღვთის მადლის შესახებ, რომელიც მაკედონიის ეკლესიებს მიეცა; რადგან, მიუხედავად დიდი შეჭირვებით გამოცდისა, მათი სიხარულის სიუხვე და მათი სიღატაკის სიღრმე უხვად გამოიხატა მათი ხელგაშლილობის სიმდიდრეში. ვინაიდან ვადასტურებ, რომ თავიანთი ძალის შესაბამისად და უფრო მეტადაც იყვნენ გულუხვნი“ (2 კორ. 8:1-3).

პავლემ მათი გულუხვობა ღვთის მადლის მოქმედების პირდაპირ შედეგად მიიჩნია. მადლმა მათ თავიანთ შესაძლებლობაზე მეტის“ კეთების უნარი მისცა. როგორც მადლის ყიდვა არ შეგვიძლია, ისე კეთილგანწყობისა, მაგრამ შეგვიძლია მისი მიღების პოზიციაზე დავდგეთ. ღვთის სიტყვის მაუწყებლებისთვის ორმაგი ფინანსური პატივისცემით ღვთისგანაც პატივდებული ვიქნებით. ეს პატივი მადლსა და კეთილგანწყობასაც მოიცავს – ეს სულიერი კანონია.

12

ჩვენი თანასწორების პატივისცემა

„ვინც თქვენ პატივს გცემთ, მე მცემს პატივს, ხოლო ვინც მე მცემს პატივს, ჩემს მომავლინებელს სცემს პატივს. ვინც წინასწარმეტყველის სახელით სცემს პატივს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და ვინც მართლის სახელით სცემს პატივს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს. ვინც ერთს ამ მცირეთაგანს მოწაფის სახელით სცემს პატივს თუნდაც ერთი სასმისი ცივი წყლის მიწოდებით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“.

– მათ. 10:40-42 (ავტორის პარაფრაზი)

ახლა დავტოვოთ ჩვენი ზემდგომები და თვალი მივაპყროთ ჩვენს დონეზე მყოფ ადამიანებს – თანასწორებს. არც ჩვენ ვართ მათ ზემოთ და არც ისინი არიან. ადამიანთა მეორე ჯგუფში, რომელზეც იესო ლაპარაკობდა, თანასწორები შედიან: „ვინც მართლის სახელით სცემს პატივს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს“.

ორმაგი საზღაური

ნება მომეცით, რომ თავდაპირველად ამ დონეზე პატივისცემის მოწმობის მაგალითი წარმოგიდგინოთ. რამდენიმე წლის მანძილზე ჩემი ოჯახი ყოველწლიურ კრუიზში მიმყავდა. ჩვენი

ოთხი ბიჭი ჩვენთან ერთად ცხოვრობდა წლების განმავლობაში, მაგრამ არც ერთი არ წუწუნებდა ხალხისთვის ღვთის სიტყვის მიტანის მიზნით ჩემი და ლიზას მოულოდნელი გამგზავრებების გამო. ისინი არა მარტო მხარს გვიჭერდნენ, არამედ ჩვენი მოწოდების გამო ენთუზიაზმიც ავსებდათ. მადლიერი ვიყავით ღვთიური უზრუნველყოფისთვის, რომ ყოველი წლის ბოლოს განსაკუთრებული არდადეგებით ბიჭების დაჯილდოება შეგვეძლო. ბავშვებს ძალიან ახარებდათ ეს კრუიზები, სადაც ვერც მობილურები გვწვდებოდა და ვერც ელექტრონული ფოსტით ვსარგებლობდით. შეთანხმება გვქონდა, რომ კომპიუტერები მთელი კვირით სახლში უნდა დაგვეტოვებინა, არ უნდა გვემუშავა. იმ კვირას მთლიანად მათ განკარგულებაში ვიყავით.

ერთ წელს, ჩვენი მოგზაურობის დასასრულს გადავწყვიტე ჩვენი შტატის დირექტორისთვის დამერეკა. იგი ძალზე გულდასაწყვეტი ამბით შემეგება. აღმოჩნდა, რომ ჩვენი შვებულების დროს ნაცნობმა თანამოქალაქე პასტორმა ერთი მნიშვნელოვანი თანამშრომელი გადაიბირა. ეს თანამშრომელი ჩვენი წიგნების თარგმნის ყველა საერთაშორისო უფლებაზე პასუხისმგებელი პირი გახლდათ. ამ პოზიციის დაკავებას საკმაო წვრთნა და ცოდნა სჭირდებოდა, რადგან ეს ქალბატონი მსოფლიოს გამომცემლობებთან მუშაობდა. მათთან ურთიერთობისა და ახალი კავშირების გაბმა არსებითი იყო და დროს მოითხოვდა.

წყენაზე გაცილებით მეტი იყო გრძნობა, რომელმაც მომიცვა. იმ პასტორის მიმართ საშინელი ემოციები აღმეძრა. თანამშრომელი ქალბატონის სწავლებას ცხრა თვე შევალიეთ და პასტორმა ისიც არ ჩათვალა საჭიროდ, რომ დაერეკა და გაეგო, რა მდგომარეობაში ჩააგდებდა ჩვენს ორგანიზაციას მისი დაკარგვა. მის ამ ნაბიჯს უფრო გავიგებდი, გადარჩენილი რომ არ ყოფილიყო და საერო სფეროში ემუშავა, მაგრამ მსახური მეორე მსახურს თანამშრომელს რომ ართმევს ისე, რომ მასთან დალაპარაკებას არც კი ფიქრობს, ცათა სამეფოს პრინციპებს არაფრით არ შეესაბამებოდა. ესეც რომ არა, ის პასტორი ჩემი მეგობარი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ სიბრაზე ლოცვით დავძლიე. ვფიქრობდი, როგორ გვეპოვა ასე სწრაფად იმ თანამშრომლის შემცვლელი. ვშიშობდი, რომ ახალი კანდიდატის გაწვრთნაში ბევრ დროს დავკარგავდით. გასამართლების აზრებს ვებრძოდი. ძალიან მინდოდა გამეაზრებინა, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ ვერავითარ ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მივდიოდი. როგორ შეეძლო ასე უგრძნობელი ყოფილიყო? ორი თუ სამი დღის

შემდეგ უფალი ლოცვისას დამელაპარაკა:

– შვილო, მინდა, რომ მას შენი ახალი საათი აჩუქო.

მოგზაურობის დროს კუნძულ იამაიკაზე საუცხოო საათი ვნახე. ეს იყო სრულიად ახალი გამოშვების, Citizens-ის მარკის eco-drive მაჯის საათი, რომელიც მართლა კარგად გამოიყურებოდა. რამდენიმე წელი იყო გასული, რაც მაჯის საათი არ მეყიდა და აღფრთოვანებული ვიყავი მისი ელეგანტური დიზაინით.

რაკი ღმერთი დამელაპარაკა, დიდი ხანი არ დასჭირდა მისი სიბრძნის მიხვედრას. იგი ნებისმიერი არასწორი ფიქრისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მაძლევდა, რომელიც იმ პასტორის მიმართ გულში დამიგროვდა. ეს ყველაფერი პატივისცემით უნდა შემეცვალა. უფალი წყენის დაბუდებისა და როგორც მასთან, ისე პასტორთან ურთიერთობის გაფუჭებისგან მიცავდა. ლოცვისას ჯერ გამელიმა, შემდეგ კი სიცილი ამიტყდა. გამაოცა ჩემი ზეციერი მამის სიბრძნემ და სიყვარულმა. იგი ორივე ძის სასიკეთოდ მოქმედებდა. ენთუზიაზმით დავთანხმდი მის სათხოვარს და მყისვე მომშორდა ყოველგვარი სიბრაზე და წყენა, რაც იმ პასტორმა ჩემი სისტემიდან გამოწურა. ეს იყო უცაბედი განთავისუფლება. ახლა უკვე სიხარულით შემეძლო ჩემი ქრისტესმიერი ძმისთვის რაღაც ფასეულის ჩუქება.

მომდევნო საღამოს ტელეფონზე დავილაპარაკეთ. ახლა ამისთვის მზად ვიყავი, რადგან წყენა მომშორდა. აღმოჩნდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვია. მან აღიარა, რომ თავიდანვე კარგად არ მოიფიქრა ყველაფერი და ახლა უსაზღვროდ წუხდა. როცა ვითარება ავუხსენი, მიხვდა, რომ მისი საქციელი არასწორი იყო. თუმცა ღმერთს წინასწარ რომ არ ემუშავა ჩემს გულში, ალბათ, საზიზღარი და დამაგრეველი სატელეფონო საუბარი შედგებოდა. ჩემის ხმის ტემბრი და დამოკიდებულება პრობლემების ხანძარს ააგიზგიზებდა ჩვენს ურთიერთობაში.

ამ მომენტში მინდა აღვნიშნო, რომ საქმის გარკვევა კარგია, თუმცა გულში სწორი დამოკიდებულებით უნდა მოხდეს. ეს მეორე ადამიანის სასიკეთოდ უნდა გაკეთდეს და არა ჩვენს სასარგებლოდ. ავუხსენი, რატომ იყო არასწორი მისი საქციელი, მაგრამ ნამდვილი სიყვარულის მოტივით, რამაც ჩემი სათქმელის მიღება გაუადვილა. საუბრის შემდეგ ვკითხე, შემეძლო თუ არა მასთან ოფისში სტუმრობა. თანხმობის შემდეგ დრო დავთქვით.

ჩემი მისვლა გაუკვირდა. თითქოს საკითხი ამოვწურეთ და აინტერესებდა სტუმრობის მიზეზი. გავუზიარე ჩემი სურვილი, რომ საათის ჩუქება მინდოდა. გახარებულმა მითხრა:

– ჯონ, მაჯის საათი კი მჭირდება. არ მაქვს.

ამის გაგება ჩემთვის კურთხევა იყო. საათი ყუთიდან ამოვიღე და მის გაკეთებას შევეცადე. არ მოერგო, რადგან მე უფრო წვრილი მაჯა მქონდა. პრობლემა ის იყო, რომ სამაჯურის სათადარიგო ნაწილები იამაიკის მაღაზიაში დავტოვეთ. მას ვუთხარი, რომ კომპანიას შევუკვეთავდი. იგი შეეცადა დავეყოლიებინე, რომ ამას თვითონ იზამდა, მაგრამ მე არ მინდოდა არასრული საჩუქრის ჩუქება.

იქიდან მოყოლებული, უფრო დავახლოვდით, ვიდრე ოდესმე ვიყავით. ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. გული სიამით მიცემს, როცა ვიცი, რომ მას ჩემი ნაჩუქარი საათი უკეთია. იმით უფრო ვხარობ, რომ საათი მისია და არა ჩემი. ჩვენი ყოფილი თანამშრომელი ქალი მას შემდეგ რამდენჯერმე ვნახე და ყოველთვის მახარებს მისი წინსვლა.

და მაინც, ვერ გავექცეოდით ფაქტს, რომ შტატში თანამშრომელი გვაკლდა, მაგრამ უფლის იმედი მქონდა. ვიცოდი, რომ ამაზე იზრუნებდა. ამ საქმეში ისე ვიმოქმედე, რომ ღვთიური უზრუნველყოფისთვის ღია კარი დავტოვე.

ახლა ნება მომეცით, რომ პატივისცემის საზღაური გაგიზიაროთ. რამდენიმე კვირის შემდეგ ადამიანურ რესურსებზე პასუხისმგებელმა პირმა ვაკანტურ პოზიციაზე ერთი ქალი, სახელად დერსი დაიქირავა. დერსი შემიძლია აღვწერო, როგორც ადამიანი-ვეფხვი. წარსულში ძალიან ცოტა ვინმე თუ მინახავს, ვისაც ღვთის სიტყვის მთელი მსოფლიოს მორწმუნეებამდე მიტანის ასეთი მოშურნეობა ექნებოდა. იგი საზღვარგარეთ წავიდა და ყველაფრის სასწრაფოდ მოგვარებას შეუდგა. ამ პოზიციაზე მომუშავე სხვა თანამშრომლები, როგორც წესი, ელოდებოდნენ, სანამ რამე მოხდებოდა, მაგრამ არა დერსი. იგი ლოცულობდა და შემდეგ საერთაშორისო გამომცემლებთან მიდიოდა ჩვენი წიგნების დასაბეჭდად.

წინა ქალბატონმა კარგად იშრომა. მან ცხრა თვეში თარგმანების რიცხვი თვრამეტიდან ოცდასამ ენამდე გაზარდა. დერსიმ მუშაობის პირველ ცხრა თვეში თარგმანის განხორციელების შესაძლებლობა ოცდასამიდან ორმოც ენამდე გაზარდა! დიახ, სწორად კითხულობთ. წინა თანამშრომელმა მხოლოდ ხუთი ენის დამატება მოახერხა, დერსიმ კი იგივე დროში – სამჯერ მეტის, ჩვიდმეტი ახალი ენის დამატება შეძლო. ამ წიგნის წერის მომენტისთვის, ღვთის მადლით, თარგმანებს უკვე 100-ზე მეტ ენაზე ვახორციელებთ. ერთი ნაბიჯით წინ რომ წავიწიოთ, ახლა 200-ზე მეტი ერის პასტორებსა და ლიდერებს 20 მილიონზე მეტ რესურსს ვაწვდით.

არა მგონია, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდებოდა, ჩვენი თანამშრომლის დამქირავებელი პასტორისთვის პატივი

რომ არ მიმეგო. საზღაური მივიღეთ: ჩვენს განმგებლობაში არსებული ღვთის სიტყვა რამდენიმე მილიონით მეტ ადამიანამდე მივიდა. დერსის წამოწყებულ რამდენიმე მიღწევათაგან ერთ-ერთი იყო სახარებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების ქრისტიანი ლიდერებისთვის ათობით ათასი წიგნის მიტანა. ფაქტობრივად, ზოგიერთი ტერიტორიის სახელწოდების გამხელა ჩვენი მსახურების პარტნიორებისთვისაც კი არ შემიძლია იმ ლიდერების უსაფრთხოების უზრუნველყოფად, სადაც ისინი იდევნებიან.

ვფიქრობ, მრავალი ადამიანის ღვთის სიტყვით შეხებაზე დიდი საზღაური არ არსებობს. თუმცა ღმერთს ამით არ დაუსრულებია. კიდევ მოდიოდა სხვა ჯილდო, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა. რამდენიმე თვის შემდეგ კვირა დილას ერთ ქალაქში ვქადაგებდი. მსახურების შემდეგ პასტორმა სადილად წამიყვანა. კიდევ ერთი ბიზნესმენი იყო მოწვეული. ჯერ კიდევ რესტორნის პირსაბანთან ვიდექით, როცა იმ კაცმა მკითხა:

– ჯონ, როგორი საათი გინდა გქონდეს?

ზედმეტია იმის თქმა, რომ ამ კითხვაზე დავიძაბე. ცოტა ვიბურტყუნე და ბოლოს ვთქვი:

– რად გინდა ამის ცოდნა?

მან დაიჟინა:

– არა, ჯონ. ნამდვილად უნდა ვიცოდე. როგორი საათი მოგწონს?

მისი სიმტკიცის დანახვაზე გადავწყვიტე მეთქვა:

– ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ჩემი ოცნება იყო ბრაიტლინგის საათი.

ბრაიტლინგის საათები ბენტლის კომპანიის ერთ-ერთ განყოფილებაში მზადდება. ისინი ძალზე ძვირი ღირს და ძნელი საშოვნელია. ნებისმიერ ქალაქში ვერ იყიდით. ერთხელ დავინახე ვიღაც კაცის ხელზე და აღვფრთოვანდი. დიზაინი თვალს აამებდა. მაშინ გავიფიქრე, კარგი იქნებოდა ასეთი რომ მქონოდა-მეთქი. მიყვარს ფრენა (თუმცა პილოტი არ ვარ) და ეს საათები, თავდაპირველად, პილოტებისთვის შეიქმნა. ბოლოს, ვიპოვეთ მაღაზია, რომელიც მათ დიდ ქალაქში გზავნიდა. მე და ლიზამ, ცოტა არ იყოს, უკან დავიხიეთ, როცა ფასი ვნახეთ. გადავწყვიტე, ამხელა თანხა მაჯის საათში არ გადამეხადა, მაგრამ ის მაინც მომწონდა.

ჩემი პასუხი რომ მიიღო, ბიზნესმენმა პალტოს სახელო გადასწია და მაჯიდან მოიხსნა ახლახან ნაყიდი, ყველაზე თანამედროვე *ბრაიტლინგ ნეივითაიმერი*. შემდეგ საათი ხელზე გამიკეთა და ღიმილით მითხრა:

– ჯონ, დღეს მსახურებაზე რომ ქადაგებდი, ღმერთმა მითხრა, შენთვის ეს საათი მეჩუქებინა.

სულ მთლად დავიშალე და თან სიხარულისგან ლაპარაკის უნარი დავკარგე. ღმერთს რომ არ ეთქვა, ის ვერასოდეს გაიგებდა, რომელი იყო ჩემი საყვარელი საათი. ამ ამბავში კიდევ უფრო ტკბილი ის იყო, რომ ბრაიტლინგი ავიატორის ყველაზე ბოლო მოდელის სტილში იყო გაკეთებული. როგორი იყო იმის შანსი, რომ მას ხელზე ეს საათი კეთებოდა?

საჩუქრის მიღების თავდაპირველი შოკიდან რამდენიმე საათის შემდეგ მომაგონდა, როგორ მივეცი მეგობარ პასტორს პატივისცემის ნიშნად ჩემი სრულიად ახალი საათი თვეების წინ. ახლა მივხვდი, რომ ღმერთი თავის დაპირებას ასრულებდა – სამაგიერო პატივს მომაგებდა. შეგახსენებთ მის განცხადებას: „ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს“ (1 სამ. 2:30). შესაძლოა, თქვათ: „ჯონ, თქვენ ხომ ღმერთს არ მიაგეთ პატივი, არამედ პასტორს“. გაიხსენეთ იესოს ნათქვამი: „ვინც ჩემს მსახურს მიაგებს პატივს, მე მომაგებს პატივს და ვინც მე მომაგებს პატივს, ჩემს ზეციერ მამას მიაგებს პატივს“ (მათ. 10:40, ავტორის პარაფრაზი).

ყოველთვის, როცა საათს ვუყურებ — და ის ახლაც მიკეთია წერის დროს – ჩემი ზეციერი მამის უმშვენიერეს საჩუქარს ვხედავ. ეს გაცილებით მეტს ნიშნავს ჩემთვის, ვიდრე თავად რომ შემეძინა. ეს სხვა მიზეზის გამოც მეტს ნიშნავს ჩემთვის, ვიდრე იმ ბიზნესმენისგან ძვირფასი ნივთის მიღებაა. საქმე მხოლოდ საათში როდია. მის უკან გრძნობა დგას, რაც მეტად ძვირფასია ჩემთვის. ღმერთიც იგივეს აკეთებს, ოღონდ განსხვავებული გზით, ყველა იმ ადამიანის პატივსაცემად, რომლებიც მის მსახურებს პატივს მიაგებენ.

სიყვარულთან შეწყვილებული წმინდა შიში

ვიმედოვნებ, ახლა სრულიად ცხადი ხდება ერთი რამ: პატივისცემა წრფელ სიყვარულს ნიშნავს. ნამდვილ პატივისცემაში სიარულს წმინდა შიშიც სჭირდება და უპირობო სიყვარულიც. ჩვენ გვეუბნებიან:

> „სიყვარული იყოს უთვალთმაქცო; შეიძულეთ ბოროტება და მიეკარით კეთილს. ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულში გულანთებულებმა, პატივისცემაში დაასწარით ერთურთს“.
>
> – რომ. 12:9-10

რამდენი რამ დევს ამ ორ მუხლში. უპირველესად, პავლე აცხადებს, რომ ნამდვილი სიყვარული თვალთმაქცობას ვერ ითნევს. *თვალთმაქცობის* განსაზღვრება ასეთია: „პიროვნების რეალური ბუნებისა და ზრახვების დაფარვა“ (*Webster's, 1828*). ასე ხდება, როცა ადამიანი გარეგნულად პატივსაცემ ქცევას გამოხატავს და შესაბამისად ლაპარაკობს, მაგრამ შიგნით გაკრიტიკებთ, შურს ან ეზიზღებით კიდეც. შესაძლოა, თქვენს არყოფნაში ძირს გითხრიდეთ, სახელს გიტეხდეთ ან ცილს გწამებდეთ. შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში ისეთი კულტურა ჩამოყალიბდა, რომელიც ზემოხსენებულ დამოკიდებულებას წარმოშობდა. ყველას გაგვიგია სამხრეთული სტუმართმოყვარეობის, სამხრეთელი ჯენტლმენის ან სამხრეთელი მზეთუნახავის შესახებ. ყველა ეს ტერმინი მიანიშნებს, რომ ქვეყნის ამ ნაწილის წარმომადგენლებს გარკვეული გულმოწყალება და პატივი აქვთ მინიჭებული. თუმცა ასეთ გარემოებაში აღზრდილ ადამიანთაგან ზოგიერთმა ისწავლა ამგვარი მოლოდინის გამართლება არა ჭეშმარიტებით, არამედ პრეტენზიის ქონით.

წარსულში მოწმე გავხდი, თუ რა უხეშად ლაპარაკობდა რამდენიმე სამხრეთელი სხვა ადამიანებზე მათი არყოფნის დროს, ხოლო მოგვიანებით იგივე ადამიანებს დიდი პატივისცემის, სიყვარულისა და მოკრძალების გამომხატველი სიტყვებით და ქმედებებით ეგებებოდა. მეორე მხრივ, ქვეყნის სხვა ნაწილები სამხრეთისგან განსხვავდება და აქაურებისგან იგივეს არ ელოდებიან, ამიტომ ხალხი უფრო პირდაპირია. გარკვეულწილად, ჩრდილო-აღმოსავლეთელები უფრო მომწონს. თუ არ მოეწონეთ, სახეში მოგახლიან და ეს ჩვეული ამბავია. ისინი არ არიან ისე აღზრდილები, რომ ითვალთმაქცონ. სიმართლე რომ ვთქვათ, უხეშებიც კი არიან.

ნამდვილი პატივისცემის გამოხატვა თვალთმაქცობის გარეშე უნდა ხდებოდეს. თავის მოკატუნება მიუღებელია, ეს მხოლოდ სიცრუემდე მიგიყვანთ, ხოლო სიყალბე ჯილდოს ვერასოდეს დაიმსახურებს. პავლე იგივე განწყობით აგრძელებს: „სიყვარული იყოს უთვალთმაქცო; შეიძულეთ ბოროტება და მიეკარით კეთილს“. ბოროტების შეძულება და სიკეთეზე მიწებება უფლის მოშიშებას ნიშნავს. იგ. 8:13 აცხადებს: „უფლის შიში ბოროტების სიძულვილია“. ის სიცრუისგან გვიფარავს. ის გვიცავს, რომ ამოვიცნოთ პირმოთნეობა და არ დავბრმავდეთ მის დასანახად. მოდი, კიდევ ერთხელ შევამოწმოთ ღვთიური შესწორება ამ საკითხში. ესაია ამბობს: „იმის გამო, რომ ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით მიახლოვდება და მხოლოდ ბაგეთა

მსახურებით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან და მათი მოშიშება ჩემდამი გაზეპირებულ წესებად იქცა“ (ეს. 29:13).

გაზეპირებული წესები „უმნიშვნელო ან უპრინციპო სიტყვებისა და ბგერების ხშირ გამეორებას“ ნიშნავს. ღმერთი აცხადებს, რომ ადამიანები პატივს სცემენ ბაგეებით და ესაიას წიგნის სხვა ნაწილში – ქცევით, მაგრამ მათი გულები შორს არის ღვთისგან. ეს გახლავთ თვალთმაქცობით თაყვანისცემა, რასაც პატივისცემას ვერასგზით ვუწოდებთ. რატომ იქცევიან ასე? ღვთის შიშის უქონლობის გამო. „მათი მოშიშება ჩემდამი“ ყოველდღიურ რეჟიმად გადაიქცა – რაღაც წესად, რომელიც ჩვევაში გადაიზარდა.

ეს ძალიან ხშირად შეინიშნება საეკლესიო წრეებში. იმდენად ვაქცევთ ყურადღებას თავაზიანობას, რომ გულიდან მომდინარე ლაპარაკს უგულებელვყოფთ. ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოვიყვანო. სტივს კრებაზე ეჩქარება. ხუთი წუთით აგვიანებს და მისი დროულად მისვლა მნიშვნელოვანია. სტივი გადატვირთულ ქუჩაში გზას მიიკვლევს და უცებ მოპირდაპირე მხარეს ჯიმის მოკრა თვალი, რომელიც ქრისტესმიერი ძმაა და რამდენიმე კვირა არ უნახავს. ის ფიქრობს: *ოჰ, არა. იმედი მაქვს, ჯიმის არ დავუნახივარ. ახლა საერთოდ არ მაქვს მასთან ლაპარაკის დრო და თან ჩემთვის სასურველი ხალხის რიცხვშიც არ შედის.*

მოულოდნელად, ჯიმისა და სტივის მზერა ერთმანეთს ხვდება. ჯიმი დაუყოვნებლივ გადმოდის ქუჩაზე, რომ ქრისტეში ძმას მიესალმოს. სტივი ხვდება, რომ უზრდელობაში ჩაეთვლება თუ არ მიესალმება. ამრიგად, იგი ქრისტიანი ძმისკენ მიიწევს, რომელიც მისკენ გადმოდის. ლაპარაკს სტივი იწყებს, რადგან ეჩქარება და მოკითხვა მალე უნდა დაასრულოს:

– ჯიმ! დიდება ღმერთს! რა კარგია, რომ გნახე!

ჯიმი ესალმება და სტივის ამბებს კითხულობს.

სტივი ამბობს:

– ოჰ, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ახლა შეკრებაზე მეჩქარება. სჯობს, დაგირეკო და სადმე ერთად ვისადილოთ.

ორივე თავ-თავისი გზით მიდის.

მოდი, მივყვეთ სტივის მოკლე დიალოგს ჯიმთან. პირველ რიგში, ის ამბობს: „დიდება ღმერთს! რა კარგია, რომ გნახე“. იმ მომენტში სტივი ღმერთზე არც კი ფიქრობდა. ამ ფრაზის წარმოთქმა ჩვევაში გადაეზარდა, გაზეპირებულ წესად ექცა, რომ აღტაცება და რწმენა *წარმოაჩინოს* თანამოძმე ქრისტიანის თანდასწრებით. მეორე, სულაც არ უხაროდა ჯიმის ნახვა. პირიქით, იმედოვნებდა, რომ შეუმჩნეველი დარჩებოდა. ამრიგად,

პირველივე წინადადებაში ადგილი მისცა თვალთმაქცობასა და ტყუილს ისე, რომ არც უეჭვია.

ახლა სტივის დასკვნითი ფრაზა განვიხილოთ: „სჯობს, დაგირეკო და სადმე ერთად ვისადილოთ“. მას არც ჯიმისთვის დარეკვის და მასთან ერთად სადილობის სურვილი ჰქონია. ეს არის უხერხული სიტუაციებიდან თავის დაძვრენის საშუალება, რომელიც თავისთვის გამოიმუშავა. კიდევ ერთი ტყუილი.

სტივი ნებსით ტყუის? სავარაუდოდ, არა. რატომ არ აქვს შინაგანი მხილება? იმიტომ, რომ თვალთმაქცობით სიყვარული ისწავლა ღვთის შიშის ნაკლებობის გამო. ამან გაზეპირებული წესებით ცხოვრებამდე მიიყვანა, რომელიც გარეგნულად გამოხატულ სიყვარულსა და პატივისცემას ეფუძნება, რეალურად კი გულში სიყვარულის მხოლოდ გარსია დარჩენილი შინაარსის გარეშე.

უფლის შიში გვეხმარება იმ ფაქტის გაცნობიერებაში, რომ ღმერთმა ჩვენი ყოველი ფიქრი და ზრახვა იცის, რომელიც ნათქვამი სიტყვების მიღმა დგას. ფუჭი სიტყვების გამოც პასუხს ვაგებთ განკითხვის დღეს (მათ.12:36). ბიბლიაში ვკითხულობთ: „მოდით შვილებო, მომისმინეთ: უფლის მოშიშებას გასწავლით თქვენ ... შეიკავე შენი ენა ბოროტებისგან და ბაგენი - მზაკვრული სიტყვებისგან. ერიდე ბოროტებას და აკეთე სიკეთე“ (ფს. 34:11,13-14).

ოჰ, რარიგ უნდა გვიყვარდეს ჭეშმარიტებით და ამის გაკეთება მხოლოდ უფლის შიშის მგზნებარე სურვილით და მასში სიარულით შეიძლება! რა საშინელია სიცრუესა და პირმოთნეობაში ცხოვრება; მხოლოდ უფლის შიში დაგვიცავს ამ ხაფანგისგან.

სხვების მეტად შერაცხვა

რომაელთა მიმართ წერილში პავლე განაგრძობს: „ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულში გულანთებულებმა, პატივისცემაში დაასწარით ერთურთს“ (რომ.12:10). პატივისცემა სხვებს ანიჭებს უპირატესობას, რადგან მეტად მიიჩნევს და აფასებს მათ. პავლე იგივეს იმეორებს სხვა წერილში:

> „მაშ, თუ არის რაიმე ნუგეშისცემა ქრისტეში, თუ არის სიყვარულით გამხნევება, თუ არის სულის მოზიარეობა, თუ არის გულითადობა და თანაგრძნობა, სრულქმენით ჩემი სიხარული: ერთსა და იმავეს იზრახავდეთ, გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყავით ერთსულოვანნი

და ერთაზროვანნი. არაფერი გააკეთოთ ანგარებით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი. თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც. ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია“.

– ფილ. 2:1-5

სხვების საკუთარ თავზე მეტად შერაცხვა მათ პატივისცემას ნიშნავს. ამ სიტყვებზე უნდა ვიფიქროთ და ლოცვით გავითავისოთ ყველა ცხოვრებისეულ საქმესა თუ სფეროში. თუ ამას კარგად ვისწავლით და ნებას მივცემთ, ფესვი ღრმად გაიდგას ჩვენს არსებაში, დიდ კურთხევაში ვივლით, რადგან სწორედ ესაა ნამდვილი პატივისცემა.

ყურადღება მიაქციეთ პავლეს ნათქვამს: „ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია“. არასოდეს დამავიწყდება უფლის სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქრისტიანს მითხრა. მანქანას ვმართავდი, როცა მისი ნათქვამი გავიგონე:

– ჯონ, იცი, რომ შენ უფრო დიდ პატივს გცემ, ვიდრე საკუთარ თავს?

ამ სიტყვებმა შემაშფოთა. გაოგნებული ვიყავი. ვიფიქრე, ალბათ, მტერი ცდილობს ჩემს არსებაში ღვთისმგმობელი ან ქედმაღლური აზრი შემოიტანოს-მეთქი. როგორ შეეძლო სამყაროსა და მთელი მისი მორთულობის შემოქმედს ეთქვა ჩემისთანა პატარა დაქირავებული მსახურისთვის, რომ საკუთარ თავზე მეტ პატივს მომაგებდა? კინაღამ ვუთხარი: „განვედ სატანა. შეურაცხმყოფელი ხარ ჩემთვის“. და მაინც, სულის სიღმეში ვიცოდი, რომ ეს იესოს ხმა იყო. მაინც უნდა დავრწმუნებულიყავი, რადგან სულიერი სიჭაბუკის ასაკში ღვთის სიტყვა „სულების გამოცდას“ გვიბრძანებს (1 იოან. 4:1).

აზრები მოვიკრიბე და ვუპასუხე:

– უფალო, უბრალოდ, არ მჯერა ეს, თუ ახალი აღთქმიდან სამ მოწმობას არ მომიყვან.

კანკალით წარმოვთქვამდი ამ სიტყვებს, მაგრამ ვიცოდი, რომ სწორად ვიქცეოდი.

გულში ვიგრძენი, რომ უფალს ჩემი სათხოვრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. პირიქით, მივხვდი კიდეც, რომ ამის გაგონება ესიამოვნა. თითქმის მაშინვე გავიგონე მისი ნათქვამი:

– რას ამბობს ფილიპელთა 2:3?

ზეპირად ვიცოდი ეს მუხლი და ხმამაღლა მივუგე:

– არაფერი გააკეთოთ ანგარებით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი.

უფალმა მიპასუხა:

– აი, პირველი მოწმობა.

სასწრაფოდ ვუთხარი:

– არა, უფალო. პავლე ამას არ გულისხმობდა. ის ფილიპელ მორწმუნეებს არიგებდა, რომ საკუთარ თავზე მეტად ერთმანეთი შეერაცხათ. ის აქ არ ამბობს, თუ როგორ მაფასებ მე.

უფალმა მაშინვე მომიგო:

– ჩემს შვილებს არ ვთხოვ იმის გაკეთებას, რასაც თავად არ ვაკეთებ!

უკან დავიხიე.

ამის შემდეგ მან მითხრა:

– სწორედ ეს არის მრავალი ოჯახის პრობლემა. მშობლები შვილებს ეუბნებიან, რომ აკეთონ ის, რასაც თავად არ აკეთებენ ან არ გააკეთონ ის, რასაც თავად აკეთებენ. ბევრი მშობელი შვილებს აფრთხილებს, რომ არ იჩხუბონ, მაგრამ გამუდმებით მათ თვალწინ ჩხუბობენ. შემდეგ მშობლებს უკვირთ, რატომ არ უჯერებენ ისინი. მე ასე არ ვიქცევი.

ჯერ კიდევ დაეჭვებული ვიყავი, ამიტომ ასე ვთქვი:

– ეს მხოლოდ ერთი მონაკვეთია წერილიდან. კიდევ ორი მჭირდება.

ამის შემდეგ გავიგონე:

– ვინ მოკვდა ჯვარზე, შენ თუ მე?

გავშეშდი.

ისევ მომესმა:

– ჯვარზე ვეკიდე შენი ცოდვებით, სნეულებებით, უძლურებებით, სიღარიბითა და სასჯელით, რადგან საკუთარ თავზე მეტად დაგაფასე (წერილიდან მუხლის სახით მომცა 1 პეტრ. 2:24).

ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად უფლის ხმა გავიგონე. იგი მართლაც საკუთარ თავზე მეტ პატივს მცემდა (მაფასებდა). სხვა შემთხვევაში ჩემს სასჯელს არ აიღებდა და ჩემს ნაცვლად არ მოკვდებოდა. ვიცოდი, რომ მესამე მოწმობაც მოდიოდა და არც მიკითხია, ისე მომესმა გულში:

– მესამე მოწმობა ასეთია: „ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულში გულანთებულებმა, პატივისცემაში დაასწარით ერთურთს“ (რომ.12:10).

შემდეგ ის ჩემს გულს დაელაპარაკა:

– მე ვარ პირმშო ძმათაგან (რომ.8:29) და პატივისცემაში ჩემს და-ძმებს საკუთარ თავზე მეტად ვაფასებ.

რასაკვირველია, ეს ღვთის ყოველ შვილს შეესაბამება და არა მარტო მე. იგი მართლაც საკუთარ თავზე მეტად გვაფასებს, ამიტომაც მეტ პატივს გვცემს. ეს მეტისმეტად მშვენიერია იმისთვის, რომ ადამიანი ჩაწვდეს. ეს ღვთის ნამდვილი სიყვარულია.

შეიძლება თქვათ: „ჯონ, ეს ხომ იესო ქრისტეა. ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ ასე შეყვარებას“. იცით, ერთი საოცარი ფაქტი არსებობს – ეს შესაძლებელია. წერილი გვეუბნება, რომ ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით (რომ.5:5). ამის დასტურს პავლეს სიტყვებში ვპოულობთ. მოუსმინეთ, რას ამბობს ის საკუთარ თანამოძმეებზე:

> „ჭეშმარიტებას ვლაპარაკობ ქრისტეში, არ ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმოწმებს სულიწმიდაში, რომ დიდია ჩემი მწუხარება და განუწყვეტელია ჩემი გულის ტკივილი. ნეტავ მე თვითონ ვყოფილიყავი ქრისტესაგან მოკვეთილი ჩემი ძმების - ჩემი სისხლისა და ხორცის გამო, თუ ეს მათ გადაარჩენდა“.
>
> – რომ. 9:1-3 (NLT)

ახლაც კი ჟრუანტელი მივლის პავლეს ამ სიტყვებზე. ის ამბობს და ეს არ გახლავთ თვალთმაქცობა, რომ ქრისტესგან მოკვეთაზეც დათანხმდებოდა მთელი მარადისობის მანძილზე, ოღონდ კი თანამოძმეების გადარჩენა ეხილა. როგორ შეეძლო უბრალო ადამიანს ამ დონის სიყვარულსა და პატივისცემაში სიარული? ამის მოხერხება ადამიანური სიყვარულის მეშვეობით შეუძლებელია. ასეთ პატივისცემას ადამიანი მხოლო ღვთიური სიყვარულის მეშვეობით თუ შეძლებს, რაც თავად იესოს ამოქმედებდა. პავლემ ისე ძლიერად განავითარა გულში სიყვარული და პატივისცემა, რომ ზემოხსენებული მძლავრი ღაღადის სახით ამოხეთქა. დამატებით მინდა ვთქვა: სულიწმიდა არასოდეს მისცემდა პავლეს ამ სიტყვების დაწერის უფლებას, მართლაც ეს რომ არ ჰქონოდა გულში. ვერ მოიტყუებთ — სიცრუეს ვერ დაწერთ წმინდა წერილში.

ხედავთ, რა პოტენციალი დევს ყველა ზეციდან შობილ ადამიანში? რომ.5:5 შთამბეჭდავად აცხადებს: „ღვთის სიყვარული ჩაგვეღვარა გულებში სულიწმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ“. სწორედ ამიტომ გვეუბნება იესო: „ახალ მცნებას გაძლევთ, გიყვარდეთ ერთმანეთი! როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“

(იოან.13:34). ეს ახალი მცნება იყო, რადგან ადამიანებს არ შეეძლოთ ასეთ სიყვარულში სიარული ძველი აღთქმის ეპოქაში. ღვთის სიყვარული ჯერ კიდევ არ გადმოღვრილიყო ჩვენს გულებში. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“. მან სრულად გასწირა თავი ჩვენთვის. იგი მამა ღმერთისგან დაშორებული იქნა და შეჰღაღადა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ (მათ. 27:46). მან თავისი ნებით აირჩია სიღარიბე და ღვთისგან განშორება, რომ ჩვენ მარადიული სიცოცხლე გვქონოდა. უფალმა პატივი გვცა უმაღლეს დონეზე და პავლემ გულწრფელად შეძლო იგივე სიტყვების თქმა მისი თანამემამულეების მიმართ. ოჰ, ზეციერო მამა! დაგვეხმარე, რომ ამგვარი სიყვარულით ვიაროთ! შენ ამის პოტენციალი მოგვეცი, ახლა ჩვენ უნდა განვავითაროთ ის სულიწმიდასთან თანამშრომლობით.

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, სწორედ ეს არის ნამდვილი პატივისცემა: ჩვენ ვაფასებთ თანამოძმე მორწმუნეებს და მათ, ვისაც იესო სჭირდება, როგორც ძვირფასს, წონადსა და საოცარს. ეს გვიბიძგებს ცათა სამეფოს საქმისთვის ყოველმხრივი შრომის, მსახურების, ლოცვისა და ფინანსების გაღებისკენ. ეს აღგვძრავს, რომ ვაკეთოთ ის, რაც მაკედონიელებმა გააკეთეს. მათი პატივისცემა ქრისტესნაირი იყო და პავლემ მათი სიყვარული კორინთელი ქრისტიანების მოტივაციისთვის გამოიყენა:

> „და აჰა, გაუწყებთ ძმებო, ღვთის მადლის შესახებ, რომელიც მაკედონიის ეკლესიებს მიეცა; რადგან, მიუხედავად დიდი შეჭირვებით გამოცდისა, მათი სიხარულის სიუხვე და მათი სიღატაკის სიღრმე უხვად გამოიხატა მათი ხელგაშლილობის სიმდიდრეში. ვინაიდან ვადასტურებ, რომ თავიანთი ძალის შესაბამისად და უფრო მეტადაც იყვნენ გულუხვნი. დაჟინებით გვთხოვდნენ, რომ წმიდანთა მომსახურებაში მოზიარეობის უფლება მიგვეცა. და გაიღეს არა მარტო ის, რისი მოლოდინიც გვქონდა, არამედ მათ საკუთარი თავი მისცეს ჯერ უფალს და მერე ჩვენც, ღვთის ნებით; ამიტომ ტიტეს ვთხოვეთ, რომ, როგორც დაიწყო, ასევე დაემთავრებინა თქვენთან ეს კეთილი საქმე. ჰოდა, როგორი სიუხვეც გაქვთ ყველაფერში - რწმენასა და სიტყვაში, შემეცნებასა და ყოველგვარ სწრაფვაში, და თქვენდამი ჩვენს სიყვარულში, - ასევე იუხვეთ ამ მადლშიც. ამას ბრძანებით კი არ ვამბობ, არამედ იმისთვის, რომ სხვათა გულმოდგინებით

თქვენი სიყვარულის სიწრფელეც გამოვცადო. ვინაიდან იცით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, რომ თქვენთვის გაღატაკდა იგი, თუმცა მდიდარი იყო, რათა თქვენ გამდიდრებულიყავით მისი გაღატაკებით. ჩემს აზრს გეტყვით ამაზე: რადგან სასარგებლო იქნება არამხოლოდ აღასრულოთ ის, რაც შარშან პირველებმა წამოიწყეთ, არამედ ხალისიც იქონიოთ. ახლა კი საქმე დაასრულეთ, რათა, რისი გაკეთებაც ხალისით გეწადათ, შეასრულოთ კიდეც, თქვენი შესაძლებლობისამებრ. ვინაიდან, როცა წადილი არის, შენაწირი მიიღება იმის მიხედვით, ვისაც რა აქვს, და არა იმის მიხედვით, რაც არა აქვს. ვინაიდან, იმისთვის კი არ იძლევით, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანაბრობისთვის. ამჟამად თქვენი ნამეტი შეავსებს მათ ნაკლულობას, რათა მათმა ნამეტმაც შეავსოს თქვენი ნაკლულობა, რომ იყოს თანაბრობა“.

– 2 კორ. 8:1-14

პავლე მაკედონიელების მიერ გასაჭირში მყოფთათვის გამოჩენილ პატივისცემას კორინთელების შესაგონებლად იყენებდა, რომ ყველა მორწმუნეში ჩაღვრილი სიყვარულის შესაბამისად ეცხოვრათ. ის აქ არის – ღვთიური სიყვარული ჩვენს გულებშია. მის გასავითარებლად სულიწმიდასთან უნდა ვითანამშრომლოთ. ნუ იტყვით: „იცით, ეს ჩემს პიროვნებას არ შეესაბამება. მე ასეთი არ ვარ“. ეს მხოლოდ დაგაბრკოლებთ იმ გზით სიარულში, რომელიც თქვენს გულს ნამდვილ სისრულეს მოუტანს, თქვენი ზეგავლენის ქვეშ მყოფებს – სიხარულს და დიდ საზღაურს არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. უკან ნუ დაიხევთ; პატივი მიაგეთ თქვენს თანამოძმეებს. გაკეთებული საქმე მთელი მარადისობის განმავლობაში გაგახარებთ.

13

ჩვენთვის მონდოგილთა პატივისცემა

„ვინც თქვენ პატივს მოგაგებთ, მე მომაგებს პატივს, ხოლო ვინც მე მომაგებს პატივს, ჩემს მომავლინებელს მიაგებს პატივს. ვინც წინასწარმეტყველის სახელით პატივს მიაგებს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და ვინც მართლის სახელით პატივს მიაგებს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს. ვინც ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთი სასმისი ცივი წყლის მიწოდებით მიაგებს პატივს მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“.

– მათ. 10:40-42 (ავტორის პარაფრაზი)

ახლა იმ ადამიანებს მივუბრუნდეთ, რომლებიც მოგვანდეს – ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფ ადამიანებს. ეს ჯგუფი წარმოადგენს მათ, ვისაც ეხება იესოს შემდეგი სიტყვები: „ვინც ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთი სასმისი ცივი წყლის მიწოდებით *მიაგებს პატივს* მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“.

მცირეთაგანნი

წმიდა წერილი „მცირეთაგანს“ პატარა ბავშვებს ან ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფ ადამიანებს უწოდებს. მოგვიანებით

ვიმსჯელებთ მათზე, ვინც ჩვენს შვილებად იწოდებიან ოჯახურ გარემოში. ბევრ მცირეთაგანს არასწორად ეპყრობოდნენ ძალაუფლების მქონენი და ზოგჯერ ძალადობდნენ კიდეც მათზე. ეს მრისხანებას აღძრავს ღვთის გულში, რადგან იესო არცთუ გაურკვევლად გვაფრთხილებს:

> „ხოლო ვინც აცდუნებს ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც მე ვწამვარ, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა ჰკიდებოდა კისერზე და ზღვის სიღრმეში ჩაძირულიყო. ვაი წუთისოფელს ცდუნებათა გამო, რადგან ცდუნებები იქნება მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც ცდუნება წამოვა. ფრთხილად, აბუჩად არ აიგდოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი. გეუბნებით თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში გამუდმებით უყურებენ ჩემი ზეციერი მამის სახეს“.
>
> – მათ. 18:6-7,10

ეს გამომაფხიზლებელი გაფრთხილებაა. როდესაც იესო ასე ლაპარაკობს, უმჯობესია გაითვალისწინოთ. რატომ არის იგი ასე მკაცრი? ღმერთია ის, ვისგანაც მოდის ყოველგვარი ძალაუფლება. იგი სიყვარულია და თავის ძალაუფლებას ადამიანებს სიყვარულისა და დაცვის მიზნით აძლევს. თუ ადამიანები ამ ნიჭს ბოროტად, სარგებლის მისაღებად ან მცირეთაგანის დასაზიანებლად გამოიყენებენ, ზემომოყვანილი გაფრთხილება მათ საპირისიპიროდ იქნება. შეიძლება თქვათ, რომ *ეს არ არის უშუალო დაპირისპირება მათ მიმართ, არამედ უფალი აქ ღვთის ერს აფრთხილებს*. ასე არ გახლავთ, რადგან იესო ამბობს: „რაც ერთს ამ ჩემს *უმცირეს ძმათაგანს* გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25:40, ხაზგასმა ჩემია). როგორც ჩვენს ქვემდგომებს ვეპყრობით, ისევე ვეპყრობით იესოს. იფიქრეთ, როგორ ექცევით შვილებს, მეუღლეს, თანამშრომლებს, მოსწავლეებს და ასე შემდეგ.

ძალაუფლების მქონეს შესწორებისა და წვრთნის პასუხისმგებლობა აკისრია. ზოგიერთი წინამძღოლი მცირეებს წაბორძიკებისთვის სწირავს, როცა აღზრდისთვის საჭირო შესწორებებს უგულებელყოფს. თავის ნებაზე მიშვებული ბავშვი უფრო გაფუჭდება და ნაკლებად შეინარჩუნებს სიჯანსაღეს. პავლე ღვთიური წვრთნის მნიშვნელობას კორინთელთა მიმართ წერილში გვაჩვენებს: „თქვენ გგონიათ, რომ ბოროტად ვიყენებ ღვთისგან ბოძებულ ძალაუფლებას, მაგრამ უკან არ დავიხევ. ჩემი თავდადების ყოველი ნაბიჯი თქვენს აშენებას ემსახურება

და არა დანგრევას“ (2 კორ. 10:8 MSG). კორინთელების მიმართ მიწერილი ორი წერილის წაკითხვისას ძნელი არ არის მათ მიმართ პავლეს დისციპლინის სიმტკიცის დანახვა. იგი ამ მცირე ძმებს აფასებდა და საჭირო შესწორებებსა და წვრთნას არ იშურებდა, რაც მომსახურებასა და დაცვას მოიცავდა. თქვენ როგორც ლიდერმა, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ, *ეს არის ჩემი მოტივი?* თუ მცირეებს პატივს მიაგებთ, ეს იქნება თქვენი განზრახვა და შესაბამისად, საჭიროებისას კიდეც შეუსწორებთ.

სპექტრის მეორე მხარეს მდგომი ადამიანები საწინააღმდეგოს სჩადიან. იმათზე ვლაპარაკობ, ვინც ბოროტად იყენებს მოცემულ ძალაუფლებას ეგოისტური მიზნებისთვის და მცირეებს წაბორძიკებისკენ უბიძგებენ. მათი შესწორება დამანგრეველია. მათ სიყვარული არ განივითარეს გულებში ლოცვითა და სიტყვაზე ფიქრით, რომ სათანადოდ მოევლოთ მათთვის მონდობილი მცირეებისთვის. ჩვენი გულები უნდა ენთებოდეს მათი წარმატების დანახვისას. ისინი შეცდომებს დაუშვებენ? რასაკვირველია. უბრალოდ, გაიხსენეთ, როცა ახალგაზრდები და უმწიფარები იყავით. თუ ასე უცებ დაგავიწყდათ? მე გამოწვევა ვიყავი ჩემი ზემდგომებისთვის. ბრიყვულ ცოდვებს ჩავდიოდი და ვცოდავდი. იმპულსურად და დაუფიქრებლად მივიწევდი წინ და უგუნურ და სასაცილო განცხადებებს ვაკეთებდი, განსაკუთრებით, არასწორ დროს. დიდად მადლობელი ვარ, რომ ჩემმა ლიდერებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს.

ვიხსენებ წლებს, როცა მე და ჩემი ცოლი თანამშრომელთა შტატს ვადგენდით. მათი რიცხვი მცირე იყო (ახლა, ამ წიგნის წერისას ორმოცდაათზე მეტი გვყავს). გვაშფოთებდა მათი შეცდომები. მახსოვს, ლიზას რაღაც ავუხსენი და დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ჩვენგანისთვის ეს წინასწარმეტყველური სიტყვა იყო შესწორებისა და გაგების მოსატანად. ასე ვუთხარი:

– ლიზა, თუ ღმერთმა ეს ადამიანები ჩვენი ძალაუფლების ქვეშ ისე მოიყვანა, რომ ჩვენგან არაფერი სჭირდებათ, რატომ დააყენებდა ჩვენს ხელქვეით?

ორივემ თავი დავიქნიეთ თანხმობის ნიშნად.

ეკლესიის წინამძღოლობა

წლების მანძილზე ათასობით ეკლესიის შემოვლის შემდეგ კარგად გავიცანი სხვადასხვა სახის ლიდერები. განსაკუთრებით მომწონს კრეატიულად მოაზროვნე წინამძღოლები. ისინი ღვთის სახლს არასტანდარტული გზებით აშენებენ. ჩვენი მეთოდები ურწმუნოების მიმართ უფრო მეგობრული ხდება.

ვცდილობთ ისეთი ატმოსფერო დახვდეთ, რომ თავი კარგად იგრძნონ. ეს ტრადიციული ჩარჩოებისგან განსხვავდება, რომელიც მათთვის უცხოა. მოვიშორეთ ოფიციალური სამოსი, ოცი წლის წინანდელი სიმღერები და საეკლესიო ჟარგონი. ასევე მულტიმედიას ვიყენებთ განცხადებებისა და ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გადაცემის ძველებური, ჩვეული ხერხების ნაცვლად. აქ მხოლოდ რამდენიმე ცვლილება ჩამოვთვალე. პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღვთიური სიბრძნეა.

გვერდითი შენიშვნის სახით გახსოვდეთ, რომ ღმერთი ყოველთვის ემხრობა მაძიებელზე მორგებულ მეთოდებს. პავლე მოციქული 1კორ.10:33-ში აცხადებს: „ისევე, როგორც მეც ვაამებ ყველას ყველაფერში და სარგებლობას ვეძებ არა ჩემთვის, არამედ მრავალთათვის, რათა გადარჩნენ. მომბაძეთ მე, როგორც მე - ქრისტეს“. პავლე მეთოდებზე ლაპარაკობს, როცა ამბობს: „ვაამებ ყველას ყველაფერში“. იგი ქრისტეს ბაძავდა დაღუპულთა გადარჩენის საქმეში. მიუხედავად ამისა, ღმერთი მაძიებელზე მორგებულ ქადაგებას ეწინააღმდეგება. სიტყვის ასეთი გადაცემის შესახებ იგივე პავლე ნათლად აცხადებს: „ახლა ადამიანების დარწმუნებას ვცდილობ თუ ღმერთისას? თუ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მსახური აღარ ვიქნებოდი“ (გალ.1:10). არასდროს არ უნდა ვიქადაგოთ ადამიანებისთვის მოსაწონი სახარება მეტი ხალხის მოზიდვის მიზნით. თუ ასე მოვიქცევით, ყალბი მორწმუნეებისგან შემდგარი მრევლის მიღების საშიშროება დაგვემუქრება, რომლებიც ერთ დღეს იესოსგან ასეთ სიტყვებს მოისმენენ: „გამშორდით, არ გიცნობთ თქვენ“ (მათ.7:20-23). მათი სისხლი თქვენზე იქნება. პავლემ ერთხელ ასე განუცხადა ლიდერთა ჯგუფს: „ამიტომ გიმოწმებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველა სისხლისგან. რადგან არაფერი დამიკავებია და ღმერთის სრული ნება განგიცხადეთ“ (საქმ.20:26-27). არ შეიძლება წმიდა წერილიდან შერჩეული დადებითი ნაწილების ქადაგება; აუცილებელია გაფრთხილება და შესწორება (კოლ.1:28).

იესო ნათლად გვეუბნება, რომ სულიწმიდა „ამხელს წუთისოფელს ცოდვის გამო“ (იოან.16:8). ეკლესია, რომელიც ცოდვაში მცხოვრებ ადამიანებს მაძიებელზე მორგებული ქადაგებების გამო ცოდვაში არ ამხელს, არაფრით განსხვავდება ლაოდიკიის ეკლესიისგან გამოცხადების წიგნიდან. იგი იესოს პირიდან ამონთხევის ზღვარზე იმყოფებოდა, რადგან სულიწმიდის თანდასწრების მეშვეობით ღვთური განწმენდის საშუალებას არ აძლევდა. საბოლოოდ, იესოს მათთვის ვედრებაც

კი მოუხდა: „აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ“ (გამოცხ. 3:20). ეს მაძიებლის განწყობაზე სიტყვის მორგების საშიშროებას გვაჩვენებს.

რაც შეეხება მაძიებელზე მორგებულ მეთოდებს, ამისთვის პავლე მოციქულის სხვა განცხადებას გადავხედოთ:

> „ადამიანთა მოლოდინისა და მოთხოვნებისგან თავისუფალი ყველას მსახური გავხდი, რათა უფრო მეტი ადამიანი – რელიგიურები თუ არარელიგიურები, პედანტი მორალისტები თუ თავისუფალი უზნეოები, დამარცხებულები თუ დეგრადირებულები – შემეძინა ღვთისთვის. მათი ცხოვრების სტილი არ მიმიღია. ქრისტესთვის თვალი არ მომიშორებია, მაგრამ შევედი მათ სამყაროში და შევეცადე საგნები მათი თვალთახედვით დამენახა. ყველანაირი სახის მსახური გავხდი და ასეთი იყო ჩემი მცდელობა, რომ ისინი ღმერთში დაცული სიცოცხლისკენ წამეყვანა“.
>
> – 1 კორ. 9:19-22 (MSG)

მოისმინეთ ეს სიტყვები: „შევედი მათ სამყაროში და შევეცადე საგნები მათი თვალთახედვით დამენახა“. ამას წინათ ასობით პასტორს ველაპარაკე და ვთხოვე, რომ საკუთარ მსახურებაზე პირველად მოსული ვიზიტორივით დამჯდარიყო და არაეკლესიური პიროვნების თვალით დაენახა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. შემდეგ მათ ვუთხარი: „თუ წრფელი და გახსნილი იქნებით, ბევრი თქვენგანი უამრავ ცვლილებას განახორციელებს“.

ქრისტეს სხეულში კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების მოწინავე ხაზზე უნდა ვიყოთ. მსოფლიო ჩვენი კრეატიულობიდან და ინოვაციიდან უნდა იღებდეს შთაგონებას. რატომ უჭირავს საერო სფეროს აღმატებული ადგილი, ხოლო ღვთის სამეფო მეორე კლასის მოთამაშედაა ქცეული? როგორც დანიელი და სხვა ებრაელები იყვნენ ბაბილონის, ქვეყნიერების უდიდესი სამეფოს ძეებზე ბრძენები, ჩვენც ასევე უნდა მოგვძებნონ ინოვაციური იდეებისთვის.

მოდი, სულიწმიდის ძალაში ვიქადაგოთ და ვასწავლოთ ღვთის სიტყვა ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, მაგრამ ისეთი პაკეტით წარვუდგინეთ არაეკლესიურებს, რომ მათთვის ადვილად მისაღები იყოს. ჩვენმა სიტყვამ ძლიერი მხილება უნდა წარმოშვას ურჩი და ურწმუნო ადამიანების გულებში. ქრისტე იესოს სრული დაქვემდებარებისკენ მოვუწოდოთ მათ,

რაც ცოდვების, უღმერთოების, ქვეყნიური გულისთქმების მონანიებას ნიშნავს და ამას თან ერწყმის ჩვენი ცხოვრების 100 პროცენტით მისთვის მიძღვნა და მის კვალზე სიარული. ამის გაკეთება ჩვენს ცხოვრებაში სიხარულით შეგვიძლია, რასაც ინოვაციური იდეები ერთვის. ქრისტიანად ყოფნა არ ნიშნავს ენთუზიაზმისა და კრეატიულობის დაკარგვას. არა, ქრისტეში უფრო მეტად და უხვად უნდა ვპოვოთ ეს თვისებები. თუ მცირეებს პატივს მივაგებთ, მათი გულისთვის შემოქმედებითად ფიქრის დროს გამოვყოფთ. ეს ღვთის გულს აამებს.

სიცოცხლის გაუმჯობესება ან გამოშრობა

ახლა მოისმინეთ, რას ამბობს პეტრე ეკლესიის ლიდერებზე:

„თქვენს შორის ხუცესებს (პასტორებს და ეკლესიის სულიერ ლიდერებს) შევაგონებ მე, თანახუცესი, ... მწყემსეთ (კვებეთ, დაიცავით, გაუძეხით) თქვენთვის მონდობილი ღვთის სამწყსო [რაც თქვენი პასუხისმგებლობაა], არა იძულებით, არამედ ნებით და ღმერთისთვის სათნოდ, არა ბილწი ანგარებით (მათგან მოგების და სარგებლობის მიღებით), არამედ გულმოდგინებით. ნუ იბატონებთ ღმერთის სამკვიდროზე [როგორც ქედმაღალი, დიქტატორული და მბრძანებლური ხასიათის ადამიანი], არამედ (ქრისტიანული ცხოვრების) მაგალითი იყავით სამწყსოსთვის“.

– 1 პეტრ. 5:1-3

ოცდამეერთე საუკუნის ეკლესიაში ლიდერობის სტილის მრავალფეროვნების აღსაწერად უამრავი განსხვავებული ტერმინის გამოყენება შეგიძლიათ: ტრადიციული, პროგრესული, ლეგალისტური, გუნდური, დიქტატორული, გამაძლიერებელი, მიკრომართვადი და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, ამ სიიდან ორი მთავარი კატეგორიის გამოყოფა შეიძლება. სიცოცხლის გამაუმჯობესებელი და სიცოცხლის გამომშრობი. განსხვავებას ლიდერის გულის დამოკიდებულება ქმნის.

ზოგიერთი ლიდერი ბევრს აღწევს გარეგნულად, მაგრამ უკან შეურაცხყოფილ, დაჭრილ და ზოგჯერ მკვდარ მიმდევრებსაც კი ტოვებს. მეორე მხრივ, სხვებიც ბევრს აღწევენ, მაგრამ აშენებენ ადამიანებს, რომლებსაც უძღვებიან. ბევრი რამ არის დამოკიდებული ლიდერის გულში პატივისცემისა თუ უპატიობის არსებობაზე.

შორსმჭვრეტელი მამაკაცები და ქალები მსახურების შენებას ორიდან ერთ-ერთი გზით ახორციელებენ. შეურაცხმყოფელი ლიდერი, რომელიც მცირე ძმათა წაბორძიკების მიზეზი ხდება, ადამიანებს მისი ხედვის აღსრულების საშუალებებად მიიჩნევს. ნამდვილი ლიდერი, რომელიც მასზე დაქვემდებარებულთა ცხოვრებას აშენებს, თავად ხედვას თვლის ადამიანთა მომსახურების საშუალებად. ასეთი ლიდერი პატივს სცემს მის მზრუნველობას მინდობილ ადამიანებს. საოცარია, რამდენად განსხვავებულ შედეგებს წარმოშობს ლიდერის გულის ზრახვები ადამიანთა ცხოვრებაში. იესო ამბობს: „მართლდება სიბრძნე თავისი საქმეებით“ (მათ. 11:19). მინახავს ემოციურად განადგურებული ადამიანები ეკლესიებში (საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები იშვიათია) და მინახავს ჯანსაღი პიროვნებები და ოჯახები. ეს ყველაფერი პატივისცემის ირგვლივ ტრიალებს.

პატივისმცემელი ლიდერი ხალხის განვითარებას წაახალისებს. ისინი დიდი სიხარულით ხარობენ, როცა მათზე მინდობილები ღმერთთან ახლო ურთიერთობაში დადიან და ცხოვრებისეულ მოწოდებაში იფურჩქნებიან. ქრისტიანული ცხოვრების ამ ორი ასპექტის კომბინაცია მოიცავს ჭეშმარიტებაში სიარულს. მოუსმინეთ იოანეს სიტყვებს მასზე მინდობილი ხალხის შესახებ: „ვინაიდან დიდად გავიხარე, ძმები რომ მოვიდნენ და დაამოწმეს შენს ჭეშმარიტებაზე, რომელშიც დადიხარ ჭეშმარიტებით. არ არის ჩემთვის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იმის მოსმენა, რომ ჩემი შვილები ჭეშმარიტებაში დადიან“ (3 იოანე 1:3-4).

ჭეშმარიტებაში სიარული გახლავთ ღვთის შემეცნება და მისი მსახურება ერთად. იესო ამბობს, რომ სამსჯავროს დღეს იქნებიან მისი სახელით მრავალი დიდებული საქმის გამკეთებელი ადამიანები, მაგრამ იგი მათ ეტყვის: „გამშორდით, მე არასოდეს გიცნობდით“. მათ გადარჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გამორჩათ – ღვთის შეცნობა. კარგი ლიდერები ყოველთვის ხაზს უსვამენ ღმერთთან ახლო ურთიერთობის აუცილებლობას.

ასევე შესაძლებელია იყვნენ ადამიანები, რომლებიც ღმერთს იცნობენ, მაგრამ არ აამებენ. მათ მინდობილი აქვთ ნიჭები ღვთის სახლის ასაშენებლად თავიანთი ფუნქციის შესრულებისთვის, მაგრამ თავიანთ პასუხისმგებლობას უგულებელყოფენ. იმ დღეს ბატონი ეტყვის ტალანტების დამმარხველებს: „ბოროტო და ზარმაცო მონა!“ (მათ. 25:26).

ყველა მორწმუნეს აქვს ღვთის სახლის შენების მოწოდება. ეფეს. 2:10 ცხადად ამბობს, რომ „მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“.

მხოლოდ იმისთვის კი არ შევიქმენით, რომ კონკრეტული პიროვნებები ვყოფილიყავით, არამედ რაღაცის საკეთებლადაც. ტრაგიკულია, როცა ადამიანები სწავლებაში ბალანსს ვერ იცავენ. მომისმენია მქადაგებლებისთვის, რომლებიც ასეთ განცხადებას აკეთებენ: „მთავარია, ვინ ვართ და არა რას ვაკეთებთ. ჩვენ არ ვართ ადამიანები საკეთებლად, არამედ პიროვნებები“ (ინგ.: „*It's not what we do, but who we are; we are not human doings, but human beings*). ინგლისურად მშვენიერი სიტყვათა თამაშია, მაგრამ ქრისტიანული ცხოვრების გაუწონასწორებელ სურათს წარმოადგენს. საკუთარი საქმეებისგან მოვისვენეთ მას შემდეგ, რაც მორწმუნეები გავხდით. თუმცა წმიდა წერილის თანახმად, გადარჩენილები ღვთის საშრომში შევედით. ნაყოფი უნდა მოვიტანოთ და ეს არის ჩვენი რწმენის ჭეშმარიტობის დასტური (იაკობის მე-2 თავი).

სწავლება, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენი პიროვნების რაობას და უგულებელყოფს მოწოდების შესაბამისი საქმეების კეთებას, ადამიანებს მხოლოდ საეკლესიო მსახურებებზე დასწრებისკენ უბიძგებს ღვთის სახლში დანერგვისა და აქტიურობისგან თავშეკავების პირობებში. როცა ადამიანები ეკლესიაში დანერგილები არიან, თავიანთ მოწოდებაში ვითარდებიან, რაც დიდ მარადიულ საზღაურს მოიტანს ქრისტეს სამსჯავროზე. ქრისტე იესოში ვართ შექმნილი კონკრეტული საქმეების საკეთებლად და ეს საქმეები მანამ დაიგეგმა, სანამ დედის მუცელში ჩავისახებოდით. ანგარიშს ჩავაბარებთ დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე, რომელიც წინასწარ გაგვიმზადეს (ფს. 139:16).

პატივისმცემელი ლიდერის მიზანია მცირე თანამოძმეების ხილვა ჭეშმარიტებით სიარულში და მათი შემდგომი წინსვლა. ნამდვილ მამებსა და დედებს სურთ, რომ შვილები მათზე მეტად წარმატებულები იყვნენ. იესომ გააცხადა თავისი სურვილი ჩვენს შესახებ: იმაზე დიდი საქმეების კეთება, ვიდრე მან გააკეთა. იგივე დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მათ მიმართ, ვინც ჩვენ მოგვყვება. ლიდერები გულანთებული უნდა იყვნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების მიმართ, როგორც იოანე ლაპარაკობს თავის წერილში. ეს ჩვენი ერთ-ერთი დიდი სიხარული უნდა გახდეს.

იფიქრეთ ამ საკითხებზე

ბრძენი და ხანგრძლივად მმართველი ლიდერები არიან ისინი, ვინც საკუთარ წარმატებას მათ დაქვემდებარებაში მყოფებს

უმადლიან. (რასაკვირველია, ყოველგვარი დამსახურება, პატივი, მადლობა და დიდება ღმერთს ეკუთვნის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ადამიანებს იყენებს). ლიდერი გუნდის წევრებისადმი პატივისცემას მათი ძალისხმევის დაფასებით გამოხატავს. ქება ზედაპირული კი არა, არამედ გულიდან წამოსული უნდა იყოს. მე როგორც ლიდერი, ყოველთვის კარგი წარმოდგენის ვარ მათზე, ვინც ჩვენი მისიის შესრულებაში გვეხმარებიან; ისინი ჩვენთვის ზეციდან მოსული ნიჭებია. ყოველთვის თავს ვიცავ ჩვენს თანამშრომლებზე უარყოფითი აზრებისგან. ამის გაკეთებით გულში მათდამი პატივისცემას ვინარჩუნებ. პავლე გვეუბნება:

> „და ბოლოს, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც მოკრძალების ღირსი და პატიოსანია, რაც მართალია, რაც უმანკოა, რაც საყვარელია, რაც სასახელოა, ყოველივე, რაც მოსაწონი და სანაქებოა, იმაზე იფიქრეთ, აწონ-დაწონეთ და მხედველობაში მიიღეთ [მათი მეშვეობით შეასწორეთ თქვენი აზროვნება] ...“
>
> – ფილ. 4:8

მახსენდება ჩვენი ქორწინების ის პერიოდი, როცა ლიზათი იმედგაცრუებული ვიყავი. გულწრფელად რომ გითხრათ, საერთოდ არ ვიყავი ბედნიერი მასთან ცხოვრებით. ჩემი ცუდი დამოკიდებულება თვეების მანძილზე იზრდებოდა. გაუმჯობესების ნაცვლად მდგომარეობა უარესდებოდა. ერთხელ, მორიგი სასოწარკვეთისას სახლის კარი გავიხურე და მინდვრის გზას დავადექი. არ მინდოდა მასთან ახლოს ვყოფილიყავი. ლიზაზე უკმაყოფილო საკუთარ თავსა და უფალს მთელი გზა ვეწუწუნებოდი. როცა მინდორთან მივედი, გულში სრულიად ნათლად გავიგონე: „შვილო, მინდა იმ საგნებზე იფიქრო, რასაც ლიზა კარგად აკეთებს და ამისთვის მადლობა გადამიხადო“.

რასაკვირველია, იმ დროისთვის ერთი ბეწო დადებითზე ფიქრიც არ შემეძლო. თუმცა გარკვეულ ასპექტზე დაფიქრება მაინც შევძელი: ის კარგი დედა იყო. და მაინც, ჩემდა სამწუხაროდ, სხვა არაფერი მომაგონდა დასასახელებლად. როგორც კი მადლობა გადავუხადე ღმერთს ლიზას კარგი დედობისთვის, გონებაში მისი სხვა თვისება ამოტივტივდა; ასე გრძელდებოდა კარგა ხნის მანძილზე და ბოლოს აღფრთოვანებამ მომიცვა, თუ რა საცარი ცოლი მყავდა. რაღაც საინტერესო მოხდა: ჩვენი ვითარება სრულიად სხვა კუთხით დავინახე; ამან მიმახვედრა,

რომ ძალიან ცუდი ქმარი ვიყავი მთელი იმ დროის მანძილზე, რაც ლიზას ვემდუროდი. ახლა მართლა მოვედი აზრზე და თვალები ამეხილა. ეს იყო ღვთიური თვალთახედვა.

სახლში დავბრუნდი და შევაქე ლიზა ყველა იმ თვისებისთვის, რომელთაც ვაფასებდი და აღარ ვჩერდებოდი. ისევ და ისევ ვაგრძელებდი და ეს ჩემი გულიდან ნაკადივით მოედინებოდა. როცა მინდვრისკენ გავემართე, ლიზა ისეთი გაბრაზებული ჩანდა, რომ ჩვენი ურთიერთობის აღდგენას ცოტა დრო არ დასჭირდებოდა. თუმცა გულით მივაგე პატივი და ეს ჩემგან განუწყვეტლივ მოედინებოდა, ამიტომ მეყსეული შერიგება მოვიდა. იმ დღიდან მოყოლებული დავინახეთ, როგორ დაისადგურა ჩვენს ქორწინებაში განკურნებამ და აღდგენამ. ჩვენი ურთიერთობა არასოდეს დასულა იმჟამინდელ მდგომარეობამდე.

იგივე მოხდა ჩვენს შვილებთან, თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და ეკლესიის წევრებთან. ნეტა ვაკეთებდეთ იმას, რაზეც ფილ.4:8 მიგვითითებს. ვიფიქროთ ყოველივე მოსაწონზე, კარგსა და სასიამოვნოზე იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ჩვენ მზრუნველობას ანდეს. ვიფიქროთ, რამდენად ძვირფასნი არიან ჩვენი ზეციერი მამისთვის; ისინი მისი ძეები და ასულები არიან. თუ ჯერ სულის ხსნა არ დაუმკვიდრებიათ, ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილეთ, რომ იესო მათთვის მოკვდა. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენს გულს უპატივცემულობისგან დავიცავთ და ამით კურთხეული ვიქნებით.

კიდევ ვიმეორებ, რომ ეს არ ნიშნავს საჭირო შესწორებებისგან თავის შეკავებას. როცა საქმე შენიშვნამდე მიდის, ამას მოკლედ და ეფექტურად ვაკეთებთ. ჩვენმა შვილებმა და თანამშრომლებმა იციან, რომ უკმაყოფილებას გულით არ ვატარებთ. აღუნიშნავთ კიდეც, რომ წვრთნის დროს მკაცრები ვართ, თუმცა მისი დასრულების შემდეგ ვხუმრობთ ან ვიცინით მათთან ერთად. ეს გაკვეთილი თავად ღვთისგან ვისწავლე. უფალიც არ იტოვებს გულში უკმაყოფილებას. იგი თან არ გვაყოლებს სირცხვილის ნაკვალევს; ასე მხოლოდ მტერი იქცევა. უფალი ჩვენს შეცდომებს პატიების ზღვაში მარხავს. ერთადერთი, რასაც გვთხოვს, არის გაკვეთილის სწავლა მისი შენიშვნიდან, რომ იგივე აღარ გავიმეოროთ. ჩვენი ზეციერი მამის სიყვარულის, პატივისცემისა და იმედის ფიქრები ჩვენკენაა მომართული და გაცილებით აღემატება დედამიწის ყველა ქვიშის მარცვლის რაოდენობას (ფს. 139).

როცა ლიდერი მცირეებს პატივს მიაგებს, ეს თავის მხრივ ღვთიურ ნიჭს იზიდავს მათ ცხოვრებაში. როცა ეს ნიჭები

აყვავდება, ლიდერისთვის სარგებლობა მოაქვს, რადგან მისი ხედვა ორგანიზაციაში ხორციელდება ყველა ამ ადამიანის შეერთებული ძალისხმევით. მაოცებს ზოგიერთი პასტორი, რომელთაც თანამშრომლების შტატზე უკმაყოფილო ლაპარაკის დროს შევესწარი. ისინი მკაცრი, მომთხოვნი ტონით საუბრობენ და ისე მიმართავენ ხალხს, თითქოს ბრიყვები ყოფილიყვნენ. ასევე მომისმენია, როგორ კომენტარს აკეთებენ ბოლოს: „ვერ ვიპოვე კომპეტენტური ხალხი, უკეთესი თანამშრომლები მჭირდება“. გასაკვირი არაფერია ისინი პატივს არ მიაგებენ ადამიანებს და ამ უპატივცემულობის გამო ვერც ჯილდოს იღებენ მათგან.

ფინანსურად

როგორც ლიდერებს ვაკურთხებთ ფინანსებით, ისევე ვექცევით მცირეებსაც. რამდენიმე წლის წინ ლიზას თანაშემწეს ვეხმარებოდი პირად ფინანსებთან დაკავშირებით. ყველანი მის თვიურ ბიუჯეტს ვადგენდით. იმ დროისთვის ჩვენს ყველა თანამშრომელს კოლორადო სპრინგსის მსახურებების მიერ დადგენილ სტანდარტულ ხელფასს ვუხდიდით. მისი ხარჯები რომ დავაჯამეთ, შევნიშნე, რომ შემოსავალი ძლივს ფარავდა მათ. მაშინვე შევძახე:

– ამ ხელფასით არ შეიძლება ადამიანმა ნორმალურად იცხოვროს. ჩემი ცოლი, რომელიც იქვე იდგა, მთელი გულით დამეთანხმა.

დაუყოვნებლივ დავურეკე ჩვენი ფინანსური განყოფილების უფროსს და ვუთხარი:

– ახლახან დავასრულე ლიზას თანაშემწის ბიუჯეტზე მუშაობა. ჩვენ მას საკმარისად არ ვუხდით. შტატში არავის არ უნდა ჰქონდეს ასე დაბალი შემოსავალი. მინდა, რომ ყველა თანამშრომლის მინიმალური წლიური ხელფასი ამაზე ნაკლები არ იყოს (და თანხა დავუსახელე). არ მაინტერესებს, ისინი ჩვენს პაკეტებს გზავნიან ფოსტით თუ ტელეფონს პასუხობენ.

ტელეფონის მეორე ბოლოში სიჩუმემ დაისადგურა. ჩვენმა აღმასრულებელმა დირექტორმა თქვა:

– თუ ასე მოიქცევი, ქალაქში სამუშაოს მაძიებელთათვის ყველაზე სასურველი მსახურება გექნება.

მე ასე ვუპასუხე:

– ამის გამო არ ვიქცევი ასე. ჩვენი გუნდის წევრები სიცოცხლეს დებენ ჩვენთან ერთად ღვთის მსახურებისთვის და სათანადო კომპენსაციასაც უნდა იღებდნენ.

იმ დღეს ჩვენი თანამშრომლების დიდმა ნაწილმა გაზრდილი ხელფასი მიიღო. მათთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო და ახალმა ამბავმა მათი გულები მადლიერებით აავსო. ერთი ახალგაზრდა ქალი იმ კვირას სამსახურიდან წასვლას აპირებდა. სხვა შტატში უნდა გადასულიყო თავის მშობლებთან, რადგან ფინანსურად მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმ დღეს მან წლიურ ხელფასს ზევით ხუთი ათასი დოლარი მიიღო დამატებით და სამსახურიდან წასვლა გადაიფიქრა,

ეს ქალი კიდევ რამდენიმე წელი დარჩა ჩვენთან იმ შემთხვევის შემდეგ და მალე დეპარტამენტის ზედამხედველის თანამდებობაზე დაწინაურდა. ის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და დაფასებული თანამშრომელი გახდა. იმ წლების მანძილზე, რაც ჩვენთან მუშაობდა, ნახტომებით იზრდებოდა. ჟრუანტელი მივლის იმის ფიქრში, თუ რამდენ რამეს დაკარგავდა ის ახალგაზრდა ქალი და მესინჯერი, ფინანსური პრობლემების გამო სამსახური რომ დაეტოვებინა.

ჩვენი ჯილდო მხოლოდ ამ შემთხვევით როდი შემოიფარგლა. ეს მთელ მსახურებას შეეხო. ჩანდა, რომ შტატის ნაყოფიერება იმ დროიდან მოყოლებული ერთიანად გაიზარდა. ჩვენ ეფექტურობის ახალ დონეზე ავედით. საკუთარი თანამშრომლების პატივისცემამ დიდი პროდუქტიულობის ჯილდო მოგვიტანა.

აქ ერთი გაფრთხილებაა საჭირო. როგორც ადრე გითხარით, პატივისცემის მოთხოვნა ღვთის გულს ეწინააღმდეგება. პატივისცემა ორი მიზეზის გამო უნდა გვინდოდეს: პირველი, რომ ისევ ღმერთს დავუბრუნოთ გულში და მეორე, მის გამო, ვინც იძლევა, ვიცით რა, რომ ის საზღაურს მიიღებს. ჩემი მსახურების ადრეულ წლებში ერთი დიდი ეკლესიის დამხმარე პასტორად ვმუშაობდი. მინიმალურ ხელფასს გვიხდიდნენ. თვიური შემოსავალი მხოლოდ არსებობისთვის საჭირო ხარჯებს ფარავდა და არაფერი რჩებოდა ტანსაცმლის ან ავეჯის შესაძენად. ამაზე თანახმა ვიყავით; სულ ეს იყო, რაც შემოგვთავაზეს. არ გვინდოდა, მომთხოვნი დაქირავებულები ვყოფილიყავით.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ხელფასის გაზრდა არ შემოგვთავაზეს. ორი წელი გავიდა და ისევ არაფერი. ახლა უკვე ერთი კი არა, ორი შვილი გვყავდა. საცხოვრებელი ხარჯები იზრდებოდა და ისევ იმ დონეზე ვიყავით, რითაც დავიწყეთ.

ერთი მეგობარი, რომელიც ასევე დამხმარე პასტორი იყო, ჩემს ოფისში რამდენჯერმე მოვიდა იმ ორი წლის მანძილზე და მთხოვა, სხვა დამხმარე პასტორებთან ერთად მივსულიყავით ადმინისტრატორსა და უფროს პასტორთან ხელფასის გაზრდის მოთხოვნით.

ვუთხარი, რომ ამაში მონაწილეობას არ მივიღებდი და ვურჩიე, არც მას გამოედო თავი.

– ჩემი საქმე არ არის მათთვის იმის სწავლება, როგორ მცენ პატივი, – ვუთხარი მე.

მეგობარი შემეწინააღმდეგა:

– ჯონ, მე და ჩემს ცოლს ოჯახის დახმარება გვჭირდება. ჩემი მშობლები ფულს გვიგზავნიან, რომ თავი გავიტანოთ.

ვუთხარი, რომ ვწუხდი ამის თაობაზე, მაგრამ მე ღმერთზე მინდობას გავაგრძელებდი. ვცდილობდი მისთვის რწმენა ჩამეგონებინა, რომ ჩვენი წყარო ღმერთია და არა ჩეკების წიგნაკი. თუმცა ჩანდა, რომ ამაოდ გავისარჯე.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ოჯახი ფინანსური ზეწოლის ქვეშ არ იყო, რადგან ნამდვილად ვიყავით, თუმცა გულში მშვიდობა გვქონდა და იმ წლებში არაფერი მოგვკლებია. სახლში მინიმალური ოდენობის ავეჯი გვქონდა: უთავო საწოლი, ორი პატარა ორადგილიანი დივანი, რამდენიმე ტუმბო და ლამფები, ასევე სამზარეულოს მაგიდა და სკამები პირველ სართულზე. მიუხედავად ამისა, სულ რაღაც ერთ წელიწადში დავინახეთ, როგორ სასწაულებრივად აავსო ღმერთმა ჩვენი სახლი ავეჯით და მათი დიდი ნაწილი მშვენიერი დიზაინისა და შეკვეთით დამზადებული ნაჭრები გახლდათ. გაოცებული ვიყავით ღვთიური უზრუნველყოფით.

ორ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ჩვენმა პასტორმა მოგზაური მქადაგებლის მსახურებაზე გვაკურთხა. ხელფასს მეტად ვეღარ ავიღებდით. მხოლოდ სამასი დოლარის გადანახვა შევძელით, ხოლო სახლისა და მანქანის ყოველთვიური გადასახადი ერთად თვეში ათას დოლარამდე ადიოდა. კიდევ უფრო საინტერესო ჩანდა უფლის მითითება, რომელიც ლოცვაში მივიღე – არც ერთი პასტორისთვის არ უნდა დამერეკა ან მიმეწერა მსახურების შესათავაზებლად. მითხრა, რომ მას უნდა მივნდობოდი.

1989 წლის ნოემბრის ბოლოს მხოლოდ ორი მსახურების ადგილი მქონდა დაგეგმილი. პირველი იყო ასი წევრისგან შემდგარი პატარა ეკლესია, რომელიც დამკრძალავი ბიუროს შენობაში იკრიბებოდა სამხრეთ კაროლინაში. ეს მოწვევა იანვრის პირველ კვირას მივიღე. მეორე მსახურება თებერვლის ბოლოს დაიგეგმა ორასწევრიან პატარა ეკლესიაში ტენესის შტატში. გადასახადები ხელფასიდან დეკემბრის ბოლო კვირაში უნდა ჩამოეჭრათ. ღმერთს უნდა მივნდობოდით.

ჯერ კიდევ დამხმარე პასტორობისას რომ არ მესწავლა ღმერთზე მინდობა, ვერ გავუძლებდი ზეწოლას, რომელიც ახალი მსახურების დაწყების წინ მოვიდა. ეს მეტისმეტად

დიდი დაბრკოლება იქნებოდა, ღვთის ნაცვლად ადამიანისგან უზრუნველყოფის იმედი რომ მქონოდა. ალბათ, ხვეწნას დავიწყებდი ან ფონდების მოზიდვის რაიმე მეთოდით დავკავდებოდი, ეს კი მთელ ჩემს ძალისხმევას შთანთქავდა, რაც ღვთის ძიებისთვის უნდა მომენდომებინა მისი ხალხისთვის საჭირო სიტყვის მისაღებად.

ჩემი ეკლესიიდან მიღებული დაბალი ხელფასი საოცარი კურთხევით დასრულდა. ჩემი მეგობრისთვის რომ მომესმინა, რომელსაც უფროსი პასტორისთვის ხელფასის გადახდის წესის (პატივისცემის) სწავლება სურდა, დარწმუნებული ვარ, იქ არ ვიქნებოდით, სადაც ახლა ვართ. საკუთარი მსახურების დაწყების პირველივე წელს უნდა მივნდობოდით ღმერთს, რომ ერთ კვირაში ათას დოლარს მოგვცემდა. ამ წიგნის წერის მომენტისთვის ღმერთს ვენდობით, რომ მსახურების წარსამართავად კვირაში ასოცდახუთი ათას დოლარს მოგცემს. ეს საოცარი ახალი ამბავია. ძილი ოცდაათი წამითაც კი არ გამიტეხია საკუთარ ფინანსებზე საფიქრელად ოცდაათწლიანი მსახურების განმავლობაში.

თუ ვინმესთვის მუშაობთ, მთელი გულით იმუშავეთ შეთანხმებულ ხელფასზე. თუ დამქირავებელს პატივს მიაგებთ შესანიშნავი შრომით და თქვენი ძალისხმევის 100%-ს მოახმართ დაკისრებულ მოვალეობას, ღმერთი სამაგიერო ჯილდოს მოგიზღავთ. ეს ან დამქირავებლისგან მოვა ან სხვა გზებით, რომელსაც ღმერთი ამოირჩევს. საბოლოოდ, დაჯილდოებული იქნებით. როცა ეკლესია დაბალ ხელფასს გვიხდიდა, ღმერთმა დიდად გვაკურთხა. ჩვენი სახლი ავეჯით აივსო, მანქანა გვყავდა და მაგიდაზე საჭმელი ყოველთვის იყო. იმაზე გაცილებით კარგად ვცხოვრობდით, რაც ჩვენი შემოსავლით იყო შესაძლებელი. ჩვენთვის რეალური გახდა წმიდა წერილის ეს მონაკვეთი: „მართლის მცირედი სჯობია უკეთურთა დიდ სიმდიდრეს“ (ფს. 37:16). ღმერთი პატივს მოგვაგებდა.

როგორია დასკვნა? თუ დაქირავებული თანამშრომელი ხართ, გულში ჩაიბეჭდეთ შემდეგი: თუ ღმერთს პატივს მიაგებთ და თქვენი დამქირავებლისთვის 100 %-იანი ძალისხმევით იშრომებთ, საზღაურს მიიღებთ. მეორე მხრივ, თუ დამქირავებელი ხართ, იცოდეთ, რომ თანამშრომლების პატივისცემით სარგებელს მიიღებთ, როცა მათი უნარები აყვავდება. დამქირავებლებო და პასტორებო! ღმერთმა ფარული ჯილდოები ჩადო თქვენს ხალხში. ამოიღეთ ისინი! პატივი მიაგეთ მათ ყველა შესაძლო გზით!

14

პატივისცემა სახლში _ შვილები

ადგილობრივ ეკლესიაში შვიდი წლისა და მოგზაური მქადაგებლის თითქმის ოცდაათწლიანი მსახურების შემდეგ მივხვდი, რომ პატივისცემის დიდი საჭიროება არც ეკლესიაში და არც სამუშაო ადგილზე არ იგრძნობა ისე, როგორც საკუთარ სახლებში. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური, სამოქალაქო და საეკლესიო წრეები დიდ სარგებელს ნახავენ, როცა მამები და დედები პატივისცემის ნიმუშს თავიანთ ოჯახებს აჩვენებენ. შეუძლებელია ამით ზეგავლენა არ მოვახდინოთ ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე.

მშობლის სიტყვის ძალა

წინა თავში ვილაპარაკეთ, რამდენად მნიშვნელოვანია, როცა შვილები მშობლებს პატივს მიაგებენ. საპირისპიროს მტკიცებაც ჭეშმარიტია. პატივისცემა დაფასებას ნიშნავს. თუ შვილებს ვაფასებთ, ისე მოვექცევით და დაველაპარაკებით, რომ ცხოვრებაში აყვავდებიან.

პერიოდულად მესმის, როგორ მიმართავენ მშობლები თავიანთ შვილებს დამამცირებელი სიტყვებით ისე, რომ მეც კი მანგრევს. ეს შეიძლება იყოს ნაზი გოგონასადმი მკაცრად მოლაპარაკე ან იმ ვაჟის კრიტიკოსი მამა, რომელმაც საფეხბურთო მოედანზე თავი სათანადოდ ვერ გამოიჩინა. შესაძლოა, დედა ისე მოქმედებდეს, თითქოს მისი შვილები არცხვენენ და საჯაროდ ამცირებს მათ. სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება.

როცა ჩემი ცოლი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, რაღაც განვითარდა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ლიზა აქტიური ადამიანი გახლდათ და ზედმეტი წონის პრობლემას არასოდეს შეუწუხებია. მის წონას ამოწმებდნენ საზაფხულო ბანაკებში და პედიატრთან ვიზიტებისას. ნებისმიერი მატება ზრდის ნორმალური ტემპის მაჩვენებელი იყო.

ლიზა ერთი წლის განმავლობაში ცურვაზე დადიოდა ორ გუნდში, ამან მას საშუალება მისცა, რომ ეჭამა, რასაც მოისურვებდა, შემდეგ იყო ტრავმა, რის გამოც საშუალო სკოლის ზედა კლასებში ცურვას თავი დაანება. მისი აქტიურობის დონემ დაიწია, თუმცა ისევ იგივე რაოდენობის საჭმელს ჭამდა, როგორც ცურვაზე ვარჯიშისას.

ერთ დღეს, როცა სკოლიდან დაბრუნდა, მამამ დაუძახა. მან ლიზა აათვალიერ-ჩაათვალიერა და იმედგაცრუებული ტონით უთხრა, რომ შემობრუნებულიყო. როცა მისი შეფასება დაასრულა, წარმოთქვა:

– ოჰო, ეს ჯინსები მჭიდროდ გაქვს! რამდენს იწონი?

ლიზამ საზაფხულო ბანაკის დროინდელი წონა დაუსახელა.

მამა უკმაყოფილო დარჩა:

– არ არსებობს, რომ ასე ცოტას იწონიდე! ალბათ, 135 ფუნტი მაინც იქნები! ახლავე წადი და აიწონე!

ლიზა სირცხვილისა და დაბნეულობის გრძნობამ მოიცვა. იგი მშობლების საწოლი ოთახისკენ გაემართა, სადაც მათი საოჯახო სასწორი იდო. მისდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ თითქმის 140 ფუნტს იწონიდა.

ლიზა უკან დაბრუნდა და მამას შედეგი მოახსენა. მამამისმა არცთუ ორაზროვნად მიახვედრა, რა გრძნობა დაეუფლა მისი გასუქების გამო. ზედმეტი წონა სულაც არ იყო მიმზიდველი და ბიჭები არც კი შეხედავდნენ ამის გამო. როცა ლექცია დასრულდა, ლიზა თავისი ოთახისკენ გაემართა, ტანთ გაიხადა და სხეული დაკვირვებით შეათვალიერა; ეს იყო პირველი მომენტი, როცა ის შეიძულა.

იქედან მოყოლებული, წონა მისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა გახდა. ქვეცნობიერად აღელვებდა საკუთარი პარამეტრები. ახლა უკვე მთლიანად მოიცვა ამ საკითხზე ფიქრმა. დაიწყო სირბილი და საჭმლის ულუფების შემცირება. ბიჭებმა ყურადღება მიაქციეს და მას ეს მოეწონა. ამრიგად, მის გონებაში გარკვეული პარალელები წარმოიშვა: *როცა გამხდარი ვარ, ძლიერი ვარ. ასე სიყვარულსა და ყურადღებას ვიმსახურებ; თუ გავსუქდები, მე მე აღარ ვიქნები.*

ასეთმა აზროვნებამ დაღმავალ სპირალზე გააქანა, სანამ ანორექსიისა და ბულემიის პრობლემამდე არ მივიდა. ლიზას საჭმლის მიმართ სიყვარულ-სიძულვილის გრძნობა განუვითარდა. მას ჭამა უყვარდა, მაგრამ გასუქება სძულდა. სხეულის გასაწმენდად საფაღარათო და შარდმდენი საშუალებების სმა დაიწყო. კოლეჯის პირველი წლისთვის მისი სხეული ამ წამლების გარეშე აღარ მოქმედებდა. ბოლოს, მას კლინიკაში ექიმთან მისვლა მოუხდა, რადგან კუჭში ვეღარ გადიოდა თვეზე მეტი ხნის მანძილზე. ღმერთმა ლიზა ყველა დონეზე განკურნა ოცდაორი წლის ასაკში და მისი ძლიერი დამოწმების ნახვა შეგიძლიათ წიგნში *„თქვენ ის არ ხართ, რასაც იწონით“*.

ალბათ, გაინტერესებთ, შეიძლებოდა თუ არა ამ ყველაფრის თავიდან აცილება, მამამისი ლიზას სხვაგვარად რომ მოქცეოდა? რა მოხდებოდა, ქებისა და მიღების სიტყვები რომ წარმოეთქვა მისი გარეგნობის გამო შინაგანი ნგრევის ნაცვლად? რა იქნებოდა, ჯანსაღი წონის შენარჩუნებასა და საკვების რაოდენობასთან დაკავშირებით კონსტრუქციული რჩევა რომ მიეცა? სხვაგვარად შეხედავდა თუ არა ლიზა საკუთარ თავს?

მაქვს მოწმობა, თუ როგორ მოქმედებს ეს ჩვენს ქორწინებაში. როცა ლიზა ცოლად მოვიყვანე, 116 ფუნტს (დააახლოებიეთ, 52 კგ) იწონიდა. გამუდმებით ვუმეორებდი მას, თუ რა ლამაზი იყო და რა შესანიშნავად გამოიყურებოდა სპორტულ სამოსში. ქორწინების პირველი წლის შემდეგაც არ შემიწყვეტია მისი შექება და მოწონება. არც მაშინ, როცა ორსულად იყო ან შვილებს ძუძუთი კვებავდა.

უბრალოდ, ვაგრძელებდი მისთვის თქმას: „რა დიდებულად გამოიყურები“ ან „ოცი წლის ასაკში რომ ეთქვათ, შენი ცოლი ამდენი წლის შემდეგაც ასე მშვენიერი იქნებაო, ალბათ, წვეულებას მოვაწყობდი!“ ან „ოჰო, დღეს უკეთ გამოიყურები ვიდრე მაშინ, როცა დავქორწინდით!“ და ამას გულწრფელად ვამბობ, რადგან მას ასე ვხედავ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემთვისაც სასარგებლოა, რადგან ყოველთვის ვეძებ ლიზას აშენების გზებს. ეს ჩემი ღვთივბოძებული პასუხისმგებლობაა.

პავლე კონკრეტულად ამბობს: „ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს. ვინაიდან არავის არასოდეს მოსძულებია თავისი სხეული, არამედ კვებავს და უვლის მას, ისევე როგორც უფალი ეკლესიას“ (ეფეს. 5:28-29, ხაზგასმა ჩემია). ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *კვებავს*; ეს ნიშნავს ყველაფრის მიწოდებას, რაც მის ზრდას ემსახურება. ყოველთვის ვეძებ ჩემი ცოლის სიტყვებით გამოკვების გზებს.

ამ საკითხს უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში შევეხები, რადგან ესეც პატივისცემის ნაწილია.

მთელი იმ დროის მანძილზე, როცა ჩემს ცოლს ვკვებავდი, ლიზას მტკიცედ სწამდა ღვთიური სიბრძნისა და აღთქმების, რომლებიც ღმერთმა განკურნებისას მისცა. ღმერთი აგრძელებდა იმ საკითხების სრულყოფას, რომელიც მას აღელვებდა. მის მხარდასაჭერად შევქმენი ატმოსფერო, სადაც ჩემი ცოლი დაუბრკოლებლად ერწმუნებოდა უფალს. ქორწინების ოცდაჩვიდმეტი წლისა და ოთხი შვილის გაჩენის შემდეგ ის ისევ იმ წონაზეა, რომელიც დაქორწინებისას ჰქონდა. მას არ აქვს ვარჯიშის ჩვევა, ამიტომ ზოგიერთი იტყოდა, რომ გენეტიკურად კურთხეულია. თუმცა მე უკეთ ვიცი. კარგად მახსოვს შეშინებული, დაუცველი გოგო, რომელიც ოცზე ცოტა მეტი წლის ასაკში ზედმეტ წონას ებრძოდა.

ბავშვები ჩვენი ჯილდოა

მშობლები შვილების მიმართ უპატივცემულობას არა მარტო მკაცრი ან უარყოფითი სიტყვების თქმით იჩენენ, არამედ შესაბამის დროს ქებისა და მიღების გამომხატველი სიტყვების უგულებელყოფითაც. ბავშვებს ხშირი გამხნევება, მიმართულების მიცემა და დაფასება სჭირდებათ. აუცილებელია მათთვის იმის თქმა და საქციელით ჩვენება, რომ უყვართ და აფასებენ. თუ ასე არ იქნა, დიდია შესაძლებლობა, რომ ამ ყველაფერს არასწორ ადგილას მოძებნიან. ძეებსა და ასულებს მხარდაჭერა სჭირდებათ, მაგრამ თუ მშობლები უმწიფარი ხასიათის თვისებებსა და ნაკლოვანებებს ხაზს ხშირად გაუსვამენ, მცდარ მესიჯს გაგზავნიან და იმის საწინააღმდეგოს მოიმკიან, რაც მათი შვილების ზრდისა და სიმწიფისთვის არის საჭირო.

სერიოზული ზიანია მოსალოდნელი იქ, სადაც ქების გამომხატველ რამდენიმე სიტყვას გარკვეული შესწორების შეტანა და ამით ტკივილის თავიდან აცილება შეეძლო. ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ეს მშობლები ვერ ხედავენ თავიანთ როლს სამომავლო შედეგებში. იმედგაცრუებულები შესჩივიან მეგობრებს, თუ რა ძნელადაღსაზრდელები არიან მათი შვილები, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ მიერ დაწუნებული ხასიათის თვისებები ადვილად გამოსწორდებოდა სათანადო პატივისცემის გამოჩენით.

დედ-მამის სიტყვები მძიმედ აისახება ძის ან ასულის ცხოვრებაზე. როცა წარმოთქმულია დამარცხების, წარუმა-

ტებლობისა და სისუსტის სიტყვები, ბავშვის მომავალში მისი შედეგები უბრალო დაბრკოლებიდან სერიოზულ ნგრევამდე მერყეობს. ხშირად მშობლები სულ უფრო უკმაყოფილო არიან ბავშვის ქცევით, რადგან მდგომარეობა თითქოს უარესდება და მანკიერი წრე იწყება. თუ სათანადო მზრუნველობა არ განხორციელდება, რეაქციული მოპყრობა მშობლებს კიდევ უფრო დააშორებს იმ საზღაურისგან, რაც ღვთის ნებით შვილების მეშვეობით უნდა მიეღოთ. ჩვენ ვკითხულობთ:

„შვილები - მემკვიდრეობა უფლისგან, მუცლის ნაყოფი - მისი საზღაური“.

– ფს. 127:3

წერილში პირდაპირ მინიშნებას ვხედავთ ჩვენი შვილების მეშვეობით მიღებულ საზღაურზე. უფრო მეტ მშობელს რატომ არ სწამს მშობელსა და შვილს შორის არსებული აღთქმისა? ჩანს, რომ საქმე საპირისპიროდაა. ხშირად მინახავს, როგორი შეწუხებული არიან მშობლები ახალგაზრდა ზრდასრული შვილების გამო: „ნეტა შემეძლოს ჩემი მოზარდის ჩაკეტვა, სანამ ოცს არ გადააბიჯებს“ ან „რატომ არ შეგვიძლია, უბრალოდ, გვერდი ავუაროთ მოზარდობის წლებს?“ მახსოვს, როგორ მესმოდა მსგავსი განცხადებები, როცა ჩვენი ოთხი ბიჭი ჯერ კიდევ ჩვილები იყვნენ. ამან შემაშფოთა. ჩემთვის ვფიქრობდი, *ნუთუ ბიჭები მონსტრებად უნდა იქცნენ სიჭაბუკის ასაკში?*

თუმცა რამდენიმე ნათელი აზრი მომივიდა, რაც სხვა მშობლებს არ გამოუცდიათ. ამრიგად, ნება მომეცით, თქვენდა სასიკეთოდ გაგიზიაროთ. ორი უფროსი შვილის ჩვილობისას ახალგაზრდების პასტორი ვიყავი. ამ პოზიციაზე ყოფნისას მრავალი ოჯახის სახლის კარი ღია იყო ჩემთვის, რადგან საკონსულტაციო საქმიანობას ვეწეოდი. დიდი ხანი არ გასულა, რაც ასეთი ქცევის ნიმუში აღმოვაჩინე. როცა მშობლები მთელ ენერგიას შვილების უარყოფითი ქცევების კრიტიკას ახმარენ, ისინი უფრო უარესად იქცევიან. როცა მშობლები მათზე ღვთის აღთქმებს აღიარებენ, ბავშვები თანდათან ნათქვამის შესაბამისად გარდაიქმნებიან. ამას სრული აზრი ეძლევა კორინთელების მიმართ პავლეს მეორე წერილის ფონზე: „რადგან ვუყურებთ არა ხილულს, არამედ - უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი — საუკუნო“ (4:18).

ღვთის აღთქმები მისი ურყევი სიტყვის უხილავი ჭეშმარიტებების სამყაროშია ჩამოწერილი, რომლებიც

ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. მე და ლიზა რეგულარულად ვაღიარებდით ღვთის აღთქმებს ჩვენს შვილებზე. სანამ ისინი ლაპარაკს ისწავლიდნენ, „მოწაფეებს“ ვეძახდით, [„უფლისგან იქნებიან დამოძღვრილი და დიდი იქნება შენი ძეების კეთილდღეობა“] (ეს. 54:13). ისინი იყვნენ ჩვენი წამახული ისრები (ფს. 127:4), ნიშნებისა და სასწაულებისთვის დაბადებულნი (ეს. 8:18) და სხვა შესანიშნავ აღთქმებს, რომელთაც ღვთის სიტყვაში ვპოულობდით.

სიფრთხილით შევარჩიეთ მათი სახელები. თავდაპირველად, მათი მნიშვნელობა მოვიძიეთ და შემდეგ ღვთის წინაშე ლოცვით მივიტანეთ. გვინდოდა ის დაგვეძახა მათთვის, როგორებიც გახდებოდნენ. ჩვენი პირმშო ედისონ დევიდის სახელი ნიშნავს „ნდობისს ღირსსა და საყვარელს“. მეორე ვაჟის, ოსტინ მაიკლის სახელია „ღვთის მსგავსი სამეფო პიროვნება“. ჩვენი მესამე ვაჟი, ჯოშუა ალექსანდერის სახელი ნიშნავს „ღმერთი იხსნის და იცავს კაცობრიობას“. მეოთხე ვაჟს, არდენ ქრისტოფერი ქვია, რაც ნიშნავს „თავდადებული და ანთებული, რომელიც ქრისტეს მსგავსია“.

ყოველთვის, როცა შვილებს სახელებს ვეძახით, გააზრებული გვაქვს, რა არის ნათქვამი მათ ცხოვრებაზე. ჩვენ, როგორც მათ მშობლებს, ღვთისგან ბოძებული პრივილეგია და ძალაუფლება გვაქვს, რომ კურთხევა გამოვუშვათ მათ ცხოვრებაში. თითოეული შვილი მისი სახელის მახასიათებლის შესაბამისად იზრდება – არა მარტო აღიარების, არამედ ნათქვამი სიტყვის რწმენის გამო.

გვქონდა თუ არა იმის რწმენის ალბათობა, რომ ყველაფერი ჩვენი ნალაპარაკის საწინააღმდეგოდ მომხდარიყო? მიამიტობა იქნებოდა ფიქრი, რომ არ გვქონდა. იყო მომენტები, როცა ისინი თავიანთი სახელების მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ. ჩვენ მათთვის შესწორება და წვრთნა გვჭირდებოდა, მაგრამ მათ ქცევებს გავუმკლავდით და დავიცავით ჩვენი ნათქვამი მათ ხასიათზე. (გვერდითი შენიშვნის სახით გეუბნებით, რომ ღვთიური კონფლიქტი კარგია, მაგრამ ხასიათს თუ შევუტევთ ნაცვლად იმისა, რომ ქცევა შევუსწოროთ, ჩვენი მცდელობა დამაზიანებელი გახდება).

ოჯახური ტრაგედია

ახალგაზრდების პასტორობისას კიდევ ერთი ცხოვრებისეული გაკვეთილი შევითვისე: აუცილებელი დისციპლინის უგულებელყოფის ტრაგედია. სანამ იმაზე ვიმსჯელებდეთ,

რის მოწმეც თავად გავხდი, ნება მომეცით, მაგალითი წმიდა წერილიდან მოვიყვანო.

მეფე დავითს სხვადასხვა ცოლებისგან ბევრი შვილი ჰყავდა. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ორ მათგანზე: პირმშო ამნონსა და რიგით მესამე აბესალომზე. ამნონმა დიდი ბოროტება გაუკეთა თავის ნახევარდა თამარს, აბესალომის ღვიძლ დას. თავი მოიავადმყოფა და მამას საჭმლის მოსამზადებლად თამარის გამოგზავნა სთხოვა. როცა ქალწული შემოვიდა, ამნონმა მსახურები დაითხოვა და დაზე ძალა იხმარა. ამის შემდეგ ძალიან შეიზიზღა და თავისი საწოლი ოთახიდან გამოაგდო. მან სამეფო გვარის ქალწული პრინცესა შეურაცხყო და საქვეყნოდ სირცხვილი აჭამა.

აბესალომი ამნონის ბოროტებამ განარისხა. მან ნახევარძმა შეიძულა დის შერცხვენის გამო. იგი უჩუმრად იცდიდა. ფიქრობდა, რომ მეფე დავითი ნამდვილად დასჯიდა ამნონს და სამართლიანობას აღადგენდა.

დრო გავიდა, მაგრამ მეფემ არაფერი მოიმოქმედა. მიუხედავად მისი აღშფოთებისა, ამნონი არ დაუსჯია. აბესალომი განადგურებული იყო. მან თამარი თავის სახლში მიიყვანა და არჩენდა.

ერთ დროს მას მეფის ქალწული ასულების მოსასხამი ემოსა, ახლა კი სირცხვილით იყო შემოსილი. მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ისრაელიანები დიდად აფასებდნენ, ახლა განმარტოებით ცხოვრობდა. ვინ მოინდომებდა მის ცოლად მოყვანას, როცა უკვე დაკარგა ქალწულობა? ეს უსამართლობა იყო. მისი ცხოვრება დასრულდა, ხოლო კაცი, რომელმაც მას ეს ბოროტება დამართა, ცხოვრებით ტკბებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ახალგაზრდა ქალმა მარტომ იტვირთა ამ შემთხვევის მთელი სიმძიმე და უღონოდ მილასლასებდა ცხოვრების გზაზე.

დღეები გადიოდა და აბესალომს გული უკვდებოდა ნაღვლიანი დის შემყურე. პრინცესის ოცნებები კოშმარად გადაიქცა. აბესალომი უკვე ერთი წელია ელოდებოდა, მაგრამ მეფე არაფრის გაკეთებას არ აპირებდა. ამასობაში ამნონის მიმართ სიძულვილი უფრო გაუღვივდა და მამის უმოქმედობის გამო წყენამაც გაიდგა ფესვები მის გულში.

ორი წელი გავიდა და ამნონისადმი სიძულვილი მისი მოკვლის სურვილში გადაიზარდა. აბესალომმა გულმოდგინედ დაგეგმა დის გამო შურისძიება. რატომ არ უნდა მოქცეულიყო ასე, როცა სათანადო ძალაუფლების მქონეებმა უმოქმედობა ამჯობინეს? აბესალომმა წვეულება გამართა დავითის ყველა ძისთვის და

როცა ამნონი ყველაზე ნაკლებად ელოდა, მოკლა ის და გეშურში გაიქცა. ამნონზე შურისძიების წყურვილი დაკმაყოფილებული იყო. მიუხედავად ამისა, მამის უმოქმედებით წარმოქმნილი წყენა გადასახლებაში კიდევ უფრო მწველ ცეცხლად აგიზგიზდა. ერთი კითხვა ამ ცეცხლზე ნავთს ასხამდა: *რატომ არავინ გამოგზავნა მამამ ჩემთან?* წყენა ნელ-ნელა სიძულვილად გადაიქცა.

აბესალომის ფიქრებს გამწარება თანდათან წამლავდა. ახლა ის დავითის ბოროტებების ექსპერტად იქცა. კრიტიკამ მოიცვა მისი ცხოვრება. და მაინც ჰქონდა იმედი, რომ მამა თავისთან მოიხმობდა. დავითი დუმდა. ამან უფრო გაახელა მისი სიძულვილი.

წარმოიდგინეთ მისი ფიქრები: *მამაჩემი ისე ამაღლებულია ხალხის მიერ, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ მის ნამდვილ ბუნებას. ის ანგარებიანი კაცია, რომელიც ღმერთს საფარად იყენებს. რით არ არის ის მის წინამორბედ საულზე უარესი? მან ტახტი იმიტომ დაკარგა, რომ ყამალეკის მეფის მოკვლაზე უარი თქვა და საუკეთესო ცხვარ-ძროხა დაინდო. მამაჩემმა მისი უერთგულესი კაცის ცოლთან იმრუშა, შემდეგ ამის დასაფარად ქმარი მოაკვლევინა. მამაჩემი მკვლელი და მრუშია. სწორედ ამიტომ არ დასაჯა ამნონი!*

აბესალომმა სამი წელი გეშურში გაატარა. დავითმა ამნონის სიკვდილი გამოიგლოვა, ხოლო იოაბმა მეფე დაარწმუნა, რომ აბესალომი იერუსალიმში დაებრუნებინა.

დრო გადიდოდა და აბესალომის სიძულვილი იზრდებოდა. მან მამამისით უკმაყოფილო ადამიანები შემოიკრიბა. ეს მთელი ისრაელის მასშტაბით განახორციელა. იგი მათ საჩივარს ისმენდა და თან ქვითინით ამატებდა, რომ მათ დახმარებას იმ შემთხვევაში შეძლებდა, მეფე რომ ყოფილიყო. ვაგლახ, რომ ასე არ იყო. იგი განსჯიდა იმ საქმეებს, რომელთათვისაც მეფემ ვერ მოიცალა. შესაძლოა, აბესალომი იმიტომ არჩევდა ამ საქმეებს, რომ საკუთარ ცხოვრებაში სამართალი ვერ ჰპოვა. ისე ჩანდა, რომ ხალხზე მართლაც გული შესტკიოდა. ბიბლია ამბობს, რომ მან მამამის დავითს ისარელიანთა გულები მოპარა. ნუთუ მართლა აღელვებდა ხალხის ბედი თუ საძულველი მამის ტახტიდან ჩამოგდების გზებს ეძებდა?

აბესალომმა ისრაელი თავისკენ მოიზიდა და მამის წინააღმდეგ აჯანყდა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ მეფე დავითს სიცოცხლის გადასარჩენად გაქცევა მოუხდა. გარკვეული დროის მანძილზე ისე ჩანდა, რომ აბესალომი ახალ მეფედ დაფუძნდებოდა, მაგრამ დავითის დევნისას მოკლეს. ასეთი სასჯელი ეწია მას მიუხედავად იმისა, რომ დავითმა მისი ძისთვის ხელის ხლება აკრძალა.

აბესალომი საკუთარმა სიძულვილმა და გამწარებამ შთანთქა. ეს დიდი შესაძლებლობის მქონე ადამიანი და ტახტის მემკვიდრე ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაიღუპა. შესაძლებელი იყო თუ არა ამის თავიდან არიდება, მამას ამნონი სათანადოდ რომ დაესაჯა? სრულიად შესაძლებელია. რას ვიტყვით თამარზე? სავარაუდოდ, ის სიმწარესა და მარტოობაში გარდაიცვალა. იქნებოდა თუ არა მისი ცხოვრება სხვანაირი, მამამისს ამნონი რომ დაესაჯა? ნამდვილად იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ღვთიური დისციპლინის გამოყენებით. დავითმა პატივი არ მიაგო არც ერთ შვილს, როცა უარი თქვა მათ მიმართ საჭირო შესწორებების გამოყენებაზე.

უპატივცემულობა დისციპლინაზე უარის თქმით

მოდი, დავუბრუნდეთ ჩემს დაკვირვებებს ახალგაზრდობის პასტორობისას. მშობელთა უმრავლესობას, რომლებიც ჩემს კაბინეტში მოხვედრილან, არ სჯეროდა წვრთნის საჭიროება. მეფე დავითის მსგავსად, მათაც უარი თქვეს ბავშვების გამოსასწორებელ დასჯაზე. მშობლებს სჯეროდათ, რომ დაუმორჩილებელი ქცევის მიუხედავად თავიანთი ვაჟებისა და ქალიშვილების „სიყვარული“ მართებდათ, მაგრამ მათი მიდგომა არასწორი გახლდათ. მათი შვილები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ – აჯანყებულები და უპატივცემულოები და მათი დამოკიდებულება ყველა სფეროში ვლინდებოდა ძალაუფლების წარმომადგენელთა მიმართ: სკოლაში, სამუშაოზე, ახალგაზრდულ ჯგუფსა და სხვაგან.

საინტერესოა, რომ ეს ახალგაზრდები მშობლების „სიყვარულის“ საპასუხოდ, რომლებიც მათი დასჯისგან თავს იკავებდნენ, მხოლოდ ზიზღს გამოხატავდნენ. ეს ირონიულიც იყო და თან საშინელი. ირონიული იმიტომ, რომ იკარგებოდა და იმის საპირისპირო ხდებოდა, რის მიღწევაც შვილების სიყვარულით სურდათ, ხოლო ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ბავშვები დამანგრეველ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რაც მათ ოჯახებს ძვირად დაუჯდებოდათ მომავალ წლებში.

მახსოვს, როგორ მოურიდებლად მივეცი შენიშვნა ერთ ახალგაზრდა ქალს მშობლებთან არასწორი მიმართვის გამო, როცა ყველანი ჩემს კაბინეტში იყვნენ შეკრებილნი. ვიფიქრე, *მე რატომ უნდა ვაკეთებდე ამას? რატომ არ უნდა უსწორებდეს მამამისი და დედამისი?* ისინი მტკიცედ მიყვებოდნენ აღებულ მიმართულებას, რომ „ყვარებოდათ“ შვილები, რაც არ უნდა

დაეშავებინათ, თუმცა ღვთის სიტყვა სრულიად საპირისპიროს გვეუბნება. წმიდა წერილის თანახმად, მშობლებს, რომლებიც შვილებს არ წვრთნიან, სინამდვილეში სძულთ ისინი.

„ბრძენისგან დამოძღვრა სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის მახეების ამრიდებელი“.

– იგავები 13:14

ვუყურებდი ამ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც არეული ცხოვრებით იზრდებოდნენ. მათ ბევრი რთული პერიოდი და პრობლემა გამოიარეს. ამის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა, ცხოვრების ადრეულ წლებში სათანადო წვრთნა რომ მიეღოთ. რატომ? იმიტომ, რომ „წკეპლა და დარიგება სიბრძნეს იძლევა, ხოლო მიშვებული ყმაწვილი დედას არცხვენს“ (იგ. 29:15). რატომ არ მოუსმინეს მშობლებმა ღვთის სიტყვის რჩევას? ისინი ფიქრობდნენ, რომ ბრძენები იყვნენ, არსებითად კი, უპატივცემულობა გამოამჟღავნეს როგორც ღმერთის, ისე თავიანთი შვილების მიმართ.

ნიმუში საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა: როცა მშობლები შვილებს არ წვრთნიან, შვილებს მშობლები სძულთ. მეორე მხრივ, როცა მშობლები მეტისმეტად მკაცრები არიან და ბავშვებს პატივს არ მიაგებენ, შვილებს წყენა უგროვდებათ მათ მიმართ. ისინი ხშირად გულდაჭრილი არიან, რაც მათ პიროვნულ დისფუნქციებს იწვევს. ისინი ხშირად იტანჯებიან სხვადასხვა ტიპის შიშებით.

როცა ჩვენი შვილები არასწორად იქცეოდნენ, აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე შედეგიანი იყო სწრაფი და ხანმოკლე შენიშვნა. ამის შემდეგ ყველაფერი უნდა დასრულებულიყო. გულში უკმაყოფილების ან წყენის ჩატოვება არაჯანსაღი გახლდათ. შესწორებიდან მოკლე დროის შემდეგ ისევ ვიცინოდით და ერთმანეთს ვეხვეოდით. როცა ისინი პატიებას იღებენ, ეს იგივეა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. როცა ღმერთი გვპატიობს, ჩვენს ცოდვებს აღარ იხსენებს. დისციპლინის მიზანია შეცდომიდან გაკვეთილის სწავლა და არა დანაშაულის გრძნობის ტარება.

ლიზა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ჩვენს შვილებს კვებით, სიყვარულით და ალერსით. მე რეგულარული, ღვთისნიერი წვრთნის მტკიცე მომხრე ვიყავი. ჩვენ ვისწავლეთ ერთმანეთის ძლიერი მხარეების გამოყენება. ლიზას მაგალითით ვისწავლე სიყვარულის სიტყვიერად და ფიზიკურად გამოხატვა,

ხოლო ლიზამ, თავის მხრივ, წვრთნის მნიშვნელობა შეითვისა. ღვთისგან მოცემული ძალების შეერთების შედეგად დავინახეთ მისი კურთხევა ჩემი შვილების ცხოვრებაში.

ნაადრევი საზღაური

ჩვენმა უფროსმა ვაჟმა, ედისონმა საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და ამერიკის ათი ელიტარული ბიზნეს-უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში მოხვდა. მას ლექციები 2005 წლის სექტემბერში ეწყებოდა.

ედისონი ზაფხულის სამსახურის სახით ჩვენს მსახურებაში შრომობდა რამდენიმე წლის განმავლობაში და უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდეც იგივენაირად მოიქცა. ივლისის დასაწყისში დამირეკა. მის ხმაში, ცოტა არ იყოს, აღელვება შევნიშნე:

– მამა, შეიძლება რაღაცაზე დაგელაპარაკო?

მაშინვე მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო და თავი შევამზადე:

– რასაკვირველია, რაზე გინდა მელაპარაკო?

– მამა, არ მინდა უნივერსიტეტში წასვლა სექტემბერში. მინდა მსახურებაში შრომა გავაგრძელო და შენ და დედას დაგეხმაროთ სახარების გავრცელებაში, – მითხრა მან

დიდი დრო არ დამჭირვებია პასუხის გასაცემად. ვიცოდი, რომ უფალში მტკიცედ დადიოდა და ჩემთან არც კი წამოჭრიდა ამ თემას, წინასწარ რომ არ ელოცა. გულში სწორად მიმაჩნდა მისი გადაწყვეტილება. ჟრუანტელმა დამიარა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

– შესანიშნავია; სიამოვნებით მიგიღებთ სრული დროით დასაქმებულ თანამშრომლად, – ვუთხარი მე.

ახლა, ნება მომეცით, გითხრათ, რა მოხდა მომდევნო წელიწადნახევრის შემდეგ. ედისონის მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე თვე იყო გასული, როცა თანამშრომელთა შტატის დირექტორმა რეკომენდაციით მომმართა, რომ ჩემი ვაჟი ეკლესიებთან ურთიერთობის ზედამხედველის პოზიციაზე გადაგვეყვანა. ეს განყოფილება რამდენიმე წელი არსებობდა და ეკლესიებსა და პასტორებს ჩვენი ბევრი წიგნის თანმხლები სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ამარაგებდა. წინამდებარე წიგნის წერის მომენტისთვის აშშ-ს თითქმის ოცდახუთი ათასი ეკლესია და ავსტრალიის ათასზე მეტი ეკლესია იყენებდა მათ.

დაწინაურების რეკომენდაცია იმის გამო არ მიმიღია, რომ ედისონი ჩემი შვილი იყო. თანამშრომლები კონკრეტულად

გავაფრთხილე, რომ ჩვენს შვილებს სხვებისგან გამორჩეულად არ მოქცეოდნენ. პირიქით, მათთვის უფრო ძნელია როგორც ოჯახის, ისე თანამშრომლობის მიმართულებებში სწორად ორიენტირება. ჩემმა ზედამხედველმა სათხოვრით მომმართა, ამიტომ ვიცოდი, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ედისონის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხით და ლიდერობის უნარების საფუძველზე მიიღებდა.

რეკომენდაციაზე დავთანხმდი და ახლაც კი გაოცებული ვარ მიღებული შედეგებით. მომდევნო წელს ეკლესიებთან ურთიერთობის განყოფილება სამჯერ გაიზარდა. რომელ ეკლესიაშიც არ უნდა ჩავსულიყავი, ყველგან ახალი ამბებით მხვდებოდნენ, თუ როგორ ვითარდებოდა ურთიერთობები პასტორებსა და ედისონის დეპარტამენტის თანამშრომელი ბიჭების გუნდს შორის. ედისონს ბიძგის მიცემისა და გუნდის აღშენების ნიჭი ჰქონდა და მისი ენთუზიაზმი გადამდები იყო. მისი წინამძღოლობისას პასტორებისთვის ლოცულობდნენ, კითხვებზე პასუხობდნენ და თხოვნებზე დროულად რეაგირებდნენ.

აღმოვაჩინე, რომ ჩემი ძის პატივისცემით ღმერთმა არა მარტო მე დამაჯილდოვა, არამედ მისი მეშვეობით, მთელი ჩვენი ორგანიზაცია. იესომ გვითხრა, რომ მცირეთა პატივისცემის საზღაური არ დაგვეკარგებოდა. ჩემმა უფროსმა ვაჟმა ტვირთი მოგვაშორა და ურთიერთობები ისეთ დონეზე აიყვანა, რომელსაც ვერც კი წარმოვიდგენდით. ფაქტობრივად, იგი ღვთის სამეფოს რამდენიმე საოცარი კავშირის წყაროდ იქცა. ვინ იფიქრებდა, რომ ოცი წლის ბიჭის შინაგან სამყაროში ამდენი რამ ინახებოდა? არა მარტო ეს, არამედ მრავალმა ეკლესიამ, რომლებსაც ვერასოდეს ვესტუმრებოდი, ღვთის სიტყვა მიიღო სასწავლო პროგრამის რესურსების მეშვეობით. საბოლოოდ, ეს ნიშნავდა უამრავ ადამიანზე სასიკეთო ზეგავლენის განხორციელებას მარადისობის თვალსაზრისით!

დადგა დღე, როცა თანამშრომელთა შტატის დირექტორი პენსიაზე გავიდა. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ერთხმად განაცხადეს, რომ სწორი იქნებოდა ედისონის დანიშვნა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. მან ეს პოზიცია ჩაიბარა და რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად გამაოგნებელი ერთობა და ეფექტურობა დავინახეთ მთლიანი გუნდის ფარგლებში. იმდენად ბევრ რამეს მივაღწიეთ ორგანიზაციის სახით, რომ არ მეგონა, შესაძლებელი თუ იყო. უფრო ნაყოფიერი გავხდით და მხიარულების, სიხარულისა და საოცარი ეფექტურობის ატმოსფერო დატრიალდა.

ჩვენმა მეორე ვაჟმა, ოსტინმა ერთ წლის შემდეგ კოლეჯში სწავლა დაასრულა და გუნდს შემოუერთდა. იგი ჩვენი მარკეტინგის მენეჯერი გახდა. დასაწყისიდანვე მოიფიქრა ჩვენი სათქმელის ხალხისთვის გადაცემის ინოვაციური გზები. მან ჩამოაყალიბა გუნდი, რომელმაც მოახერხა ჩემი ცოლის წიგნის *„კონკურენციის გარეშე“* წარმოჩენა ისე, რომ ნიუ იორკის ბესთელერთა სიაში მოხვედრილიყო, ხოლო ჩემი წიგნი *„გაანადგურე კრიპტონიტი“* მრავალ ეროვნულ და საერთაშორისო ბესთსელერთა სიაში მოხვდა USA Today-ს ჩათვლით. როცა ლიზამ მომდევნო წიგნის დაბეჭდვა დააპირა, გამომცემელმა მარკეტინგისთვის ოსტინის გუნდის დაქირავება შესთავაზა.

ჩვენი მესამე ვაჟი, ალეკი, გუნდს მხოლოდ მას შემდეგ შემოუერთდა, რაც ბედი საინჟინრო საქმეში სცადა. მას აქვს სამყაროს სხვაგვარად დანახვის ნიჭი. ამან ალეკს მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღების შესაძლებლობა მისცა, რომლებიც ადამიანებს განაიარაღებენ და მძიმედ მისაღებ ჭეშმარიტებებს აწვდიან. ამ ძლიერ ვიდეორგოლებს მილიონობით ნახვა აქვთ YouTube-სა და Facebook-ზე და უამრავი ადამიანის ცხოვრებაზე საფუძვლიან გავლენას ახდენენ. წინამდებარე წიგნის წერის მომენტისთვის ალეკი ჩვენს პროდიუსერულ კომპანიას, *Messenger Studios* უძღვება.

ჩვენი მეოთხე ვაჟი, არდენი მესენჯერის გუნდს ვირჯინიისა და ავსტრალიის ადგილობრივ ეკლესიებში მსახურების შემდეგ შემოუერთდა. მან ორგანიზაციაში წამოიწყო ახალი მიმართულება, *ძეები* და *ასულები*, რომელიც ჩვენს ქადაგებებს *მილენიალებსა* (1981-1997 წლებში დაბადებულები) და *თაობა ზი*-ს (1998-2015) აწვდის ერთრანგოვანი ქსელის დონეზე. მესენჯერის ამ მიმართულებაზე მესმის ყველგან, სადაც კი მივდივარ და ძალიან მახარებს ენთუზიაზმით სავსე ჭაბუკებისა და ქალიშვილების დანახვა, რომლებიც იესოსთვის მსოფლიოს დაპყრობას ესწრაფიან სიწმინდითა და ერთიანობით.

ჩემი შვილები მაკვირვებენ. წლების მანძილზე ვლოცულობდი: „ზეციერო მამა, ეს ბიჭები ჩემი ბიჭები არ არიან, ისინი შენები არიან. მე მხოლოდ შენი კუთვნილების სახლმმართველი ვარ. ამრიგად, უფალო, შენი სურვილისამებრ განკარგე მათი ცხოვრება. თუ ისინი პლანეტის მეორე მხარეს გჭირდება, დაე, ასე იყოს. მე მხოლოდ ის მინდა გთხოვო, რომ შენი ნება აღასრულონ ცხოვრებაში“.

მართლა იმას ვგულისხმობდი, რასაც ვლოცულობდი. ვიცი, რომ არსებობს შანსი, როცა ისინი სხვა მიმართულებას აირჩევენ

და ერთმანეთს დავშორდებით, მაგრამ ახლა ღმერთმა ჩვენს ვაჟებთან ერთად შრომის პრივილეგია გვარგუნა და გვიყვარს სხვების ცხოვრებაზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა ღვთისგან ბოძებული განსხვავებული ნიჭების მეშვეობით.

როცა მე და ლიზა ორმოცდაათს გადავშორდით, ხანგრძლივი მემკვიდრეობის დატოვება განვიზრახეთ და ახლა მომდევნო თაობის საოცარი გზებით აყვავების ხილვა გვახარებს, რასაც ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდით. ჩვენმა ორმა ვაჟმა გამომცემლებთან კონტრაქტები გააფორმა მთავარ წიგნებზე და მოწიწება გვიპყრობს, როცა ვუყურებთ, რას აძლევს მათ ღმერთი თავისი ერის საკეთილდღეოდ.

იგივე ნიმუშს ვხედავ სხვა მშობლებთანაც, რომლებიც პატივს მიაგებენ თავიანთ ძეებსა და ასულებს. თუ ბავშვებს აფასებენ, ისინი ყვავიან და ამით ღმერთი გარკვეულ ჯილდოს აძლევს მათ პატივისმცემლებს. ეს საზღაური უფრო მეტად ნაყოფიერს გვხდის ადამიანთა ცხოვრებაზე მარადიული ზეგავლენის მოხდენაში. ეს მისი სიტყვაა, ეს მისი გეგმაა, ეს მისი სულიერი კანონია, რომელიც თავად იესოს ბაგეებმა წარმოთქვა. როცა მშობლები შვილებს კარგად წვრთნიან, უყვართ და ამით მათ პატივს მიაგებენ ღვთის მორჩილებაში, უფლისგან საზღაურის მიღების იმედი უნდა გვქონდეს. ხანდაზმულ წლებში სიხარული გვექნება და არა დარდი. ჩვენს ოქროს წლებს ძლიერება და მხარდაჭერა მოიცავს აღთქმისამებრ.

15

პატივისცემა სახლში _ ცოლი

სახლში მხოლოდ შვილები არ არიან ძალაუფლების ქვეშ, არამედ ცოლიც. ერთ-ერთ განხილულ თავში ვილაპარაკეთ, რამდენად მნიშვნელოვანია, როცა ცოლი პატივს მიაგებს ქმარს. საპირისპირო დამოკიდებულებაც ჭეშმარიტია, როგორც შვილების მაგალითზე განვიხილეთ.

პატივი მიაგეთ ცოლს

პეტრე ამბობს:

„თქვენც ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უფრო სათუთ ჭურჭლებს“.

– 1 პეტრ. 3:7

პეტრე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ცოლებს პატივი უნდა მიაგონ, ზოგიერთი მამაკაცი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის მნიშვნელობის თანახმად, ცოლი ქმარზე დაბლა დგას სულიერ საკითხებში. არა. „სათუთი ჭურჭელი“ არ ნიშნავს, რომ ცოლი თქვენს დაბლაა; ეს ნიშნავს, რომ მას თქვენნაირად არ შეუძლია დიდი წინააღმდეგობის დაძლევა! რიგითი ქალის ფიზიკური ძალა რიგითი მამაკაცის ძალაზე ნაკლებია. გავრცობილი ბიბლია იგივე მუხლს ასე გვაწვდის: „პატივი ეცით ცოლს, როგორც [ფიზიკურად] სუსტს. მოუსმინეთ პეტრეს სიტყვებს

ახალი ინგლისური თარგმანის ვერსიით: „ასევე, თქვენც ქმრებო, პატივე ეცით ცოლებს. გაგებით მოეპყარით მათ, როგორც თქვენთან ერთად მცხოვრებს. ის თქვენზე სუსტია, მაგრამ თქვენი თანასწორია ახალი სიცოცხლის ღვთიურ ნიჭში. თუ მათ სათანადოდ არ მოეპყრობით, *თქვენი ლოცვები შესმენილი არ იქნება*“ (ხაზგასმა ჩემია).

ჩვენ თანასწორი პარტნიორები ვართ – მადლის თანამემკვიდრენი. თუმცა მუხლის დასკვნით ნაწილში ამაღელვებელ და გამორჩეულ განცხადებას ვხედავთ, რომელიც ნაპასუხებ ლოცვას ეხება. თუ ქმარი ცოლს პატივს არ მიაგებს, მისი ლოცვები შესმენილი არ იქნება. ოჰო, ამან უნდა გამოგვაფხიზლოს. ასეთი ცხოვრება ნებისმიერისთვის საცოდაობა იქნება.

უბრალოდ, დაფიქრდით! თუ ცოლს პატივს არ მიაგებთ, ღვთის სატახტო დარბაზი თქვენს ლოცვებს არ მოისმენს, თქვენი სიტყვები ღვთის ყურამდე ვერ მიაღწევს. ეს საკმარისია, რომ მთელი ჩემი ყურადღება მივაპყრო. ამ გაფრთხილებამ დიდად უნდა დაგაფიქროთ როგორც ქმარი. ამაში კარგი ის გახლავთ, რომ საწინააღმდეგო აზრიც ჭეშმარიტია. თუ ცოლს პატივს მიაგებთ, გაბედულად ილოცებთ ღვთის წინაშე.

ნება მომეცით, ეს მომენტი გამოვიყენო და ქმრებს პირადად დაგელაპარაკოთ. ძვირფასად თუ მიიჩნევთ ცოლებს? უსმენთ მათ სიტყვებს თუ ყურადღებას არ აქცევთ და გულში ფიქრობთ: *ეს ხომ ემოციური ქალია!* ეს გაკვეთილი ადვილად არ მისწავლია. ჩემი ცოლის რჩევას მნიშვნელოვნად არ ვთვლიდი, როცა დავქორწინდით. თუმცა, დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ მისი ნათქვამი სიტყვები, საბოლოოდ, ღვთიური სიბრძნე აღმოჩნდებოდა. ჩემი თავი უფრო სულიერი მეგონ. ოჰ, როგორ ვცდებოდი!

მას შემდეგ, რაც ლიზა სხვადასხვა შემთხვევაში მართალი აღმოჩნდა, ეს საკითხი ლოცვაში მივიტანე. ჩემს უკმაყოფილებას ასე გამოვთქვამდი:

– ღმერთო, ზოგჯერ დღეში ორ საათს ვლოცულობ, ის ათ ან ოც წუთს თუ ილოცებს და უმეტესწილად, საშხაპეში ყოფნისას (ამ საკითხშიც ვცდებოდი; ჩემს ცოლს ლოცვითი ცხოვრება აქვს და ღმერთთან ურთიერთობაშია რეგულარულად, ყოველდღე – რაც მე მოგვიანებით ვისწავლე).

ისევ ვაგრძელებდი:

– რატომ მართლდება მისი მოსაზრება უმეტეს შემთხვევაში და ჩემი მცდარი გამოდგება ხოლმე?

უფალმა მაშინვე მიპასუხა:

– ქაღალდის ფურცელზე წრე შემოხაზე.

ასე მოვიქეცი.

– ახლა X ნიშნები დასვი მთელი წრის შიგნით.

ესეც შევასრულე.

იგი განაგრძობდა:

– ახლა წრის შუაში ხაზი ჩამოუსვი (ამით ორი ნახევარი გამოდიოდა). ალბათ, შენიშნე, რომ X ნიშნების დაახლოებით 50 პროცენტი წრის ერთ ნახევარში მოხვდა და დანარჩენები – მეორე ნახევარში.

მე დავეთანხმე.

შემდეგ უფალმა მითხრა:

– X ნიშნები ჩემს სიბრძნესა და რჩევას განასახიერებს. ეს არის გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაცია. წრე ერთია, მაგრამ ორად არის გაყოფილი. ერთი ნახევარი შენ ხარ, ხოლო მეორე – ლიზა. თქვენ ერთი სხეული ხართ და სრულ წრეს შეადგენთ, მიუხედავად ამისა, მაინც ცალკეული პიროვნებები ხართ და წრის ერთ ნახევარს შეესაბამებით. თუ მხოლოდ საკუთარ ნახევარს შეხედავ, წრე სრულყოფილი ვერ იქნება.

უფალი აგრძელებდა:

– შეამჩნევდი, რომ სიბრძნისა და რჩევის ნახევარი ლიზას მხარეს არის განლაგებული, ხოლო მეორე ნახევარი – შენს მხარეს. ყველა ოჯახურ გადაწყვეტილებას ჩემგან წამოსული საჭირო ინფორმაციის მხოლოდ შენს ნახევარზე აფუძნებდი. ინფორმაციას შენც გაწვდი და ლიზასაც, მაგრამ უნდა ისწავლო იმის აღება, რასაც ლიზას ვაძლევ და საკითხი ერთობლივად უნდა განიხილოთ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებ როგორც ოჯახის წინამძღოლი.

ღმერთთან იმ ერთმა შეხვედრამ სრულიად შეცვალა ჩემი ოჯახური ცხოვრება. მაშინ გავაცნობიერე, რომ ქორწინებამდე მარტოხელა ანუ ერთი მთლიანი წრე ვიყავი. ახლა, დაოჯახებული ერთი ხორცი გავხდი ჩემს ცოლთან და აღარ შემეძლო ისე ცხოვრება, როგორიც მარტოხელობისას მქონდა.

უფრო სათუთი ჭურჭელი

კიდევ ერთხელ გადახედეთ პეტრეს სიტყვებს: „თქვენც ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უფრო სათუთ ჭურჭლებს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ“. ცოლებს სათანადო გონიერებით უნდა მოვექცეთ. ლოცვაში მოსმენილმა

ღვთის სიტყვამ საჭირო გაგება მომცა, რომ ცოლთან ერთად წარმატებით მეცხოვრა.

რამდენად მეტი გონიერება იპოვება ღვთის სიტყვაში, რაც ცოლთან ერთად წარმატებულ ქორწინებაში დაგეხმარებათ. ბევრი ოჯახის ნგრევა არიდებული იქნებოდა, მამაკაცებს დრო რომ გამოეყოთ სიბრძნის მოსაძიებლად, თუ როგორ განსხვავდება ქალი კაცისგან. აიღებთ, მამრობითსა და მდედრობითს, შეაერთებთ და ღვთის ხატის სრულ ანარეკლს მიიღებთ. ო, დიახ! ღვთის ბუნებას მხოლოდ მამაკაცში ვერ დაინახავთ და ვერც მხოლოდ ქალში. საიდან ვიცით ეს? წმიდა წერილი გვეუბნება: „შექმნა ღმერთმა კაცი (*კაცობრიობა ანუ ადამიანთა მოდგმა*) თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1:27, სიტყვები ფრჩხილებში ჩემია).

ღმერთმა „კაცი“ თავის ხატად შექმნა, მაგრამ „კაცი“ შედგება „მამაკაცისა და დედაკაცისგან“. წმიდა წერილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მამაკაცისა და ქალის ერთობლიობა კაცობრიობას წარმოადგენს, ხოლო კაცობრიობა ღვთის ხატად არის შექმნილი. სწორედ ამ მიზეზის გამო განაცხადა პავლემ: „თუმცა არც ქმარია ცოლის გარეშე და არც ცოლია ქმრის გარეშე უფალში“ (1 კორ. 11:11).

პავლეს სიტყვებს თუ დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ კაცმა ცოლს პატივი უნდა მიაგოს ორი მიმართულებით: პირველი, როგორც სათუთ ჭურჭელს და მეორე, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეს. მოდი, მოკლედ განვიხილოთ პირველი. ცოლებს პატივი უნდა მივაგოთ, როგორც უფრო უძლურ ჭურჭლებს. ეს ნიშნავს, რომ მას ქალბატონივით უნდა მოვეპყრათ. კაცები ძლიერები არიან და ეს ძალა ჩვენი ცოლების დასაცავად უნდა გამოვიყენოთ. ეს მითითება ისეთი მარტივი მოქმედებების დროს უნდა გამოვიყენოთ როგორიცაა მის წინ კარის გაღება, რესტორანში სკამის შეთავაზება დასაჯდომად, უხეში ხალხისგან დაცვა და ასე შემდეგ.

ვინაიდან ქმარი ოჯახის თავია, ცოლებს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ. ეს ნიშნავს განსაკუთრებული შემთხვევისთვის ახალი საგარეო ტანსაცმლის ყიდვას ცოლისთვის, როცა მხოლოდ ერთისთვის საკმარისი ფული გაქვთ. როცა დასასვენებელ ადგილს ირჩევთ და მას სხვაგან უნდა წასვლა, ხოლო თქვენ – სხვაგან, მიდიხართ მის მიერ შერჩეულ ადგილას. ცათა სამეფოში წინამძღოლობა მომსახურებას ნიშნავს და არა ბატონობას. ქმრებმა უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი მოსაზრება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება აღემატებოდეს ცოლის

სურვილს: ეს მისთვის, ოჯახისთვის ან ცათა სამეფოსთვის საუკეთესო ვარიანტია. სხვა შემთხვევაში, ყოველთვის მის სურვილს მიანიჭეთ უპირატესობა. თქვენ ერთადერთი მიზეზის გამო ხართ ცოლის წინამძღოლი, რომ სიცოცხლე დადოთ მისთვის. ეს გახლავთ ცოლის პატივისცემა. ამით იკურთხებით, საზღაურს მიიღებთ და თქვენი ლოცვები არ დაბრკოლდება.

თანამემკვიდრე

პეტრეს მიხედვით, მეორე განსაკუთრებული მიზეზი, რის გამოც ცოლებს პატივი უნდა ვცეთ, გახლავთ სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეობა. ეს ნიშნავს, რომ იგი თქვენი თანასწორია ღვთის წინაშე დგომისას. არავითარი უპირატესობა არ გაქვთ მხოლოდ იმის გამო, რომ მამაკაცი ხართ. ზოგიერთს გულში ღრმად აქვს ჩაბეჭდილი ტყუილი მამაკაცის უპირატესობაზე და ეს სასაცილოა. ასეთი სიყალბე შოვინისტი კაცების მოგონილია, რომლებიც ერთ დღეს ღვთის წინაშე წარდგებიან და პასუხს აგებენ. მოგზაური მქადაგებლის თითქმის ოცწლიანი მსახურებისას და ასევე წმიდა წერილის შესწავლით სრულიად ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ღვთის კეთილგანწყობა შორდება იმ ოჯახებსა და ეკლესიებს, სადაც ქალს სულიერად კაცზე დაბლა მდგომად მიიჩნევენ. ფაქტობრივად, ამ ადგილებში სულიერ ზეწოლას, სიმძიმეს და ბორკილებს ნახავთ.

საკუთარ თავს რამდენიმე შეკითხვა უნდა დავუსვათ. რატომ არ არიან ქალები ლიდერთა გუნდში ზოგიერთ ეკლესიაში? რატომ არ აქვთ ქალებს საკვირაო მსახურების უფლება? რატომ არ არიან ქალები გარკვეული ეკლესიების პასტორთა გუნდებში? რატომ გვესმის წინამძღოლებში მხოლოდ მამათა ხმები და ნაკლებად, დედებისა? ეკლესია დედის ხმის გარეშე იგივეა, რაც უდედო ოჯახი, სადაც შვილებს მხოლოდ მამა ზრდის. შეიძლება ასე იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იკარგება და ბავშვები იტანჯებიან. იმ ოჯახებში, სადაც დედები ტრაგიკულად დაიღუპნენ ან შვილები მიატოვეს, ღმერთი ჯანმრთელი ბავშვების გაზრდის მადლს მამაკაცს ანიჭებს. იმ დროს, როცა ეკლესიები დედების ხმას ახშობენ, მადლი იკლებს, რადგან ამით ეკლესია ღვთიურ სიბრძნეს ახშობს.

შესაძლოა, შემეწინააღმდეგოთ: „ბიბლია ამბობს, რომ წინამძღოლი უნდა იყოს ერთი ცოლის ქმარი“. ვნახოთ, რას წერს პავლე: „ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი“ (1 ტიმ. 3:2).

ამ განაცხადში მართლაც მითითებულია კონკრეტული სქესი და ის არ არის ზოგადი. ლიდერს ერთი ცოლი უნდა ჰყავდეს.

თუმცა ნათქვამის მნიშვნელობას კარგად უნდა დავაკვირდეთ და მთელი წერილის ფონზე განვიხილოთ. პავლე წერს ადამიანებს, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ძველი აღთქმის კითხვას. ძველ აღთქმაში ბევრ შემთხვევას ნახავთ, როცა მამაკაცებს ერთზე მეტი ცოლი ჰყავდათ: აბრაჰამი, მეფე დავითი, სოლომონი, იაკობი, ელკანა (ხანასა და ფენინას ქმარი) და ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

თუმცა ვერ ნახავთ ძველი აღთქმის ვერც ერთ შემთხვევას, სადაც ქალს ერთზე მეტი ქმარი ჰყავდა. მიღებული არ იყო და არც ამის ნებას იძლეოდნენ, რადგან რჯულს ეწინააღმდეგებოდა. რატომ დაწერდა პავლე, რომ ლიდერ ქალს ერთზე მეტი ქმარი არ უნდა ჰყოლოდა? ეს სულაც არ იყო საჭირო. შეიძლება იფიქროთ, რომ ვაზვიადებ, მაგრამ თუ ბიბლიის სიტყვასიტყვით მიყოლა გსურთ, მაშინ უცოლო კაცებიც უნდა გამოვრიცხოთ წინამძღოლობის პოზიციებიდან ეკლესიაში, რახან ცოლი საერთოდ არ ჰყავთ. ასე რომ ყოფილიყო, თავად პავლესაც არ ჰქონდა ეკლესიაში წინამძღოლობის უფლება, ამიტომ მუხლის ასე გაგება სასაცილოა. ბევრი ჩვენგანი ძალზე ვიწროდ აზროვნებს ამ სფეროში.

აქ საქმე სქესს კი არა, ადამიანის ცხოვრებაში ღვთიურ ნიჭსა და მოწოდებას ეხება. მამაკაცები, რომლებმაც ცოლებს ან ეკლესიაში მყოფ ქალებს იმედი გაუცრუეს მოწოდების თანახმად მსახურებაზე უარის თქმით, მნიშვნელოვნად გადაკეტეს ზეციური სარკმელი თავიანთი ოჯახებისა და მსახურებებისთვის. რასაკვირველია, კურთხევა გარკვეულ სფეროებს შეეხება, მაგრამ სრული ღვთიური კურთხევა დაკარგულია.

ქრისტეს სხეული დასახიჩრებულია ქალებისადმი გამოჩენილი უპატივცემულობის გამო. თუმცა კარგი ამბავი ის არის, რომ ყოველთვის ასე არ იქნება. წინასწარმეტყველი იოელი და პეტრე მოციქული სულიწმიდის ძალით ამბობენ, რომ ბოლო დროის ეკლესიაში ქალების სრული აღდგენა მოხდება მსახურებაში.

ეს კაცები აცხადებენ: „იქნება უკანასკნელ დღეებში, ამბობს ღმერთი, რომ ჩემი სულისგან გადმოვღვრი ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და ასულნი; თქვენი ჭაბუკნი ჩვენებებს იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ. ჩემს მონებსა და მხევლებზეც გადმოვღვრი იმ დღეებში ჩემი სულისგან და იწინასწარმეტყველებენ“ (საქმ. 2:17-18). ყურადღება მიაქციეთ, რომ ღვთის სიტყვას აცხადებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

ამაზე მეფსალმუნეც წინასწარ ამბობს: „უფალი იძლევა სიტყვას: დიდია ამ სიტყვის მახარობელთა გუნდი“ (ფს. 68:11).

ვინ არიან კონკრეტულად ის ადამიანები, ვინც ღვთის სიტყვას აცხადებენ? პასუხის მოსაძიებლად სხვა თარგმანებს უნდა მიმართოთ: „უფალი იძლევა სიტყვას და ქალები, რომლებიც მას ახარებენ, დიადი ლაშქარია“ (ფს. 68:11 AMPC).

აქ მეფსალმუნე ყურადღებას ამახვილებს არა მამაკაცებსა და ქალებზე, არამედ მხოლოდ ქალებზე. ნება მომეცით, სხვა თარგმანების ამონარიდებიც გაგიზიაროთ: „უფალმა ბრძანება გასცა და მრავალმა ქალმა ახარა“ (GNT) და კიდევ, „უფალმა გამარჯვება გამოაცხადა და ქალების გუნდმა სასიხარულო ამბები შესძახა“ (NLT). ქალებმა ღვთის სიტყვა უნდა გაუცხადონ არა მარტო სხვა ქალბატონებს, არამედ მამაკაცებსაც. ჩვენ ვხედავთ, როგორ ამოწმებს იესო ამ ჭეშმარიტებას. ნუთუ საინტერესო არ არის, რომ პირველი მახარებელი მარიამ მაგდალინელი იყო? თავად იესომ დაავალა ამის გაკეთება. სახარებაში ვკითხულობთ: „ეუბნება მას იესო: „არ შემეხო, ვინაიდან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წადი და ჩემს ძმებს უთხარი: მე ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“. მივიდა მარიამ მაგდალელი და აუწყა მოწაფეებს, რომ იხილა უფალი და ეს უთხრა მას“ (იოან. 20:17-18).

მოდი, კიდევ უფრო შორს წავიდეთ. თუ ლუკას სახარებას მიმართავთ, ნახავთ, რომ მარიამი წამყვანი მქადაგებელი იყო. იესომ არა მარტო ის, არამედ ქალების გუნდიც გაგზავნა მოციქულთათვის უფლის აღდგომის საუწყებლად. სახარებაში ვკითხულობთ: „ესენი იყვნენ მარიამ მაგდალელი, იოანა და იაკობის დედა მარიამი, და დანარჩენები მათთან ერთად, რომლებმაც მოუთხრეს მოციქულებს ეს ამბავი“ (24:10). ამრიგად, ქალებმა ახარეს კაცებს ღვთის სიტყვა და ისინი სწორედ იესომ წარგზავნა!

საინტერესო არ არის, რომ მესიის მოვლინების შესახებ ტაძარში პირველად სხვებს, ქალებსაც და კაცებსაც, ანა წინასწარმეტყველი ელაპარაკა? მართალია, სიმონი იყო პირველი, ვინც იოსებსა და მარიამს მესიის შესახებ აუწყა, მაგრამ ტაძარში მყოფ ადამიანებს ანა წინასწარმეტველი ელაპარაკებოდა. სახარებაში ვკითხულობთ: „ისიც იმავე ჟამს იყო მისული, ადიდებდა ღმერთს და ყრმაზე ელაპარაკებოდა ყველას, ვინც კი გამოსყიდვას მოელოდა იერუსალიმში“ (ლუკ. 2:38).

საინტერესო არ არის, რომ ფილიპეს ოთხი ასული ჰყავდა, რომლებიც ღვთის სიტყვაზე ლაპარაკობდნენ? წერილში ვკითხულობთ: „ოთხი ქალიშვილი ჰყავდა მას - წინასწარმეტყველი

ქალწულები“ (საქმ.21:9). ისინი ღვთიური შთაგონებით აუწყებ-დნენ უფლის სიტყვას. როგორ შევძლებთ დიადი დავალების შესრულებას, როცა ქრისტეს სხეულის ნახევარზე მეტი პატივდებული არ არის, რომ მოწოდება აღასრულოს? როცა მამაკაცები თავიანთი ცოლების ცხოვრებისეულ მოწოდებას კვებავენ. დიდ საზღაურს იღებენ. ეს საკუთარი გამოცდილებით ვნახე.

(შენიშვნა: ახალ აღთქმაში რამდენიმე ადგილია, რომლებიც ერთი შეხედვით ჩემს ნათქვამს ეწინააღმდეგება. ვიმეორებ, რომ ეს მონაკვეთები დაწერის მიზნის გათვალისწინებით უნდა იქნას შესწავლილი. ასევე ამ წიგნში ხსენებულ საკითხს ვერ ჩავუღრმავდებით. შეგიძლიათ მრავალი პატივდებული წინამძღოლის მიერ გულმოდგინედ გამოკვლეულ სასწავლო რესურსებს მიმართოთ, რომელთაგან ერთ-ერთია ლორენ კანინგემისა და დევიდ ჯოელ ჰემილტონის *Why Not Women?*).

ჩემი ცოლი

ლიზას ცალი თვალი ამოუღეს, როცა ხუთი წლის იყო. მის დაავადებას ბადურის ბლასტომა ერქვა, რომელიც მარტივად, თვალის ბადურის სიმსივნეა. სკოლაში და დღემდე მას მარჯვენა თვალის ბუდეში პროთეზი უდევს. ალბათ, წარმოიდგენთ, როგორ დასცინოდნენ სკოლაში და მასხრად იგდებდნენ. უმწიფარი კლასელების მიერ შერქმეულ მეტსახელთა შორის იყო ციკლოპი და ცალთვალა. ზოგჯერ გაკვეთილებიდან სახლშიც კი გამოქცეულა ატირებული. დედამისი ბრძნულად არიგებდა, რომ ძლიერი ყოფილიყო და ბულინგისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ეს მაინც გულსატკენი იყო.

უფროს კლასებში ლიზამ აღმოაჩინა, რომ სხვებზე მეტად ორი დამამთავრებელი საგანი აშინებდა და რთული ეჩვენებოდა. ერთი იყო მეტყველება, ხოლო მეორე – ბეჭდვა. ორივე საგანში წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თავის ხელმძღვანელ კონსულტანტს შეხვდა და შეევედრა, რომ ამ სავალდებულო საგნებიდან გაეთავისუფლებინა. როგორ შეძლებდა მთელი კლასის წინაშე დგომას და ეფექტურ კომუნიკაციას? ბეჭდვა საერთოდ გამორიცხული იყო, რადგან სივრცის ყოველგვარი შეგრძნება დაკარგული ჰქონდა. კონსულტანტს ლიზა შეებრალა და იმ ორი საგნის ნაცვლად სხვები ჩაუსვა.

როგორც წინა თავში ვახსენე, ლიზა იესოსთან კოლეჯის დამამთავრებელ კურსზე მოვიდა. ამის შემდეგ მალე დავქორწინდით და ტექსასის შტატში გადავედით, სადაც

დალასის ერთი დიდი ეკლესიის მსახურებებს ვესწრებოდით. იმ დროისთვის ლიზა მეტისმეტად გულჩათხრობილი იყო და ურთიერთობა უჭირდა. ეკლესიის ქალები მანერულობას სიამაყეში უთვლიდნენ. სინამდვილეში ის სრულიად განსხვავდებოდა იმ სიგნალებისგან, რასაც ირგვლივ მყოფებს უგზავნიდა. მას ისევ აწუხებდა თვალის დაკარგვით და სკოლის წლებში დაცინვით გამოწვეული შიშები.

ქორწინების პირველ წლებში ჩვენს ოჯახს ორი ადამიანის შემოსავალი სჭირდებოდა, ამრიგად, ლიზამ მაკიაჟისა და კანის მოვლის პირდაპირი მარკეტინგის კომპანიაში დაიწყო მუშაობა. მის მიერ ჩატარებულ ზოგიერთ გაკვეთილს დავესწარი და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ცოლი ამ სფეროში საკმაოდ უნარიანი გახლდათ და გასაყიდი პროდუქციის კარგი სამუშაო ცოდნაც ჰქონდა. და მაინც, ლიზა მორცხვი იყო და ერიდებოდა ადამიანებთან ამ პროდუქციაზე ლაპარაკს, ამიტომ დასახმარებლად მე წამოვიწყე მისთვის კავშირების მოძიება და პრეზენტაციების წარდგენა.

ერთი წლის შემდეგ, როცა დალასის ერთ უმაღლესი კლასის სუპერმარკეტს ჩავუარეთ, ასე ვუთხარი:

– ლიზა, კოსმეტიკის განყოფილებაში დასაქმებაზე განცხადება უნდა შეიტანო. შენ ყველა იმ ქალბატონზე კარგად გამოგდის, ვინც პროდუქციას ყიდის და მაკიაჟს აკეთებს.

ის შემეწინააღმდეგა და მითხრა, რომ ვცდებოდი, თუმცა იმავე კვირას მოლის სხვა მაღაზიაში დაგეგმილი სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი და ყოველთვის, როცა შენობის კარში შედიოდა, ჩემი სიტყვები ჩაესმოდა. ამრიგად, ჩუმად შეიტანა განცხადება და მისდა გასაკვირად, სამუშაო მიიღო!

ლიზა ელიზაბეტ არდენის წარმომადგენლად დაიქირავეს. გოგონას, რომელიც ადრე ამ ხაზის გაყიდვებზე მუშაობდა, გაუჭირდა. როცა ჩემი ცოლი საქმეს შეუდგა რამდენიმე კვირაში მთელი მარაგი ამოყიდა. ერთ დღეს სამუშაო მაგიდაზე პორტფელის დადების ხმამ მოაბრუნა. ეს კომპანიის აღმასრულებელი გახლდათ. მან ლიზას უთხრა: „ახლა სადილად წავალთ, ლიზა. აქ მეტად აღარ დარჩები!“

ლიზა სამუშაო ინტერვიუზე მივიდა მისი თხოვნით და ანგარიშების კოორდინატორის პოზიცია მიიღო, რაც დალასისა და ფორტ უორსის ტერიტორიაზე თექვსმეტი მაღაზიისა და ნიუ მექსიკოსა და ოკლაჰომაში კიდევ ორი მაღაზიის ზედამხედველობას ნიშნავდა. ორი წელი არც კი გასულიყო, რომ ლიზა ისევ დააწინაურეს კომპანიის სარეკლამო წარმომადგენლად და ახლა რვა შტატის ტერიტორია ჩააბარეს. მისი ხელფასი

დიდად გაიზარდა და სხვა მსხვილი ბონუსებიც მიიღო სრულიად ახალი კომპანიის მანქანის, *ფორდ სანდერბერდის* ჩათვლით. აბა თუ მიხვდებით, ვინ იჯდა მანქანაში მის გვერდით და ზოგჯერ ატარებდა კიდეც? ვინ სარგებლობდა ოჯახში გაზრდილი შემოსავლით? რასაკვირველია, მე. ამას ჰქვია პატივისცემის საზღაური!

რამდენიმე წლის შემდეგ ფლორიდაში გადავედით, სადაც ახალგაზრდების პასტორის ადგილი მივიღე ერთ ძალიან დიდ ეკლესიაში. რამდენიმე თვის შემდეგ ახალგაზრდებს ვუთხარი, რომ მომდევნო კვირას ჩემს ნაცვლად ლიზა მოემსახურებოდათ. ვხედავდი, რომ უფალმა ბევრი რამ ჩადო მასში. სახლში მშვენივრად ახერხებდა სიტყვის გადაცემასა და სწავლებას. ვიცოდი, რომ იგივეს გაკეთება ხალხის ჯგუფის წინაშეც შეეძლო.

ზედმეტია იმის თქმა, რომ ჩემს განცხადებას გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა, მაგრამ არა ახალგაზრდების, არამედ ლიზას მხრიდან. მთელი კვირის განმავლობაში პროტესტს გამოთქვამდა: „ამას ვერ მაიძულებ! არ შემიძლია ახალგაზრდებთან ლაპარაკი. სათქმელი არაფერი მაქვს“. უბრალოდ, ვარწმუნებდი, რომ სათქმელი ჰქონდა და ღმერთი დაეხმარებოდა. მასში ნიჭს ვხედავდი და არ მინდოდა, უმოქმედო დარჩენილიყო.

ერთი კვირის შემდეგ ილაპარაკა და შესანიშნავი საქმე გააკეთა. ახალგაზრდები აღფრთოვანებულები დარჩნენ. მომდევნო თვეების განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე მივეცი მსახურების საშუალება. ყოველ შეთავაზებას იგივე წინააღმდეგობა მოსდევდა. ყოველ ჯერზე მიმტკიცებდა: „უკვე ყველაფერი ვიქადაგე, რაც ვიცოდი“.

მეცინებოდა და ვეუბნებოდი: „მეც ყოველ კვირას ვქადაგებ და ყოველ მომდევნო კვირას ღმერთზე მინდობა მიწევს“. ჩემი ნათქვამი დიდად მანუგეშებელი არ იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ქადაგებდა და უფრო და უფრო უკეთესად გამოსდიოდა. ახალგაზრდებს ძალიან შეუყვარდათ ლიზა.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა პასტორმა შტატიდან გამიშვა და ის მსახურება წამოვიწყეთ, რომელიც ახლა გვაქვს, ლიზას გამოწვევა გავაგრძელე. როცა პატარა კონფერენციებზე გამოვდიოდი, პერიოდულად, მასთან შეუთანხმებლად ვაცხადებდი, რომ მომდევნო სესიაზე ის ილაპარაკებდა. პირველად, როცა ასე მოვიქეცი, ლიზა გამიბრაზდა და ნახევარი ღამე არ დამაძინა ბუზღუნით: – არ მჯერა, რომ სესიაზე სალაპარაკოდ გამომიძახე. ეს შენი ახალგაზრდული არ გეგონოს, გასვლითი კონფერენციაა.

ამას მე არ გავაკეთებ. ეს შენი საქმეა.

შემდეგ მკითხა, რა თემაზე ვილაპარაკე, რადგან ამ დროს ოთახში იყო და ბავშვებს აძინებდა. როცა დავუსახელე, გაჭირვეულდა:

– საღამოს მსახურებაზე ჩემი ერთადერთი სათქმელი გიქადაგია. ხვალ დილას რაზე უნდა ვილაპარაკო?

მარტივად ვუთხარი:

– ძვირფასო, ღმერთმა იმდენი რამ გასწავლა და ამ ადამიანებს მათი მოსმენა სჭირდებათ.

ის კამათს აგრძელებდა ღამის სამ საათამდე. ბოლოს, სიცილი ამიტყდა და ვუთხარი:

– ძვირფასო, დილის 9 საათზე შენი ქადაგების ჯერია. მხოლოდ ექვსი საათი დაგრჩა და სჯობს, დაიძინო.

თქმა არ უნდა, რომ მეორე დილით ლიზამ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. მისი ქადაგება საოცარი იყო და ხალხმა შესანიშნავად მიიღო, ასე ვაგრძელებდი სხვადასხვა ქალაქებში და ლიზაც სულ უფრო ძლიერად მსახურობდა.

ნება მომეცით, ერთი რამ გითხრათ. ეს არ ნიშნავს, რომ ლიზას ქადაგება ეადვილებოდა. როცა სიტყვით პირველად გამოვიდა, კოლეჯისა და კარიერის ასაკის ახალგაზრდების შერეულ აუდიტორიასთან ჰქონდა საქმე. კაცების გარკვეული ნაწილი ხმაურით ადგა და გავიდა, რადგან ქალის სწავლების მოსმენა არ სურდა. როცა ლიზა მიხვდა, რაში იყო საქმე, მასაც გასვლა მოუნდა. მას არასდროს უფიქრია სხვების წინაშე სიტყვით გამოსვლა. ამას ღვთისადმი მორჩილების გამო აკეთებდა.

იგივე წერასთან დაკავშირებით

იგივენაირად მოვექეცი წერასთან დაკავშირებით, იმ დროისთვის სამი წიგნი მქონდა დაწერილი და ლიზა რედაქტირებაში მეხმარებოდა. მივხვდი, რომ ნიჭიერი მწერალი დადგებოდა და თან ჩემი მესამე წიგნი „*სატანის სატყუარა*“ ბესთსელერად იქცა ქვეყნის მასშტაბით. გამომცემელთან მივედი და ავუხსენი:

– ჩემ ცოლს აქვს სიტყვა, როგორ იხსნა ღმერთმა შიშისა და კონტროლისგან ცხოვრების გარკვეულ სფეროებში. ლიზას უნდა ელაპარაკოთ წიგნის შესახებ, მაგრამ არა ჩემი მეშვეობით. პირადად მას დაელაპარაკეთ.

რამდენიმე კვირის შემდეგ გამომცემელი სახლში გვესტუმრა. ლიზამ არ იცოდა, რომ ის ჩემთან კი არა, მის სანახავად მოვიდა. ჩემმა ცოლმა გაკვირვებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა:

„აქ რა ხდება?“

მან შეხვედრა მოაწყო, რომ თანამშრომლებსაც მოესმინათ, თუ რა ედო გულში. გარკვეული დროის შემდეგ გამომცემელმა განაცხადა:

– თქვენი ქმარი დარწმუნებულია, რომ ძალზე მნიშვნელოვანი სათქმელი გაქვთ, რომელიც წიგნად უნდა გამოიცეს. თქვენი მოსმენის შემდეგ მეც ვეთანხმები მას.

იქედან მოყოლებული, ლიზამ რამდენიმე წიგნი დაწერა ბესთსელერების, მათ შორის, *New York Times*-ის ბესთსელერის ჩათვლით. მისმა წიგნებმა ზეგავლენა მოახდინეს ადამიანებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ახლა მას ყოველწლიურად ათობით ათასი ადამიანის წინაშე გამოსვლა უწევს.

იფიქრეთ ამაზე. აი, ქალი, რომელმაც უარი თქვა სიტყვით გამოსვლასა და წერაზე. რას აკეთებს ახლა რეგულარულად? ათასობით ადამიაინს ელაპარაკება კათედრიდან, ტელევიზიით და სხვა არხებით და თან წიგნებსც წერს! როგორ ახერხებს ამას? იგი დაუპირისპირდა შიშს ღვთის მადლის ძალით. ბევრმა ადამიანმა მიიღო კურთხევა იმის გამო, რომ ქმარმა დაინახა და პატივი მიაგო ღვთის ნიჭს მის ასულში და მოქმედებისკენ უბიძგა. ამრიგად, რა მოხდება, თუ ეკლესიის ყველა ქმარი პატივს მიაგებს თავის ცოლს?

რა არის ჩემი საზღაური ცოლის პატივისცემისთვის? იმდენია, რომ ჩამოთვლაც შეუძლებელია. ლიზას ცხოვრება ყველა მიმართულებით გაიფურჩქნა და არა მარტო მსახურებაში. როცა ადამიანი თავისუფლდება, ის ნამდვილად თავისუფალია. როგორც ლიზას გაუხსნა კარი ჩემს ცხოვრებაში არსებულმა ღვთიურმა მადლმა, ისე მისი ნიჭი იგივეს აკეთებს ჩემთვის. მის გამო ბევრი მნიშვნელოვანი კარი გაიღო ჩემ წინაზე მთელ მსოფლიოში. რამდენიმე ადგილიდან მიმიღია მიწვევა, სადაც წინამძღოლები მეუბნებოდნენ: „თქვენი ცოლი იმდენად საფუძვლიანად შეეხო ჩვენი ქალების ცხოვრებას, რომ თქვენი მოწვევაც გადავწყვიტეთ“.

კიდევ ერთი საზღაურია ფაქტი, რომ ახლა შემდგარ ქალთან ვცხოვრობ. როცა ადამიანი ღვთის მოწოდების თანახმად არ ცხოვრობს, გული დამძიმებული აქვს, რადგან არ გამოიხატება ის, რის საკეთებლადაც ღმერთმა შექმნა. ასეთებს ტვირთი აწევთ. თუ ღვთის ნებაში ხართ, იესო ამბობს, რომ მისი ტვირთი მსუბუქია (მათ. 11:28-30). მისთვის შრომას სიხარული მოაქვს; მიუხედავად მძიმე და ხშირი შეტევებისა, ღვთის გეგმით მოქმედება ადვილია. ჩემი ცოლი ბედნიერი და ენთუზიაზმით სავსეა როგორც ღვთის ასული, ცოლი, დედა და სახარების

მსახური. თუ რომელიმე ელემენტი აკლია, სხვა სფეროებიც ზარალდება. იგი გულმოდგინედ ეკიდება პრიორიტეტების სწორად დალაგებას. ჩვენი ოჯახი მსახურების შრომას ეწევა. საოცარი მადლი მოვიდა მასზე, როცა ლიზა სამოგზაუროდ და მისი მოწოდების აღსასრულებლად გავუშვით. ჩვენი ქორწინება არასოდეს ყოფილა ასეთი სრული ან ჩვენი სიყვარული ასე ძლიერი, როგორც ჩვენს ცხოვრებაზე ღვთის მოწოდების დამორჩილებისას.

კიდევ ერთი საზღაური, რომელიც ჩემი აზრით, უდიდესია, გახლავთ ასობით ათასი ადამიანის ცხოვრებაზე მარადისობისთვის მოხდენილი ზეგავლენა. ეს შესაძლებელი გახდა ღვთის სიტყვით ლიზას მსახურების შედეგად. ერთ დღესაც გვექნება მისი შრომის დიდი მასშტაბის დანახვის პრივილეგია ღვთის ტახტის წინაშე. ერთხელ ჩემს ვაჟებს ვკითხე:

– ბიჭებო, მსახურებისთვის თქვენი დედ-მამის ხშირი მოგზაურობა ცუდია? ფიქრობთ, რომ ამით რაღაცას გართმევთ, თუ ამას დადებითად აღიქვამთ, როგორც თქვენს მონაწილეობას მსახურებაში – თქვენი დედ-მამის თესვას მთელი მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში, ვისაც ეს სჭირდება?

პირველად უფროსმა ვაჟმა დაილაპარაკა:

– მამა, ამას ჩვენს მსახურებად ვთვლით. ეს არის შესაძლებლობა, რომ ადამიანების ცხოვრებას შევეხოთ სასუ-ფევლის სასიკეთოდ.

დანარჩენი სამიც მას დაეთანხმა.

ამ დროს მე და ლიზამ ერთმანეთს სიხარულით გადავხედეთ. გავაცნობიერეთ, რაოდენ დიდია ღვთის მადლი მის მსახურებზე უბრალო მორჩილების გამო. ჩვენი ბიჭები დიდ საზღაურს მიიღებენ არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ ქრისტეს სამსჯავროზეც. რა საოცარია პატივისცემის ჯილდოს მიღება. თავდაპირველად მას ვერ ვხედავთ, მაგრამ შემდეგში გვეწევა, როგორც ღვთის სიტყვა გვპირდება: „და თუ გულდასმით მოუსმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას, რათა დაიცვა და აღასრულო მისი ყველა მცნება, რომელსაც გამცნებ დღეს, ... გადმოვა შენზე ყველა ეს კურთხევა და მოგეწევა, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას“ (2 რჯ. 28:1-2).

იმისთვის არ ვიჩენთ პატივისცემას, რომ ჯილდო მივიღოთ; ასე იმიტომ ვიქცევით, რომ ღვთისთვის სასურველია და ამით მას ვაამებთ. და მაინც, საზღაურის მიღება იმაზე მტკიცედ უნდა გვჯეროდეს, ვიდრე თესლისგან ნაყოფის აღმოცენებაში ვართ დარწმუნებული. ყველა ჭეშმარიტ პატივისცემას თან სდევს

ჯილდო. ამრიგად, ქმრებო, ნუ დააყოვნებთ! პატივი მიაგეთ ცოლებს ცხოვრებაში და ღვთისგან იმაზე დიდ საზღაურს მიიღებთ, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

16

პატივი მიაგეთ ყველას

მოდი, მოკლედ განვიხილოთ ყველა იმ ადამიანის პატივისცემა, ვინც ჩვენს ოჯახს, ეკლესიას ან სამსახურს არ ეკუთვნის. ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდებიან. პეტრე უბრალოდ ამბობს:

„ყველას პატივი მიაგეთ“.

– 1 პეტრ. 2:17

ამაზე მარტივად თქმა აღარ შეიძლება. მოდი, რამდენიმე თარგმანს გადავხედოთ: „პატივისცემა გამოიჩინეთ ყველა ადამიანის მიმართ [პატივით მოეპყარით მათ] (AMPL), „ყველა შემხვედრს ღირსებით მოექეცით“ (MSG) და კიდევ ერთი, „გამოავლინეთ პატივისცემა ყველას მიმართ“ (NLT). ეს ის ადამიანებია, რომელთაც იესო შთამბეჭდავად აღწერდა როგორც „მოყვასს“. ალბათ, გსმენიათ ცნობილი ისტორია. მოდი, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი:

„ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხოს მიდიოდა; თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომლებმაც ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ; ის კი ნახევრადმკვდარი მიატოვეს. შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩამოიარა გზაზე, დაინახა იგი და გვერდი აუქცია. ლევიანმაც ჩაიარა იმ ადგილას, დაინახა და მანაც გვერდი აუქცია. მერე ვიღაც სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეებრალა. მივიდა, ზეთითა და ღვინით მობანა ჭრილობები, შეუხვია, შესვა თავის

> პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და უპატრონა. მეორე დღეს, სანამ წავიდოდა, ორი დინარი ამოიღო, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდიო. როგორ ფიქრობ, იმ სამიდან რომელი იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“ უპასუხა: „რომელმაც წყალობა უყო მას“. მაშინ უთხრა იესომ: „წადი და შენც ასევე მოიქეცი“.
>
> – ლუკ. 10:30-37

მღვდელმა და ლევიანმა სიკვდილის პირას მყოფი კაცი ფასეულად არ მიიჩნიეს. უცხოელი სამარიელი კი პირიქით მოიქცა. წმიდა წერილი ხაზგასმით ამბობს: „შეებრალა“. ისევ ვიმეორებ, რომ ყოველგვარი ნამდვილი პატივისცემა გულიდან მოდის. მან დრო არ დაიშურა, რომ დაჭრილისთვის გაეკეთებინა ის, რაც აუცილებელი იყო და იმაზე შორსაც წავიდა, როცა სასტუმროში მიიყვანა. ფაქტობრივად, მან ორი დღის ანაზღაურება გაიმეტა ადამიანის მოსავლელად, რომელიც ადრე არასდროს ენახა. სამარიელს ღვთისგან რაიმეს მოსმენა არ დასჭირვებია და არც კი ულოცია ამ საკითხზე. სიყვარულით სავსე გულით, თანაგრძნობით და ყველა ადამიანისადმი პატივისცემით გააკეთა ის, რაც საჭირო იყო. ეს არის ყველას პატივისცემის კლასიკური მაგალითი.

თანამედროვე მაგალითები

ამის მსგავსი საოცარი ამბავი ჩემს მეგობარს, ბილ უილსონს გადახდა. ბილის დედამ ბიჭი მილსადენზე შემოსვა, როცა ის თერთმეტი წლის იყო და დაუბარა, რომ მის მოსვლამდე არსად წასულიყო. ქალი აღარ დაბრუნებულა. ერთმა ქრისტიანმა კაცმა იპოვა ბილი და საზაფხულო ბანაკისთვის ფული გადაუხადა. ამ უანგარო ქმედებამ რაღაც უხილავი აამოძრავა.

წლების შემდეგ ბილ უილსონმა *Metro Ministries* დააფუძნა და დღემდე უძღვება. ის ყოველ კვირას ნიუ იორკ სითის ოცი ათასზე მეტ ბავშვს ემსახურება. დღემდე თავისი ავტობუსით დადის თანამშრომლებსა და მოხალისეებთან ერთად და გარშემო ტერიტორიებზე სახარების სიტყვითა და საქმით სწავლების დიდ მსახურებას ეწევა. ეს საოცარი რამ არის. მათ ათასობით ბავშვი გადაარჩინეს არა მარტო ნიუ იორკ სითიში, არამედ სხვა ადგილებშიც. ბილმა ადამიანები შთააგონა ქვეყნის

თუ საზღვარგარეთის მასშტაბით, რომ დაეფასებინათ უმწეო ბავშვები და *Metro Ministries*-ის მრავალი ფილიალი დააფუძნა მთელ მსოფლიოში.

ბილის მსგავსად ბევრი ადამიანი იღწვის არაპრივილეგირებული და შეჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. ჩვენც შეგვიძლია მათი დახმარება. როგორ? საუკეთესო საშუალებაა მათი მხარდაჭერა ლოცვითა და ფულით. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ყველა მაღიარებელმა ქრისტიანმა მცირეოდენი რომ გაიღოს ამ და მსგავსი მსახურებებისთვის? წარმოგიდგენიათ, რამდენი შეემატებოდა ცათა სასუფეველს. იესოს იგავში ნაცემი კაცი ცოდვილად წარმოიდგინეთ, ხოლო სამარიელი – ნამდვილ მორწმუნედ. გამოჩენილი მზრუნველობის შემდეგ დიდი სიამოვნებით მოისმენდა სახარებას, რომელსაც სამარიელი უქადაგებდა. თუმცა მღვდელი და ლევიანი ქრისტიანები რომ ყოფილიყვნენ, დაჭრილს საერთოდ არ მოუნდებოდა მათ სახარებასთან რაიმე საერთოს ქონა. როცა ჩვენს გულებში ღვთის სიყვარული იწვის, ყველა ადამიანს ვაფასებთ და ფინანსურად შევეწევით მსახურებებს, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულებს ეხმარებიან სახარების კეთილი ამბის მიტანასთან ერთად.

დახმარების კიდევ ერთი გზა გახლავთ მათ გუნდებთან შეერთება. ამისთვის საჭირო არ არის ბრუკლინში, ნიუ იორკსა და სხვა შორეულ ქალაქში გადაბარგება, სადაც ბილის მსახურებების მსგავსი სათაო ოფისებია. ჩაერთეთ ადგილობრივი ეკლესიის გასვლით საქმიანობაში. თუნდაც ეს თვეში ერთი დღე იყოს, გასაჭირში მყოფ ადამიანთა ცხოვრებას ორგანიზებულ დონეზე შეეხებით. ერთად გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვიდრე ცალ-ცალკე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამარიელის მაგალითისამებრ ინდივიდუალური მცდელობები უგულებელვყოთ. და მაინც, წმიდა წერილი ხაზს უსვამს, რამდენად მეტის გაკეთება შეგვიძლია სხვებთან თანამშრომლობისას. „ხუთი თქვენიანი ასს განდევნის, ასი კი - ათი ათასს“ (ლევ. 26:8). ჩვენი ნაყოფიერება იზრდება, როცა ერთად ვშრომობთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა ეკლესია ამგვარად დააფუძნა: მეტი შედეგის მისაღწევად ერთმანეთი გვჭირდება. პავლე აცხადებს, რომ ქრისტეს სხეული იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ყველა ასო შერწყმული და შეერთებული იქნება (ეფეს. 4:16). ეს ადგილობრივ ორგანიზებულ ეკლესიაში დანერგვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. და ბოლოს, თუ ყველა მორწმუნე თავის წილ საქმეს გააკეთებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე სტრუქტურული მსახურებების

დონეზე, რამდენად მეტი ბილ უილსონისეული ამბავი გვექნება?

რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ბილის მსახურება, ამაზე ვერ შევჩერდებით. უამრავი ადამიანია, რომელიც გაჭირვებაში არ ცხოვრობს, ყველაფერი აუცილებელი აქვს და შესაძლოა, ფუფუნებითაც კი ტკბება, მაგრამ გულით ტკივილს ატარებს და სულიერად ძალიან უჭირს. ზოგიერთი მათგანი მდიდრულ უბანში ცხოვრობს და სულაც არ ეკუთვნის დაბალ ფენას. მოკლედ, ისინი ყველგან არიან. მათ შეხვდებით სასურსათო მაღაზიაში, მოლებში, სამუშაოზე. ეს მარტოსული ან გულდაჭრილი ადამიანები დაფასებას საჭიროებენ. ისინიც ჩვენი მოყვასები არიან.

მათ ყოველდღე ვხვდებით. ზოგჯერ საკუთარ საქმეებში გართულებს არ შეგვიძლია მათი საჭიროებების ამოცნობა. ასაკის მატებასთან ერთად უფრო მეტად ვაცნობიერებდი, რა ადვილი იყო ამ ადამიანებამდე მიღწევა. ეს ყველაფერი მარტივად იწყება გულში ყველა ადამიანის პატივისცემის პასუხისმგებლობით. თუ ასე მოვიქცევით, მგრძნობიარე ვიქნებით და ზოგჯერ ღვთის სული გაუცნობიერებლადაც გაგვიძღვება. ამით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გამუდმებულ მსახურებად იქცევა.

როცა ადამიანებს პატივს მიაგებთ, ვერ შეძლებთ მათ უგულებელყოფას ან უხეშად ლაპარაკს, ვინც ღმერთმა ცხოვრების გზაზე შეგახვედრათ. ამის ნაცვლად ღვთიურ მდინარებაში დადიხართ, რომელიც ზეციურ ცოცხალ წყალს მწყურვალე გულებს აწვდის. ძალიან მიყვარს წმიდა წერილის ეს ადგილი და წლების მანძილზე ვეყრდნობოდი ამ ხალხთან დაკავშირებით: „უფალმა ღმერთმა მომცა დამმოძღვრავის ენა, რათა შევძლო დაღლილის გამაგრება სიტყვით. დილაობით მაღვიძებს, ჩემს ყურს აღვიძებს, რომ მოწაფესავით მოვისმინო“ (ეს. 50:4).

შეგიძლიათ ერწმუნოთ ღვთის აღთქმას. ბევრი თავს არიდებს ადამიანებთან ლაპარაკს რაიმე სისულელის თქმის შიშით. თუ უბრალოდ დაუჯერებთ ღვთის სიტყვას ამ მონაკვეთში, დარწმუნებული იქნებით, რომ თქვენი ნათქვამი სიცოცხლეს, განკურნებასა და ძალას მოუტანს

სულიერად გადაღლილებს და დაცარიელებულებს.

ჯერ არ დაგვისრულებია, რადგან სათქმელი მეტია. ტერმინი „ყველა ადამიანი“ გაჭირვებულებით არ შემოიფარგლება. თუ პატივს მიაგებთ, აყვავდება თითოეული ადამიანი, ვინც თქვენთან რაიმე ურთიერთობაშია. გულით ნათქვამი ყოველი სიტყვა მსმენელის სიცოცხლეს მოემსახურება. არსებითად, ასეთი უამრავია. ჩვენ მათ ყოველდღე ვხვდებით, თუმცა

ზოგიერთი მხოლოდ ერთხელ თუ გვინახავს. ეს შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც ლიფტში შევხვდით, თვითმფრინავის გამცილებელი, ტელეფონზე მოპასუხე ოპერატორი და ასე შემდეგ. ყველას პატივისცემა შეგვიძლია თბილი მისალმებით ან უბრალო გულწრფელი ღიმილით.

ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა ლონდონის პარკში სეირნობისას ხანდაზმული ახლოაღმოსავლეთელი ქალი ჩემკენ თავდახრილი მოემართებოდა. მის მიმართ თანაგრძნობით ავივსე. წარმოვიდგინე, რომ მიუჩვეველი იყო ვინმესგან, განსაკუთრებით მამაკაცთაგან დაფასებას. შემებრალა და გამიზნულად ვუთხარი გულითადი და მხიარული „დილა მშვიდობისა“. ქალმა ამომხედა. მის თვალებში ურწმუნოება იკითხებოდა. თითქოს მისი ფიქრებიც კი მესმოდა: *რატომ დამელაპარაკებოდა ეს დასავლელი კაცი ასე კეთილად უცხოელს და თანაც ქალს?*

სანამ შემოჯარულ კითხვებს პასუხს გასცემდა, სხვებისგან დაფასების სურვილმა იმძლავრა და მისი სახე მთლიანად შეიცვალა. მან მორიდებულად დამიბრუნა მისალმება. დიდი ალბათობით, მას ვეღარასოდეს ვიხილავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი გულიდან ღვთის სიყვარულმა შეაღწია მასში და მარადიული თესლი ჩაითესა, რომელიც ერთ დღეს ნაყოფს გამოიღებს. ასეთი რწმენის ქონა შესაძლებელია. მოდი, სულით ვიცხოვროთ და დავიჯეროთ, რომ შეთხვევით არ ვარსებობთ, არამედ ღვთის ელჩები ვართ, რომლებიც ღვთის ზებუნებრივი ძალაში ცხოვრობენ, ადამიანებისთვის სიცოცხლის მოსატანად.

ძნელია ადამიანებისთვის გაღიმება? ასე ძნელია თბილი სიტყვების თქმა უცხოსთვის? ძნელია დაჯერება, რომ ჩვენი ყოველი სიტყვა სიცოცხლეს მოემსახურება? ეს მაშინ არის ძნელი, როცა ღვთის ძალის რწმენა და გულში ყველა ადამიანისადმი პატივისცემა გაკლიათ. თუ ილოცებთ და ღმერთს სთხოვთ, რომ თქვენს გულში იმ ადამიანებისადმი ნამდვილი პატივისცემა ჩადოს, რომელთათვისაც ის მოკვდა, შეგისრულებთ, რადგან ეს მისი სურვილია.

ცხოვრების გზა

რაკი ერთხელ სთხოვეთ ღმერთს თქვენს გულში ყველა ადამიანისადმი პატივისცემის ჩადება, თქვენი ცხოვრება შეიცვლება. მიმტანს სხვაგვარად მოექცევით. უბრალოდ მენიუს კი არ მიაშტერებით სასურველი საკვების შესარჩევად, არამედ თვალს გაუსწორებთ და მიესალმებით, როცა ის პირველად მოუახლოვდება თქვენს მაგიდას. მომსახურე პერსონალს

სახელს ჰკითხავთ, სანამ შეუკვეთდეთ. ყოველთვის, როცა მისი სამსახური დაგჭირდებათ, სახელით მიმართავთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სიტყვიერად და ფინანსურად მადლობას გადაუხდით მომსახურებისთვის. ნუ დაუტოვებთ მხოლოდ დადგენილ ფეხის ქირას. მიეცით დაწესებულზე მეტი.

ყოველთვის სტანდარტულზე მეტი გააკეთეთ. ნუ დაკმაყოფილდებით საშუალოთი. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რამდენად ძვირფასია მიმტანი. ალბათ, ძალიან კარგად იცით პასუხი – საკმარისად ძვირფასი, რომ იესო მისთვის მომკვდარიყო.

ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ რამდენჯერმე, როცა მსახურებმა სადილად მიმიწვიეს, მომსახურე პერსონალს მიზერული თანხა დაუტოვეს. ერთ შემთხვევაში იმდენად აღმაშფოთებელი იყო მათი დამოკიდებულება, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გამეკეთებინა. მე და პასტორი მანქანების პარკინგისკენ მივდიოდით და უბრალოდ ვუთხარი:

– მანქანაში ჩაჯექით. მე რესტორანში უნდა დავბრუნდე.

სანამ მას მანქანა გამოჰყავდა, დავბრუნდი, რომ მაგიდაზე მოზრდილი თანხა დამეტოვებინა. როგორ შეიძლებოდა მომსახურე პერსონალს ასე მონურად მოვპყრობოდით, როცა მიმტანმა იცოდა, რომ მსახურებიდან მოვდიოდით?

მახსოვს ერთხელ, როცა მე და ლიზამ მომსახურებისთვის ერთ მიმტანს 50 % დავუტოვეთ. ჩვენი საუბრებიდან იმ ქალმა გაიგო, რომ ღვთის მსახურები ვიყავით. ჩვენ მისთვის ღმერთთან დამაკავშირებელ რგოლს წარმოვადგენდით და მას უნდა სცოდნოდა, რომ ღმერთი აფასებდა. მანამდე წავედით, სანამ ის დატოვებულ თანხას ნახავდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მის გულს შეეხებოდა და მხსნელის კეთილსურნელებას მიიტანდა. პავლე ამბობს: „ქრისტეს კეთილსურნელება ვართ ღვთისთვის, დახსნილთა შორისაც და დაღუპულთა შორისაც“ (2 კორ. 2:15). ახლა ღვთისმსახურებაზე მისი შეხედულება დადებითი იქნება და სხვისგან სიტყვის მისაღებად მომავალში გახსნილი იქნება.

როცა პატივს მიაგებთ მათ, ვინც გემსახურებათ, ბევრჯერ მიიღებთ კეთილ მოპყრობას – მეტ ულუფებს, დამატებით საკვებს, უკეთეს მომსახურებას ან სხვა სიურპრიზებს. მორწმუნეებმა ამ მოტივით არ უნდა მიაგონ პატივი, მაგრამ ეს მაინც კურთხევაა. მე და ლიზა ხშირად ვსარგებლობთ აეროპორტის პარკინგის მომსახურებით. ბევრს ვმოგზაურობთ, ამიტომ ისინი ჩვენს მანქანას ცნობენ. თუ ამ პოზიციაზე რამდენიმე ადამიანია დასაქმებული, აჩქარებით მორბიან ჩვენკენ, რომ პირველებმა მოგვემსახურონ. რატომ? იმიტომ,

რომ კარგად ვუხდით. ველაპარაკებით, ვინტერესდებით მათი მდგომარეობით, ასევე მათი საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნით. ჩვენს აეროპორტში პარკინგი საფარის ქვეშაა და დაცულია ამინდის ცვალებადობისგან. ასევე არის სხვა, ღია ადგილები. ჩემი მანქანა ყოველთვის საფარის ქვეშაა. ეს არის პატივისცემის საზღაური.

ჩვენს ადგილობრივ სასურსათო მაღაზიაშიც იგივე ხდება. ერთხელ მე და ლიზა სტუმრებთან ერთად შევედით იქ და ისინი დაინტერესდნენ: „არის ვინმე ამ მაღაზიაში, ვინც არ გიცნობთ?“ ეს იმიტომ არ ხდება, რომ ცნობილი ავტორები ან მსახურები ვართ. ფაქტობრივად, მათგან უმრავლესობამ არაფერი იცის ამის შესახებ. ჩვენ, უბრალოდ, მათთან მივდივართ და ამბავს ვეკითხებით. ვინც იცის, ვინ ვართ, საჭიროების დროს მოდიან და ლოცვას გვთხოვენ. ჩვენი დანახვისას სახე უნათდებათ და ბევრჯერ ვიღებთ დამატებით ულუფას ან შეღავათს, რაც სხვებს არ აქვთ. ისევ ვიმეორებ, ამ ზედმეტი შეღავათებისთვის ვიქცევით ასე? არა, ათასგზის არა. ასე იმიტომ ვიქცევით, რომ ღმერთმა ყველა ადამიანის პატივისცემის დავალება მოგვცა.

პრაქტიკული მაგალითები

ნება მომეცით, სხვათა პატივისცემის რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი მოვიყვანო. როცა პიროვნებას ხვდებით, თვალებში ჩახედეთ, კეთილად მოეპყარით და გააგებინეთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია. ნუ ეცდებით მხოლოდ გეგმის შესრულებას, რაც არის მითითება, მოთხოვნა, შეძენა და ა.შ. სჯობს, მომენტი გამოიყენოთ და მათი ამბით დაინტერესდეთ. თუ დრო საშუალებას გაძლევთ, ერთი კითხვით ნუ შემოიფარგლებით. სცადეთ და გამოიძიეთ, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი. როცა ადამიანმა იცის, რომ მასზე ზრუნავთ, კარი ღიაა თქვენთვის იესო ქრისტეს სახარების უდიდესი ნიჭის მისატანად. როგორც არ უნდა იყოს, თუ არ დაანახებთ, რამდენად ფასეული არიან თქვენთვის, ისეთი გრძნობა გაუჩნდებათ, რომ გამოიყენეს – თქვენს კოლექციას კიდევ ერთი სავარაუდო პროზელიტი შეემატება.

იფიქრეთ, რა შეგიძლიათ ადამიანებს გაუკეთოთ „მოსალოდნელზე“ მეტად. მიეცით პატარა საჩუქარი; მომსახურების თანხა, როცა საჭირო არ არის ან დახმარება დავალების შესასრულებლად. მენაგვეს შესთავაზეთ სოდიანი წყალი ან თქვენს სახლში მომუშავეს – საჭმელი. გადაწმინდეთ თოვლი მეზობლის სამანქანე გზიდან, სრულიად მოულოდნელად

გაკრიჭეთ მათი გაზონები. გარკვეული მხიარულებაც ახლავს ადამიანთა პატივისცემას, როცა ისინი ამას სრულიად არ ელოდებიან. ასეთი პატარა საქმეები გამოგყოფთ ადამიანთა თვალში და მათ იესო ქრისტეს სახარების მოსმენის სურვილს აღუძრავს.

ისევ ვიმეორებ, თუ რა მნიშვნელოვანია ღმერთს სთხოვოთ, რომ ნამდვილი პატივისცემა მოგცეთ გულში ყველა ადამიანის მიმართ. თუ გულში დამკვიდრების გარეშე შეეცდებით სხვების პატივისცემას, ეს ყალბი ან უკეთეს შემთხვევაში, ზედაპირული იქნება. ასეთ დროს მოსალოდნელის სრულიად საწინააღმდეგო შედეგს მიიღებთ. არაგულწრფელი დამოკიდებულების ამოცნობა ძნელი არ არის; უმეტესობა მშვენივრად ხვდება ამას. ბოლო თავის დასასრულს ერთად ვილოცებთ და ღმერთს ვთხოვთ, რომ ჩვენს გულში ნამდვილი პატივისცემა მოათავსოს. ამ წიგნში მოცემულმა ღვთის სიტყვამ თქვენში ნამდვილი რწმენა ააშენა და მეტად მოგაწყურათ იგი. ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს თხოვნაა. სანამ ამას ვიზამდეთ, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განვიხილოთ.

17

ღვთის პატივისცემა

უკანასკნელი, მაგრამ არა უმნიშვნელო, სინამდვილეში კი – ყველაზე არსებითი – ერთადერთი გზა, რომელსაც ნამდვილი პატივისცემისკენ მივყავართ, უპირველეს ყოვლისა და ყოველთვის ღვთის პატივისცემა გახლავთ. პატივისცემა, რომელიც რჩება, ყველაზე და ყველაფერზე მეტად მხოლოდ მისი დაფასებით მიიღწევა. იგავ. 3:9 მიგვითითებს: „პატივი ეცი უფალს“.

მხოლოდ ღმერთი უნდა დავაფასოთ, პატივი მივაგოთ და მისი მოკრძალება ვიქონიოთ ყველაზე და ყველაფერზე მეტად. იგი დიდი მეფეა და ღირსია არა ნაწილობრივი, არამედ მთელი ჩვენი პატივის მიღებისა. მხოლოდ ღვთის მიმართ ჩვენი პატივისცემა გადაიზრდება თაყვანისცემაში.

გახსოვდეთ, რომ საბოლოო მიზანი ღვთის პატივისცემა გახლავთ – ზემდგომი ძალაუფლების, ჩვენი თანატოლებისა და „მცირეების“ თაყვანისცემა, რომელიც იესომდე და საბოლოოდ, მამა ღმერთამდე მიდის. ამრიგად, როცა ადამიანების პატივისცემა ღვთის მორჩილებასა და პატივისცემას აღემატება, ის უფრო უპატივცემულობისა და კერპთაყვანისცემის კატეგორიაში გადადის.

გამქრალი პატივისცემა

ყელი მღვდელმთავარი გახლდათ. იგი ღვთის კარავს ზე-დამხედველობდა სამუელის ბავშვობაში. მისი ძეები ნაძირალები იყვნენ, რომლებიც პატივს არც ღმერთს სცემდნენ და არც მის ერსა და მღვდლობის მოვალეობებს. ისინი შესაწირის საუკეთესო

ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ და თუ შემწირველები დაიჩივლებდნენ, ძალით ართმევდნენ.

ყელიმ იცოდა თავისი ვაჟების მოღალატეობრივი საქციელის ამბავი შესაწირავებთან დაკავშირებით. ისიც იცოდა, რომ კარვის შესასვლელთან მომსახურე ახალგაზრდა ქალებს აცდუნებდნენ. ბოლოს მან უსაყვედურა ვაჟებს და ასე უთხრა: „რატომ იქცევით ასე? ხალხისგან მესმის თქვენი ბოროტების ამბავი. არ გინდათ, შვილებო, არ არის კარგი, რაც მესმის“ (1 სამ. 2:23-24).

მიუხედავად იმისა, რომ უპირისპირდებოდა მათ, მაინც რთავდა მღვდელმსახურების უფლებას. ამაში ყელი სარგებელს პოულობდა. მისი გაუმაძღარი ჭამის ჩვევებს მისი ძეების საქციელი აკმაყოფილებდა. ყელის მართლა რომ ჰქონოდა ღვთის პატივისცემა, მათ მსახურებიდან გადააყენებდა და მათ ნაცვლად მართალ ადამიანებს დააყენებდა, რომლებიც ღმერთსა და ადამიანებს ჭეშმარიტი გულისხმიერებით მოემსახურებოდნენ. ახლა მოისმინეთ ღვთის სიტყვა, რომელიც ყელისთან წინასწარმეტყველის მეშვეობით მოვიდა:

> „მივიდა ერთი ღვთისკაცი ყელისთან და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: განა მე არ გამოვეცხადე მამაშენის სახლს ეგვიპტეში, ფარაონის მონობის სახლში ყოფნისას? ჩემთვის გამოვარჩიე იგი ისრაელის ყველა ტომიდან ჩემს მღვდლად, რომ ჩემს სამსხვერპლოზე ასულიყო კეთილსურნელების საკმევად და ჩემს წინაშე ეფოდის სატარებლად. მე მივეცი მამაშენის სახლს ისრაელიანთა მთელი საცეცხლო შესაწირი. რატომ თელავთ ფეხქვეშ ჩემს მსხვერპლსა და შესაწირს, მე რომ დავაწესე? რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები, რომ სუქდებით ისრაელის, ჩემი ერის, შესაწირის საუკეთესო წილით?“
>
> – 1 სამ. 2:27-29 (NLT, ხაზგასმა ჩემია)

წინასწარმეტყველმა ამოიცნო ყელის მოტივები; მან საუკეთესო შესაწირავის სარგებელი არჩია, რომელიც მანიპულაციით იყო მიღებული სიწრფელეზე ძალადობით. ღმერთმა წინასწარმეტყველის პირით ამხილა, რომ ყელი საკუთარ შვილებს მეტ *პატივს მიაგებდა*, ვიდრე ღმერთს. ასე მოქცევით ის არა მარტო ჯილდოს გარეშე დარჩა, არამედ პირიქით, დიდად დაზარალდა. მოისმინეთ, რას ამბობს ღმერთი წინასწარმეტყველის პირით:

„ამიტომ ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ნათქვამი მქონდა, რომ უკუნისამდე ივლიან ჩემს წინაშე შენი სახლი და მამაშენის სახლი. ამიერიდან, ამბობს უფალი, არამც და არამც! რადგან ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან! აჰა, დგება ჟამი და მოვკვეთ შენს მკლავს და მამაშენის სახლის მკლავს ისე, რომ მოხუცებული აღარ დარჩება შენს სახლში. მეტოქეს დაინახავ ჩემს სამყოფელში, მიუხედავად იმ სიკეთისა, რაც ისრაელში მოხდება; შენს სახლში კი უკუნისამდე აღარ იქნება მოხუცებული. მაგრამ ყველას არ მოგიკვეთ ჩემი სამსხვერპლოდან, რათა თვალები დაგებინდოს და სული შეგიწუხდეს; და შენი სახლის მთელი ნამატი გაწყდება კაცობის ასაკში. და აჰა, ნიშანი, რომელიც შენს ორ ვაჟზე, ხოფნიზე და ფინხასზე აღსრულდება: ერთ დღეს მოკვდებიან ორივენი. და დავიდგენ ჩემთვის ერთგულ მღვდელს, რომელიც იმას აღასრულებს, რაც ჩემს გულსა და აზრშია. მყარ სახლს ავუშენებ და ივლის მუდამ ჩემი ცხებულის წინაშე. და ყოველი გადარჩენილი შენს სახლში, მივა მასთან, მოიდრიკება მის წინაშე ვერცხლის ფულისა და პურის ნატეხისთვის და ეტყვის: დამადგინე რაიმე სამღვდლო მსახურებაზე, რომ ვჭამო ლუკმაპური“.

– 1 სამ. 2:30-36

ღმერთმა თქვა, რომ ერთგულ მღვდელს წამოაყენებდა, რომელიც მას დაემორჩილებოდა საკუთარი თავისა და ხალხისთვის სიამოვნების მინიჭების ნაცვლად. ეს არის ჭეშმარიტი პატივისცემა. ამ მღვდლის საზღაური, რომელსაც ყელის ნაცვლად დააააყენებდნენ, მის შთამომავლობას გადაწვდებოდა. ისინი არასოდეს დაკარგავდნენ თავიანთ ადგილს და კურთხევა უხვად ექნებოდათ.

აბრაჰამის პატივისცემა

აბრაჰამმაც ანალოგიური პატივი სცა ღმერთს. მისთვის ისაკზე მნიშვნელოვანი არავინ იყო. აღთქმული შვილის დაბადებას ოცდახუთი წელი ელოდებოდა. ის ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარდა. და მაინც, ერთ დღეს ღმერთი მასთან მივიდა და პატივისცემა მოსთხოვა ისაკის მეშვეობით. ღმერთმა სთხოვა ისაკი სასიკვდილოდ გაემეტებინა. წარმოგიდგენიათ,

რა ქარიშხალი დატრიალდებოდა აბრაჰამის გულში? სხვა არაფერი არსებობდა ამქვეყნად, რომლის დათმობა ასე ძალიან არ ენდომებოდა. მისთვის უფრო ადვილი იყო მთელი ქონების გაღება, ვიდრე ისაკზე უარის თქმა, რომლიდანაც მთელი მისი შთამომავლობა უნდა დაბადებულიყო. მიუხედავად ამისა, აბრაჰამი სრულიად საწინააღმდეგოდ მოიქცა, ვიდრე ყელის შემთხვევაში ვნახეთ. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ადგა აბრაჰამი დილაადრიანად“ (დაბ.22:3). იგი არ დაყოვნებულა. ღვთის ბრძანების გაგონებიდან მეორე დილას უკვე გზას ადგა.

აბრაჰამმა ყველაზე მეტად ღმერთს მიაგო პატივი. ამიტომ ისაკის სასიკვდილოდ გამეტებამდე ანგელოზმა შეაჩერა ის: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ძე“ (მუხ. 12). კიდევ ვიმეორებ, რომ ყოველგვარი ნამდვილი პატივისცემა წმიდა შიშიდან მოდის. ახლა ნახეთ, რა საზღაური მიიღო აბრაჰამმა უმაღლესი პატივისცემის გამოხატვის შემდეგ:

> „და მეორედ მოუხმო უფლის ანგელოზმა აბრაჰამს ციდან. უთხრა: „გეფიცები, ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე და არ დაზოგე შენი ერთადერთი ძე ჩემთვის, ამიტომ გაკურთხებ შენ და გავამრავლებ შენ შთამომავლობას, როგორც ცის ვარსკვლავებს და ქვიშას ზღვის ნაპირზე. და დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა თავის მტერთა კარიბჭეს. და იკურთხება შენს თესლში დედამიწის ყოველი ერი, რადგან შეისმინე ჩემი ხმა“.
>
> – დაბ. 22:15-18

გახსოვდეთ, რომ პატივისცემას ყოველთვის თან სდევს ჯილდო, პირდაპირ ღმერთს სცემთ პატივს თუ ირიბად, მის მსახურების პატივისცემის მეშვეობით.

მოსეს მცდარი არჩევანი

მოსე აღმოჩნდა ყველაფრის დაკარგვის ზღვარზე იმის გამო, რომ ღვთის ნაცვლად სხვისი პატივისცემა არჩია. დიდი იყო მისი შეცდომა. ფაქტობრივად, ღმერთი ისე განრისხდა, რომ მოსეს სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ისე მოხდა, რომ გზაზე, ღამის გასათევში შეხვდა მას უფალი და მოკვლა დაუპირა“ (გამ. 4:24).

სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, ჯერ ვნახოთ, წინ რა მოვლენები ვითარდებოდა. არცთუ დიდი ხნით ადრე მოსეს

მაყვლოვანში უფალი გამოეცხადა. ღმერთმა განუცხადა, რომ ისრაელის ეგვიპტისგან დასახსნელად ამოარჩია. მოსე მთიდან ჩამოვიდა, ცოლ-შვილს ხელი მოკიდა და ეგვიპტისკენ გაემართა თავისი დანიშნულების აღსასრულებლად. დაბანაკების პირველ ღამეს ღმერთმა მოსეს მოკვლა დააპირა.

რა? იმ ადამიანის მოკვლა, რომელსაც ახლახან უთხრა, რომ მის ერს იხსნიდა? ღმერთს ხომ არაფერი ეშლება? არა, ათასგზის არა! მაშ, რა ხდება?

როცა მოსე მთიდან ჩამოვიდა ალმოდებული ბუჩქის ნახვის შემდეგ, პირველი ცოლი შეეგება. იგი მიხვდა, რომ ქმრის თავს რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა და გამოკითხვა დაუწყო. წარმომიდგენია, როგორი იყო მათი დიალოგი:

– საყვარელო! – შესძახა მოსემ, – ღმერთი გამომეცხადა და მითხრა, რომ ეგვიპტეში უნდა დავბრუნდე და ჩემი ერი ფარაონის მონობისგან ვიხსნა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის მხსნელი ვარ, რომელზეც კარგა ხანია ვლაპარაკობდით.

მისი ცოლი, სეფორა ასე პასუხობს:

– საოცარია, შენთან ერთად ვარ, ძვირფასო. როდის მივდივართ?

მოსემ უპასუხა:

– დაუყოვნებლივ, მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გავაკეთოთ. ღმერთმა მთაზე აბრაჰამთან დადებული აღთქმა განიხილა. მან მითხრა, რომ ჩვენი ორი ბიჭი უნდა წინადავცვითოთ.

ქალმა უპასუხა:

– ოჰო, ძალიან კარგი. მოდი, გერშომიდან დავიწყოთ. ის ხომ უფროსია!

შემდეგ ციფორა აკვირდება, როგორ ასრულებს მოსე წინადაცვეთის რიტუალს.

მოდი, აქ შევისვენოთ და ნება მომეცით, რაღაც გითხრათ. ჩვენი მესამე ვაჟის წინადაცვეთის მოწმე ვარ. ექიმმა გვთხოვა, რომ ამ პროცედურის წინ თავი გაგვემაგრებინა. მან გვითხრა, რომ ალეკის ასეთი ტკივილის მოწმე აღარასოდეს ვიქნებოდით. როცა ექიმმა დაიჭირა და განაკვეთი გააკეთა, დავინახე, როგორ ყვიროდა ალეკის ყოველი ბოჭკო. აგონიაში ვიყავი, როცა მის ასეთ ტკივილს ვუყურებდი.

მოდი, ახლა ეს ციფორას შემთხვევაში გამოვიყენოთ. იგი უყურებდა, როგორ ყვიროდა, ღმუოდა და ტკივილისგან იგრიხებოდა მისი უფროსი ვაჟი. ამან ის ძალიან დააფრთხო. როგორ შეიძლება ასე მოექცეს მისი ქმარი საყვარელ შვილს? მას აოცებდა კაცი, რომელსაც ცოლად გაჰყვა. რა დაემართა მას მთაზე? ნუთუ შესაძლებელია, რომ მოსე ასეთი ცივსისხლიანი და სასტიკი იყოს?

ამრიგად, დედა მოქმედებას იწყებს. იგი მოსესა და უმცროს შვილს, ელიაზარს შორის დგება დოინჯშემოყრილი. ციფორას ფეხები განზე გაუდგამს და გაბედული პროტესტის პოზა მიუღია. მისი სათქმელი სულაც არ არის გაურკვეველი, *ერთი ნაბიჯითაც არ მომიახლოვდე.* იგი წინააღმდეგია: „ამას აღარ გააკეთებ. ეს ჩემი შვილია; ცუდია, რომ ამ სასტიკი და უსამართლო წამების აქტს დავესწარი, რომელიც გერშომს გაუკეთე. რანაირი ქმარი ხარ?“

მე მხოლოდ წარმოდგენა შემიძლია, რამხელა ოჯახური დაპირისპირება მოხდა. ციფორა კამათობს, შემდეგ ყვირის და შესაძლოა, მოსეს ემუქრება კიდეც. ბრძოლა მთელ დღეს მიმდინარეობს, შემდეგ – ღამე და მეორე დღესაც გრძელდება. სახლში საჭმელი არ მზადდება და ყოველ მომდევნო საათს მეტი საფრთხე მოაქვს. მოსეს ეს ყველაფერი დაუსრულებელი ეჩვენება და ენერგიას აცლის.

ბოლოს ყელში ამოსდის ცოლის წინააღმდეგობა და ასე ფიქრობს: *ბრძოლამ დამღალა, საკეთებელი საქმე მაქვს, ცხოვრებისეული მოწოდება მივიღე მთელი ერის დასახსნელად და უკვე მოქმედებას უნდა შევუდგე.* მოსე ნებდება და ამბობს: „კარგი, უბრალოდ ავდგეთ და წავიდეთ“.

ეგვიპტის გზაზე ბანაკად მყოფებთან უფალი ჩამოდის და მოსეს მოკვლას უპირებს, რადგან მან ცოლს ღმერთზე მეტი პატივი მიაგო. ღმერთი ამას არ მოითმენდა რჩეულ წინამძღოლთან. მოსეს მოკლავდა და სხვას დააყენებდა. თუმცა ციფორამ დაინახა, რა ელოდა მის ქმარს, გონივრული აზრი მოუვიდა და სასწრაფოდ წინადაცვითა თავისი ძე. წერილში ვკითხულობთ: „[ახლა, ჩანს, მოსემ შეცდომა დაუშვა ერთ-ერთი ძის წინადაუცვეთლობით, რადგან ცოლი ეწინააღმდეგებოდა. როცა დაინახა, რომ მის ქმარს დიდი საფრთხე ემუქრებოდა], აიღო ციფორამ კაჟი, დაუცვითა ჩუჩა თავის ძეს და ფერხთით დაუგდო მას და თქვა: „სისხლის ნეფე ხარ ჩემთვის“ (გამ. 4:25). როგორც კი ეს გააკეთა, „გაეცალა უფალი მოსეს“ (მუხ. 26). ერთ დღეს ლოცვაში ღმერთმა კითხვა დამისვა:

– მოსეს მოსაკლავად მოვედი თუ მისი ცოლის მოსაკლავად?

სერიოზულად ვუპასუხე:

– მოსეს.

შემდეგ ღმერთმა მითხრა:

– დიახ, რადგან მოსეს ვუბრძანე შვილების წინადაცვეთა. ის არის სახლეულის თავი, მაგრამ მან ცოლის მოთხოვნების შესრულება არჩია, ამიტომ ის იყო პასუხისმგებელი.

ამან დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია უკომპრომისობა ჭეშმარიტების დაცვაში, როცა ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფების სიამოვნებას ვამჯობინებთ.

მოსე *მშვიდობის შემნარჩუნებელივით* მოქმედებდა და არა *მშვიდობისმყოფელივით*. იესოს არასოდეს უთქვამს, „ნეტარ არიან მშვიდობის შემნარჩუნებლები“ (მათ. 5:9), არამედ „ნეტარ არიან *მშვიდობისმყოფელნი*“. მშვიდობის შემნარჩუნებელია ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტებას თმობს მშვიდობის ცრუ გრძნობის შესანარჩუნებლად. წინამძღოლები ადვილად ვარდებიან ამ მახეში. არსებითად, ეს არის უხილავი ღვთის ნაცვლად ხილული ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება. ღმერთს ასეთი ქცევა ეზიზღება.

მეორე მხრივ, *მშვიდობისმყოფელს* დაპირისპირების არ ეშინია, თუ საჭიროება მოითხოვს, რომ ნამდვილმა მშვიდობამ დაისადგუროს. სწორედ ამ მიზეზით ამბობს იესო: „იოანე ნათლისმცემლის დღიდან აქამდე ცათა სამეფო ძალისხმევით აიღება, და ძალისმხმეველნი წარიტაცებენ მას [როგორც ძვირფას პრიზს – ცათა სამეფოში წილს მხოლოდ მხურვალე მოშურნეობით და დიდი ძალისხმევით იმკვიდრებენ]“ (მათ.11:12). ცათა სამეფო არის *მშვიდობა* (რომ.14:17) და ზოგჯერ ნამდვილი მშვიდობის ფლობისთვის დაპირისპირებაც გვიწევს.

მშვიდობის შემნარჩუნებელებს, როგორც წესი, ეგოისტური მიზნები ამოძრავებთ. მათ არ სურთ თავიანთვის არაკომფორტული ცხოვრების შექმნა ან იმ ადამიანებისგან გარკვეულ სარგებელს მოელიან, ვისაც უნდა დაუპირისპირდნენ, როგორც ყელი აკეთებდა თავის ვაჟებთან.

როგორც ჩანს, მოსემ ზემოხსენებული შემთხვევით ისწავლა და არასოდეს დაუყენებია საფრთხის ქვეშ ჭეშმარიტების დაცვა სხვა ადამიანის მოთხოვნის გამო. ამრიგად, მსახურების დასაწყისში მომხდარი ინციდენტი მისთვის ნიშნულად, მნიშვნელოვან გაკვეთილად და ადგილად იქცა, სადაც მის გულში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, რომელმაც ის დიდ წინამძღოლად აქცია დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

ყელის ამბავი სხვაგვარად იყო. ის არ გახლდათ მოსესავით ახალბედა ლიდერობაში და გამოცდილ ვეტერანს კარგად უნდა სცოდნოდა, რას აკეთებდა. მეორე მხრივ, მოსე გულწრფელად ცდილობდა კარგი ქმარი ყოფილიყო, მაგრამ გულწრფელად ცდებოდა.

ოჯახური გამოწვევები

თუ კარგად დააკვირდებით ამ თავში მოყვანილ ილუსტრაციებს, შეამჩნევთ, რომ ოჯახში ყველა მათგანს შეხვდებით: ყელისა და აბრაჰამის დამოკიდებულებას შვილების მიმართ, მოსესა და მისი ცოლის ურთიერთობას. ამ დროისთვის ნათელი ხდება იესოს სიტყვები სახლეულთან დაკავშირებით:

> „ნუ გგონიათ, რომ მშვიდობის მოსატანად მოვედი დედამიწაზე. მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი. რადგან მოვედი, რათა გავყო კაცი თავის მამისგან, ასული - თავის დედისგან და რძალი - თავის დედამთილისგან. კაცის მტრები კი მისი ოჯახის წევრები იქნებიან. ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს (ვისაც ჩემზე მეტ პატივს მიაგებს), ის არ არის ჩემი ღირსი; ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს (მეტ პატივს მიაგებს), ის არ არის ჩემი ღირსი“.
>
> – მათ. 10:34-37 (სიტყვები ფრხილებში ჩემია)

როცა ღვთის სიტყვაში გამოვლენილ მის ნებას ვთმობთ სხვა რაღაცის პატივისცემის გამო, თუნდაც ეს ჩვენი ოჯახის ფარგლებში ხდებოდეს, არსებითად, ღვთის წინაშე ვცოდავთ. ვიმედოვნებ, რომ ამის ძალა გესმით. იესოს სიტყვები პირდაპირი და მკაცრია. ზემომოყვანილი მაგალითებიდან კარგად ვიცით, რატომ არის ასე. ყელი თავს ვერ დააღწევდა მის ოჯახზე გამოცხადებულ სასჯელს. ღმერთზე მეტად საკუთარი ვაჟების პატივისცემა ძვირად დაუჯდა.

ამაში პატივისცემის სწორი ბალანსი იგულისხმება. წინამდებარე წიგნში ყურადღება გავამახვილეთ პატივისცემის მნიშვნელობაზე. თუმცა ღვთის გარდა სხვისი პატივისცემა უპატიობისა ან კერპთაყვანისმცემლობის კატეგორიაში ხვდება და ხშირად მწარე შედეგი მოაქვს. არავის და არაფერს არ უნდა მიაკუთვნოთ მასზე მეტი პატივი. ის ღმერთი, მეფე და ჩვენი მხსნელია. ამ აზრს უნდა ვითვალისწინებდეთ ყველა საქმის კეთებისას.

პატივისცემა მორჩილებაში გამოიხატება

წმიდა წერილში ბევრი ადგილია, სადაც კაცები და ქალები ღმერთს სათანადო პატივს არ მიაგებდნენ. არც ერთ შემთხვევაში არ დაადგა მოსაწონი შედეგი. ვნახეთ, რა მოყვება

ჩვენი ძალაუფლების ქვეშ მყოფთა პატივისცემას; იგივე მიდგომა ჭეშმარიტია ჩვენი თანასწორებისა და ჩვენს ზემოთ მყოფების მიმართაც.

ერთი შემთხვევა ყველაზე მეტად მაღელვებს. ეს გახლავთ ახალგაზრდა და მოხუცი წინასწარმეტყველების ამბავი. ღმერთმა ახალგაზრდა წინასწარმეტყველი ბეთელში გაგზავნა და საკერპო იმ სამსხვერპლოზე დატირება დაავალა, რომელსაც მეფე იერობყამი იყენებდა. წარგზავნილი ასეც მოიქცა და ღმერთმა ის სამსხვერპლო დაანგრია, ხოლო ნაცარი მიმოფანტა ზუსტად ისე, როგორც წინასწარმეტყველმა თქვა.

მეფე იერობყამი გაოცდა, რამდენად სწრაფად ახდა ღვთის კაცის ნათქვამი, ხოლო ღვთიურმა ძალამ მისი ხელი განკურნა. ამრიგად, მან წინასწარმეტყველი სასახლეში მიიწვია მოსასვენებლად და ჯილდოს მისაღებად. ამაზე კაცმა ასე უპასუხა: „ნახევარი სახლიც რომ მომცე, არ წამოგყვები, არც პურს შევჭამ და არც წყალს დავლევ ამ ადგილზე. რადგან ასე მაქვს ნაბრძანები უფლის სიტყვით: პურს ნუ შეჭამ, წყალს ნუ დალევ და ნურც იმ გზით დაბრუნდები, რომლითაც მოხვედი“ (1 მეფ. 13:8-9).

ამრიგად, ის სხვა მიმართულებით წავიდა და იუდაში დასაბრუნებელ გზას დაადგა. მას ერთი მოხუცი წინასწარმეტყველი შეხვდა, რომელმაც სახლში საჭმელად მიიპატიჟა. ახალგაზრდამ მასაც გაუმეორა, რაც ღმერთმა უთხრა – არსად არ უნდა ეჭამა და ესვა და არც იმავე გზით დაბრუნებულიყო, ამიტომ მოწვევაზე უარი უნდა ეთქვა. მოხუცმა ასე უთხრა: „მეც შენსავით წინასწარმეტყველი ვარ, ანგელოზი მელაპარაკა უფლის სიტყვით და მითხრა - შენს სახლში წამოიყვანეო ეს კაცი, პური ჭამოს და წყალი დალიოს“. თუმცა მოხუცი წინასწარმეტყველი ცრუობდა (მუხ. 18).

ახალგაზრდამ პატივი მიაგო მოხუცის სიტყვებს და თან წაყვა. სახლში სადილობისას უფლის სიტყვა მოვიდა ახალგაზრდასთან, რომ დაუმორჩილებლობის გამო მის წინაპრებთან ვერ დაიმარხებოდა.

იგი იუდასკენ მიმავალ გზას დაადგა, მაგრამ ლომი შემოეყარა და მოკლა, თუმცა მის გვამს არ მიჰკარებია და არც ის სახედარი შეუჭამია, რომლითაც ღვთის კაცი მგზავრობდა. როცა მოხუცმა წინასწარმეტყველმა შეიტყო, რა ბედი ეწია ახალგაზრდას, დარწმუნებით განაცხადა: „უფალმა მისცა ლომს, რომელსაც დაუგლეჯია და მოუკლავს, უფლის სიტყვის თანახმად, როგორც ნათქვამი ჰქონდა მისთვის“ (მუხ. 26).

ახალგაზრდა წინასწარმეტყველმა პატივი მიაგო მოხუცს. დიდი ალბათობით, ხანდაზმულებისადმი მოწიწება ნორჩი ასაკიდანვე განუვითარეს. მასში მტკიცედ იყო გამჯდარი ღვთის სამსახურში მასზე დიდხანს მყოფი ადამიანის პატივისცემა და ეს კარგი თვისებაა. და მაინც, აუცილებელია სწორი ბალანსის დაცვა. ახალგაზრდა წინასწარმეტყველს სიკვდილის ფასად დაუჯდა უფლის სიტყვაზე მეტად მოხუცის ნათქვამის პატივისცემა.

ახალი აღთქმიდან ანალოგიურ მაგალითს პეტრეს ცხოვრებაში ვხედავთ. პავლე მოციქული წერს:

> „როცა კეფა ანტიოქიაში მოვიდა, საჯაროდ წინ აღვუდექი მას, ვინაიდან საჩივარი იყო მასზე. რადგან ვიდრე იაკობისგან ზოგიერთები მოვიდოდნენ, წარმართებთან ერთად ჭამდა, ხოლო მათი მოსვლისთანავე ჩამოშორდა მათ და წინადაცვეთილთა შიშით განზე გადგა. მასთან ერთად თვალთმაქცობდნენ სხვა იუდეველებიც, ისე, რომ ბარნაბაც კი ჩაითრია მათმა თვალთმაქცობამ“.
>
> – გალ. 2:11-13

რატომ ჩამოშორდნენ პეტრე, ბარნაბა და სხვა ებრაელი მორწმუნეები არაებრაელებს, როცა ადრე თავისუფლად ჭამდნენ მათთან ერთად? პასუხი მარტივია – ჭეშმარიტების დაცვას მეგობრების პატივისცემა არჩიეს და ამან მათში შიში და თვალთმაქცობა წარმოშვა. პეტრემ იცოდა ჭეშმარიტება, რომელიც იაფოში ხილვისას გაეცხადა. უფალმა ზუსტად ასე უთხრა: „რაც ღმერთმა განწმიდა, უწმიდურად ნუ მიიჩნევ“ (საქმ. 10:15).

ვიმეორებ, რომ ზოგჯერ უფრო ადვილია იმ ადამიანის პატივისცემა, რომელსაც ვხედავთ, ვიდრე უხილავი ღვთისა. თუმცა ასე არ უნდა იყოს. ჩვენს შეხედულებებს ზღვარი უნდა დავუწესოთ, რომ ჩვენი გამოხმაურება დავარეგულიროთ. ამრიგად, თუ ჩვენთვის საყვარელი ან პატივსაცემი ადამიანი რაიმეს გვთხოვს, გვატყუებს ან ჩვენს გადარწმუნებას ცდილობს იქ, სადაც ზუსტად ვიცით, რას ამბობს ღვთის სიტყვა, მისი სურვილები ღვთის პატივისცემაზე მაღლა არ უნდა დავაყენოთ.

პატივისცემის დაკავება

არის დრო, როცა პატივისცემას ვაკავებთ. შესაძლოა, ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ მას სათანადოდ უნდა მივხედოთ, რომ ცოდვაში არ ჩავვარდეთ. წერილში ვკითხულობთ:

„უგუნურს ისე არ შეჰფერის პატივი, როგორც
ზაფხულს – თოვლი და მოსავლის აღებას – წვიმა“.

– იგ. 26:1

„ბრიყვისთვის პატივის მიგება იგივეა,
რაც შურდულზე ქვის მიბმა“.

– იგ. 26:8

შურდულზე ქვის მიბმა იმას ნიშნავს, რომ თქვენ გარდა არავინ დაზარალდება. როგორ გამოვიყენოთ ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში? პირველი, ვინ არის ბრიყვი? ეს არის ადამიანი, რომელიც გულში ამბობს, რომ ღმერთი არ არსებობს (ფს.53:1); ავრცელებს ჭორს (იგ.10:18); ბოროტის ქმნით ერთობა (იგ.10:23); ყოველთვის მართალია საკუთარ თვალში და ღვთიური რჩევა არ აინტერესებს (იგ.12:15); მაღალფარდოვანი და ქედმაღლური სიტყვებით საუბრობს (იგ.14:3); თავდაჯერებულია და უარყოფს სიბრძნეს, ცოდნასა და შესწორებას (იგ.15:5; 18:2) – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ბრიყვისთვის დამახასიათებელი თვისებებიდან. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთ პიროვნებას ახალი აღთქმა ანტიქრისტეს უწოდებს, რადგან ის იესო ქრისტეს მოძღვრების საწინააღმდეგოდ ცხოვრობს.

როცა უგუნური ადამიანის სისულელეს პატივს მივაგებთ, საკუთარ თავს ვაზიანებთ; ჩვენი შურდულის ქვა უკან გვიბრუნდება. იოანე მოციქული ამას საკმაოდ ნათლად გამოხატავს თავის მეორე წერილში:

„თუ ვინმე მოდის თქვენთან და არ მოაქვს ეს მოძღვრება [იესო ქრისტეს სწავლების ერთგული არ არის], სახლში ნუ მიიღებთ და ნურც მიესალმებით მას. რადგან ვინც მას მიესალმება [ვინც ყოველგვარ წარმატებას უსურვებს და გაამხნევებს], მის ბოროტ საქმეთა მოზიარეა“.

– 2 იოან. 10-11 (AMPC)

უგუნურებაა უპატიო საქციელის ან იესო ქრისტეს მოძღვრების საწინააღმდეგო ქცევის პატივისცემა. თუ ასე მოვიქცევით, მათი ცოდვების მოზიარე გავხდებით.

პატივის მოპოვება

და ბოლოს, როგორც ადრე აღვნიშნე, ღვთის სურვილს ეწინააღმდეგება პატივის ძალით მოხვეჭა. თუ ქმარმა მოისმინა სიტყვა პატივისცემაზე და სახლში დაბრუნებისას ცოლ-შვილისგან მოითხოვა ის, ქადაგების არსი ვერ გაუგია. იგივე ითქმის ძალაუფლების ნებისმიერ სხვა პოზიციასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, წერილი გვასწავლის, რისი გაკეთება შეგვიძლია პატივის მოსაზიდად ჩვენს ცხოვრებაში:

> „შეიძინე სიბრძნე, შეიძინე გონიერება, ნუ დაივიწყებ და ნუ გადაუხვევ ჩემს სიტყვებს. ნუ მიატოვებ და ის დაგიცავს, გიყვარდეს და ის შეგინახავს. სიბრძნის დასაწყისი სიბრძნის მოხვეჭაშია, მთელი შენი ქონებით გონიერება შეიძინე. დააფასე იგი და აგამაღლებს; *პატივს მოგაგებს*, თუ გულში ჩაიკრავ“.
>
> – იგ. 4:5-8 (ხაზგასმა ჩემია)

სიბრძნის მოხვეჭა პატივს მოგიტანთ. სიბრძნის საწყისი უფლის შიშია. როცა უფლის შიში გვაქვს, ღვთის სიტყვას ვერწმუნებით და ვემორჩილებით ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. სურვილი გვაქვს ყველა მის მცნებასა და მითითებას ყოველთვის დავემორჩილოთ. აღმოვაჩინე, რომ ადამიანთა გარკვეული კატეგორია წმინდა წერილის თავიანთი ცხოვრების წესისა და შეხედულებებისთვის მორგებას ცდილობს. ამრიგად, ისინი ბიბლიაში *იმას ამოიკითხავენ, რაც სწამთ* ნაცვლად იმისა, რომ *წაკითხულს ერწმუნონ*. პირველი მიდგომა მაცდურია, ხოლო მეორე უფლის შიშია, რომელსაც სიბრძნისკენ მივყავართ.

ადამიანები, რომლებიც სიმართლით ცხოვრებას ცდილობენ, მოწყალებას გასცემენ და თავმდაბლობით დადიან ღვთის წინაშე, სწრაფი არიან მონანიებასა და რწმენაში. ისინი საჭიროების დროს ადვილად იღებენ შესწორებას. ბიბლია გვეუბნება: „დარიგების უგულებელმყოფელს სიღარიბე და სირცხვილი მოელის, მხილების გამგონე კი პატივდებული იქნება“ (იგ13:18). სირცხვილის ანტონიმია პატივი. შეეწინააღმდეგე დარიგებას და სირცხვილს მოიზიდავ. საკუთარ კომფორტსა და სიამოვნებაზე

მეტად შეიყვარე ჭეშმარიტება და პატივისცემას მოიზიდავ.

ეს ყველაფერი აქამდე დადის: „თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლეა“ (იგ. 22:4). ღმერთი პატივისცემას გპირდებათ, თუ ღვთისმოსაობას მიყვებით. შესაძლოა, ყველაფერი სწრაფად არ მოვიდეს, მაგრამ აუცილებლად მოვა. ახლა, როცა მსახურებაში ათწლეულები გავატარე, მინახავს ადამიანები, რომლებიც მუდამ ღვთის კურთხევაში დადიან. ზოგისთვის გარკვეული მიზეზების გამო ისე ჩანს, რომ მათი ერთგულება არ ფასდება, თუმცა სიმტკიცისა და გამძლეობის მეშვეობით მაინც მოიპოვებენ დიდ პატივისცემასა და კურთხევას.

პატივის დამკვიდრება

პატივისცემის შესანარჩუნებლად სულით თავმდაბალი უნდა ვიყოთ. ღვთის უხვი კურთხევის მიუხედავად ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არაფერი გვაქვს, რაც არ მიგვიღია. როცა მე და ლიზამ მოგზაური მქადაგებლების მსახურება წამოვიწყეთ, ბევრი არაფერი გაგვაჩნდა და არც მოთხოვნადი ვიყავით. მიზნად დავისახეთ, რომ ყველაფერი გაგვეღო ყველგან, რომელ კარებსაც ღმერთი გაგვიღებდა.

წლების მანძილზე ვხედავდით, როგორ კმაყოფილდებოდა ჩვენი საჭიროებები მეთერთმეტე საათზე. და ერთხელაც ღმერთი ლოცვაში დამელაპარაკა:

– შვილო, შენი, შენი ოჯახისა და მსახურების კურთხევას ვაპირებ ისე, როგორც არასოდეს გიოცნებია. უხვად იქნები უზრუნველყოფილი და შენი მსახურების გავლენა დიდად გაიზრდება. მიუხედავად ამისა, ეს შენი გამოცდაც იქნება. რთულ პერიოდებში მენდობოდი ყველაფერში, თუ რა უნდა გელაპარაკა, როგორ დაგეხარჯა თანხები, სად უნდა წასულიყავი და ასე შემდეგ. როცა უხვად გაკურთხებ, შენი საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას დაიწყებ თუ ისევ მომძებნი საჭირო სიტყვის მისაღებად? ფულს ისე დახარჯავ, როგორც მოგეპრიანება თუ ჩემს რჩევას დაეყრდნობი? აღარ მომძებნი, რომ გაიგო, საით წახვიდე და რა გააკეთო? დაივიწყებ, საიდან გამოხვედი?

შემდეგ მან მითხრა:

– შვილო, დაცემულთა უმრავლესობა ასე მოიქცა სიუხვის დროს და არა რთულ პერიოდებში.

მახსოვს, სახლში მისვლისას (ამ დროს სახლიდან მოშორებით ვიმყოფებოდი) როგორ ვუამბე ლიზას, რაც ლოცვაში ღვთისგან გავიგე. მან სერიოზულად შემომხედა და მითხრა:

– ჯონ, მარტო პირველი ნაწილი რომ მოგეყოლა ღვთის უხვი კურთხევის დაპირებაზე, სიხარულით ვიცეკვებდი, მაგრამ ამ გაფრთხილების შემდეგ მისმა შიშმა მომიცვა.

თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

პავლე მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარ თავს „მოციქულთა შორის უმცირესს“, „ყველა წმიდას შორის უმცირესს“ და „უდიდეს ცოდვილს“ უწოდებდა. მას არც ის დავიწყებია, საიდან გამოვიდა და არც მარადიული ჭეშმრიტება, რომ ყველაფერი ღვთისგან ჰქონდა მიღებული. სწორედ ამ მიზეზის გამო წერდა: „რადგან ვინ განგასხვავებს? ან რა გაქვს, რაც არ მიგიღია? ხოლო თუ მიიღე, რად იკვეხნი, თითქოს არ მიგეღოს?“ (1კორ.4:7). თუ ღმერთს ასე თავმდაბლად ვემსახურებით, არ დავკარგავთ, რისთვისაც გვიშრომია. გაიხსენეთ წერილის მონაკვეთი, რომლითაც წიგნი დავიწყეთ: „თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც იღწვოდით, არამედ სრული საზღაური მიიღოთ“ (2 იოან.8). ჩვენი შრომის ნაყოფის შესანარჩუნებლად ასე გვაფრთხილებენ:

„ქედმაღლობა კაცს დაამდაბლებს, თავმდაბალი სული კი *პატივს* დაიმკვიდრებს“.

– იგ. 29:23 (ხაზგასმა ჩემია)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „*დამკვიდრება*“. პატივს დავიმკვიდრებთ და მასში გავიზრდებით თუ უფლის შიშით ვიცხოვრებთ და ნამდვილი თავმდაბლობით ვივლით. არასოდეს დაგავიწყდეთ, რა დიდი სიკვდილისგან გიხსნათ იესომ. გარდა ამისა, გახსოვდეთ მისი სიყვარული და ყოველი შემხვედრი ადამიანის ფასეულობა, რომელიც ასევე დიდია. ისეთივე პატივი მიაგეთ მათ, როგორიც იესომ მიაგო სიცოცხლის გაწირვით და თავად დაიმკვიდრებთ პატივს, მიიღებთ საზღაურს და ბოლომდე შეინარჩუნებთ მიღებულს.

დასკვნა

არაერთხელ გავუსვით ხაზი, რომ ყოველი ჭეშმარიტი პატივისცემა გულიდან მოდის. ჩვენი გულის შეცვლის ყველაზე ეფექტური გზა ნამდვილი ლოცვაა. მოგიწოდებთ ყოველდღიური ლოცვისკენ, რომ ღვთის სიყვარული, წმინდა მოშიშება და პატივისცემა უხვად დამკვიდრდეს თქვენს გულში. ამრიგად, წიგნი სრულდება, მაგრამ არა თქვენს გულში შემოსული სიტყვა, რომელიც ნაყოფებს მოიტანს ცხოვრებაში. მინდა ღვთის წინაშე ვილოცო, რომ თქვენს არსებაში ჩაღვაროს ჭეშმარიტი პატივისცემა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ცხოვრების გზაზე შეგახვედრებთ. თუ აქამდე უგულებელყავით მათი პატივისცემა, ლოცვას მონანიებით დავიწყებ. მოდი, ერთად ვილოცოთ:

„ზეციერო მამა, მადლობას გიხდი, რომ წინამდებარე წიგნის მეშვეობით დამელაპარაკე. შენს წინაშე მოვდივარ და უპირველეს ყოვლისა, პატიებას გთხოვ. მომიტევე, რომ უგულებელვყავი იმ ადამიანთა პატივისცემა, რომლებიც ცხოვრებაში შემახვედრე. პატივს არ მივაგებდი და არ ვექვემდებარებოდი ჩემს ზემდგომებს, ასევე პატივისცემას არ გამოვხატავდი ჩემი თანასწორების მიმართ. არ ვაფასებდი უშუალოდ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფთ; და ბოლოს, პატივს არ მივაგებდი ყველა იმ კაცსა და ქალს, ვისაც უფალი ცხოვრებაში მახვედრებდა. გთხოვ, გამწმინდო იესოს სისხლით. ვინანიებ ჩემს უგრძნობელობას ზოგიერთი ადამიანის მიმართ.
გთხოვ, უხვად აავსო ჩემი გული და სამშვინველი ნამდვილი პატივისცემით.
მინდა, რომ უფლის შიში და ღვთიური სიყვარული გადმოიღვაროს ჩემი გულიდან. გთხოვ, აანთო ჩემი გული ისე, როგორც შენ გსურს, რომ მამაკაცებსა და ქალებში დავინახო ძვირფასი, საყვარელი და პატივსაცემი ადამიანები. ამას გთხოვ რწმენით და ახლავე ვიღებ იესო ქრისტეს სახელით. ამინ!“

ყოველდღიურად ილოცეთ მოცემული ლოცვის თანახმად; იარეთ ღვთის სიტყვის მორჩილებაში და დააკვირდით, როგორ გარდაიქმნებით ღვთის სამეფოს უფრო დიდ ელჩად. დიდი იქნება საზღაური და თქვენს გულს სიხარული და კმაყოფილება მოიცავს. მადლობა ჩვენი მეფის მიმართ თქვენი სიყვარულისა და მსახურებისთვის.

„ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, და ახლა და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“

– იუდ. 1:24-25

დანართი

სულის გადარჩენა ყველასთვის შესაძლებელია

„თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომ. 10:9-10

ღმერთს სურს, რომ მთელი სისავსით იცხოვროთ. მას დიდი მოწადინება აქვს თქვენსა და იმ გეგმის მიმართ, რომელიც თქვენი ცხოვრებისთვის შექმნა. და მაინც, თქვენი დანიშნულებისკენ სვლის დაწყების ერთადერთი გზა ასეთია: ხსნის მიღება ღვთის ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

ღმერთმა იესო ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით გზა გაგიხსნათ მის სამეფოში საყვარელი ძისა და ასულის სახით შესასვლელად. ქრისტეს ჯვარცმის მსხვერპლმა შესაძლებელი გახადა თქვენთვის მარადიული და უხვი სიცოცხლის უსასყიდლოდ მიღება. გადარჩენა ღვთის საჩუქარია. თქვენ მას ვერც დაიმსახურებთ და ვერც გამოიმუშავებთ.

ამ ძვირფასი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა აღიაროთ თქვენი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა (რადგან ეს არის თქვენ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი). ამგვარი მონანიება გადარჩენის მიღების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პეტრემ ეს იმ დღეს გააცხადა, როცა ხუთი ათასმა ადამიანმა მოინანია საქმეთა წიგნში: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები“ (საქმ.3:19). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ყოველი ჩვენგანი

ცოდვის მონად იბადება. ამ მონობის ფესვი ადამის ცოდვიდან მოდის, რაც ნებსით ურჩობის მაგალითია. მონანიება არის არჩევანი, რაც საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის მორჩილებიდან ახალი ბატონის, იესოს ქრისტეს მორჩილებაში გადმოსვლას ნიშნავს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა თქვენს გამოსახსნელად.

იესოს თქვენს ცხოვრებაზე უფლობის ნება უნდა მისცეთ. იესოს უფლად აღიარება მისთვის თქვენს ცხოვრებაზე (სულზე, სამშვინველსა და სხეულზე) – მთელს თქვენს არსებასა და საკუთრებაზე – ბატონობის მინიჭებას ნიშნავს. როგორც კი ამას გააკეთებთ, ღმერთი სიბნელისგან დაგიხსნით და მისი სამეფოს სინათლესა და დიდებაში გადაგიყვანთ. თქვენ მარტივად გადახვალთ სიკვდილიდან სიცოცხლეში და მისი შვილი გახდებით!

თუ გსურთ გადარჩენის მიღება იესო ქრისტეს მეშვეობით, შემდეგი ლოცვა წარმოთქვით:

„ზეციერო მამა, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმართლის სტანდარტებიდან. ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ. მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამტოვე. მჯერა, რომ იესო ქრისტე, ქალწული მარიამისგან დაბადებული შენი მხოლოდშობილი ძე გამოგზავნე დედამიწაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასატანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის როგორც ჩემი უფალი და მხსნელი. ამრიგად, დღეს ვინანიებ შენგან ჩემს დამოუკიდებლობას და ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისტეს უფლობას გადავცემ.

იესო, ჩემს უფლად და მხსნელად გაღიარებ. შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად. ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. შენი მადლით ვიცოცხლებ შენთვის, ვინც საკუთარი თავი გასწირა, რომ მარადიულად მეცოცხლა.

მადლობა, უფალო! ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი. იესოს სახელით, ამინ!“

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს საოცარი ახალი ამბავი სხვა მორწმუნეს გაუზიაროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ახალ რწმენაში გაგამხნევებენ.

თქვენ ეს-ეს არის წამოიწყეთ შესანიშნავი მოგზაურობა. დაე, ყოველდღიურად გაიზარდეთ გამოცხადებაში, მადლსა და ღმერთთან მეგობრობაში!

მარადისობით ამოძრავებულნი

გახადეთ თქვენი ცხოვრება ღირსეული

დღეს და სამარადისოდ

ერთ დღესაც ღვთის წინაშე წარსდგებით და თქვენი ცხოვრების ანგარიშს ჩააბარებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ახლა უნდა დაუსვათ, შემდეგია: იმ დროს მზად ვიქნები?

ქრისტიანთა უმეტესობამ იცის, რომ ჯვარცმაზე მათი გამოხმაურება განსაზღვრავს მათ ხვედრს მარადისობაში. და მაინც, იცით თუ არა, რომ მარადისობაში თქვენს ადგილს თქვენი ამჟამინდელი ცხოვრების საქმეები განსაზღვრავს?

ღმერთს სურს, რომ აღმოაჩინოთ თქვენი მოწოდება – მას არ სურს სიბნელეში იყოთ. ფაქტობრივად, მას მთელი გულით სწადია, რომ იპოვოთ აზრი და მიზანი, რაც დედამიწაზე თქვენი ადგილის გაცნობიერებით მოდის.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ დაწყებული ცხოვრება დანიშნულების ადგილზე მეტია. ნუ მოიცდით იქამდე, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება. აღმოაჩინეთ ღვთისგან ბოძებული ხვედრი მარადისობაში და თქვენი ცხოვრება ღირსეული გახადეთ დღეს და სამარადისოდ.

ჩამოტვირთეულ: MessengerX.com

აფაბელი

აუდიო სპექტაკლი

„აფაბელი“ ჯონ ბევირის ეპიკურ-ალეგორიული ნაწარმოები გახლავთ. იგი სარკმელს წარმოადგენს, რომელიც ამქვეყნიური რეალობის მიღმა გვახედებს და ღვთის სამეფოს მრავალ ჭეშმარიტებას ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს.

მორწმუნეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღქმა ძნელია. თქვენც შეუერთდით დიდებულ მეფე ჯეილინს, ბნელეთის ბატონ დაგონს, მოწყალებას, დამოუკიდებელსა და სხვებს. აღმოაჩინეთ აფაბელის საოცარი ტერიტორიები და გარესკნელის საშინელი მიწა ლონი. თქვენი ცხოვრება გარდაიქმნება, როცა ზემოხსენებული პერსონაჟების ამბავი თქვენს საკუთარ გულისნადებს გამოავლენს.

აფაბელის აუდიო სპექტაკლის ეპიზოდები მეტად მიმზიდველი მოსასმენია და წიგნის (*მარადისობით ამოძრავებულნი)* დინამიურ და თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს.

ᲩᲐᲛᲝᲢᲕᲘᲠᲗᲔᲓ: **MessengerX.com**

გაანადგურე კრიპტონიტი!

გაანადგურე ძალის მპარავი!

სუპერმენის მსგავსად, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და მტრის დამარცხება შეუძლია, ქრისტეს მიმდევრებსაც აქვთ გამოწვევების წინაშე დგომისა და გამარჯვების ზებუნებრივი უნარი. თუმცა, ჩვენსა და ამ გმირის ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა არსებობს. ეს გახლავთ კრიპ-ტონიტი, რომელიც ძალას გვპარავს.

რასაკვირველია, სუპერმენი და კრიპტონიტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნე-ბა, მაგრამ სულიერ კრიპტონიტზე იგივეს ვერ ვიტყვით.
ეს წიგნი პასუხებს გვთავაზობს კითხვაზე, თუ რატომ არ აქვს ბევრ ჩვენ-განს ღვთიური ძალა, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო პირველი საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრებაში.

წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“, ჯონ ბევირი ააშკარავებს კრიპტონი-ტის რაობას, თუ რატომ მიდიან მასთან კომპრომისზე ჩვენს ეკლესიებში და როგორ უნდა გავთავისუფლდეთ მისი ბორკილებისგან.
არა სიმხდალისთვის, „გაანადგურე კრიპტონიტი“ სულიერი შაქრის ამწევია. ეს სერიოზული ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ქრისტეს მიმდევრისთვის, რომე-ლიც ცდილობს ჩაეჭიდოს ტრანსფორმაციის გამომწვევ, თუმცა ღირსეულ გზას.

ᲩᲐᲛᲝᲢᲕᲘᲠᲗᲔᲓ: **MessengerX.com**

სადა ხარ,ღმერთო!

იპოვე ძალა და მიზანი შენს უდაბნოში!



შესაძლოა, ადრე ღვთის ხმა გესმოდათ, მაგრამ ახლა ის დუმს. რწმენაში წინ წაწევაც შეძელით, მაგრამ ახლა მისი თანდასწრება ვერსად გიპოვიათ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უდაბნოში – ღვთისგან აღთქმის მიღებასა და მისი აღსრულების ხილვას შორის არსებულ ადგილზე.

თუმცა კარგი ამბავიც გვაქვს – ეს არ გახლავთ უმიზნო და ფუჭი მიწა. ღმერთი უდაბნოს თქვენი დანიშნულებისთვის მზადებისა და აღჭურვისთვის იყენებს – იმ შემთხვევაში, თუ მასზე სწორად გაიკვლევთ გზას. შესაძლოა, ბევრ ადამიანს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ამ პერიოდის გავლა მხოლოდ ღვთის მოლოდინის საკითხი როდია. უდაბნოში გზის გასაკვლევად თქვენი ფუნქცია უნდა შეასრულოთ. დიდი ფუნქცია. და თუ არ გსურთ აქ უგზო-უკვლოდ ხეტიალი, უნდა იცოდეთ, რაში მდგომარეობს ის.

ბესთსელერების ავტორი ჯონ ბევირი ამ თვალისამხელი წიგნის მეშვეობით საკვანძო ბიბლიური მიგნებებით და საფუძველჩამყრელი ამბებით აღგჭურ-ვავთ, რომ გამომშრალ და რთულ დროს ნავიგაციაში დაგეხმაროთ და იმ ყველაფერში შეაბიჯოთ, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

სატანის სატყუარა

იცხოვრეთ წყენის საშინელი ხაფანგისგან თავისუფლებმა



სატანის სატყუარა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე შეცდომაში შემყვან ხაფანგს, რომელსაც მტერი იყენებს მორწმუნეების ღმერთის ნებიდან გადასაყვანად: წყენას. ადამიანების უმრავლესობა ისე არიან გაბმულები ამ ხაფანგში, რომ ვერც კი მიმხვდარან.

ნუ მოტყუვდები! ქრისტემ თქვა: „შეუძლებელია არ მოვიდნენ ცდუნებანი“ (ლუკ. 17:1). შენ ვერ აირჩევ განაწყენდები თუ არა, მაგრამ შენ ირჩევ, თუ რა იქნება შენი პასუხი ამაზე. თუკი წყენას სწორად მიუდგები, სიმწარის ნაცვლად გაძლიერებას გამოცდი. მხოლოდ სწორ პასუხს შეუძლია მოგცეს ძალა, რომ დაუბრკოლებელი ურთიერთობა გქონდეს ღმერთთან.

ამ უწყებით, ჯონ ბევირი ძალას გაძლევს დარჩე ღვთის ნებაში და გათავისუფლდე ეჭვისა და ნგრევისაგან. შენ შეგიძლია თავი დააღწიო გონების მსხვერპლობას და იცხოვრო სიმძიმისა და მარცხის ტვირთის გარეშე. ღმერთის მორჩილების უფრო მაღალი დონის აღმოჩენასთან ერთად, შენს ცხოვრებაში უხვად შემოვა პატიება,

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

გაამრავლე ღვთისგან ბოძებული პოტენციალი

ოდესმე გიგრძვნიათ, თითქოს მხოლოდ მაყურებელი ხართ ღვთის სამეფოში? შესაძლოა, იცით, რომ არსებობს თქვენი საკეთებელი საქმე, მაგრამ ზუსტად ვერ გაგირკვევიათ, რა არის ეს. უმეტეს ჩვენგანს საკუთარ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა სურს, მაგრამ გარკვეული კითხვები აწუხებს:

- როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ ჩემს ცხოვრებაზე ღვთის ნებას არ ავცდი?
- რა როლს ასრულებს ჩემი უნიკალური ნიჭები ღვთის სამეფოს შენების საქმეში?
- როგორ დავრწმუნდე, რომ ღვთისგან ბოძებული პოტენციალის შესაბამისად ვცხოვრობ?
- არის თუ არა ჩემი მოწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუ „კათედრის მსახურებაში“ არ ვარ?
- როგორ უნდა დავიცვა წონასწორობა ღვთის მადლში დარჩენასა და მისი სამეფოსთვის გონივრული ნაბიჯების გადადგმას შორის?
- როგორ უნდა დავძლიო შიში და წინ წავიდე მაშინაც კი, როცა ეს გაურკვეველი და სარისკოა?

ამ ძირეული მნიშვნელობის წიგნში ბესთსელერების ავტორი, ჯონ ბევირი წმიდა წერილის გულმოდგინე კვლევას ეყრდნობა და შინაარსიან ისტორიებს იყენებს თქვენს დასახმარებლად, რომ სხვაგვარად იფიქროთ მოწოდებასა და ღვთისთვის მის მნიშვნელობაზე. როცა წიგნის ფურცლებს ჩაიკითხავთ, ღვთივბოძებული ნიჭების გამრავლებისთვის აღჭურვილი იქნებით და ნაბიჯს გადადგამთ თქვენი პოტენციალის გამოსაყენებლად.

თუ მზად ხართ, რომ უმოქმედობა დიდი მიზნებისკენ სვლით შეცვალოთ, თქვენი მოგზაურობა აქ იწყება.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

MessengerX

დამოწაფეგის მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან



- **უფასოდ 115 სხვადასხვა ენაზე**
- თქვენი ზრდის ზედამხედველური რესურსები
- ხელმისაწდომია როგორც აპლიკაციით, ისე ონლაინ რესურსის სახით
- თქვენი ისტორიისა და დამოწაფეგის გზისთვის თვალის მიდევნეგა

მიიღეთ დამოწაფეგის რესურსეგის მთლიანი მესინჯერ-ბიბლიოთეკა ელექტრონული წიგნეგის, აუდიო-წიგნეგის, მოკლემეტრაჟიანი ფილმეგის, ვიდეო სწავლეგის, ბიბლიეგისა და სხვათა სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და მოუსმინოთ ყველა ციფრულ მოწყობილოგაზე.



MessengerX.com

GET IT ON Google Play

Download on the App Store

მიიღეთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით _ App Store და Google Play.

გამრავლების რესურსების ნაკრები

სახელმძღვანელო, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, ჯონ ბევირის *გამრავლების* პროგრამის ნაწილია. მისი წაკითხვით, თანმხლები სასწავლო მასალების გამოყენებით, რომლებიც თანდართულ DVD დისკზეა განთავსებული, ასევე MessengerX.org-დან ჩამოტვირთვით შეძლებთ ამ დინამიური და ცხოვრების შემცვლელი სწავლების ყველა ნაწილის ათვისებას. თუ მას სათანადოდ მოეკიდებით, თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაზე ზეგავლენას მოახდენს, გააუმჯობესებს და ღვთისთვის მეტის კეთებას შეგაძლებინებთ.

გამრავლების პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს. ჩამოტვირთეთ ყველა მათგანი თქვენს ციფრულ მოწყობილობაზე:

- *გამრავლების* სახელმძღვანელო წიგნი.
  პროგრამის ერთადერთი ბეჭდური ნაწილი. ის ასევე ერთვის სასწავლო პროგრამის DVD დისკს ელექტრონული წიგნის სახით.
- *გამრავლების* სასწავლო პროგრამის DVD დისკი.
  თანდართული დისკი მოიცავს პროგრამის ყველა მასალას ციფრულ ფორმატში. ამ DVD დისკის გამოყენება შეუძლებელია სახლის DVD პლეიერზე. თუმცა ყველა ფაილის ჩამოტვირთვა და ნახვა შეგიძლიათ ტაბლეტზე, კომპიუტერსა და სმარტფონზე.
- *გამრავლების* აუდიო წიგნი. *გამრავლების* სახელმძღვანელო წიგნის ყველა ნაწილი წაიკითხეთ MP3 ფორმატში თქვენს მშობლიურ ენაზე.
- *გამრავლების* ვიდეოსწავლების გაკვეთილები.
  თორმეტივე ვიდეოსწავლების გაკვეთილი MP4 ფორმატში.
- DVD დისკი ასევე მოიცავს სხვა წიგნებსა და რესურსებს შემდეგი ციფრული წიგნების ჩათვლით: *„სადა ხარ, ღმერთო?!“* და *„მარადისობით ამოძრავებულნი“.*

დამატებითი სასწავლო რესურსები, ხელმისაწდომია:

MessengerX.com და ასევე **MessengerX** App

ყველა ეს პროგრამული რესურსი საჩუქარია!

შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაიღოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად. გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების წყურვილია.

მეტი ინფორმაცია *„გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის* სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე:

- **ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეოფლეიერისთვის**. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მოწყობილობაზე.
- MP4 **ვიდეო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- MP3 **აუდიო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
- PDF **ციფრული ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე. ადვილად შესაძლებელია მათი წაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება.

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

ღირსების ჯილდო

მხოლოდ
კომპიუტერისთვის

უყურთ ვიდეოს და
გადმოტვირთეთ უფრო მეტი

MessengerX app

რესურს დისკი

ამ მივიწყებული თვისების ძალის გაცნობიერება

ჯონ ბევირი

ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბევირების სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინჯერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:

MessengerX app

Download on the App Store

GET IT ON Google Play

ყოველდღიური დამოწაფება ყველასთვის და ყველგან.
სრულიად უფასოდ 115 ენაზე. აქციეთ სულიერი
ზრდა თქვენი ყოველდღიურობის ნაწილად!

ჯონ ბევირი ბიბლიური ტექსტების დეტალური კვლევის იშვიათ ნიჭს ამჟღავნებს. მკითხველებს გააოცებს მისი რამდენიმე ახლებური და აღსაქმელი დაკვირვება.

—USA PUBLISHERS WEEKLY

არც ერთ ქრისტიანს არ სურს ღვთისთვის საზღვრების დაწესება, მაგრამ ბევრი ჩვენგანი გაუცნობიერებლად ეწინააღმდეგება მის აქტივობას ჩვენს ცხოვრებაში, რადგან მნიშვნელოვან სულიერ პრინციპს – ღირსებას უგულებელვყოფთ.

ჩვენმა კულტურამ ეს კონცეფცია დაკარგა, მაგრამ წინამდებარე წიგნის ფურცლებზე დაინახავთ, რომ ცხოვრების ყველა ასპექტში ღვთის სამეფოს გამოთავისუფლების არსი სწორედ მასშია.

„ღირსების ჯილდოში“ ბესთსელერის ავტორი, ჯონ ბევირი გვიმჟღავნებს, თუ როგორ მივყავართ ღირსების მოწოდების გათავისებას ღვთის ფასეულობათა სისტემასთან და მისგან განსაზღვრული სიკეთის მიღების მდგომარეობაში გვაყენებს.

წიგნი ახლებურად დაგვანახებს ზემოხსენებულ მივიწყებულ სათნოებას საფუძველჩამყრელი ბიბლიური მიგნებებისა და ამ პრინციპების თანახმად ამოქმედებული ძალმოსილი ამბების ურთიერთკავშირის მეშვეობით და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში მისი ჩართვის შინაგან სწრაფვას აღძრავს.

წიგნს „ღირსების ჯილდო“ თან ერთვის DVD რესურსდისკი

ჯონ ბევირი მსოფლიო მასშტაბის მქადაგებელი და ბესტსელერების ავტორი გახლავთ, რომელიც ცნობილია ღვთის სიტყვისადმი გაბედული და უკომპრომისო მიდგომით. ჯონ ბევირი და მისი მეუღლე, ლიზა – Messenger International-ის დამფუძნებლები არიან. ეს მსახურება ორიენტირებულია ქრისტეს მტკიცე მიმდევრების გამოზრდაზე, რომლებიც მთელ მსოფლიოს გარდაქმნიან. როცა ჯონი კოლორადოში, საკუთარ სახლში იმყოფება, ოჯახის წევრებთან ერთად კონკურენტულ ბანქოს თამაშშია ჩაფლული ან ლიზას არწმუნებს, რომ გოლფს მიჰყოს ხელი.

MessengerX

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვის ეწვიეთ MessengerX.com

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი? დასაკანონებ.